

უ რ თ ა ბ რ ე ლ ი ე მ.

რ ო მ ა ნ ი

ვ. შალაძიაშვილისა

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!
აწმყო თუ აღარ გწყალობს, მომავალი შენია,
თუმცა ძველნი დაგზორდენ, ახალი ხომ შენია...
მათ ახლა აღგიდგინონ შენ დიდების დღენია...
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?..
ი. შავეჭავაძე.

თფილისი

სტამბა „ნადეუდა“ მიხაილოვის ქუჩა, № 5.

1911 წ.

შოთა ბროლიძე

I

შოთას მოსვლამ მთელი ოჯახი გააკვირვა. არ მოელოდნენ.

გაკვირვებას სიხარულიც გადაეხლართა. ვახშმოზა დაავიწყდათ, გამზადებული სუფრას თავი ანებეს. ახალ მოსულს შემოეხვივნენ.

— ჩამოიღე, ძამიკო, ხურჯინი! მომეცი აქა! შექიკიკებს და.

— ეს ფუთა რა არის? აქ მომე, შეილო!

მართა დარწმუნებული იყო, რომ შოთა რაიმეს მოუტანდა. ხელ ცარიელი არასოდეს არ მოსულა. დები, ძმები, დედ-მამა ყოველთვის გაუხარებია.

— მე თავსაფარს მომიტანდა ჩემი ძამიკო!

— მე ჩულქებს...

— მე გარმონს დამპირდა, ხომ არ დაგვიწყებია, გენაცვალე? მითხარი, რამ მოგაწყინა?

შოთა ხმას არ იღებს. ყაბალახი მოიხსნა და ლოგინზე მიწვა.

მამამ სანთლით მიანათა.

— შეილო, დაილაღე?

— დავილაღე, მამა! უპასუხა ცოტა ხნის შემდეგ. ყველა სახტად რჩება. შოთას ფეშქაშები არ მოუტანია. ეწყინათ.

— შეილო ავით ხომ არა ხარ? შემოგველო დედა შენი!

მართა სახეში ჩასჩერებია შეიღოს, შუბლზე ხელს უსვამს.

და-ძმანი სულ-განაბულნი დგანან.

— ძამიკო, შოთა! ხმა ამოიღე!

გიგოსაც ექვი ეპარება—ასე დაღლილი როგორ იქნებაო.

— შეიღო, შოთა! მიმართა. თითქოს ხმაც აუკანკალდაო.

შიშის ბადე გადაეკრა იქაურობას. შეემა კედლებმაც შუბლი შეიკრეს.

— რა დაგემართათ? რამ შეგაშინათ, არ გინახავთ დაღლილი ადამიანი?

შოთამ ამ სიტყვებზე წამოიხედა.

შიში გაიფანტა. ყველამ დაგუბული სული ამოიტქვა. ღიმილმა ბაგე მონახა.

— ასე გვითხარი, შეიღო, რაზე შეგვაშინე? ხომ არაფერი გტკივა?

— არა, დედა, არა!

— მაშ რაა, რამ მოგშალა ასე ადამიანი?

— დაღლილი ვარ, სხვა რა უნდა იყოს? ათი ვერსი გამოვიარე.

— მანამდი რომ არ იქანცებოდი აგრე? ეკითხება უფროსი და.

ყველა პასუხს ელის.

— მაშ როგორ მოვდიოდი?!

— დაანებეთ, ადამიანებო, თავი! ხომ ხედავთ კაცი ოფლითაა გახეთქილი?! სიცხეა, მოისვენებს და მერმე ელაპარაკეთ!

გიგოს სიტყვებზე ყველამ თითქოს უხერხულობა იგრძნო—შოთას თვალი აშორეს.

— მიკვირს ამათი საქმე! რათ მომჩერებიან აგრე? ცაცო, დაიკო, მოდი ერთი ფეხზე გამხადე.

ცა ცო ხელათ უსრულებს ძმას წადილს.

შოთა ხედავს, რომ სიჩუმით ოჯახი შეაშინა. გაიფიქრა: უთუოთ ხმა უნდა ამოვიღო და მეტი სიტყვიზღე გამოვიჩინოვო.

— სხვა, თქვენ როგორახართ, რას შერებით? იკითხა წყნარათ.

— კარგადა ვართ, შეილო, ჩვენ არაფერი გვიჭირს; ოღონდ შენ იყავ ყოჩაღათ.

— ყანები ხომ დათესე, მამა ჩემო?

— კი, შეილო, დაეთესე.

— წელს ვისი მიწები აიღე?

— ვისიც შარშან მქონდა. გაეწმინდე, გავასამოთხე და სხვას როგორ დავანებებდი!

ყველამ დასაჯდომი მოინახა; ლოგინზე ჩამომჯდარ შოთას მისჩერებიან. ცა ცო გულმოდგინეთ უბანს ძმას ფეხებს. კერასთან გაშლილი სუფრა სტუმრებს ელის. ცივი მკაღი და ლობიო გულ-დაწყვეტილნი გამოიყურებიან. თუნუქის ლამპას სინათლე არ ყოფნის, რომ მთელი სახლის კუნჭულები გაანათოს. მხოლოთ ახლო მყოფთათვის გადაუფარებია ყვითელი კალთა.

გიგოს გარდა არაფის ჯერა, რომ შოთა ჯანმრთელათ იყოს. მაშ რისთვის ფეშქაშები არ მოიტანა? მოსვლისას რათ ყველანი არ ჩამოაკოცნა? აკი წელიწადზე მეტია სახლში არ ყოფილა?

— სხვა, ბიძა ჩემი როგორაა? ან ბიცოლა ჩემი?

— რას იზამენ, შეილო, მიათრევენ გაჯახირებული ცხოვრებას. ხან ავათ, ხან კარგათ...

— შეილო, სხვებს ნუ ჩივი, ნუ! შენი ამბავი გვითხარი, დედა შეილობამ! ავათ ხომ არა ხარ?

— რა მიგავს დედა ავადმყოფს?

— აბა რას გავს ასე შენი მოსვლა? უდროვო დროა,

აღდგომა წავიდა, დღესასწაულები გაყვა და შენ რაღა ახლა მოხვედი? თუ მოსვლა გინდოდა, აღდგომას სად იყავი? არც ითვლებოდი მოვალე...

ეს სიტყვები გიგოსაც საფუძვლიანათ ეჩვენა.

— საქმე შემხვდა და წამოველი.

— რა საქმე? რა მოგივიდა? ცუდი ხომ არაფერია? ეკითხებიან ირგვლივ.

— არაფერი ისეთი...

— მაშ რაა? პოლიცია ხომ არ...

— ქარხნის ის განყოფილება, სადაც მე ვმუშაობდი, დროებით დახურეს და წამოსვლის მეტი რა გზა მქონდა! ამბობს შოთა და დაბანილ ფეხებს ტასტის კაბრებზე იმაგრებს.

— უი, ჩვენს დღეს!

— დიღხანს არ გაიღება, შეილო?

— დანამდვილებით ვერ გეტყვი, მამა. ამბობენ ოთხი-ხუთი თვე გასტანსო.

— დავლუპულვართ და ესაა!

— უბედური კაცს ქვა აღმართში მიეწევაო!

ყველა დაძმარდა. უნუგეშო სინამდვილე თვალწინ გადაეშალათ. იმედები გაუცრუვდათ. უფროსმა შეიღმა ვერ გაუხარა ოჯახს გული.

ყველაზე გულნატკენი უფროსი და არის. თუ ამ ზაფხულზე მაინც არ გაათხოვებდენ, როგორ ეგონა? მართალია, დედ-მამისათვის არასოდეს არ უთქვამს გამათხოვეთო, „ასე როგორ გაუზრდელდებოდა კესო,“ მაგრამ გულში კი აღდგომა უთენდებოდა, როცა სახლში მაქანკალს დაინახავდა. შოთამ რამდენიმე თვის უკან მოსწერა მამას—კესო უნდა გავათხოვოთ, აგვიანდებაო. კესოსაც იმედი ჰქონდა, მაგრამ თუ შოთას სამუშაო არა აქვს, რას უნდა გახდეს? ეხ, უბედურო სიცოცხლე!..

„მარა ვინ იცის, იქნება ახლობამდე ნაშოვნია ფული მოიტანაო,“ იიმედებს კესო გულს.

— სხვა, მამა, სიმინდი თუ გაქვს?

— აკი შემოგიტვალე, შვილო! თვე-ნახევარია რაც ვყიდულობთ.

— ახლა ორი ბათმანის მეტი არა გვაქვს.

— როგორაა ფუთი?

— მანეთათ... ძალიანი სიძვირეა.

ისევ სიჩუმე. კარგა ხანი გაივლის.

— შვილო, თუ მოგყვა რამე გროშები? თუ მოგცა ღმერთმა? თითქო დარცხვენილი ეკითხება მამა.

პასუხის ცდაში ყველამ სული განაბა. გულის ფანქვალით ელიან. შოთასათვის თვალი ვერ გაუსწორებიათ, თითქოს ერიდებათო. უხილავ და უთვალავ ძაფთა გრებილი აერთებს აქაურობას შოთასთან...

— ცხრა თუმანი მოგიტანე.

პატარებს ეამათ პასუხი. დიდთავან კი ყველას არა.

„ექვს თუმანს მევალე წაიღებს. სხვა კი სიმინდს მოუნდება“ თავიდან გამოქცეული ეს აზრი კესოს გულში ნემსათ ჩაერქო.

მაშ ისევ აქ ყოფნა, დედ-მამის შიში! ყველა რაღაც მძიმე ბარგათ თვლის კესოს. მგონი სიძულვილითაც კი უყურებენ ამ ბოლო ხანებში. მთელ ოჯახს თითქოს დასარბევათ მოსული ბოქაული უჯდესო.

შოთამ კარგათ იცის თუ ვინ რასა გრძნობს მისი სიტყვების შემდეგ. ჩუმათ ჩასჩერებია ტასტს. ხელებიდან ჯვარი გაუკეთებია: მარცხენა ხელი მარჯვენა მუხლს ქვევით აქვს მიბჯენილი, მარჯვენა კი—მარცხენასი.

— მაღლობა ღმერთს რაც არის, შვილო! ვახშამი კამე, ვახშამი, მოშივებული იქნები.

ივახშმეს.

— დაწვევი, ჩემო ძამიკო, მოისვენე. ეუბნება კესო შოთას.

— კი დაწვევები, მარა სად დამიგე ლოგინი?

— ოთახში.

გიგომ მეორე წელიწადია, რაც კესოს დაქინებით და შოთას დახმარებით თავის ძველებულ სახლს გვერდზე ოთახი მოადგა. აქ ინახავდა კესო თავის მზითევს. აქვე ასვენებდენ სტუმარს, აქვე უმასპინძლებოდენ; თორემ სამზად სახლში ხომ კვამლით აუტირდებოდა თვალები. კვამლი ტანისამოსსაც გააფუჭებდა. აკი კესოს დედა, მართა, მუდამ იმას ჩიოდა: ერთი ნეტავი წმინდა სახლში დამეწყო ჩემი ნამზითვი საგებ-სახურავი, კვამლისათვის არ შემეკმია და მერმე ღმერთს მოვეკალიო. მარა ბედმა ხელი არ შეუწყო. მხოლოდ შვილების წამოზრდის შემდეგ აუსრულდა ეს ნატვრა, მარა ისიც ასე. მახინჯათ: უბრალო ფიცრის ოთახი მოედგა მისს სახლს და არა მინებიათ ოლა.

აი ამ ოთახისკენ მიუძღვება კესო ძმას. მზრუნველობით აწვენს. თეთრ საურიანი ბალიში დაუდო საგანგებოთ. ახალი ზეწარი გადაუფარა, მისს უკეთესს ვის დააწვენდა ასეთ ლოგინში? მართალია, სურვილი ვერ აუსრულა, ვერ გაათხოვებს მალე, მარა კესოს მაინც შოთას იმედი უნდა ჰქონდეს, სხვა რას დაეძებს...

შოთა საძილოთ მოემზადა.

— ელენე! მისდა უნებურათ ამოცდა და თან ამოიხენეშა. მალე მიეძინა. სიზმარში ელენეს მოჰკრა თვალი.

II

მზე დედამიწას დასთამაშებს.

ბნელში დანათრქვევ ცრემლებს აშრობს.

ზეცა უპირ-ლეჩაქოთაა. შუბლ გადასარკული იღიმება. აღმოსავლეთისკენ ლოყა აპილპილებია.

ქალები ჯერ კიდევ ლურჯათ არ მორთულან. სიმინდმა ეხლა და ამოწვერა, შაშარის მსგავსი ორი ფოთოლი გამოუჩენია. ყურები აუცქვეტია.

აგერ-ეგერ ხნავენ. ესენი „წვრილ ყანას“ თესვენ: ფეტვს, ლომს.

გიგოც სთესავს. შოთა ეხმარება.

— შვილო, რაა რომ სულ ჩაფიქრებული ხარ და შუბლი არ გიციინის?

— მამა, შენც ნუ დამიწყებ დედაკაცებივით კითხვას!

— კაცო, სულ ასე დაღონებული სახე, ხვნეშა? მანამდი რომ არ იცოდი ასე? მიკვირს ღმერთმანი! პოლიციის ხომ არაფერი შიში გაქვს კიდევ?..

— კარგი ახლა, მამა, გეუბნები არაფერია მეთქი! დამიჯერე.

გიგო ხარებს უტლაშუნებს. ხარებიც ტაბიკების კრიკინით კავს მისწევენ. ერქვანზე დაბჯენილი გიგო ბელტებს ფეხებს არიდებს. თავიდან კი ფიქრები ვერ გაუდენია:

„რა უნდა კირდეს ამ ბიქს?

„გლახა საქმეში ხომ არ გახვეულა? კიდევ ხომ არ დენის პოლიცია?

„რისთვისაა აგრე აღერლილი? ნათვალევი თუა? ამ საღამოსვე გავგზავნი ჩემს ქალებს სიდონიასთან, ნათვალევის წამალს მოვატანინებ. გაბრიელსაც დავითნს დავაბრუნებიებ“.

შოთა კი ჩუმათ განაგრძობს მუშაობას. ბელტებს თავს უტებს.

კარგა ხანი გადის.

— მამა, წყალ გალმა ყანას დავათვალიერებ.

— წადი, შვილო! ნახე, ამოსული თუა... მარა წყალში არაფერი მოგეწიოს... .

— დაკლებულია, რა უნდა მომეწიოს?

შოთამ მიწით აუესო თოხს პირი და ისე დააყუდა. მიდის. მამა მისჩერებია. ფიქრები გულს უსერავენ: „რათ უნდა ყანას დათვალიერება? მე ხომ გუშინ ენახე! მარა წავიდეს, იქნება გული გადააყოლოს. მდინარის ნახვა ეამება“.

შოთა რიყეზე გავიდა. იქაურობა ხრეშითაა დაფარული. გავლა უძნელდება, ქვებზე ფეხები უცდება.

აი წყლიანი სილა, აი მდინარეც. ჯერ არ მოუმატნია. ალბათ არ დაუწყია მთაწი თოვლს დნობა..

შოთას თვალ წინ დაუდგა აქ გატარებული დრო. მაშინ ბავშვი იყო. აქ საქონელი უძოვებია. უბანავენია. მამას მდინარისაგან ჩამოტანილ შეშის გროვაში დახმარებია. თევზებიც უჭერია: ანკესით, ბადით, წყლის დაშრობით.

„ახ, რა ბედნიერი ვიყავ მაშინ!

„ფრთხილა ჩიტი... უზრუნველი, უდარდელი...

„ახლა კი?!.. ელენე, ელენე“...

ეს ორი სიტყვა ნემსებივით მიესო გულში. ტკბილი მოგონებანი მსწრაფლ დაუმწარა.

ფეხებზე იხდის. შარვალი უნდა დაიკაპიწოს. თან ფიქრობს:

„ბავშვობისას პერანგის ამხანაგს გავიძრობდი და კისერზე ჩამოვიბამდი. მოდი, ახლაც ისე ვიქ...

„მარა... ეხ! არ ღირს, მაშინდელ ბედნიერებას მაინც ვინ მაღირსებს?“

წყალი ეცივა. ფეხები უცდება: ქვებს რალაც ლორწო გადაკვრია.

ყანას მხოლოდ ცალი თვალით გადახედა. მისთვის სცხელოდა?

მონახა მწვანე მოლი და გაიშხლართა.

მდინარე ნანას უღუღუნებს... ფიქრებმა წაიღო...
„ღმერთო, რა მემართება? რამ ღამიშალა ასე სხე-
ული? ახ, დედა“!

შოთას კითხვა სიომ ბალახებს მიჰფინა. მარა პასუ-
ხი მაინც არ იყო.

„თითქოს სისხლის მაგიერ თბილი წყალი მესხას
ძარღვებში. გული მიღონდება. ახ, რა კარგია ახლა სი-
კვდილი!.. უელენოთ სიცოცხლე განა მიღირს? რას უნდა
ეგვანოს? ელენე, ელენე! რათ მომკალ, რისთვის გადა-
მიქერ ცხოვრების ძარღვი? ჩემო პირველო სიყვარულო!
ჩემო უმანკო გრძნობავ! განგმირული ხარ, განგმირული!
რისთვის? განა სიყვარული დანაშაულია? განა ამ გრძნო-
ბაზე წმინდა რამ არსებობს ქვეყანაზე? ამაზე უკეთესი
აღამიანის გასაბედნიერებლათ შეუქმნია რაიმე განგებას?“

მზე თვალეებში ჩასცქერის შოთას: ცრემლი ხომ არ
გადმოჰქუხსო. მოსტყუვდა. ვაჟკაცი და ცრემლი? ეს
შოთამ არ იცის.

მარა გული მაინც რამ დაუმუხრუქა? ვინ მოუქირა
მარწუხი?

„იქნება შენი შეყვარება არც კი შეიძლება? იქნებ
საზარელი ხარ? უშნო, მახინჯი? და ეს ელენეს ბრალი
ხომ არაა?!“ ჩასჩურჩულა ვიღაცამ.

საიდან ამოცურდა ეს საზარელი აზრი?

შოთა გველივით დაიკლაკნა. თავზარ-დაცემული
წამოიქრა.

„ღმერთო! ეს რა საშინელებაა!? იქნებ მართალია?!“

„იქნებ მართლაც არ შეიძლება ჩემი შეყვარება?“

„მაშინ ვის მივეყრდნო მკერდზე? ვის?“

„ელენე! თუ მე მართლა საზარელი ვარ, რათ არ
მიტხარ გულ-ახდილათ? რათ? რისთვის მოყვეი მაღალ
ფარდოვან აზრებს? ა? არა!.. შენ არ იტყუებოდი, არა!..“

„მაშ რათ არ შემიყვარე? მეც ხომ სხვებივით ადამიანი ვარ? რით ჩამოუვარდები სხვებს?“

„ახ, რა სისულელეს ვროშავი!..“

„არა... არა! ალბათ არ შეიძლება ჩემი შეყვარება! საზარელი ვარ, მახინჯი... მაშ რისთვის არავინ შემიყვარა? რისთვის? სხვებს ხომ იყვარებენ! მე რა შევიქნე?“

„შოთა ისევ მოლზე წევს. მზეს პირს არიდებს. მდინარის ლუკლუკი არ ესმის.“

„განა მახინჯი ვარ სხეულით, სულით? არა, ჩემზე ეს არ ითქმის. მე სულიერათ მდიდარი ვარ... ვინც ჩემი აზრები და მიმართულება იცის, ამას ვერ შემომწამებს... ვერა“...“

„შოთას მოკლეთ აგონდება თავისი მოღვაწეობა. კოტათი გულს ეშვება, წყნარდება, თავისთავს ურიგდება. შესახედავით, რომ მახინჯი არაა, ამას რა მტკიცება უნდა? პირიქით სილამაზით ბევრ თავის ტოლსა სჯობს.“

„მაშ რათ? რათ მითხრა უარი ელენემ? რისთვის მომისპო არსებობა?“

„მე ხომ უმისოთ არსებობა არ შემიძლია!.. ელენე!.. ნუ თუ საძუღამოთ დამელუპე, ვერ გიხილავ? ვერ დავტკბები შენს მკერდში?.. ახ!.. ღმერთო“!..“

„შოთა წამოაჯდა. ვერ დააცხრო აზვირთებული გული.“

„რას ვარ, რის მაქნისი? ნუ თუ პირადი ბედნიერება არ მიწერია?... ნუ თუ გერი ვარ ცხოვრებისა და გერთვე მოვკვდები?... ახ!.. მე ყველაფერი მინდა, ყველაფერი!.. როგორც პირადი, ისე საზოგადო!.. სხვაფრივ ჩემი სიცოცხლე შხამი იქნება, შხამი... ახ... უბედურო ჩემო თავო!..“

მხოლოთ ეხლა-ლა დაუკოცნა მზემ ცრემლები. ამის მეტად არ ღირსებია.

შოთა მარტოა ამ წუთს საშინელ კუნძულზე! არც ხომალდი, არც ხილი. ყველაფერი დაიღუპა, ყველაფერი შთაინთქა, ცეცხლმა დასწვა, ზღვამ ჩაყლაპა.

ის კი აქ უნდა იქნეს. გულს არაეინ გაუთბობს, არაეინ მივალერსება.

III

ზეცა მიწას რძეს აწურავს.

ღრუბლის ძუძუები ესაა პირში ჩაუდოს. წვეთები ხავერდის მოლს ექლურტულებიან: ცის ამბებს უამბობენ. მოლიც ყურებ-აკქვეტილი უსმენს.

ზეცა შეზანზარდა. გადიგრუხუნა.

— ფუი ეშმაკს, ფუი ეშმაკს!

— მიქელ გაბრიელო, დამიცე!

ამბობენ გიგოს ღერეთანში მისი ოჯახის წევრები. სხვებთან ერთათ გიგომაც გადიწერა პირჯვარი და დაბალ სამფეხიან სკამზე წამომჯდარმა მუშაობა განაგრძო. გოდორს წნიდა. წვიმაში დამბალ ტკეჩებს კი შოთა თლიდა. კესოც იქ იყო, კედელთან მიმჯდარი მატყლს ართავდა. ბავშვები ღვარში იწუმპლებოდენ. კესოს გვერდით დაღუმპული ხბო ატუზულიყო და უგემურათ. ყბებს აღრაქუნებდა.

ფეხშიშველა მართა წვიმას გამოექცა. ღერეთანში შემოირბინა.

— სად იყავი, დედა? ეკითხება შოთა და თან მუხლებზე დადებულ ტკეჩს სასხლავით კანს ათლის.

— არსად, მეზობლებში...

— მომიტანე? გიგომაც ჰკითხა.

— მოვიტანე. ჩუმათ ჩაილაპარაკა და სახლის კარები შეაღო.

ხბომ სახლში შესვლა განიზრახა. აბუზულ წიწილებიანი დედალიც კარაპანს შეაფრინდა.

— ქმო... ქმო!.. შეგქამა ტურამ! ყველაფერი ჩემზეა მოჩერებული. სადაც ფეხს გავადგამ, ყველა იქეთ მომდევს..

ამ სიტყვებით მართამ კარები გამოიკეტა და გარეთ გამოვიდა.

— რა უნდა მოგეტანა, დედა? შეეკითხა შოთა.

— ნათვალევის წამალი. გაბრიელისას ვიყავი.

— რას ამბობ? რის ნათვალევის?! კიდე შეეკითხა შოთა.

— ვითომ არ იცი?

— ვისთვის გინდა?

— ვისთვის და შენთვის. შენ ვერ ატყობ შენს თავს და ჩვენ კი გული გვიკვდება. ეგება ნათვალევია, ვინ იცის? აღერდილი რომ ხარ... აბა რის..

ამ სიტყვებზე მართამ რალაც ავგაროზის მაგვარი ამოიღო. პატარა სამკუთხათ გამოკრული ტყავი იყო, ზედ კისერზე ჩამოსაკიდებელი ება.

— დედა ჩემო, სწორეთ, რომ ძველ, ყრუ, გაუნათლებელი ადამიანივით იქცევი. რაა მაგ? რა ძალა აქვს, რა შეუძლია? მე ვიცი ფულსაც მისცემდი...

— აბა ტყვილა ვინ მომცემდა? ცინცხალი მანათი წაიღო...

— თუ ღმერთი გწამს ეხლავე უკანვე წაიღე და ფული გამოართვი!

— შევიღო, რას ამბობ? ავი თვალიდან დაგიფარავს, ფათარაკს ავაშორებს.

— ისა სჯობია არ მაწყენინო, დედა! ეხლავე უკანვე წაიღე და ფული გამოართვი. თან უთხარი, ხალხს ნუ ატყუებ და ნუ სცარცვავ-თქო, თორემ...

— ღმერთო, მომკალი! მართამ ლოყას ხელი იტკიცა.

— ქვეყანა ამას ხმარობს და შენ რა შეიქენი? ლმერთს ნუ გმობი..

— მამა ჩემო, შენც ნუ აყოლიხარ დედაკაცურ სისულელეს...

— ასე კიდევ გუშინ სალოცავიზა სთქვი... იმ ქურებს ჩავტეხო...

— მაინც ჩავტეხ. და მაშინ კი ნახავ, რასაც მიზამს თქვენი სალოცავი.

— აგწია ეშმაკმა? რა გიზის ფხარში? მთელ ქვეყანას წამს და შენ არა? აბა არც მწარე ბლის ჯვარს ქონია ძალა, არც ცხენის თავს...

შოთამ ქისკრისკენ გაიხედა. სარზე ჩამოშავებული ცხენის თავის ძვლები ეკიდა.

— სისულელეა ყველაფერი...

— აბა დავითნის დაბრუნებაც სისულელე ყოფილა? ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს საუბარი კოწია რომ არ მოსულიყო.

— გამაჯობა, თქვენი, გამარჯობა! როგორ დავსველდი!

— გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს!.. ეს შენი წაღები ძალიან კი კოცნიან ამ მიწას და... ერთობ ჭყაპი-ჭყუპი გააქვთ... შენიშნა გიგომ ღიმილით.

— აბა, დამეხა ეს ოხრები!.. წყალი შემიდის... სთქვა კოწიამ და სხვების სიცილს თავისიც შეურია.

კესომ სკამი მოართვა.

მოიკითხეს ერთმანეთი, — მასპინძელმა, სტუმარმა.

— სხვა, შოთა, გაზეთში წავიკითხეთ ჩვენი ბიბლიოთეკის შესახებ...

— ხოო! წაიკითხავდით! გააწყვეტინა შოთამ.

— წიგნები მოვაგროვეთ. რამდენიმე ფულიც შემოგვეწიეს, — განაგრძო მანვე.

— კარგია ძალიან. დიდი მადლობელი ვარ შენი და სხვა ამხანაგებისაც.

— წიგნები თან მოვიტანე... ფულიც... და ჩაიბარეთ. გამგე შენა ხარ, არა?

— დიახ, მე ვარ.

შოთამ ორმოცზე მეტი ქართული წიგნი გამოიტანა და კოწიას გადასცა. ფულიც იყო ოც მანეთამდე.

— შემომწირველებს სია იცით, გაზეთში იყო...

— დიახ... აგაშენათ ღმერთმა! ეს ფულები სწორეთ სულზე მოესწრო ჩვენს ბიბლიოთეკას. დიდი მადლობელი ვართ.

— რას მემადლობები, კაცო? მოვალეობის ამსრულებელს მადლობას არ ეუბნებიან.

— ნეტავი ყველა შენსავე მოიქცეოდეს და მადლობას არ დავიშურებთ.

— ცარიელ სიტყვაზე მარჯვე ხართ, არა? სიცილით უთხრა გიგომ.

— აბა რას იზამ, ჩემო გიგო! წუთისოფელი ასეა. სხვა მართლა... კინალამ დამავიწყდა, შოთა, კვირას სოფელში ყრილობაა, ქსენონის შესახებ უნდა მოვილაპარაკოთ და შენ, რასაკვირველია, მოხვალ.

— აა! არ დაანებეთ თავი კიდევ იმ ქსენონს? სანამდის არ დაგვარჩოთ, არ მოგვშორდეთ, გაგვაძვრეთ ბარკმ პერანგი!.. გესლიანათ შენიშა გიგომ.

— გიგო, შენ ჰკვიანი კაცი ხარ და მაგრე ნუ იტყვი. საქმეს უნდა დაუკვირდე და ისე...

— რას დაუკვირდე, კაცო, რას? არ მხედავ კაცს, რომ პერანგი არ მაცვია?

— ამ ხელა შეილი გყავს, რა გიჭირს! შენიშნა კოწიამვე.

— შეილი მყავს! შენც ერთი აბა ჰკითხე რა შე-

ძინა ოჯახს? მერე კიდევ აგერ რო ბოქაული მიზის არ ხელდავ?

კესოზე უთითა. ყველას გაეცინა. კესომ კი შუბლი შეიკმუხნა, გაწითლდა და რალაც წაიბუტბუტა.

— ასე, ასე, შოთა. მასწავლებელიც იქნება, მღვდელიც.

კოწია წავიდა.

— ამისთანებზე ხარ კიდევ გადაყოლილი, არა? ციხეში ჯდომამ ვერ მოგთოკა? ჯერ ქალაქიდან რა ამბები არ ჩამოაქვთ შენი და აქაც იწყებ? არაფელი გამოვა, შეიღო, თვარა არ გიშლი. ტყვილა ნუ ცდები. ქვეყანას შენ ვერ გასთვები...

-- ის ჩემი საქმეა, მამა ჩემო!

— როგორ თუ შენი საქმეა? ჩვენ რას გვიპირებ? შენი თავის მეტი არავინა გყავს? ის კიდევ... რალაცები რომ დაგიწერია გაზეთში? რა შენი საქმეა? ვინ მამიშენის შეილი და ვინ გაზეთი?

შოთა ოთახში შევიდა. ლოგინზე უგულოთ გაიშლართა...

გარკვეულათ არას ფიქრობდა...

გული კი თითქოს ნემსების დანაჩხვლეტი აქვსო...

IV

სოფლის კანცელარიის ეზოში ჯერ სულ რამოდენიმე გლეხი შეკრებილა.

აივნის ჩამპალი ჰერი გულ-შელამებული წუწკუნებს: ფეხის დაკირებაზე სწუხს. კიდევ იბრალებენ ერიდებიან.

არც კედელია უკეთეს მდგომარეობაში: გვერდები სულ შეღპობია, ნახევარზე მეტ ფანჯრებში მინე-

ბი ჩამტვრევია და ქალაღდებ აგლესილი გამოიყურება.

წინა კედელს და უდგია სული. მარა რა გამოვიდა, —სამაგიეროთ სულ აპებლულია: ჩამონახეე განცხადებების ლუქით, იქავ მიწებებული ქალაღდის ყურებით და განცხადებებით.

მერე რა ენახე დაწერილ განცხადებებით? ქართული, რუსული, ყველაფერი ერთადაა აღომხლილი, დამწერის მეტი ვერც ვინ წაიკითხავს და ვერც გაიგებს.

— ბესო, იცი რაზეა დღეს ყრილობა?

ბესო დაკოჭრილ ხელის გულზე ყალიონს ირეკავს.

— ეშმაკმა არ იცის მაგათი თავი! მათი ნება არაა? როცა უნდათ, მაშინ დავგიბარებენ.

— რათ გვაცდენენ ამ გახურებულ მუშაობის დროს, ღმერთი არ წამთ?..

— ღმერთიც მათი მოგონილი შეიქნა და ხატიც. რაც უნდათ, იმას ათქმევენებენ... ასეა, ჩემო თათაოზ, ასე... საწყალი კაცისათვის არც ღმერთია და არც ხატი...

ამ სიტყვების შემდეგ ბესომ თავისებურათ წყნარი სტვენა განაგრძო.

გამოტეხილ ფანჯარაში მწერალმა გამოყო თავი და ბესოს შეეკითხა:

— აა, ბესო! რაეა ის შენი მეზობელი ქვრივი? რას შვება?

ბესომ ღრეკით მოხედა.

— რა იყო, რა გაცინებს? შეეკითხა იქვე მდგომი სტრაჟნიკი და თანაც ჩაიციწა.

— იმ ქალს თქვენ გლახათ ოუკვიატდით და არ ვიცი როგორ იქნება საქმე?

— როგორ უნდა იქნეს, ბესოჯან?

— ფრთხილათ იყავით, თვარა ფებს წაიკრავთ. ვერც სტრაჟნიკობა გიშველით და ვერც მწერლობა!

— შე კაცო, ჩვენ ვმასხრობთ.—

თადაოზმა სიცილით უპასუხა:

— იმერეთში მასხრობა ნახევარი მართალიაო, ამბობენ...

— ვითომ?

ხალხი კიდევ მოგროვდა. შემოუღობავი ეზო თან და თან იესება.

იციინიან, ოხუნჯობენ, ხმა მალლა ლაპარაკობენ.

რიგი ფეხზე დგას, რიგიც წამოწოლილია.

— როსტომ ჩემო! ერთი საყალიონე თუთუნი მომიქერი.

როსტომმა სარტყლიდან ქისა გამოიძრო, ამოიღო ნაწნავი თუთუნი და დაბლაგული დანით ქრა დაუწყო, მონაქერს ხელის გულზე იყრიდა. ამით ნაამები პეტრე სახე გაცინებული მისჩერებოდა და გულის მოსაგებათ ეკითხებოდა:

— სხვა, ჩემო როსტომ, ყანების მარგლა დაათავე?

— ცოტა მიკლია.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, მარჯვე კაცი ხარ. ბავშვი გყავდაო ავათ, ხო კარგათ გყავს ახლა?

ყველაფრიდან სჩანს, რომ პეტრეს ამ კითხვების პასუხი არ აინტერესებს,—მას თუთუნი უნდა და ამისთვისაა, რომ ასე დაუტკბა როსტომს. მარა განა ეს როსტომმაც არ იცის? გულში ეღრიკება, მარა როგორ უსაყვედურებს?

— რაო, რაო? შეგირიგდე? ვინ მოგახსენა?

გესლიანათ ეკითხება მეორე ადგილას ერთი გლეხი მეზობელს.

— შეგირიგდები კი არა ღდინში ჩაგსდევ... იცი?!. რაც შეილი ხარ კარგათ გიცნობ! ატყობ, რომ წააგებს სულში და იმისთვის მენმატკბილები, არა? ვერ მოგარ-

თვეს! შენი ჯინა კი მაქვს სხვაი თვარა! გახსოვს შარ-
შანწინდელი ამბავი? ეს უღვაში არ მებას, თუ მუხლზე
არ გაკოცნიო!?

აქ კაი ძალი ხალხია შეჯგუფული.

— კაცო, გარიგდით, ასეარ შეიძლება! სულ მტრო-
ბა და უბედურობა ვის გაუგონია, გადაკოცნეთ ერთმა-
ნეთი და აგერ დუქანს ხედავთ, მივიდეთ და ჩავსველდეთ
ერთი... ჩავიღობოთ ყელი.

— შენ მეტი რა გენადლეება! ერთი ააძრო შენს
ენას ტყავი და ქალამნათ მომცა! რამდენ ხან გაძლებს!..
შენ ჩაცეცხლის დალალი ხარ და არა შეერიგების!..

დალალს სიცილს დააყრიან.

— რა ვქნა მე სიბერე გაძალღებულმა, რა?

სტირის რამოდენიმე გლეხის შუა შავებით მოფუ-
თნული დედა.

— რაზე გამიხადა ჩემი ღღეი სატირლათ იმ და-
ლოცვილმა ღმერთმა? რაზე? დაელოცა იმ ხემწიფესაც
ამართალი! რას მერჩის მე საწყალს, მე ოხერს? ყველას
თავს ვაზარებ, ყველას ვაწუხებ... ერთი შეილი მყავდა,
მისი იმედით მენტო ცეცხლი და ისიც ციხეში მიღაება.
ღვთისგან რომ გამეტებული ვიყავი ეს კი ვიცოდი, მა-
რა თუ კაციც ასე მომიძულეებდა როგორ ვიფიქრებდი?..

— ნუ გეშინია, ჩემო დუღუხან, ნუ! ღმერთია მო-
წყალე...

— ჩემს გაჩენაში ღმერთი არ ურევია, არა.

— რას იზამ! ჭირს გაძლება უნდაო, ხომ გაგიგო-
ნია. განა მარტო შენ გადგია მაგ ღღე?

— იმედი ნუ მოგიშალოს იმედის გამჩენმა! დალო-
ცა დუღუხანმა.

— ახლა იმიზა წამოვედი მე მალე დასამიწებელი,
რომ ეგება პრისთავი იქნეს და ხალხს შევთხოვ პრიგო-

ული დაარდგინონ... ოჯახი იფსებაო. ეგება გამოუშვან... ხალხის სიტყვას დაიჯერებენ...

კანცელარიის ეზო სულ გაიქედა. მაძასახლისი ჯერ არ სჩანს. მწერალი გამალებული აფხაკურებს კალამს. ზოგს წერილს უწერს, ზოგს აღრცეს, ზოგს კიდევ რა-ღაც ასლებს. ხშირ-ხშირათ კი გლეხს ხელზე აკვირდება: აბა, ფული რამდენი აქვს შიგო.

— გიგოს გოუმარჯოს, გიგოს!

— ღმერთმა გაგიმარჯოს, ჩემო გაბრიელ, ღმერთმა გაცოცხლოს!

დაბალი, ჩასკვნილი, გაქადარებული გიგო წრფელათ მიესალმა გაბრიელს. სიბერისა და მუშაობის გამო დაჯღარკული ხელი მაგრათ ჩამოართვა.

— რას შევები, ჩემო გიგო, როგორა ხარ? სიბერემ ხომ არ გიწია?

— გმადლობ, ჩემო გაბრიელ, გმადლობ. არც დიდი გზა აქვს ჩემამდი ჩემს სიბერეს, ამ ბოლო ხანებში ვატყობ რო ძაან დამიახლოვდა. თვალსაც მაკლდება, ყურსაც, — ეუბნება ღიმილით გიგო.

— თვალის ტკივილის წამალი მოდი, ძმაო, და წაიღე რამდენიც გინდა, ჩემი დედაკაცი მაგის მეტს რას მიკეთებს!

— მადლობელი ვარ, ჩემო გაბრიელ. სიბერით დაკლებულ თვალს რა ეშველება?..

ფიქრათ კი გაივლო: როგორ მეპირფერებაო.

— სხვა, გავიგე, შენი ვაჟი მოსულა ქალაქიდან და მენატრება მისი ნახვა... 'შოთა რო დაგარკმევინე, შოთა, გახსოვს?.. ხა... ხა... ხა... შოთა რუსთაველი იქნება-თქვა, რომ გითხარი!.. ერთი მაჩვენა ნეტავი, თუ გავს იმ სულ-მნათს! ხა... ხა... ხა... ჭკუიანი როა გავიგე..

ეს ვიცი... აქებენ, მარა ეს მითხარი—ფული თუ მოგიტანა რამე? მისი კვიანობა მაშინ გამოჩნდება!..

— ასე, გვარიანათ, რამდენიც კი შეუძლია მეხმარება, ბიჯგათ უღვია ოჯახს.

— კარგია, ძალიან კარგი. ერთი ვნახო, სადაა?

— ახლა აქ იყო, მის ტოლებს ელაპარაკებოდა.

შოთას ძებნა დაუწყეს.

შოთა კი ამ დროს ტოლებში იყო და მუსაიფობდა:

— ადგილის შოვნა ახლა ქარხანაში ძალიან ძნელია, მეტსაც გეტყვით: შეუძლებელია. აუარებელი უმუშევარი ხელია ქალაქში, პირდაპირ სიმშლით იხოცებიან.

— აბა რა უნდა ვქნათ სოფელში, კაცო! არაფერი შემოსავალი არაა! ვჩირჩნე ეს მიწა, ვჩირჩნე და მაინც არაფერი გამოვიდა.

— რას იზამ... სულ ასე არ იქნება, კრიზისი გაივლის...

— სხვა, შოთა, როგორაა ახალთაობის საქმე? რას ამბობენ ქალაქში, რას ფიქრობენ მუშები? ხომ არ მიყურებულა საქმე?—ჰკითხა ერთმა და ყველანი სმენათ გადაიქცენ.

— მაგ საქმის მიყურება ყოველად შეუძლებელია, ჩემო ელიზბარ, — წყნარათ უთხრა შოთამ, — ჩვენ კიდევაც რომ ხელი ავალთ მას, ცხოვრების განვითარება და წინსვლა მაინც თავისას იქმს, გვინდოდეს და არ გვინდოდეს, მაინც წამოაყენებს მაგ საქმეს... ასე ყოფილა ყველგან და ასე იქნება ჩვენშიაც...

— ეს კი. მარა თუ აკეთებენ მაინც რამეს?.. რა გზას ადგია მუშა ხალხი?—გააწყვეტინეს შოთას.

— რეაქციის უდიდესი მიზანი იყო ხალხის დაქსაქსვა, ერთობის დაშლა, ყოველგვარ კავშირისა და ორგა-

ნიზაციის დარღვევა... დიახ, ასეთი იყო მთავრობის მიზანი და, უნდა გამოტყუილათ ესთქვათ, რომ ეს მიზანი თითქმის მიღწეულია, აისრულა მთავრობამ ის, რაც უნდოდა... ერთი სიტყვით, შენობა დაგვიგრიეს, მაგრამ ის აგური კი, რომლითაც შენობას ვაგებდით, იქვე ყრია... მართალია ბევრი დაგვეკარგა, მაგრამ ბევრი, ძალიან ბევრი კიდევ იქ არის, ძველი შენობის საძირკველთან, მინგრეულ-მონგრეულია და ელის ახალ კალატოზს, უფრო სანდოს, უფრო გამოცდილს, რომელიც გაცილებით უფრო მკვიდრათ ააგებს ჩვენს შენობას... და...

— გვყავს ეს კალატოზი? ან თუ მუშაობს ეხლა?

— გვყავს. მისი სახელია მუშა ხალხი. მას ბედნიერების კოშკი დაუქციეს, მარა მაინც ააგებს... მართალია, გარეგნულათ არა სჩანს დღეს დღეობით ეს შენება, მარა მაშვრალთა სამეფოს სიღრმეში უკვე სწარმოებს ის შეუჩერებლივ და დადგება კიდევ დრო, როცა ეს შენობა საქვეყნოთ გამოჩნდება. ჩვენ ვშრომობთ, იარალი არ დაგვიყრია, რამდენათაც შეგვიძლია ძველი გზით მივდივართ, რამდენათაც შეგვიძლია ახლით...

შოთამ კიდევ დიდხანს ილაპარაკა ამ საკითხზე და ყველას გული იმედით აავსო.

— გამარჯობა თქვენი, აფხანაკებო, გამარჯობა! გიჟივით წამოიყვირა ვილაცამ და უცებ ჯგუფში შეიქრა.

მაღალი იყო, წვრილი, ურა მოზვერივით ფეთავდა. ზურგზე ახალოხი გადაფხრეწოდა, წულებიდან თითები იქვრიტებოდენ.

— ოო, პოლიტიკურა, პოლიტიკურა!..

— პოლიტიკურას გაუმარჯოს, პოლიტიკურას!

მოისმა ირგვლივ. მოყვა სიცილიც.

— გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს! გამარჯობა შენი,

ზრასტი!, ამ სიტყვებით პოლიტიკურამ ერთ ყმაწვილს ხელი გაუწოდა.

— ვაი, დედა! შეჰყვირა იმან და თოფ-ნაკრავით გავარდა.

პოლიტიკურას მარჯვენა ხელში გველი ეკლავებოდა.

კულში ჩაფრენოდა.

გველი თავს შუა ტანამდე ამოიტანდა, მარა ისევ დავარდებოდა. სისინობდა.

ყველა დაიფანტა. აგინებენ, უყვირიან.

— აბა, რაფა გეგონათ, თქვენ?! აბა მომეკარეთ, თუ ბიჭები ხართ!..

პოლიტიკურა დატრიალდა გველით.

ყველანი გარბიან, ლანძღავენ, წყევლიან.

— გააგდე, თვარა მოგკალი ესაა!

— აბა მომეკარე, აბა მოდი!.. შენი ქირიმე, გველო, შენ გენაცვალე! მოკიდა კისერში ხელი და ეალერსება.

-- უკეთესს არაფერს მოფერებია მამიშენის შეილი!

ერთმა ყმაწვილმა კარგი გრძელი კეტი აჩვენა პოლიტიკურას, ეხლა კი იკადრა გაქცევა. დაედევნენ კივილით, ქვების სროლით. ბევრიც მოაყოლეს გვერდებში, მარა არაფრად ჩაუგდია.

გველი ანგარში გადისროლა და თვითონ კი გაკურცხლა.

— ალბათ თქვენ არ იცით რათ დაარქვეს პოლიტიკურა? მაშ მე გეტყვით.

სოფლათ დოყლაპიათ იყო. ვილაცა ქალაქში ჩაუძღვა. იქ დაიკარგა, გზა ვერ გაიგნო. არც ბილეთი ჰქონდა. ერთ ხანს ციხეში იყო. შემდეგ ეტაპით თავის სო-

ფელში მოიყვანეს; როცა ჰკითხეს რათ დაგიჰირესო, თავმომწონეთ სთქვა: პოლიტიკური დანაშაული ჩავიდინე და იმისთვისო.

ყველა სიცილით იხოცებოდა.

ამის შემდეგ დაერქვა პოლიტიკურა. მანამდე კი დაუშტვინეს ეძახდნენ.

V.

— მოდის, მამასახლისი მოდის...

— სიკო ალიხანოვიც თან მოსდევს.

— მორჩენილან დუქანში ხეთქას.

ყველა შეინძრა.

თანაშემწეებით გარშემორტყმული მამასახლისი ამაყათ მოაბიჯებს. გარუმბულია, ჯაქვს მოარაწყუნებს, მათრახს მოათამაშებს. თოფიანი სტრაჟნიკებიც მხარს უმშვენიებენ.

— უფალ მამასახლისს გამარჯობა!

— მამასახლისს სიკოცხლე!

ქუდს უხდიან, ესალმებიან. ზოგიერთები კი, რათა აიცილონ არა სასიამოვნო მისალმება, გვერდს უქცევენ მომავალთ,—ვითომ ვერ გამჩნევთო.

მამასახლისი პასუხათ მხოლოდ ტუჩებს აჩიფჩიფებს. უფრო კი იმას ცდილობს, რომ ჩექმების კრაქა-კრუქით ერთ-გვარი მუსიკა გაზოუვიდეს.

— ალიხანოვს არ უნდა სალამი?

— იწყენს... დაგვემღურება ჩვენი სიკო.—დასცინიან ხალხში.

ამ სახელით მამასახლისის ერთ თანაშემწეთაგანს აღიღებენ. ერთობ მკაცრი შეიქნა ამ ბოლო ხანებში სიკო. მთავრობის სამსახური მუდამ უყვარდა. უხსოვარ დროიდან ხელოსანი იყო. შემდეგ იმდენი ეცადა, რომ ნაცვლობა იშოვა და ახლა მამასახლისობისკენაც კი იც-

ქირება. მუდამ ერთგული იყო, მარა ეხლანდელი ერთგულობა ხომ გენერალ ალიხანოვის სახელის მიღებით დაათავა. სოფელში ძალებს ყუფით ყბები ატკინა; ვი საც რამისათვის მიადგება, სანამ არ მოთხრის—არ მოშორდება. ენა-ტანილობაშიც მარჯვე გამოდგა.

ყრილობა დაიწყო. ბევრი ილაპარაკეს სხვა და სხვა შინაურ საქმეებზე. ილაპარაკეს მასწავლებელმა, ახალგაზრდა მღვდელმა.

ხალხი გრიანობს, ირევა.

ისმის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმები.

უარობენ, ეთანხმებიან.

გაჰკივის მამასახლისი, განკარგულებებს აძლევს.

შოთას ხმაც არ ამოუღია. იღვა თავისთვის ჩაფიქრებული, დაძმარებული. ტოლებიც კი გააკვირა სიჩუმით.

— სთქვი რამე, ამხანაგო! დაგვეხმარე, აუხსენი ხალხს, ჩვენზე უფრო იცი...

— რაღაცა ავათა ვარ, არ შემიძლია...

გულში კი ალი უტრიალებს:

„რათ მოველი აქ? რა მინდოდა? ყოფილვიყავი სახლში? იქნებ იქ უფრო გამქარვებოდა დარდი!.. ახ, ღმერთო! ჯოჯოხეთია აქაურობა! რას გავს ეს ხალხი? რამ გაამხეცა ასე? ნუ თუ თავისი სარგებლობა არ იცის?...“

უცებ თვალ წინ დაეხატა ელენე.

სულ მოიშხამა.

სწორედ გასული თვის ეს რიცხვი იყო უარი რომ უთხრა. მას აქეთ წმინდათ ერთი თვეა. ეს მოგონებაა, რომ შხამავს შოთას.

ბნელა ამ ხნის განმავლობაში, ჯოჯოხეთის კუპრია შოთასთვის.

ბრწყინვალე მწვერვალიდან უფსკრულში ჩაისრო-
ლეს...

-- ღმერთო ჩემო! მისდა უნებურათ ამოცდა შო-
თას. ამოხენეშით ახლო მდგომის ყურადღება მიიქცია.
„წავალ, რა მინდა აქ? ვიხრჩვები“. გაუარა აზრათ.
თავი ანება იქაურობას. სახლისკენ მოდის.

ხალხის აყალპაყალმა რაღაცები მოაგონა. გაახსენ-
და, თუ როგორი თავ-დადებული იყო, როცა კრელ
ბრბოს რაიმე კარგ საქმეში ვერ დაითანხმებდა; თვალ-
თაგან ნაპერწკალს ყრიდა მაშინ, ცეცხლათ აინთებოდა.
ებლა კი?

„ჯანდაბას მაგათი თავი! რაც უნდათ ისა ქნან!..
ვისაც აღამიანური ცხოვრება არ უნდა, ის არცაა შესა-
ბრალისი“, — ფიქრობს შოთა.

VI

— შეილო, მამა შენი სადაა? გათავდა ყრილობა?

— არა.

— აბა შენ რაზე წამოდი ასე მალე? ხომ არაფერი
გტკივა? ა? მოგიკვტა დედა შენი, კაცის ფერი არა
გაქ... შეილო...

— არა დედა... ისე წამოვედი...

— შოთა, შენ არა ხარ კარგად, ასე არასოდეს არ
ყოფილხარ. არ დაგვიფსო, დედა, თვალები. ჩვენი ანთე-
ბული სანთელი შენ ხარ... მზე და მთვარე შენზე ამო-
გვიდის.

— კარგი, დედა ჩემო, ნუ სწუხხარ, მე არაფერი
მიშავს.

— რაფა არ გიშავს, შეილო! დღეში კვერცხის
ოდენას არ ჰამ, სულ ოხრავ, ჩაფიქრებული ხარ.

მართა დატკბა, აღერსს უმატა, მიუახლოვდა.

— შეილო, იმას თუ დარდობ, რომ ზავოდში არ

ვარო, ძალიან სიგლახე მოგსვლია! რა ვუყოთ რომ არა ხარ? ცოცხალი კაციზა ქვეყანა გაშლილია. ვაჟკაცი კაცი ხარ, რა გიჭირს, გზას ვერ გაიგნებ? ღარიბი კი ვართ, მარა ცოცხალი ვიყოთ, კარგად ვრყოთ და რა გვიშავს? ასე რაფა უნდა დამაბუნდე კაცი? შენ რომ გახედული და გამოსთილი ხარ, ასე უნდა მოგივიდეს? შენ ოლონდ კარგად იყავი და ფულს ყოველთვის იშოვი. გულს ნუ გაიტეხ, დედა, თვარა შენს გაშო ჩვენ ვიხოცებით, მეტი არა ვართ.

შოთამ დედა დააიმედა. მარტო რომ დარჩა ფიქრებს გაყვა:

„ასე არასოდეს არ დაუიმედებივარ საწყალ დედას. მარა კარგად ემჩნეოდა, რომ იმედი ნაძალევი იყო; ვითომ მამხნევებდა, გულში კი სულ სხვა ელო. დედა!.. შენი ქირიმე, ჩემო საყვარელო, დედა...“

„მაგრამ დედას შვილის ტრფობა სამარეშიც თან ჩაყვებო“ აკაკის უთქვამს. უყვარვარ, მხოლოთ მას, მხოლოთ მას, ერთად ერთს მთელ ქვეყანაზე, ერთად ერთს!.. ელენე!.. შენ რათ არ შემეყვარე? რათ? მარა სამაგიეროთ ჩემს დედიკოს უყვარვარ... ჩემს დედიკოს...“

„მერმე რა?.. დედას ხომ ყველა შვილი უყვარს, თუნდაც მახინჯი, ჯოჯო!.. მე სხვა სიყვარული მინდოდა, სხვა... სხვისი... ახ“...“

შოთა ჩრდილში წამოწვა. პატარა, დაღარიბებულმა გოქმა ღრუტუნით მიაკითხა და ფეხებზე უსუნავებს. შოთა გულ-აღმა წევს, პირზე ბაშლაყის ყური აფარია.

„რისთვის არის ადამიანი გაჩენილი? რა უნდა? რას ეძიებს, რას ფოდავს? თუ ასე მალე შეიძლება მისი გაუბედურება, მოშლა, მოწყვეტა, რათ ეძახიან ქმნილებათა გვირგვინს, ქვეყნის ბატონს? განა ყველაფერი ეს სიყალბე არაა, ფუქი სიტყვები? იბადება, ცხოვრობს,

კვდება. მერე რა? მოკვდეს. საღაცოდან მოსულა და საღაცავე წავიდეს. შეუმჩნეველი იყო და შეუმჩნეველათვე იქცეს. რას მიედ-მოედება, რას ეპოტინება? ბედნიერებას ვეძებო, ამბობს. რა არის ეს ბედნიერება, რაში გამოიხატება? ვერ გამიგია. განა ყველა ადამიანს ერთი რამ გააბედნიერებს? ან ბედნიერება უცვლელია? მუდამ იქნება? არა... ის წარმავალია, წუთიერია... მაშ რა საჭიროა ის, რაც წარმავალია, რაც სამარადისო არაა? ახ... ღმერთო ჩემო!.. გული... გული შექამა, დაღრღნა რაღაცამ!.. ელენე... შენ... შენ...

შოთა ზეზე წამოიქრა. დაგუბებული სული მოითქვა. ისევ ფიქრობს:

„აი, მაგალითად, დღეს... დღევანდელი ყრილობა... ყველამ თავისი საქმე იცის, ყველას თავისი უბედურობა აქვს. დაანებეთ ამ ხალხს თავი, თავისთვის იყოს, იცხოვროს ისე, როგორც თვითონ უნდა, რას ეჩხირები მის ცხოვრებაში?.. მასთან ხალხი არ ცდება, უცოდველია, ჰენიოსია, ყველაფერს გაიგებს, ყველაფერს წინათ იგრძნობს. დიახ, ხალხზე მაღლა პიროვნება ვერასოდეს ვერ ასულა. ხალხის ქმნილებას და ქკუას პიროვნება ვერასოდეს ვერ გაუსწორდება... ხალხი, კაცობრიობა უმაღლესი რამ შემომქმედია. დღეს, მაგალითად... ხალხმა მშვენიერათ იცის, რომ მისი ცხოვრება მოკლეა, ფუჭია, ვერას გახდება... ხალხის სიბრძნემ კარგად იცის, რომ ქვეყანაზე ის ბუზია, უმნიშვნელო, არაფრის გაკეთება არ შეუძლია და კიდევ იუარა რაღაც ცხოვრების გაუმჯობესობაზე ზრუნვა. დიახ, ხალხი მართალია. რათ უნდა სკოლა და სხვა ამისთანები, როცა მისი გაბედნიერება შეუძლებელია. განა უბედურობას მოსპობს რომელიმე საზოგადოების დაარსება? განა გააბედნიერებს ადამიანს? არა და არცაა ყველაფერი ეს საჭირო. მე ძა-

ლიან კარგად ვქენი, რომ დღეს ხმაც არ ამოვიღე. უწინ-
დელივით უნდა მელაპარაკნა, უნდა მემტკიცებინა, რომ
ყველაფერი ეს გამაბედნიერებელია. ერთი სიტყვით
ხალხის სიბრძნეზე მალლა ჩემი უნდა დამეყენებია... რო-
გორც... ახ, რა მემართება? ა? რას ვამბობ? ასე ხომ
სულელები მსჯელობენ!.. ეს რა აზრები მომდის თავში?!.
სწორეთ შევიშალე... შევიშალე“...

რალაც შიში იგრძნო... შეარყია თავისმავე აზრე-
ბმა.

წამოჯდა. ეზოს ათვალეირებს...

შავ ფიქრთა ბადე ჩამოშორდა.

თავი სტკივა. მზის სინათლეს თვალს ვერ უმაგრებს.

— ცაცო, გენაცვალე! ერთი წყალი დამალევიწე.
ახალი წყალი ამოიღე კიდან.

ხელათ აუსრულდა სურვილი. ცაცომ თვალის და-
ხამხამებაში გააჩინა სარწყულით ცივი წყალი.

— ფეხზე გაგაძრობ, დაგსიცხავდა, ძამიკო.

— გამაძვრე. გაიზარდე კარგი ქალი. წყალმა გუ-
ლი გადამიწმინდა, გამაგრილა

— გაიხსენი ახალბოხის საყელო, სულ ოფლათ ხარ
გახეთქილი. თუ გეძინება, მუთაქას მოგიტან... მარა
ჯერ ხადილი ქამე, მოგშივდებოდა; მამა სადაა?

— ჯერ ვერ მოვა.

შოთა ადგა. ეზოში დადის.

სევდისაგან ჩაბლუქული გული ცოტათი თავისუფ-
ლათ უღემს. თავი საშინლათ სტკივა.

„შემეძლოს მაინც ვინმეს უთხრა ჩემი გულის ნა-
დები, ან დედას, ან მამას, ან დას? ოხ, ღმერთო, რა
საშინელებაა! ენა გულის ცოცხიაო, გამიგონია, მარა
გამიგებენ კი, მიმიხედებიან რომ ვსთქვა? არა, არა...
ისევ გულით უნდა ვატარო ჩემი საიდუმლოება... მე:..

მე... ელენე! ნუ თუ ელენე სხვისი უნდა იქნეს?.. სხვამ ინეტაროს მასთან?.. სხვამ ჩაიკრას გულში? არა, ეს შეუძლებელია!.. ელენე მე მეკუთვნის, მე!.. ჩემი უნდა იქნეს და არა სხვისი!.. თუ გათხოვებას მოინდომებს, მე უნდა მეკუთვნოდეს, თუ არა და არავის!.. მისი ტუჩებს ჩემს მეტი ვერაფერ ჩაკოცნის, მის გულ-მკერდს ჩემს მეტი ვერაფერ ჩაიკრავს!.. ვერა!.. ვერა“!..

შოთა სულ აცახცახდა, ტუჩები აუთამაშდა, თვალები აუწითლდა, რალაც ქარტეხილი დაუტრიალდა არსებაში. მარტო იმის წარმოდგენამ, რომ ელენეს სხეულს სხვა დაეპატრონებოდა, ელენესთან ერთად სხვა ინეტარებდა, ლამის გაამხეცა, გადარია.

„როგორ? ის ელენე, რომელიც ჩემი ამდენი ხნის მეგობარი იყო, რომელსაც ჩემს მეტი კარგი მეგობარი არ ყოლია... აი, ის ელენე სხვისი უნდა იქნეს? სხვას უნდა ემეგობროს? სხვას უნდა შესცინოს? სხვას გაღუშალოს თავისი უმანკო და წრფელი გული? არა!... ეს არ შეიძლება!.. ჩემს მეტს ის ვერაფერ ვერ დაემეგობრება... ვერა!

„ან იქნება მატყუებდა, როცა მე მეგობრებოდა? არა, ეგ შეუძლებელია, ცილის წამებაა. ელენე მუდამ გულ ახდილი იყო, არასოდეს ტყუილი არ უთქვამს!... მაშ მე უნდა ვიქნე მარტო მისი სამუდამო მეგობარი, მე!.. და არა სხვა ვინმე!.. წინააღმდეგ შემთხვევაში მასაც მოვკლავ და ჩემს თავსაც მოვიკლავ!... ახ... რას ვამბობ?.. ღმერთო!... ვიხჩვები... თავი... გული... დედა... დედიკო... ვის უთხრა ჩემი გულის ნადები,ვის?..“

VII

ქვეყანამ შავი ჩაღრი წაიფარა.

აგრილდა.

ბნელეთის შიშით მცენარენი ცრემლებს ღვრიან.

ზეცამ სარკმლებს ფარდები ახადა.

— შოთა! ეი, შოთა!

— ბატონო! გასძახა ცაცომ.

— შოთა შინ არის?

— გახლავს.

— ერთი მოვიდეს აქ!

— ვინ ბძანდებით?

— მე ვარ—კოწია.

— აქეთ ჩამოდი,კაცო! რაღა იქედან იძახი? გამო-
ეხმაურა შოთა.

— არ მცალია მაქეთ.

შოთა მივიდა.

— კაცო, მამაშენმა დაგვლუპა დღეს და ისაა!

— რაშია საქმე? გაიკვირვა შოთამ.

— პირდაპირ დაგვკლა, ძმაო. გაკეთებული საქმე
დაგვიფუშა.

— როგორ, რაფერათ?

— ის იყო შევასმინეთ ხალხს ყველაფერი, გვეთან-
ხმებოდა... და ამ დროს წამოდგა მამაშენი და ისეთი
რამეები ილაპარაკა, რომ შენი მტერია, სულ ყველაფე-
რი დაგვინგრია; ეს მორჯულებული ხალხი სულ თავის-
კენ გადიყვანა და ჩვენ დაგვტოვა ცარიელზე...

შოთას შერცხვა, თავი შეურაცხყოფილათ იგრძნო.

— მერე შენ გეძებეთ პასუხის გასაცემათ, მარა
შენ წამოსული შეიქენი...

— დიახ, მე რაღაც შეუძლოთ ვიყავი. — წამოილა-
პარაკა შერცხვენილმა შოთამ.

— ერთი სიტყვით ამას მამაშენისგან არ მოველო-
დით და თუ კაცი ხარ ეგება რაიმე გაგივიდეს, რამე
შეასმინო, თვარა... სად არის ახლა?

— ჯერ კიდევ არ მოსულა ყრილობიდან, შემოთ-

ვალა სადღაც წაველიო. სადღაც იქნება კი მოვა და რაც გამივა...

— თუ ძმა ხარ, თუ!... ყველანი ასე გთხოვენ, განგებ გამომავაზენეს. მერე რა გატაცებულათ ილაპარაკა, იცი? გაგვიკვირდა ყველას.

— აჰა, მგონი კიდევ მოდის, აბა ვინ არის ეს?... ბნელაში რამოდენიმე აჩრდილი დაინახეს.

— ეი, ვინა ხართ?

— შენ, გიგო? შეეკითხა კოწია.

— მე ვარ.

— ესენი ვინ არიან, მამა?

— ვინ იქნება? სოლომანი და თედორეა.

— გამარჯობა თქვენი, გამარჯობა!

ყველანი ჭიშკართან მოგროვდა. სახეებს ვერ ხედვენ, მხოლოდ ხმით ცნობენ ერთმანეთს.

— სხვა, გიგო ჩემო, ღღეს რა გვიქენი, როგორ მოგვიშალე დაწყობილი საქმე? შეეკითხა ნაძალადევის მოფერებით კოწია. შეეშინდა, კანდიერი კილოთისულ არ გაეაბრაზოვო.

— რაო? რა თქვი? თუ ისე ადვილათ დასაფუშავი იყო თქვენი ნაცოდვილვეი, დაგეფუშებოდათ არ იცოდით?

— გაკეთებული გვქონდა საქმე და შენ დაგვიქციე.

— რა საქმესაც ჩემისთანა პატარა კაცი დააქციეს, იმისთანა საქმის გაკეთება არც კი ღირს. იქ ძალაც არ უნდა დახარჯო.

ყველას გაეცინა.

— არა, ხუმრობა გარეშე იყოს, ჩემო გიგო, და შენ ღღეს ძალიან ცუდათ მოიქეცი, ამას ჩვენ არასოდეს არ მოველოდით შენგან. ყოველთვის ჭკვიანი კაცი იყავი, აზრიანს ამბობდი, ყველა გეთანხმებოდა, — ეუბნება კოწია.

— უაზრო რო მეთქვა არც ახლა დამეთანხმებოდენ.

— მამა, აბა რას ამბობ? უაზრო გითქვამს, მაშ რაა? ქსენონის დაარსების წინააღმდეგ განა რამის თქმა შეიძლება?

— ვინ მოგახსენა, რომ ეს ვთქვი? მე ქსენონის წინააღმდეგი სულაც არ ვყოფილვარ, მარა საქმე იმაშია რომ არ შეგვიძლია, ტყავი გვაქვს გამძვრალი. კაცო, არ გინდათ შეგვხედოთ, არ გინდათ გაგვიგოთ ავი და კაი? სად გაიზარდეთ? ზეციდან ხომ არ ჩამოცვენილხართ? არ იცით ჩვენი გლეხკაცობის ავლა-დიდება? კაცო, ერთი შეიხედეთ ამ თქვენ სახლებში? მითხარით, აბა რომელი ხართ მდიდარი, რომელს არ გიჭირს? მიკვირს ღმერთმანი! გამოადინე ქვას წყალი! აბა, ჰე! მოუჭირე ხელი, რამდენიც გინდა!

— ჩემო გიგო, შენ მართალს ამბობ, მარა ერთი მეორე მხრითაც შეხედე საქმეს. ხომ ხედავ რამდენი ავადმყოფობაა სოფლად? რამდენი ფული მიდის ექიმზე, წამალზე. აქ ჩვენი გვექნება...

— მუქთად მომცემთ თუ?..

— მუქთად თუ არ იქნება, დაკლებულ ფასში მაინც იყიდი...

— კაი, თუ ღმერთი გწამს! პეტრეს მოსვლამდე პავლეს ტყავი გააძვრესო! დღეს სული უნდა ამოვიწვადო იმიზე, რომ გაისათ მიაჭიმონ? არ მინდა! არ შემეძლია. ვინც ავად გახდება, თვითონ მოუაროს თავის თავს, რაც უნდა ის ქნას, მე სხვა კი არა, ჩემი თავი ვერ მირჩენია, ღლე და ღამე წელებზე ფეხს ვიდგამ და კუჭი მაინც ვერ გამიძლია, ცოლ-შვილი ვერ შემემოსავს... კაცო, გვიგეთ, რომ წელში ვართ გაწყვეტილი! მარტო სიმინდის ყიდვას ვერ გაუძელი ყოველ წელი-

წადს. ისიც გვეყოფა, რასაც ძალით გვახდევინებენ და გვთხოვან, თვარა ჩემი ნებით დავიდვა კილო გადასახადი? მე არ შემიძლია და ვისაც უნდა იხადოს... რაც უნდა ის გაიკეთონ, მე კი თავი დამანებონ!.. ამ სიტყვებით გიგომ სახლს მიაშურა.

— რა ვქნათ, ჩვენი სასარგებლო რაც იქნება კი მივხვდებით, მარა რომ არ შეგვიძლია, წელი რომ არა გვაქვს?—სთქვა თედორემ.

— თუ მოვინდომებთ და შევიგნებთ რა სარგებლობაც მოგველის...?

წასვლისას კიდევ დაუბარა შოთას კოწიამ ცდილიყო და რამე გზით გიგო მოერჯულებია.

შოთა დაწვა. კვლავ ეწვია ფიქრთა შავი ყორნები. „მართალია მამა ჩემი. უჭირს და იმისთვისაა გამწარებული. გაძალღებული აქვს სიცოცხლე, გაჭირებული. თავის დღეში სიამე არ უნახავს, ბედნიერება არ უგრძძვინა და მე... მე, მისს შვილს კი შემეძლო ბედნიერი ვყოფილიყავი? უბედურის შვილი უბედური უნდა იქნეს... ბედნიერება უბედურს არ ესტუმრება, არა! საშინელი რამაა ცხოვრება! უკანონო, უსამართლო. ზოგისთვის დედინაცვალი, ზოგისთვის კი ღვიძლი დედა. საწყალო მამავ! შენ მართალი ხარ. ვერასოდეს ვერ იგრძნობ ბედნიერებას, ვერ გაიხარებ. ისე ვარ მეც, შენი ღვიძლი შვილი. ბედნიერება მსურდა, მარა განა მაწვრალის კერაში აღზრდილს აქვს კი ბედნიერების უფლება? არა, მამა, არა! მშრომელი მუდამ ტანჯული ყოფილა, გაუხარებელი... ასე ხარ შენც, ასე ვარ მეც. ჩვენთვის ბედნიერება არაა ქვეყანაზე... ჩვენს სიცოცხლეს სიცოცხლე არ ქვია, ჩვენ სატანჯავათ ვართ გაჩენილი...

„მამა, მამა! განა კი ღირს ცხოვრება? უმიზნოთ ტან-

ჯეა? ერთი მითხარით, რაა ჩვენი არსებობის მიზანი? რისთვის არსებობს, ვსთქვათ, მამაჩემი? რათ გააჩინა ღმერთმა, ან თუ ბუნებამ, მამა ჩემი—გიგო ბროლიძე? რას გამოელოდა მისგან? ვისთვის რა საჭირო იყო მისი არსებობა? რა დააკლდებოდა ქვეყანას, რომ გიგო ბროლიძე არ გაეჩინა? ან რა შეეძინა რომ შექმნა? მხოლოდ იმისათვის გააჩინა, რომ მიწა ათოხნიოს, ნახევარჯერ მშიერი ამყოფოს და შემდეგ კი ძალღურად მოულოს ბოლო? ასევე ითქმის ჩემზე, კოწიაზე, თედორეზე და უთვალავ სხვებზედაც... ახ... რა საშინელია ცხოვრება, უღმობელია! შხამ სამსალით სავსე... ელენე, იქნებ შენ დამიკარგე სასოება, შენ წამართვი იმედი!...”

შოთას თავში კარგა ხანს ფიქრს არ გაუვლია. უაზროთ იყო გარინდული. მოაგონდა კოწიას საყვედურის კილო, მამის ნალაპარაკევი.

„როგორ? მამა ჩემმა? შოთა ბროლიძის მამამ საზოგადო საქმეს ხელი შეუშალა? სოფლისათვის კარგი საქმე კეთდებოდა და მამაჩემი შეიქნება ამის ჩამფუშველი?“

შოთა სირცხვილმა დასწვა. მამისადმი სიძულვილიც კი იგრძნო. თავი დანაშაულათ ჩასთვალა, რომ ისე მალე წამოვიდა ყრილობიდან.

„ეხლავ გავადვიძებ, ეხლავ, და ვუსაყვედურებ, სასტიკად ვუსაყვედურებ“, — გაიფიქრა.

„მარა, ეხ, ჯანდაბას!.. ჯანდაბას ყველაფერი! მაინც რა გამოვა ამითი? ვთქვათ მამას არ ჩაეთუშა ღღეს ქსენონის საქმე. მერე რა? რა გამოვიდოდა ამით? ვითომ გაბედნიერდებოდა გლეხობა? რამეთი ისარგებლებდა?.. ქვეყნის უბედურობას რა მოსპობს? ადამიანს რა გააბედნიერებს?“..

VIII

კვირა საღამოა.

მთელი სოფლის ხალხი სასოფლო დუქანთან მოგროვილა.

გაშლილი მინდორია.

ბურთს თამაშობენ, მღერიან.

ცეკვა-თამაშია. დაირას ბრიგინი გაუდის, გარმონი წრიპინებს.

არეულია დიდი, პატარა, მოხუცი, ახალგაზრდა, მთვრალი, ფხიზელი.

ჩაქაქილ დუქანში არღანი ღრიკინებს, უშნოთ ამღერებენ.

იქვე დგას პატარა თეთრი ფიცრის სახლი. ეს ბიბლიოთეკაა. შიგ რამოდენიმე მკითხველია.

მოხუცნი ღიმილით უცქერიან ახალ-გაზრდათა ცეკვა-თამაშს. აგონდებათ წარსული, შენატრიან მათ.

ყველაზე მეტად პეტრე მღვდელია ქალიშვილების ცქერით დამტკბარი.

თვალები გაგანიერებია, გულზე დაფენილ თეთრი წვერების მარაოს ხელის სავარცხლით მალი-მალ ივარცხნის. გულზე მენდალთა მთელი რიგი ჰკიდია, სულ ყველა რგვალია, შავ-ყვითელი. მარჯვენა ხელში მოკედლილი ჯოხი აქვს. მარცხენაში კრიალოსანი. თავზე დროთა ბრუნვისაგან დაკოფებული, გვერდებ შენგრეული შლიაპა ხურავს. ტანზე ვერც წელს შეამჩნევთ, ვერც გვერდებს. გახუნებულ ანაფორაში შეხვეული მოწითანო მორგეს მოგაგონებს.

მასლაათის მოყვარულია. უფრო ბევრს ქალებზე ლაპარაკობს.

როცა ლამაზ ქალიშვილს დაინახავს, ნერწყვების

ყლაპვას ვერ ასწრებს. თან უწმაწურის სიტყვებით ამკობს, ხითხითებს, თვალები უთამაშებს.

მრევლი შეეჩვია პეტრეს, მისგან არა სწყინთ. ყველაფერს მამაშვილურ ხუმრობათ უთვლიან.

თუმცა კორები ბევრი უვრცელებიათ, მარა ქვრივ მღვდელზე ვინ რას არ იტყვის? ყველა დაარწმუნებულია, რომ ეს კორები ნახევრათ მაინც მართალია, მარა „პეტრე მაინც ჩვენი მღვდელია“... ყველაფერი ეპატიება.

მშვენიერი დარიგება იცის, ღვთის-ნიერია; სწამს ძველი ჩვეულებანი: საკურთხი, საწირავი, ალაპები და ვინ იცის კიდევ რა. აბა ისეთი კი არაა, როგორც მეორე მღვდელია—ახალგაზრდა. იმას არც საკურთხი სწამს, არც ალაპი, „მეტი სწავლით ღმერთი დავიწყებულია“. თქვენც არ მომიკვდეთ! სად პეტრე მღვდელი და სად ანტონი? უმეტესობა, მართალია, გარეგნულათ ანტონს თანაუგრძნობს, მარა გულში კი ბევრი არ ემაღლიერება—„ღმერთის ასე გამასხრება როგორ შეიძლებაო“.

პეტრე დღესაც ჯილასავით დგას; ოხუნჯობს, ქალიშვილებს მისჩერებია.

იქ კი, საცეკვაოთ გაკეთებულ წრეში, ერთი ჩოხა დაკაპიწებული ახალგაზრდა დასაქმობს: ხელში ჯოხი უჭერია და ცდილობს მაყურებლებმა წრე არ შეავიწროვონ, ხაზს უსვამს—ამას არ გადმოშორდეთო. ვინც არ უჯერის, კარგადაც სცხებს ფეხზე ჯოხს. განსაკუთრებით პატარებს ემტერება. თან გამუდმებით იძახის:

— ტაში... ჩქარი ტაში! აბა, თქვენი ქირიმე, ტაში! იმხიარულეთ, გვამხიარულეთ... ჰო... აბა, იცეკვეთ, მუზიკას ნუ გააცდენთ, ტყვილა დრო იკარგება, ბარიშნებს ხელები ეტკინათ ტაშის ტატუნით...

უცებ წრე გაირღვა და ერთი ყმაწვილთაგანი ფიცხლავ შეუდგა რაღაც უთაებლოთ ბრუალს.

ხარხარი მოაყოლეს.

— პოლიტიკურა, პოლიტიკურა! გაისმის ირგვლივ.

— არ შეშინდეს, ბიჭო, არ შეგაშინონ ქალებმა! ეძახიან სიცილით კაცები.

პოლიტიკურა კი ჯარასავით ტრიალებს, ისეთ ისეთს დაკრავს ფეხს მიწას, თითქოს ჩარღვევა უნდაო.

— დაუკარი, ბიჭო, ვინმეს თავი, დაუკარი! ამის გაგონება და პოლიტიკურას სარივით დასობა ერთი იყო. გამოიწვია ქალიშვილი.

ატყდა ტკვარცალი. ქალიშვილი უარობს, ირცხვის პოლიტიკურასთან თამაშს.

ხუმრობაა! ნასახლევი ლამაზია მთელ სოფელში!

მარა არც პოლიტიკურა იცვლის ფეხს.

ხელათ მიეჭრა ქალს წრის მოდარაჯე ყმაწვილი და სანამ არ გამოიყვანა, არ მოეშვა. პოლიტიკურას თვალები გაუნათდა.

ერთი შეხედეთ რა ყაიდაზე უმშვენებს გვერდს ქალს: ქორივით ჩასჩერებია, გზას უღობავს, თავის დაფხრეწილ ახალოხიანი მკლავი ესაა მოხვიოს.

მაყურებლები სიცილით იხოცებიან.

— ყოჩაღ, ბიჭო, ყოჩაღ! მალადეც მე და ჩემმა ღმერთმა!

— კი ქონია პოლიტიკურას გემო!..

არც პეტრე მღვდელია ჩუმათ.

— აი დედასა! ისენი რომ მარტო ერთად ამყოფა!.. ცხონდებიან... მე რომ მაგათი ხელა ვიყავი, ქალის შეხედვაზე წერწყვს ვერ ვიმაგრებდი,—ამბობს ხუცესი და სხვებიც უწონებენ.

გაცხარებულ თამაშში პოლიტიკურას ქალი გაექცა—

დავიღალეო. კავალერიც ერთ ადგილს დაახტა, მადლობის ნიშნათ დაფხრეწილი ფაფანაკი მოუხადა და გამობრუნდა.

კიდევ სიცილი, ოხუნჯობა. პოლიტიკურა წამის გმირია.

— აბა, რავა გეგონათ თქვენ? თავმომწონეთ განაცხადა.

ყველა მხიარულობს, იცინის. დავიწყებით დარღვარამი.

აი მოქეიფენიც გამოვიდენ ღუქნიდან. მოიღლალებიან.

წინ მეარღნე მოდის თავის ზანდუკით: ქუდი კეფას მოუგდია, მუხლთან არღანი დაუმაგრებია და გაცხარებული ატრიალებს „კორმას“.

მედუქნეც იქაა. ფიცხლავ გამოიტანა დამჯღვრეული სტოლი, კიქები, ბოთლები, საინები. ყველაფერს თავის განაცრისფერებულ ფართუკით წმენდს, ხანდახან ტუჩებზედაც კი წაისვამს.

დარდიმანდია, კატასავით იკვანწება, ყველას ესიტყვება, თავის სრიალა თვალებს ყველას ავლებს, ოხუნჯობს, ენამახვილობს, მოქეიფეთ ამხიარულებს.

აირია არღანი, დაირა და გარმონი ერთმანეთში.

ვინ გაარჩევს რა ხმებია? ვის აღიდებენ?

შოთაც აქ არის.

რისთვის მოვიდა? დედა არ მოეშვა: წადი, ხალხში გაერიე, თორემ ესაა შემშალოს შენმა დარღმაო.

დედის ხათრმა და პატივის ცემამ მოიყვანა.

თორემ მისთვის სულ ერთია, გული არ უხარის. საერთო ჟრიაბული ვერ წვდება მისს სულსა და გულს.

ბიბლიოთეკაში იყო, ვერაფერი წაიკითხა, გული ვერ დაუღო.

ჩაფიქრებული მისჩერებია საცეკვაო წრეს.
 უცებ ქალიშვილთა ჯგუფიდან ერთი გამოიქრა.
 შევლია, თუ ჯეირანი?...

მაღალი, ალვის ხის ტანა!

ლერწამივით მოქნილი.

ელვასაებრ ხელები გაშალა. გაიღიმა და გაფრინდა
 ვით ანგელოსი...

ლექურს უვლის.

შოთას გულს ისარი მოხვდა.

ვიღაც მძლავრათ შეეხო მისი გულის ძაფებს.

აუთრთოლა...

კაეშნის ლეჩაქი მოეფხრიწა, გამოირკვა. თვალებმა
 გაუცინეს. მოცეკვავემ მიიჯაქვა.

ის კი, მოცეკვავე, არავის ყურადღებას არ აქცევს:
 ხელებ გაშლილი, კისერ მოღერილი დაფრინავს, მი-
 წას ფეხს არ აკარებს...

თვალებს ნაბავს...

ტუჩებს თითქოს საკოცნათ ამზადებსო...

ლოყები ცოტათი გააღისფერებია.

აფეთქილ გულმკერდს ხან აქეთ მიაბრუნებს, ხან
 იქეთ.

ზედ ძუძუები აბორცვია.

ქორფა, ნარნარი...

გვრიტებივით გამოიყურებიან...

თეთრი ჩითი ვერ ფარავს მათ...

ყველა მას უცქერის, ენატრება...

— ნეტავი შენს დედას, თამრიკო!

— ცხონდა შენი მშობელი!...

— შეგერგო დედის ძუძუ!

გაბრიელიც აქაა. სახე გაცინებული უცქერის თა-

ვის შეიღს. ვაჟი „არ მისცა ღმერთმა,“ მარა სამაგიეროთ აი, რა ჯეირანი ყავს!

პეტრე მღვდელმაც სული გატრუნა. ენა არ მოუბრუნდა თავისებურათ უწმაწური რამ ეთქვა.

არღნის ღრიქინიც კი შეწყდა. რა კი გაისმა „თამრიკო ცეკვავსო.“

თამროს ტოლებს გული შურით ევსებათ, მარა ტაშს მაინც მწყობრათ სცემენ.

რა მოსდის ეს შოთას? რა ემართება?

ვინ ჩამოკრა მისი გულის სიმს ხელი?

თვალი ვერ მოუშორებია.

სულის თქმა შეუჩერდა.

გულიც კი არ უცემს...

თამრო კი ისევ ცეკვავს. მიზნედილი, თითქოს უხილავ ღეთაების წინაშე ლოცულობსო.

ცას შევედრის... კელაპტრებათ ბროლის მკლავები აუნთია.

მზეს სხივებს უკოცნის...

ჩამავალიც ხარბად სწუწნის მისს ვარდის ბაგეთ...

IX

გათავდა.

დაიქირა თავისი ადგილი. იღიმება. ცხვირსახოცით ოფლს იშრობს.

უცებ სიჩუმე ჩამოვარდა. არც დაირის ხმა ისმის, არც გარმონის. ტაშის ცემაც შეწყდა.

ყველა თამროს მშვენიერ სახეზე და მოხდენილ მიმოხვრაზე ოცნებობს.

— აბა, ტაში! დაუკარით გარმონი, დაირა! დაიძახა წრეში მოდარაჯე ყმაწვილმა.

კოტა ხნის შემდეგ ისევ გაჩაღდა თამაში. მარა რაღაც უგულობა ატყვია, ძალდატანებითი ელფერი აძევს. თამროს შემდეგ ვინ გაბედავს ცეკვას? ვინ რა უნდა გამოჩნდეს თამროს ხელოვნებასთან?

შოთა თითქოს სიზმარშიაო. ანგელოზი უდგას თვალ წინ: მომხიბლავი, მომგადოებელი. სევდის ჩადრი მოაფხრიწა, ბნელ ღამეში სანთელი დაანახა, გული აუთრთოლა, იმედი გაულევიდა.

„ღმერთო ჩემო, რა იყო, რა ენახე?“ ეკითხება თავის თავს და პასუხი ვერ მიუცია,—„ზეციერია თუ მიწიერი?“

პირველად ლამის იყო ადგილიდან მოგჯა. უნდოდა თაყვანი ეცა განხორციელებულ მშვენიერებისათვის, მარა თავი შეიკავა, რაღაცა მოსაზრებამ არ გაუშვა.

„ახ! რათ, რათ არ შემიძლია ამ წუთშივე მივიქრე და თაყვანი ვსცე მისს მშვენიერ სახეს? რათ არ ძალმიძს წმიდა გრძნობა დავანთხო. იქ, სადაც მე მინდა? რათ არ შემიძლია ვილოცო იქ, სადაც მე მსურს? საზოგადოების აზრი, შეხედულება!“—მწარეთ გაიფიქრა შოთამ და თავი შეიკავა, თვალს კი ვერ აშორებს.

თამრო შოთას დას, კესოს, ემუსაიფება, უცინის.

შოთას გული გაეხსნა. „ნეტავი მე ვიყო კესოს ადგილსო“—გაიფიქრა.

„მივალ კესოსთან და თამროსაც გამოველაპარაკები,“—უთხრა თავის თავს და წასვლა გააპირა, მარა რაღაც მოსაზრება მოუვიდა. შეჩერდა. „ასე როგორ უნდა გამიტაცოს შეხედვისთანავე ქალმაო,“ გაუარა თავში, მარა დიდხანს არ გაუჩერდა ეს აზრი, უცებ სრულიათ შეუმჩნევლად სადღაც გაუქრა...

და შოთა მიდის დისკენ...

გული უკანკალობს, თრთის, სულთქმა უჩერდება...

— დიდი ხანია მობრძანდით? — ეკითხება მისალმების შემდეგ თამრიკო.

შოთა დაყრუვდა, თითქოს ენა დაეზო, სისხლი არ უშობძრაობს.

— ერთ თვეზე მეტია, — უპასუხა ძმის მაგიერ კესომ.

— მერე მე ვერ გნახეთ?

შოთა გამოიჩქვია. სახე უბრწყინავს, უცინის. ესაა შემოგებვის თამროს.

— რა მშვენიერათ იცეკვეთ, რომ იცოდეთ! ღიმილით უთხრა.

კესოს გაუკვირდა: რამდენი ხანია რაც ძმა აგრე გამხიარულებული არ ენახა. რაღაც იქვით დაუწყო ორთავეს ცქერა. თან კმაყოფილია, უხარია, რომ ძმა გაუმხიარულდა.

— მე ვიცეკვე კარგად? მე? ხა... ხა... ხა... პირში მოფერება გცოდნიათ, შოთა...

— თქვენც არ მომიკვდეთ...

თამროს სიცილი კიდევ მეტად წასქდა. ტანს კლანის, ხელებს მოხდენილათ შლის. გრძელი ნაწნავი წინ გადმოუვლია, აფუებულ ძუძუებს შუა ჩაუწვენია.

— ბეჩა, თამრო, რა ტკბილათ დაგიფიცა შოთამი გაიგონე?... შეეკითხა ღიმილით კესო.

— ხა... ხა... ხა... როგორ არა! მართლაც რომ ტკბილათ დამიფიცა!..

შოთას შერცხვა. დას გადახედა.

— სხვა, ცოლს არ ირთავთ აწი? რაა აგრე რომ იცით ეხლანდელმა ახალგაზრდებმა? — ღიმილით უთხრა ცოტა სიჩუმის შემდეგ თამრომ შოთას.

— ბერათ აპირებს შესვლას! — სიცილითვე უპასუხა კესომ ძმის მაგიერ.

ხალხი დაიშალა. სიმღერა და ხმაურობა არეულია ერთმანეთში.

კიდევ ბნელდება

შოთა და კესოც სახლში მოდიან.

— რა ლამაზი ქალი დამდგარა გაბრიელის თამრო! უთხრა დას ძმამ

— აბა, კარგი, მაგაზე უკეთესი ქალი ჩვენს საყდარზე არ შემოვა; სულ დაჩრდილა მორძლეები...

შოთას კიდევ უნდა სთქვას რაიმე, მარა რალაცის ერიდება, სცხვენია. არასოდეს არ ყოფილა, რომ ან დედისათვის, ან მამისათვის, ან თუნდა დისათვის, ამისთანა რამეებზე ელაპარაკნა და ეხლაც რალაც ეჩოთირა, — შერცხვა ღვიძლი დის წინაშე თავის გულის სიღრმე გადაეშალა.

კესომაც მშვენიერად იცის ეს. მაზე მწვავეთ ვინ იწვნია ეს გრძნობა? თავისი გულის ნადები არასოდეს არ გაუმელავენებია: არც მშობლებისათვის, არც ძმისათვის, სცხვენოდა, ერიდებოდა. თავის ტოლს თუ გაუცხადებდა, ათასში ერთხელ, მაშინაც ცა და დედამიწას დააფიცებდა, რომ არ გაემხილა. სასირცხოთ მიჩნეული წმიდა გრძნობა მუდამ ჩუმათ უნდა ეტარებინა და კიდევ ატარებდა; „გაძრახულ“ ქალის სახელს ვერაფერ აკადრებდა.

— ნეტავი იმ დღეს მოვესწრებოდე, რომ თამრო ჩემი რძალი იქნებოდეს! სთქვა ძმის გასაგონათ კესომ.

— რა სთქვი? — თითქოს არ გაეგონოს ისე ჰკითხა შოთამ. თან გული გაუნათდა.

კესომ გაიმეორა. შოთას ხმა არ გაუცია.

თითქოს შურმაც გაიღვიძაო კესოს გულში. „მე ამდენი ხნის ქალი ვარ და გათხოვებას ვერ ვღირსებიყარ, გუშინდელი ბარტყი კი უნდა გათხოვდესო!“ მარა ამ დროს

სხვა აზრიც ამოუსისინდა გველივით: „შენ ულამაზო ხარ, ღარიბი. ის კი შვეთ-უნახავია... მამა მისი შეძლებული-ცაა“!

კესო მხოლოდ ამოხენწით თუ მოიშორებდა ამ არასასიამოვნო აზრს.

— გაბრიელი ჩასასიძებელს ეძებს,—სთქვა კიდევ ნალელიანმა.

— მე რაში მეპრიანება მერმე?—უპასუხა შოთამ.

X

შოთა ყველას გამხიარულებულათ ეჩვენა. ასე შუბლ-გახსნილი ჯერ არ ენახათ მას შემდეგ; რაც ქალაქიდან მოვიდა.

მისმა გახალისებამ მთელი ოჯახი გაახარა.

ოხუნჯობს, ლაპარაკობს. დაწოლა ვერ მოუგონია.

სხვებს რომ ძილი არ მოსვლოდათ, მგონი გათენებამდე იმუსაიფებდა.

თითქოს ეწყინა, როცა ყველანი საძილოდ დაემზადნენ. მეორე მხრით კი გაუხარდა: ახლა მარტო დარჩება თავის ფიქრებთან, თავის გრძნობასთან. „ღმერთო ჩემო! რა ვნახე, რა იყო? მოჩვენება თუ სინამდვილე?“ — მეთასეთე ეკითხება თავის თავს ლოგინში.

„რა მიძღვნა თან, რა მომიტანა? რა თვალები... ტუჩები!.. რა ყელ-კისერი!.. გულ-მკერდი! რა სანახაობა იყო! ტანადობა... ლოყები... ძუძუები... ახ... ნეტარებავ!..“

შოთა მთელის სხეულით თრთის, კანკალებს, ლოგინში ვერ მაგრდება, ცეცხლი ეკიდება.

„ლამის დავიღწე... რა მომელანდა, რა იყო?.. მშვენიერი თმა... თეთრი, ფუნთულა ხორცი... აფეთქი-

ლი კოკობები... ბროწეულის ტუჩები... ბროლის თითები“...

გულმა სისხლი აადულა. ლამის დაიწვას ქაბუკი. კარში გამოვიდა. გრილმა ჰაერმა გამოარკვია.

„სად არის ჩემი სევდა? რა იქნა?.. ელენე!.. სადხარ? გეტყობი ჩემს გრძნობებზე, გეამებოდა... გაგიხარადებოდა... აკი ყოველთვის იზიარებდი ჩემს ავს თუ კარგს!.. მარა... მარა... ახ, რას ვსულელობ? ელენეს ამას ვერ ვეტყვი, ვერა... ის არ გაიზიარებს ამ ჩემს სიხარულს, არა“..

წუთით მოგონებული წარსული უცებ უფსკრულში გადისროლა... მარა ისევ წამოეჩხირა.

„როგორ?.. ელენეს გარდა სხვა ქალი?.. არა... ეს შეუძლებელია... მე ელენეს ერთგული ვარ, ის მიყვარს, ვერ ვულალატებ... დეე თვითონ გამწიროს, ჩემი ნუ იქნება, მე კი... მე... მისი ერთგული ვიქნები... ღმერთო ჩემო!.. რა ემართება გულს?.. ლამის არის ამფეთქოს!.. თამრო... თამრო... არა... შეუძლებელია... ელენე, მე შენი ერთგული ვარ... შენი...“

შოთა რაღაც სირცხვილმა შეიპყრო. გაწითლდა, თავისივე თავის შერცხვა.

„ელენეს ადგილი ჩემს გულში განა სხვა ქალმა უნდა დაიკავოს? მაშ მე არ მქონია რწმენა, ხასიათის სიმტკიცე!.. ხან ერთი, ხან მეორე... არა, ეგ არ შეიძლება!.. მაშინ მოსალოდნელია ჩემი აზრების გამოცვლა; მიმართულების უარყოფაც... არა... ჩემმა ხასიათმა ამის მაგვარი არა იცის რა! მე მტკიცე ვარ, ხასიათის სისუსტეს ვერვინ დამწამებს... ვერა... ელენე... მერმე ხომ დამცინებს, მეტყვის არ გყვარებივარ ღრმითო... მართალიც იქნება... რასიყვარულია ის სიყვარული, რომელსაც ყველა ლამაზი ქალი დამავეწყებს?..

მაშ მჩვარი ვარ? ვინც უნდა ხელს წამკიდებს და მათრევს?.. ესთქვათ, ერთ ხანს ელენემ მათრია, ეხლა თამროს სურს მომიხმაროს, ხვალ და ზეგ კიდევ სხვა მომისურვებს და ასე... უკაცრავად! მე რაც არა მსურს, იმას არ ვიქი!.. რასაც ჩემი გონება არ მოინდომებს, იმას არასოდეს არ ჩავიდენ!.. მე დამდგარი პიროვნება ვარ... მაგარი, ძლიერი...“

შოთა გამორკვეული დგას. გრძნობა დააოკა, გონებას დაუმორჩილა.

„მარა ეს დარდი ვინ მომაშორა? ვინ გამომაცოცხლა? თამრიკო... თამრიკო... ასე მგონია ჯურღმულიდად ამომიყვანა... თითქოს საშინელის ვეშაპის კლანჭებისაგან გამოვეგლიჯო... ვეხსნე...“

შოთა ისევ თამროზე ოცნებობსგ გარს ევლება, თვალ წინ უდგას მისი მაყვლის თვალები, აბორცვებულ-აფუებული გულ-მკერდი.

„რა მშვენივრათ ცეკვავდა!.. თითქოს სცურავდა ჰაერში... როგორ შვენოდა, ლაპარაკი, სიცილი, ოხუნჯობა! რა არ იხატებოდა მის თვალებში?.. უბსკერო იყო მისი თვალები, უძირო... თამრიკო... თამრიკო... მარა შორს... შორს... შორს... მაცდური სახე! ელენე... შენ... მხოლოდ შენ... თუმც შენ... ახ!..“

ელენეს მოგონებით ძმარი ეწვეთებოდა შოთას ნექტარში; ეკალი ესობოდა, გულს უფხაქნიდა.

„დღე თუნდაც მომკლას, სულ მომწამლოს მისმა მოგონებამ!.. მე მაინც მისი ვარ, მისთვის გამიტახტებია ჩემი გული, ის არის ჩემი პირველი სიყვარული, მან, მხოლოდ ელენემ შეიწიროს ჩემის ხელით საკმეველი... სხვას კი ვერა, ვერ უკმევ... სხვა საკურთხეველი მე არ მწამს!... არა!..“

შოთა ლოგინში წევს, ცდილობს დაიძინოს. ყო-

ველ ღონეს ხმარობს, რომ გულის სიღრმეში ძაფის გორგალივით დასაწლელად გამზადილი შეების და სიტკბოების ბურთი შებოკოს, გზა არ მისცეს...

მარა უღმობელია თამრიკო: ძაფის ერთ თავს რაკი ჩაჰკიდა თავის ბროლის ხელი, არ ეშვება, შლის, ეწევა, თუმც შოთა თითქოს არ ანებებს... თან იცინის თამრიკო, უმანკოთ კულოპინებს...

შოთაც ღიმილით უცქერის. არ ძალუძს წინ აღუდგეს. კიდევ სტკივა, კიდევ სიამოვნებს გორგალის შლა, გულში ეღიტინება, ტკბილი გრძნობა სულს ატრუნვინებს, თვალებს ანაბვინებს.

ისევ ცეცხლათ აინთო. გული დავლურს უვლის. „თამრიკო ლამაზია, მზის-უნახავია, ელენე კი?... ელენე იმას რას შეედრება?!. თამრიკო... თამრიკო... თამრო... ელენე... თამრო!.. ელენე...“

ორი მხრიდან ებურღება სული და გული.

„განა ოცნებაც დანაშაულია? ღალატია? არა... არა... მე მხოლოდ ვიოცნებებ თამრიკოზე, ვიფიქრებ... რაკი სიტკბოებას მგერის ეს გრძნობა, რაკი თავს ბედნიერად მაგრძნობინებს... ვიოცნებებ მხოლოდ... ფიქრში მაინც ვილოცავ მის წინაშე ფიქრი ხომ დანაშაული არაა?... დეე, ნუ აღსრულდება სინამდვილეში... არც მინდა, რომ აღსრულდეს... არა! მე ელენეს ერთგული ვარ... მხოლოდ ის მიყვარს... თამრიკოზე კი მხოლოდ ვიოცნებებ, მეტი არაფერი... მხოლოდ ვიფიქრებ... მარა... ეხ, ჯანდაბას ყოველ გვარი მარა... უფსკრულმა წაიღოს!.. ხასიათის სიმტკიცე? რაო? განა ადამიანის გული და გონება ისეა განაწილებული სასწორზე, რომ არც ერთი არ ძალავს? სისულელეა! მე ნეტარება მინდა,

დავიღალე ტანჯვით... მომშხამა გონებამ... გრძნობას მინდა დაწებდე, გრძნობას... თამრიკო... თამრო...“

და შოთაც დანებდა თამრიკოს. გულში ჩაისვა მაზედ ფიქრი და ოცნება; გზა მისცა, კანონიერათ იცნო მის არსებაში ძალათ შექრილი სახე...

თამრიკოც შლის ნეტარების გორგალს, შლის... ფრთხილებს, თრთოლავს.

„რა ტუჩებია!...რა თვალებია!.. რა გულ-მკერდია!.. რა ძუძუები!..“

შოთა აზრს კარგავს. მომხიბლავმა სახემ დაიმონა. სულითა და გულით მას ეკუთვნის... ღმერთად მიიჩნია.

„სად იქნება ეხლა? რას შვრება? რაზე ფიქრობს? ალბათ წევს... შიშველი გულ-მკერდი, მკლავები... ფუნჩულა ტანი... ახ... თამრო... თამრიკო...“

„იქნება სხვა უყვარს“ —ვილაცამ ჩასჩურჩულა შოთას.

„არა, არ შეიძლება! მე უყვარვარ, მხოლოდ მე... მე... აკი ისე მიცინოდა, გულახდილათ, მთელის არსებით... უმანკოთ... არა... მისი გული ნორჩია, ხელუხლებელი... და მე... მე უნდა ჩავესვენო გულში, მე... მხოლოდ მე... მე...“

„შენ ხომ სხვა გიყვარს... ელენე! შეგიძლია განა მისი შეძლება? რა უფლება გაქვს შენს გრძნობას და აზრებს უღალატო?.. ერჩურჩულება კიდევ ის უხილავი არსება.

„როგორ თუ რა უფლება გაქვს? რა სისულელეა! განა აზრს ვერ შეიცვლი? იქნებ მე ვცდებოდი და სიმართლე როცა ვნახე მაშინ არ უნდა ვალიარო? მე ფანტიკოსი არა ვარ, გონება არ გამყინვია!“...

„მაშ ირეცხავ ელენეს გულის სიღრმიდან? ახლობამდე ხომ ღმერთად გყავდა მიჩნეული ამ გზით ხომ ყველაფრის უარყოფა შეიძლება?“.

შოთა შეზანზარდა.

„მართალი ხარ, მართალი. მე სისაძაგლეს ვიდენ, მარა ჩემი ბრალი ხომ არაა... თამრო, შენი ბრალია, შენი... მე შენს სახეს გულში ცოტა ადგილი მივეცი და შენ კი მთელად მოინდომე მისი დაკავება, მიბატონდები... არა, ეს არ შეიძლება!.. ჩემს გულს შენ ვერ გაკუთნებ, ვერა... თამრო... ელენე... თამრო“...

„რა სისულელეა! აბა თუ არ დაგიშლია ერთი სახის მეტს არც კი შევხედავ, მარტო ერთ არსებაზე ვიფიქრებ, რაღა! სისულელეს როშავთ ვილაცხრებანდებით!. მაშ მე მონა ვყოფილვარ! ჩემს ნებაზე ვერც მიფიქრია, ვერც მიგრძენია... შორს! მე რაც მინდა იმას ვიქ“...

„შენ იცი, როგორც გენებოს! მე კი მგონია, რომ საშიში არსება ჩაისვი გულში. ჯერ პატარაა, მარა იზრდება, იზრდება და“...

„კარგი, კმარა, ვილაცხა ხარ! რას ნიშნავს სიტყვები „საშიში არსება“? ერთი გვიბრძანეთ, როგორ გავიგოთ? განა თამრიკო საშიშია? ნეტავი თუ გესმით რას ჩერჩეტობთ? ადამიანი საშიში ქმნილებაა?“

XI

თამრიკოს მშობლები ნასახელები იყვნენ. მეზობელ სოფლებშიც კი იცნობდნენ მათ. ვის არ გაეგონა გაბრიელ წყნარაძე და მისი მეუღლე სიღონია? ორთავეს აქიმის სახელი ჰქონდათ დავარდნილი. ნათვალევის წამალი, შეშინებულის, დაგრილულის და ვინ იცის კიდევ რა, — სულ სიღონიას ხელობა იყო. ჯერ მოცილვე არ ატეხოდა. გაბრიელიც გვარიანათ იყო ყველა ამაში გამოწრთენილი, მარა ის მაინც სხვაფრივ იყო ცნობილი: ძველის ძველი მწიგნობარი იყო მთელ სოფელში და პატივის მცემელიც ბევრი ყავდა. იმ დროს, როცა სკო-

ლა ბევრს არც კი გაეგონა, გაბრიელი ყოველ ზამთრობით, რამოდენიმე თვით, თავის სახლში სწავლას აწარმოებდა. მოსწავლეებად ყავდა შეძლებული გლეხების შვილები. აიყვანდა იმ პირობით, რომ მთელი ზამთრის განმავლობაში ქართული წერა-კითხვა და ანგარიში ესწავლებინა. თვიური ქირა სამი მანეთი იყო. ფულს ყველას წინ და წინ ახდევინებდა. მოწაფეთა ხნოვანება განუსაზღვრელი იყო. ასწავლიდა როგორც შედარებით ახალგაზრდებს, ისე მოზრდილებსაც, ხშირათ ცოლიანებიც კი ყოლია. იბარებდენ. მხოლოთ მამრობით სქესს, ქალების სწავლა კი, როგორც მთელ სოფელს, ისე გაბრიელსაც, ზედმეტ ბარგად მიაჩნდა. სასწავლო ოთახს წარმოადგენდა ძველებური სახლის დარბაზი: შუაში კერა გუზგუზებდა, იქვე სიდონია და მისი ქალები მატყლს ართავდენ, ან აბრეშუმს ხვეწავდენ, ან კიდევ სადილს აკეთებდენ. მეორე კუთხეში კი, სარკმელთან, გაბრიელი და მისი მოსწავლენი ისხდენ. გაბრიელს ამ დროს სახე გაცინებულს ვერვინ ნახავდა. მოღუშული იყო, გულ დასმით უსმენდა მოსწავლეთ. წინ ვეებერთელა შავი სახაზავი ედო. ვაი იმას, ვისკენაც ეს გარუჯული ყავარჯენი წაიწევდა. ფიცხლავ დაასვამდა „დაცემის წერტილზე“ კოპს. მაგრამ მარტო ამითი გადარჩენა ხომ ბედნიერება იყო! ოღონდ კუთხეში ნუ დააჩოქებდა ტიტველი მუხლით მასწავლებელი, ან სიმინდის მარცვლებზე, ან მარილზე და ამას ვინ ჩიოდა! სიღების ტყლაშა-ტყლუშიც კი იყო დაჩოქებასთან შედარებით! დიახ, ერთობ მკაცრი იყო გაბრიელი. ერთი შეცდომის ჯილდოთ სახაზავის ერთი ჩარტყმევა იყო, მეორე შეცდომაზე სიღებს უმატებდა და შემდეგ მარილი და მისი ჯანი. ერთს უჩვენებდა მოსწავლეს კუთხისკენ და იმ წამსვე უნდა ადგილიდან მოწყვეტილიყო; წინააღმდეგ შემთხვევაში

უბრალო დაჩოქებასაც არ აკმარებდა: ჯერ ორიოდ პანდურს მიაყოლებდა და შემდეგ, მარცვლებზე დაჩოქილს, ხელებსაც მალლა ააწვეინებდა. ვაი მისს ღღეს, ვისაც ამ ღროს სიცილი წასქდებოდა! ლავაშივით გააბტყელებდა ოჯახის წევრთაგანს, რომ ამაზე ყურადღება მიექცია, შავს ღღეს დააყენებდა. ვინ იცის რამდენჯერ გაუგდია კარში ასეთ შემთხვევებში უნებურათ გაცინებული ქალი-შვილები? სიღონია კი მუდამ ჩუმად იყო, მან მშვენიერათ იცოდა, რომ გაბრიელი მოწაფეებს „მათდა სასარგებლოდ და ჭკუაში ჩასაგდებად“ სჯიდა. გაბრიელის აღსაზრდელ საშვალეებს მთელი სოფელიც კი ამართლებდა, არა თუ სიღონია. როცა გაბრიელს შვილს მიაბარებდენ, თან ეტყოდენ: სცემე, თუ კარგად ვერ ისწავლისო. ცემაც რასაკვირველია, უფრო მეტად, შედარებით, პატარა შეგირდების ჯილდო იყო.

რას ასწავლიდა გაბრიელი?

პირველ ყოვლისა, რასაკვირველია, ქართულ კითხვას. სქელ ქალაღზე დასწერდა მთელ ანბანს ჰაე—ჰომდე, დაურიგებდა მოსწავლეთ და მთელი ღღეებით აძახებდა: ანუ, ბანუ, განუ, ღონუ და ასე. შემდეგ, როცა ამას დაასწავლიდა, ასე ეთქვათ, ეგზამენს მოახდენდა: ერთი ანბანის მეტს ყველას ხელებს დააფარებდა და მერმე გამოკითხავდა—ეს რა ანბანი სჩანსო. ერთხელ შებოროდიკება და თავში ჩატახუნება, რასაკვირველია, ერთი იყო.

—ჰო, შე ლორო, შენ! თქვი, პირუტყვო, კამბეჩო! თან ასეთის სიტყვებით ამკობდა მოსწავლეს გაბრიელი.

როცა ანბანის შეასწავლიდა, წერაზე გადავიდოდა. პირველათ მოწაფეს ასპიდის დაფასა და გრიფელს მისცემდა ხელში. ოთხ-ხუთს ერთი დაფა ჰქონდათ. შემდეგ კი ქალაღზე აწერინებდა. ეს საფეხური უდიდესი წამი იყო მოსწავლეთათვის, უბედნიერესი. აწი ყველა თამა-

მათ გრძნობდა თავს, დაძლეულ იყო პირველი დაბრკოლებანი. გაბრიელიც დინჯათ ამოალაგებდა თავის სკივრიდან ყურ გახეულ თამასუქებს და დაუდებდა წინ მოსწავლეთ გადმოსაწერათ. შემდეგ პირობის ქალაქი უნდა გადაეწერათ, მოკითხვის, ანდერძის, ლხინში თუ ჭირში მოწვევის და წერა-კითხვაც შესწავლული იყო. გარდა ამისა მოსწავლეებს უნდა შეესწავლათ ყველა ლოცვები, დავითის ფსალმუნები და ანგარიში, რომელიც შესდგებოდა შემდეგში: ჯერ დაასწავლიდა ქართულ ქორონიკონს და შემდეგ ასამდე თუ ორასამდე არაბულ რიცხვების წერას. მორჩა და გათავდა, მეტი საჭირო არ იყო. მშობლებიც ამისათვის აბარებდნენ გაბრიელს შეილებს. ეუბნებოდნენ: გვისწავლე ქართული წერა-კითხვა, ანგარიში, თამასუქ-მოკითხვის ქალაქდების წერა, ცოტა ლოცვები და დიდი მადლობელი ვიქნებითო.

თუ სად ისწავლა გაბრიელმა წერა-კითხვა, მის მეტმა არავინ იცის. მარა ამით რომ კარგად ისარგებლა, ეს კი ყველასათვის ცხადია. ბევრ ახალგაზრდას ასწავლა წიგნი, მარა არც თვითონ დარჩენილა ხელ-ცარიელი: სული მოითქვა, მიწა-წყალი შეიძინა; თავის დროს ძალიან ემადლიერებოდა, მარა სკოლების შემოღებამ უცებ დასცა მისი სახელი. დიდი ხანია, რაც მასწავლებლობას თავი დაანება. თუმც სოფლისათვის მაინც საჭირო კაცია: მაგაზე უკეთ ვექსილს, თამასუქს და პირობას ვერავინ სწერს, ახალ სკოლებში განსწავლულნი ვერ შეედრებიან. ასე რომ „ხელის ქუჭკი“ მუდამ შემოუდის. ახალ სკოლას, სადაც მარილზე დაჩოქება და სახაზავების ლაწუნი უარყოფილია, გაბრიელი დღესაც ვერ შერიგებია, მისი არა სწამს რა. ერთად ერთი, რისთვისაც მოსწონს, ეს რუსულის სწავლებით.

გარდა ამისა გაბრიელმა იცის საეკლესიო გალობა-

თავისი კილო აქვს შემუშავებული, მგალობელთა გუნდი ყავს. არც ერთ წირვა-ლოცვას არ აკლდება, მუდამ დიაკონთანაა და გალობს. თუ მოუვიდა ხორო, ხომ კარგი, თუ არა და მარტო ღიღინებს. გალობის დროს ვერც ერთ სიტყვას ვერ გაარჩევთ, არც ასეთი კილო გაგეგონებათ სადმე. გაბრიელი არავის ყურადღებას არ აქცევს, მიაჩერდება ხატებს და აღიდებს ღმერთს. თან ასე გეგონებათ ძილი ეპარება, სთვლემსო. მრევლიც ამას განიცდის. წირვის წესი სავსებით იცის, ასე რომ ხშირათ მღვდელსაც კი გასძახებს საკურთხეველისკენ, მოაგონებს მუხლებს. ძალიან შეჩვეულნი არიან ერთმანეთთან, პეტრე მღვდელი, გაბრიელი და დიაკონი ზურაბა. სამპიროვან და ერთ სხეულ მეგობრობას შეადგენენ. გაბრიელმა მეგობართა შთაგონებით საყდარს სახარება და ორი ბაირალი შეწირა, ზედ წარწერით: შემოწირა გაბრიელ წყნარაძემო. ყოველთვის, როცა საყდარზეა, ბაირალებისკენ გაიხედავს—აბა წარწერა თუ სჩანსო. ხოლო როცა მღვდელი სახარებას კითხულობს, კმაყოფილია, თავი უკვე ცხონებულთა შორის ჩაურიცხავს და თან ღმერთს აგონებს: ის სახარება ხომ გახსოვს—ჩემი ნაყილიაო.

გაბრიელმა მშვენიერად იცის აგრეთვე ჩანგურის დაკვრა. ვის არ აუტოკებს გულს? მარა ამ ბოლო დროს ერთობ ძვირათ ეტანება, ძვირფასი ჩანგური შენახული აქვს. ან კი რა ეჩანგურება, როცა მუხთაღმა ბედმა სიხარულს მისთვის არ მოაცლევინა. მართალია, ღარიბი, სოფლის პირობაზე, არასოდეს არ ყოფილა, მარა მაგიერათ ცოლშვილში უბედური იყო. ჯერ იყო და „უფაღმა მისთვის ვაჟი არ გამოიმეტა,“ სულ ქალები მისცა. მარა ნადლობა ღმერთს, რომ ესენი მაინც შერჩენოდა! ყველა დაეხოცა, დარჩა მარტო თამრიკო. ესღაა მისი იმედი, წუთი სოფელში ანთებული სანთელი, მხოლოდ

თამრიკოს შესცქერიან იმედით მშობლები. ქართული წერა-კითხვა მშვენივრათ შეასწავლეს, შემდეგ სოფლის სკოლაში მიაბარეს და ორი კლასი გაათავებინეს. ქართულ წიგნს სადაც კი იშოვიდენ, მუდამ აკითხებდენ. გადღამა, რასაკვირველია, არ გაათხოვებენ, უნდა აქეთ დაისიძონ ვინმე ღირსეული: თამრიკო აგერ თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ხდება. იქნება ეს მაინც შეარჩინოს განგებამ მშობლებს, უკანასკნელი იმედი არ წაართვას!

გაბრიელს საშინლათ უყვარდა „ვეფხისტყაოსანი“, „ყარამანიანი“, „არსენას ლექსი“ და „ალექსიანი.“ ყოველთვის ამ თხზულებების გმირთა სახელები ახსოვდა. თავიდანვე ფიქრობდა, თუ ვაჟი შემეძინა ან ტარიელს დავარქმევ, ან ავთანდილს, ან კიდევ როსტევეანს, ფრიდონსო: მარა ღმერთმა მოიძულა. სამაგიეროთ ქალიშვილებს ყველას ისტორიული სახელი დაარქვა. ბოლოსათვის თამარ მეფის მოსაგონებლათ სახელი „თამარი“ შეინახა და არჩევანიც კარგი მოუვიდა: მისი უმცროსი ქალიშვილის სილამაზეს მართლაც შეეფერებოდა თამარის სახელი. ახლა იმაზე ოცნებობს, თუ რა დაარქვას შვილი-შვილებს. — უთუოდ ავთანდილი უნდა დავარქვაო! ამბობს.

ერთი უნდა განახათ რა აღტაცებით ამბობს შემდეგ სიტყვებს: „ავთანდილ გადინადირა ქედი მაღალი ტყიანი“ და სხვა.

— მეორეს კი, თუ ღმერთმა მადირსა, არსენა უნდა დავარქვა, არსენა!

ამბობს გაბრიელი და თან მიუმატებს: ოძელაშვილო არსენა, კურთხევით ღმერთმა გახსენაო.

ზემოთ დასახელებულ გმირთა სახელებს გაბრიელი სოფელშიაც ავრცელებდა. სადაც მიწვდებოდა, ყველას

ურჩევდა თუ რა სახელი დაერქმიათ ჩჩვილისათვის. სხვა-
თა შორის გიგო ბროლიძესაც შოთა დაარქმევინებინა
შვილისათვის.

XII

მზემ თავი დაიშვა ცის დაღმართზე. ბზრიალ-ტრია-
ლით ეშვება თავქვე. კიდეც ორიოდე საათი და დაყვი-
ნთავს.

დედამიწა ცოტათი გაგრილდა. სალამოს ქარმა მო-
ბერა. მწვანე ფოთლები ჩურჩულებენ, ხის ტოტები
ერთმანეთს ეხვევიან.

ბალს, ქვიშას, ჩიტები დაჰხარაინ, დასქიკკიკებენ.

სოფელში ჯერ კიდეც არ შემობრუნდება მუშა და
საქონელი, ცოტა აღრეა. მხოლოდ შოთას ვერ გაუ-
ძლია სალამომდე ყანაში: კიდეც რამდენიმე წამი და სო-
ფელში შემოვა. გამალებული მოდის. სახეზე ღიმი
უკრთის..

„როგორ მოვიქცე?“ ფიქრობს, — „ქიშკრიდან და-
ვიძახო, თუ ეზოში ჩავიდე და პირდაპირ სახლს მივა-
შურო? ა? სახლში რომ არავინ იქნეს? მიკვირს, რა
შემართება? გული ვერ დამიმაგრებია, ესაა ამოხტეს ბუ-
დიდან! რა ვთქვა რომ ჩავალ? რაზედ დავიწყო ლაპა-
რაკი? რა მოვიმიზებო? ვიტყვი, გავიგე, რომ გაბრიელს
„ვეფხის ტყაოსანი“ ჰქონებია და იქნება მათხოვო-თქო.
ჰმ... რა სისულელეა! რა დროს „ვეფხის ტყაოსანი“
ამ გახურებულ თოხნის დროს? ვის ცალია ეხლა წიგნები-
სათვის? სოფელი და ამ დროს წიგნის კითხვა!.. მაშინვე
მიხვდებიან, რომ წიგნისათვის არა ვარ მისული! მიხვ-
დენ, არ ვჩივი! მეზობლებმა თუ დამინახეს, იფიქრებენ:
აღბათ სიდონიასთან რაიმე წამლებისთვის მიდისო...
მარა... მეც ერთი! რა სულელური აზრები მომდის!

განა სხვის ნათქვამს და აზრებს უნდა ვაქცევდე ყურადღებას? ქვეყნის ხმას უნდა უწევდე ანგარიშს? ვინც რა უნდა ისა სთქვას! მე კი იმას ვიქ, რაც მინდა!...“

შოთა მისდა შეუმჩნეველათ უმატებს ნაბიჯს, გულის ფეთქვა მატარებლის ორთქლმავლობას უწევს: გაჩქარებით მიაქანებს წინ.

„თამრიკო, თამრო... თამრიკო...“

არ შორდება თამრიკოს სურათი, მოსვენებას არ აძლევს. სულ გუშინ წინ ნახა, მარა ასე ჰგონია საუკუნეა მას აქეთ. ეს ორი ღამეა თვალში ძილი არ მიკარებია, უწინდელი სევდა თან და თან შორდება. კაეშნის მიერ შებორკილი სიხარული ნაღვლის კედლებს ექიდება, აწყდება, ცდილობს სულ გააქროს საზარელი გალია

შოთა უახლოვდება გაბრიელის კარ-მიდამოს. უცებ შეჩერდა. რაღაცა აზრი დაებადა.

„როგორ ბავშვურათ ვიქცევი! ვის გაუგონია ასეთი თავ-შეუკავებლობა? მომწიფებული კაცი ამას არასოდეს არ ჩაიდენს! რას გავს ასეთი აჩქარება? მერმე მე? მე აჩქარდი ასე? მე, რომელსაც სერიოზული კაცის სახელი მქონდა; დინჯის, აუჩქარებელის, მომფიქრებელის! ხომ ყველა აგრე მიცნობს მე! მაშ რას გავს ასეთი აცუნდრუკება! არა, ეს სისუსტეა ჩემის მხრივ, სისუსტე!.. უკან უნდა დაებრუნდე! არ ჩავალ, არაფრის გულისათვის არ ჩავალ! ან კი რამ წამომიყვანა ყანიდან? რისთვის დავანებე მამას თავი? მემუშავენა იქი კიდევ მოვიტყუე ბავშვივით, რაღაც საქმე მოვიგონე! რა სისულელე ჩავიდინე? ტფუ!.. ელენე?.. ელენე! არა, მე არ ჩავალ, არაფრის გულისათვის არ ჩავალ!.. არავის არ ვნახავ!.. ელენეს განა სულ უცნობი ადამიანი უნდა ვამჯობინო? არა! არ იქნება! არ მივდივარ, ფეხსაც არ მოვიცელი

აქედან, არა... არა!.. თამრიკო... თამრიკო? მერე რა?.. მე ხომ მის სანახავათ არ მივდივარ?. ეგ ბავშვობაა, ხასიათის სისუსტეა, დაუშუშებლობა... რამ წამომიყვანა უანიდან? აკი შუა-ღლისას გადავსწყვიტე, რომ არ წამოვსულიყავ, აკი გუშინაც ასე გადავსწყვიტე! მაწ რათ წამოველი? რათ?.. არ მივდივარ, არა... თამრიკო... თამრიკო...“

შოთა მისდა შეუმჩნეველათ გაბრიელის შუა ეზოში გაჩნდა. როდის მოვიდა, როგორ ჩამოვიდა ეზოში — არ ახსოვს. რამ მოიყვანა, ვინ ჩამოუძღვა?

„ღმერთო ჩემო! რა მემართება? ეს რა მომსვლია, როგორ შეუმჩნეველათ ჩამოვსულვარ! აკი არ მინდოდა ჩამოსვლა!.. ვინ ჩამომიყვანა ჩემდა უნებურათ?“

სიო სათიბს ვარცხნის. ზღვებრ აღელვებს.

მაღალი ბალახი ხან მიწაზე გაწეება, ხან ზეზე დგას. გაშლილ ეზოს ადგილ-ადგილ ვეებერთელა ქოლგები ხურავს: ვაშლი, მსხალი, ბია ერთმანეთს ეცილებიან, ხაბარდა გაუშლიათ.

— მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით!

„სიდან მესმის ეს ხმები?“ იკითხა ჩუმათ შოთამ და სახლს შეხედა.

აღელვებულ სათიბში თამრო მოდის, მუხლები არ უჩანს. სახეზე სამოთხე ეხატება, იკინის. თმა უსწორ-მასწოროთ აყრია... ნახევრათ დატიტვლებულ მკლავებს გულზე აფათურებს, ქინძისთავებით გახსნილს ბლუზას იბნევს.

აი სიომ ჩაკოცნა, თმა აუშალა, გულში ჩაეხუტა, აფუნჩულებულ, თავისუფლათ აბორცვილ ძუძუებზე გადურბინა, ბროლის მკლავები დაუკოცნა. ალვის ხის ტანზე რგოლათ შემოეკრა, კაბა ფეხებში შეუკეცა...

თამრიკოს თითქოს შერცხვავ, მარა სიყვარულის ღიმილი მაინც ვერ დაუმაგრებია.

გულში კიდევ დაუმაღლა ქარს, რომ შოთას შესახედათ ასე მოექცა. მოდის, მოფრინავს... თან მოაქვს სამოთხე და ნეტარება, სიცოცხლე და უკვდავება.

შოთაც წინ მიდის, ვერ დამაგრებულა, თრთის, სახე უცინის.

— მობრძანდით... მობრძანდით.

— გეახ... გეახლებით... გეახლებით...

წამი და ორი აფეთქებული გრძნობა შეერთდა, ერთმანეთში გაითქვიფა...

მქუხარე წყაროთა ნაკადულები შეიყარნენ: გზა და ხიდი ხელებია. ორთავეს ტანში აჭრუოლებს, ხელები ვერ დაუშორებიათ. თვალი თვალში გაუყრიათ:

სიომ კვლავ ჩადო თავი თამრიკოს ძუძუებში: გახსნილი ბლუზის კალთა აუწია, სტუმარს შეაქვრეტინა..

თამრომ ბლუზა გაისწორა. გაწითლდა, დადნა.

— წავიდეთ სახლში, წამობრძანდით...

— გეახლებით...

მიდიან. თამრო ძლივს წვდება სტუმარს. შოთა მოსული ვაჟკაცია. შავგრემანი, ფართე, გაშლილი სახით. ყაბალახი მხრებზე გადუგდია, ახალოხის გული გახსნილი აქვს, ხელი ჩოხის ცალ სახელოში გაუყრია.

სახლს უახლოვდებიან.

სილონიას გული გაეხსნა. „როგორ შევნიან ერთმანეთსო“, გაუბრძინა თავში და თან მხიარულათ მოაძახა:

— აა, ყმაწვილო! შენ იყავი, რომ ჩემი ნათვალევის წამალი არ მიიკარე? დაიწუნე არა? ყველაფერი მითხრა დედაშენმა. ახლანდელ ახალ-მოზრდას არ გწამთ

ძველების არაფერი, მარა ვნახავ, ჩვენზე მეტს რასაც იზამთ!

შოთა დაიბნა, რა ეპასუხნა არ იცოდა, მსჯელობის დრო რომ არ იყო, ეს კი ცხადათ სჩანდა. თამრომაც კარგად იცოდა ესა. ამისთვის დედას ღამილით უსაყვედურა:

— რაა, ბეჩა, დედა ჩემო, ასე რო იცი: რა დროის მაგის ლაპარაკია: ხა... ხა... ხა... ეგება მართლა აქვს გგონია შენი ნათვალევის წამალს რამე ძალა? არა, შოთა? ხომ არაფერი ძალა არა აქვს!.. ხა...ხა... ხა... ხომ?

— რასაკვირველია... სიცილითვე უპასუხა შოთამ.

— მაგრე თქვით, მაგრე! რომ გამოგზარდეთ მშობლებმა და აეთვალსა და ბოროტს არ შეევაქამეთ თქვენი თავი, აწი ასე იტყვიო...

სკამები ხის ძირში გამოიტანეს. მოლში დასხდნენ.

მოიკითხეს ერთმანეთი. იმუსაიფეს ამაზე, იმაზე. როგორც ჩვეულებათ აქვთ სოფლის დედაკაცებს, სიღონიამ შოთას მშობლებთან თავისი ნათესაობაც კი გამოქექა: აღმოჩნდა, რომ მისი უფროსი ქალიშვილისათვის შოთას დედას ძუძუ ექმევია.

შოთა იბნევა, წითლდება, ხან სულელურს კითხვებს სვამს, ხან ასეთსავე პასუხს იძლევა.

თამროს პირდაპირ ვერ უცქერის. ეშინია საზღვარს არ გადაცდეს. გააფრთებულ აღტაცებას ძლივს ამაგრებს.

თამრიკოც მისდა უნებურად თრთის, ადგილზე ვერ დამაგრებულა. ცახცახებს. მოლში ჩაჯდა. ბალახების წყვეტაში უნდა გადიტანოს თრთოლევა. თვალი უბნელდება. შოთას ქურდულათ უცქერის. ნატრობს: ნეტავი დედა წავიდოდეს და შოთასთან მარტო დავრჩებოდეთ.

სიღონია დარწმუნებულია, რომ შოთა რაიმე წამ-

ლისათვისაა მოსული, მარა ზრდილობის წესით ჯერ ვერ უთქვამს რათ მოდიო. შოთაც არ ამბობს.

ქვენა ქარი წელათ ქრის. სათიბს აღელვებს. მზე ხეებს მოეფარა. უკანასკნელათ ჩახლართა ტოტებში სხივები. ცის გუმბათი ცალიერდება. ცეცხლის ხომალდმა უკვე გადალახა ზღვა ლაქვარდი. სამაგიეროთ მთვარემ შემოაცურა თავისი ნავი. ჯერ ფერმკრთალია, თან და თან ირკვევა.

— შვილო, თამრიკო! პატივი უნდა ვსცეთ სტუმარს, ასე არ უნდა, წადი არაყი გამოიტანე, შენი ტკბილეთულობაც გამოაყოლე...

ერთ წამში თამრომ არაყიანი ბოთლი, ფინჯანზე პატარა ჭიქა და მურაბა მოართვა სტუმარს... იცინის, ცმუტავს...

შოთამ ბევრი იბოდიშა, იუარა, მარა ბოლოს იძულებული იყო დაეღრია.

არაყის მოტანა იმის ნიშანი იყო, რომ შოთას დარბაზობა უნდა დაესრულებინა, მარა ჯერ მაინც ვერ მოეცვალა ფეხი. სიღონიამ, რაკი შეატყო, რომ სტუმარი არ მიდიოდა, — თქვენ ილაპარაკეთ შვილებო, მე კი ვახშამს შევეუდგებიო, — სთქვა და წავიდა.

ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო.

ახალგაზრდებსაც ეს უნდოდათ.

კარგა ხანს სალაპარაკო საგანი ვერ მოენახათ. წითლდებოდნენ...

მარა რა საჭირო იყო მათთვის ლაპარაკი, როცა ერთმანეთის ისედაც კარგად ესმოდათ. მათი თვალწი რას არ ამბობდნენ?

რაა იქ ენა, სადაც თვალი ლაპარაკობს, წრფელი გრძნობა ღაღადებს, სადაც სახის გამომეტყველება ყველაფერს ამბობს!

ამ დროს ფუნთუშა ლოყაზე ერთის წუთით გადა-
 ცოცებული სიწითლე იმდენს რამეს ამბობს, რამდენსაც
 ენა ერთ დღესაც ვერ იტყვის.

— შოთა, თქვენ ჩანგურის ხმა მოგწონთ?

— ძალიან.

— მაშ დაუკრავ.

— თქვენი ნებაა.

ერთ წამზე თამრო ჩანგურით გაჩნდა.

— სკამზე ჯდომით დაიღლებოდით, მოლში და-
 ჯექით...

შოთა სიამოვნებით ასრულებს თამრიკოს სურ-
 ვილს.

მზე უკვე ჩავიდა. ნელი სიო კარმიდამოს ეჩუ-
 რჩულება. მთვარემ ღუზა აუშვა, ალამი გაშალა. მაყრი-
 ონს თავს უყრის. ჯერ-ჯერობით ორიოდვე ეგებება.

თამრიკო ფეხ მოკეცილი ზის. შოთა წამოწოლილი
 მისჩერებია.

სიმებს ჩამოკრა ბროლის თითები...

აქვითინდა, აქდერდა გრძნეული...

ყრუ, ნარნარი ჰანგი ეფინება იქაურობას...

ნაზად კენესის, წკრიალებს...

ხან იცინის, ხან სევდით ქვითინებს... ხან მეჯლი-
 სობს, ხან მოსთქვამს...

ხან სულ მინაბავს, ხმას მიამკვდარებს...

ხან კი გულის სიღრმიდან ამოიკენესებს, ჰანგს
 აუმაღლებს...

„ჩანგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყვე-
 ლაო...—“მისტირის ჰანგებს თამროს ხმა...

ღუმს იქაურობა...

შოთა ვერას გრძნობს, მიბნედილა... გულის სიმს
 ურხევს ჩანგურის ხმები... ჰანგს შეეწება, გადაეხლართა...

გულში ჩაეკრა ოცნების ღმერთსა, და მითვლემილი:
გრძნობა მიხდილი მისცურავს, მიქრის ციურ ეთერში...

ოცნების ნავი... ციური ბადე, ანგელოსთ ხმებით
დანაგრეხავი...

თამრო ნავში ზის და ნიჩბებს უსვამს... შვების
ტალღებში ტურფად მიცურავს...

შოთაც ნავში ყავს გარინდებული...

მიყავს, მიაფრენს ოცნების მხარეს...

იქ ბროლის მკერდში ჩაკვრას პირდება...

დაავიწყდა ყველაფერი...

არსებობს მხოლოდ წამი...

თვით უკვდავება, თვით ნეტარება...

.

შეწყდა ლოცვა ღვთაებრივი... შეიწირა მსხვერ-
პლი აბოლლომ...

იქაურობამაც ამოისუნთქა...

სულ-განაბული შოთა მხოლოდ ეხლა შეინძრა.

—თამრიკო...

— რა იყო?

— თამრიკო...

თვალთ უბნელდება, გრძნობა ეკარგვის, თრთის...

— რა იყო?

თამრიკოც შეკრთა, გაწითლდა, შოთას სიტყვებში
რალაც იგრძნო...

— მიყვარხართ...

— შეც...

ვნების ტალღა აქუხდა, გადმოხეთქას ლამობს...

თამრო შველივით წამოიკლანკა და ელვასებრ სახ-
ლში შეიქრა...

„ეხლა წადიო“, შოთას ეს და მოაძახა.

XIII

მთვარე მიცურავს... მხარს უმშვენებს მაყრიონი...
ქვეყანა ვერცხლის სხივებს ჩაკოჰნებია...

სულ-განაბული მისვენებულა, ვით სატრფო სატ-
რფოს მკერდზე... გარინდებულა...

ბულბული თვის სიმღერასავე დაუთვრია... მიბნე-
დილი სტვენს...

შოთას გულში კი ზღვა ბობოქრობს, ვნების მორე-
ვი ტალღებს ატლაშუნებს... უგზოუკვლოთ ეხეტება
წმიდა გრძობათა ხომალდი...

მალლობზე დგას... სოფელს დაყურებს... ფიქრთა
კალთებშია...

„ღმერთო ჩემო! რაა ჩემს თავზე? რა მემართება?
მითხარი ცაე, დედამიწავ! მთვარეე, ვარსკვლავნო! დე
აღმიტაცეთ, ცას ამაფრინეთ! ოცნებაე, ფრთები შემასხი!
სიოე, ველათ გამიტაცე, წამიღე... რათა ყველას და
ყველაფერს ეუამბო ჩემი აღფრთოვანება!.. ბულბულო,
შენს ჰანგს გამაყოლე! რომ მასთან ერთად შევების ზღა-
პარი ეუამბო კარმიდამოს... ახ!.. ასე ბედნიერათ არა-
სოდეს არ მიგრძენია თავი, არასოდეს!.. შეებაე, სი-
ხარულო!“..

შოთა შოლში გაიხლართა... ცას შეყურებს...

უცებ ზეზე წამოიჭრა, ვერ დამაგრდა...

„ვინ გამაბედნიერა? თამრიკო... თამრიკო... შენ..
მე კი... რა მდგომარეობაში ვიყავი, კინალამ სულით
დავეცი!.. ასე მეგონა ცხოვრება მომესპო, მაცოცხლე-
ბელი ძარღვი გადამექრა!.. და... თურმე ასეთი ბედი კი
მომელოდა... თამრიკო... თამრო“...

შოთას მთელმა თავის განვლილმა სიცოცხლემ თვალ-
წინ გაურბინა, მოგონების რვეული გადაუშალა.

ახლო წარსულმა შეაძრწუნა, შეაშინა. შავათ, ჯოჯოხეთის კუპრათ ეჩვენა ელენესაგან უარის მიღების შემდეგ გატარებული დრო.

„ღმერთო ჩემო! რა საშინელებაა! ნეტავი არ მომაგონა სრულებით ეს დრო! როგორ დავეცი, დავძაბუნდი, სიცოცხლის უნარი დამეკარგა! პირველ დამარცხებისთანავე იარაღი დავყარე, უარვყავი ჩემი თავი, ჩემი ძალა... და თითქმის ქვეყანაც კი... რა სულელური აზრები მომდიოდა თავში? რას არ ვფიქრობდი? ახ!..“

შოთას თავისივე თავის შერცხვა, გაწითლდა. ოღონდაც აგრე უნდა მოხვლოდა! წარმოიდგინეთ, რომ იმ ადამიანმა, რომელსაც ცხოვრებაში არც ერთი დაბრკოლების წინ ქედი არ მოუხრია, უცებ თავი დამარცხებულათ გამოაცხადა. მუდამ ცხოვრებას შეტრფოდა, მის გასაუმჯობესებლად ათასჯერ თავი გადუდვია, მთელი თავისი ახალგაზრდობის ძალ-ღონე ამ ქვეყნიურ სამოთხის დასაარსებლად გადუდვია და ერთი შემთხვევის გამო კი ყველაფერი უარყო, შეიძულა.

„რა ჩავიდინე, რა? მე თვითონ მრცხვენია“, — ფიქრობს შოთა, — თან თავსაც არ ვუჯერი. ნუ თუ მე, მე, შოთა ბროლიძემ. ზურგი შევაქციე ჩემს უწინდელ აზრებს და თითქმის ყველაფერი უარვყავი? ეს რომ ჩემს ამხანაგებს ვუამბო, არავინ დაიჯერებს, მეტყვიან — ცილს სწამებ შენს თავსო, ან განგებ იგონებო! დიახ, არ დაიჯერებენ, მეც ვერ დამიჯერებია, რომ ყველაფერი ეს ნამდვილათ მოხდა ჩემს ცხოვრებაში, მარა... ნამდვილათ კი იყო. სრული სიმართლეა, სრული... თამრიკო, შენ შემოგველე... გენაცვალე... თამრიკო... ახ, ღმერთო ჩემო! რა მომეჩვენა, რა იყო? სიდან ისმოდა ციური ხმები? ანგელოზი ხომ არ იყო?!

სიტყვობების ზღვა ვერ დაუწყნარებია... შფოთავს,

ტალღას ტალღაზე გადისრვის... თამრიკოს სახე არ შორდება; ბროლის თითები... ბროწეულის ტუჩები... ბამბის ყელ-კისერი, გულ-მკერდი... ბროლის ფუნთრუშა ფეხები...

თვალ წინ უდგას ყველაფერი...

ელენეს სახეც. ამოუცურდება ხანდახან, მარა ფიქსლავ იშორებს... სცხენია უნებლიე მოწამისა...

„თამრო, შენ გაამრთელე ჩემს გულში ჩამსხვრეული ქნარი... გამიბი გულის სიღრმეში ჩაწყვეტილი სიმი... თამრიკო... თამრო... ახ, ღმერთო ჩემო! რა ბედნიერი ვარ!.. რა ბედნიერი!..“

შოთა დიდხანს დაყურებდა ხმა ჩაკმენდილ სოფელს... ათასი ფიქრი ირეოდა მისს თავში. ყველა ის ფიქრი და აზრი, რომელთაც ის ასე თავდადებით ემსახურებოდა, გარს შემოერტყა რკინის რგოლათ და თითქოს უსაყვედურებდენ: რათ აგვადე ხელი ეს ერთი თვეზე მეტიაო.

შოთას ასე ეგონა, თითქოს ეს კითხვები და აზრები სოფლიდან წამოიშალენ... დროებით მოშორდენ მშობლიურ კერას და ერთ დღეს მათთვის თავდადებულს მომართეს, — ჰკითხეს: რისთვის არა სდებ უწინდებურათ ჩვენთვის თავსაო...

და შოთას კვლავ შერცხვია...

„მე? მე უნდა მომმართონ ასეთის საყვედურით? არა ღმერთო ჩემო! რა ყოფილა ადამიანის ცხოვრება! ადამიანის ბუნება? არ ვიცოდი... არ ვიცოდი“...

კიდევ დიდხანს იდგა შოთა ფიქრით მოცული, გულ ათრთოლებული... სიყვარული, იმედი, სასოება, სიხარული, ყველაფერი მის ხელთ იყო ამ დროს... ყველაფერი მასში მოთავსებულიყო...

იგრძნო, რომ საუკუნოთ შეუერთდა უხილავის ძა-

ფებით ქვეყანას, კვლავ გაიბა ცხოველ-მყოფელი ძარ-
ღვი მისა და ამ ქვეყნის შუა...

მთვარის სხივებმა მიწას დააქედეს, სიომ გათქვიფა
და ჩააქსოვა მისი არსება არე-მარეში...

შვილი დაუბრუნდა მშობელ ქვეყანას, მშობელმაც
გულში ჩაიკრა იგი.

უცებ შოთა შეინძრა, ხელებ გაშლილმა სოფელს
მიმართა და ბრწყინვალე, გასხივოსნებულის სახით გა-
დასძახა:

— შენის აზრებით აღფრდილვარ და შენთვის მო-
ვკლები, მაპატიე შეცოდება!..

სიომ შორს გაფანტა ეს დაძახილი... ბულბულმა
ჰანგთან ერთად ველს მიჰფინა იგი...

გახარებულმა მთვარემაც სხივთა თეკა წამოასხა
აღფრთოვანებულ ქაბუკს...

XIV

თამრო თრთის, კანკალებს... სულს ვერ ითქვამს...
სახე აელეწა... მკერდში ხელებს იჭირებს...

ნიაღვრათ ქცეული გრძნობა ვერ დაუმაგრებია...
მუხლები ეკეცება... გული აუზვირთდა... მიიბნიდა...

ჩაიკეცა... ისევ წამოიჭრა... ფანჯარას მივარდა...
უნდა დაინახოს მიმავალი შოთა...

შერცხვა... გაწითლდა... ფანჯარას მოგჯა... მი-
იმალა...

ხტის... იცინის... ჩაჯდა, თვლებზე ხელ მიფარე-
ბული... კიდევ ფანჯარას მიეჭრა...

შერცხვა ხის, მთვარის, სიოსი... დაიწვა... კარში
უნდა გავიდეს, მარა ვერ ბედავს...

„ვაი თუ დედამ გაიგონა!.. როგორ წამოვიძახე!..
თავი ვერ შევიმაგრე... მისი ქირიმე... რა ლამაზია!..

შოთა... ახ, ღმერთო! რათ წავიდა? რათ? შოთა...
 შოთა!.. ღმერთო, ღმერთო, რა მემართება?.. როგორ
 მომჩერებოდა!... როგორ!.. ახ!..“

მითვლემილი ჩაჯდა... ასეთი რამ მას არასოდეს არ
 უგერძნია, არასოდეს...

პირველათ აფართქალეზულმა წმიდა გრძნობამ და-
 ათრო ქალწული, გონება წაართვა...

„ღმერთო ჩემო!... ღმერთო ჩემო!...“

მხოლოდ ამას იმეორებს თამრიკო და ვერხვის ფო-
 თოლივით ცახცახებს...

გულმკერდი, ლოყები, მუხლები, მთელი სხეული
 უთრთის... სადღაც მიიწევს... უნდა ვინმეს მოე-
 ხვიოს, შემოეწნას, მიემაგროს, აფეთქებული ტანი დაი-
 ყუჩოს...

„შოთა... შოთა... სადა ხარ?.. სადა?..სად წახვედი?“

თამრიკო მოწყდა აღგილიდგან... აბუმბულეზულ
 ბალიშებს ჩაეკონა...

— შეილო, თამრო, რისთვის იყო ის ყმაწვილი?
 შემოესმა დედის ხმა.

ფიცხლავ ზეზე წამოიქრა, თმა გაისწორა. რაღაცა
 შიში იგრძნო.

— არ ვიცი, დედა!

თამროს ხმაზე ყველა მიხედებოდა, რომ რაღაც და-
 ნაშაული ჰქონდა ჩადენილი.

შეეშინდა—არ გაეგონოს შოთას რაც ვუთხარიო.
 კდილობს დედას ხმაზე შეამჩნიოს თუ უკმაყოფილოა.

— სულ არაფერი სთქვა, შეილო? აბა ისე რა უნ-
 დოდა ასე უდროვო დროს?

— არ ვიცი დედა, მგონი მამა უნდოდა ენახა...

თამრომ ჩვეულებრივად ეცნო დედის ხმა. გათამამ-
 და. კარში გამოვიდა. თუმცა სირცხვილი ძალავს, დე-

დისათვის პირდაპირ ვერ შეუხედნია... სუნთქვა უჭირს...

— დედა, მამაც მოდის ყანიდან! აი... შეხედე...

შუა ეზოში მოდიოდა გაბრიელი... მაღალი, გრძელი, ქალარა წვერებით... კეფაზე ყაბალახით... მთვარის სხივებზე მელოტი შუბლი სარკესავით ლაპლაპებდა... მხარზე თოხი გაედო.

— ბერი კაცო, რაზე იგვიანებ ასე? ვერ მოხვალ დროზე? რას აკვდები და იგლეჯ წელსა და გულს! ცოტ-ცოტათ იმუშავე, რამდენი ჯოგი შენ გყავს სარჩენი!.. უსაყვედურა ქმარს სიღონიამ.

— დედაკაცები ვერ მასწავლიან მე მუშაობას! შენ შენი საქმე ქენი!.. უთხრა გაბრიელმა წყნარათ და თოხი შეინახა.

— შეილო, თამრო, ერთი ცივი წყალი დამალე-ვინე...

თამრიკო იმ წუთს ქაზე გაიქცა. სიღონია ვახშმის სამზადისს შეუდგა.

გაბრიელი ერთობ გამრჯელი კაცი იყო. მართალია, გაქირებული არასოდეს არ ყოფილა, ნარა ცუდათ ის არავის უნახავს. მასთან გვარიანი ძუნწიც გახლდათ. არც სხვისი უნდოდა და არც მაინც და მაინც თავისით ასარგებლებდნენ ვინმეს! თქვენც არ მომიკვდეთ! ფულს თუ გაასესხებდა, სათანადო სარგებელი უნდა აედო, მეზობელს თუ რამეს ათხოვებდა, სამაგიეროთ იმასაც უნდა ეთხოვებინა, თორემ მეორეთ ტყვილა ჩაუვლიდა თხოვნა. ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ფულის გასესხება ერთობ ეძნელებოდა, ათასჯერ უნდა მიგემართათ, რომ ესესხებინა. თან გაბრიელის ხელში ნაქონ ფულს ყველა იცნობდა: ყურები სულ შემორგვალეებული ჰქონდა: ყალბი არ იყოსო და კვირაში ორჯერ მაინც მოახევდა ყურს და მზეზე გახედავდა.

— თუ ქონება არ მექნა ვინ მიპატრონებს?.. შეი-
ლებმა ან არ მარჩინონო! იტყოდა გაბრიელი და თუ მას
დაუჯერებთ, მართალიც იყო: შეილის მაგიერობა
კოლქმრისათვის სიბერის ქაშს ფულს უნდა გაეწია.

შეუდგენ ვახშობას. სამივე გრძელ სუფრას შე-
მოუჯდა. ქრაქი გუშავათ უნთიათ. თამროს გულში სი-
ხარულის ჩიტი ფარფატებს... მარა განგებ დარცხვენი-
ლია. იცის, რომ დედა შოთას ყოფნას ახსენებს და
ვაი თუ რამე შეატყონ!.. უნდა იმხიარულოს, მარა ვერ
გუბედნია, გრძნობას ბორკავს...

მშობლები დაფიქრებულნი არიან... მათი სახე და-
ნაოკებულია. ჩამოსხმულს უგავთ. ორთავეს ნათლათ
ასვიათ უკმაყოფილების ბეჭედი...

პირველ შეხედვისთანავე იტყოდით, რომ ამ ადამი-
ანებს ცხოვრებაში ბევრი დარდი უნახავთ, ბევრი სუ-
ლიერი ბრძოლა გამოუცდიათო...

დღეს კი თამრიკოა მათი უკანასკნელი იმედი, წუ-
თი სოფელთან შემაერთებელი...

ყოველ წუთს მაზედ ლოკულობენ, მეუფეს ავე-
დრებენ...

ანთებულ სანთელივით შეყურებენ.

— ამ სადამოზე გიგო ბროლიძის შეილი იყო აქა-
რ. შენი ნახვა უნდოდა—უთხრა ქმარს სიდონიამ.

— შოთა?—იკითხა უცებ გახარებულმა გაბრიე-
ლმა და კოლს შეაჩერდა.

თამრიკოს პირში ლუკმა გაუჩერდა. ცივი წყალი
გადაესხა... ზურგზე ქიანქველებმა გადაურბინეს... თავი
ჩაჰკიდა...

— ხო, შოთა.

— რაო, რა მინდაო!

— არ ვიცი.

— დიდხანს იყო?

— ასე.

გაბრიელი ჩაფიქრდა. თამრიკომ სული გატრუნა.

— დედაკაცი ამ წინაზე გითხარი იმისი არ იყოს, მაგ ყმაწვილი სახეიროა, არაა დასაწუნი და დაუკვირდი კარგად.

თამროს სიხარულის ბზრიალა დაუტრიალდა გულში.

— ნუ ჩურჩუტობ, ნუ! მაგი რა ჩვენი საქმეა? გახვრეტილი კაპეიკი კაცს არ მოეძევება, ლარიბ-ლატაკის შვილია...

— კი, მარა სამაგიეროთ კაცია... გარე გახედულია, შესახედავთ კარგია...

— შესახედავთ, თვარა მისი სილამაზე საქმელია! გაიგონე ადამიანო, ხელ ცარიელ კაცს სწორეთ ვერ დავისიძებ, ვერა! ამდენ სიმდიდრეს რომ ვახვედრებ, თვითონაც უნდა ქონდეს რამე... თვარა ეგება ერთ წელიწადზე გააქროს ჩვენი ამდენი ხნის ნაწეღ-გულევი და ნაამაგარი!.. რა გულს მოეწეება ჩემი ნაშრომი!..

— ჭკუას შენ ვერ მასწავლი და რაცაა კარგი მეც კარგად ვიცი!.. მარა ის ყმაწვილი რალაც გულში შემეჭრა, პატარაობიდანვე მახსოვს, ჭკვიანი იყო, მუყაითი... სახელიც როგორიც მე მინდოდა ისეთი დავარქმევინე... ახლაა და მშვენიერი წამოსადეგი კაცი დარჩენილა... ამას წინეთ კანცელარიაზე ვნახე და გული გამინათდა...

— კაი, კაი, ნუ მოყვები მონაზონივით!.. გოგოს მართალი ეგონება!.. გაწყრა სიღონია.

— რა მეგონება მართალი?— იწყინა თამრომ, — ვახ, გაგიწყდათ მიწა, მეტი არაფერი გახსოვენ!.. გათხოვება, გათხოვებაო, მიძახით მუდამ... არ მინდა ეს გათხოვება!.. თქვენ რას ჩივით, მე არ ვთხოვდები, არა!..

ამ სიტყვებით კარში გაეარდა... სიცილს ძლივს იკავებდა.

თამრიკომ კრავივით შეიკუნტრუშა სათიბში...

მთვარეს სხივების ხელით კოცნა გაუგზავნა... გული გადაუშალა...

მეორე სახლში გასვლა უნდოდა, მარა ცნობის მოყვარეობამ წაძლია და მშობლებს მიაყურა, — აბა რას ამბობენო. ყველაფერი ესმოდა.

— რაა, ბეჩა, რომ ბავშვთან მოყვები ყველაფერს? მე მარტო ვერ მეტყვი? უსაყვედურა ქმარს სიღონიამ.

— დასამალავი რა მაქვს!

— ასე იცი შენ! რაც უნდა იყოს ბავშვია, ვინ იცის რას იფიქრებს? ხომ იცი როგორი დროა. ბაწრით ვერ დაუმაგრებიათ შეილგები სახლში..

— კარგი, კარგი! დამანებე თავი. მხოლოდ ეს კია, მაგი ყმაწვილი ძაან მომწონს... ერთი კვირას უნდა გეყურებია რა ნაირათ ელაპარაკებოდა ჩვენს თამროს. ასე გეგონებოდა გადარეულა ეს ყმაწვილიო. ლამის შექამა... ცეკვის დროს დაინახა და ისე უყურებდა, რომ თვალი არ მოუშორებია...

— გავიგეთ, გავიგეთ! მერე შენ მოდი და მაშინვე ყველაფერი უთხარი ბავშვს, არა?! კარგია ერთი! დაუჯდა და ყველაფერი უთხრა იმ საღამოსვე...

— მერე რა?

— რა და ის, რომ გუშინ და დღეს სულ იმას ახსენებდა გოგო... ხან მის დას, კესოს, ხან მის მშობლებს...

— მერე რა? ახსენოს... არა, ლამაზი ყმაწვილი ხომაა! როგორც შეხედავ, გული გაგეხსნება მაშინვე, იმ წამსვე შეგიყვარდება. კაცი თუ კაცად ვარგა, სიღარიბისათვის არ დაიწუნება...

— კაი, კაი! შენ რაღაც დიდ რამეთ მიგაჩნია მაგ კაცი და მე კი ცხვირის წვერზედაც არ დავიდებ... მერე კიდევ... ჩემი სიკვდილი, ახლა მომაგონდა! სამი წელიწადი ციხეში რომ იჯდა? ის არაფერია? ნაციხარი კაცი უნდა იყოს ჩემი სიძე?

— ნაციხარი თვარა ის!.. ვინ არაა ჩვენს დროში ნაციხარი?.. ციხეში იმას ჩასვამენ, ვინც კაცია და ვარგა, თვარა გლახა კერაში ტუტას ჩხრეკავს ..

— ღმერთო, მომკალი! იტკიცა ლოყაში ხელი სიღონიამ.—სწორეთ გამოტეინდა ეს კაცი!.. რას ამბობს?

სიღონიას შეხედულობა „ნაციხარ ხალხზე“ გაბრიელსაც სწამდა. მეტსაც ვიტყვით, ასეთებს ყველას სულელებათ და მავნე პირებათ თვლიდა, მარა ამ შემთხვევაში შოთასათვის გამონაკლისი დაუშვა. მისდა უნებურათ გაამართლა.

თამრიკომ დაასკენა, რომ საქმე კარგად იყო დედის უარში „ჰოც“ ბევრი გამოიცინო კილოთი... სიხარულის ფრთები შეისხა...

XV

ლოგინშია... თავდაღმა ამხვია

ფიქრთა მორევშია... ოცნებობს... ათასნაირი სურათები ეხატება...

ვითომ შოთასთანაა... შორით უცქერიან ერთმანეთს... თრთიან, ადგილზე ვერ ჩერდებიან... ახლოვდებიან... ცეცხლი უგიზგიზებთ, იწვიან...

წუთი... და თამრიკოც მოწყდა ადგილიდან... ჩაკონა შოთა, გულში ჩააკვდა... შეეწებენ ერთმანეთს, გაერთსხეულდენ... მიინაბენ...

„ახ, ღმერთო ჩემო! რა იქნება? მაკოცებს... ვაკოცებ... პირველი კონა... პირველი... როგორი იქნება?

რას ვიგრძნობ? ჯერ არავისთვის არ მიკოცნია!.. არც არავის უკოცნია!.. ახ!.. შოთა... შოთა... მაკოცებს... ჩამიხუტებს... მერე... მერე?... ახ... ღმერთო... რა იქნება? რა?“

თამრიკო ვერ დამაგრებულა ლოგინში: ესაა ვნებამ დაგლიჯოს...

„როდის იქნება ყველაფერი ეს, როდის? ახ... რა მომათმენინებს მანამდე, შოთა... როგორც კი შევხვდები მაშინვე ვაკოცებ... არავის არ დავეძებ! არც სირცხვილს, არც ნამუსს!.. არა... მე ის მიყვარს, ვის რა უნდა, ვის რა ხელი აქვს!.. როდის მოვესწრო, როდის?..“

ერთი და იგივე სურათი ათასჯერ ეხატება: გზა მისცა ლალ ოცნებას... სტკბება, ნეტარობს...

თამროს ბავშვობიდანვე შეთვისებული ჰქონდა ის აზრი, რომ თავისი გათხოვებით მშობლები უნდა გაებედნიერებინა. ის კარგად გრძნობდა, თუ რა საუნჯე იყო მშობლებისათვის. ჩუმად, თუ ცხადად, მისი დედმამამუდამ მისს დაქორწინებაზე ბქობდენ, საქმროს უძებნიდენ. მეზობლებიც ხშირად უხსენებდენ დაქორწინებას. ერთის სიტყვით თამრო ისეთ პირობებში იყო, რომ უნდოდა თუ არა, მუდამ საქმროზე უნდა ეფიქრნა. კიდევ შეეზარდა ამ აზრს, შეეჩვია. ცოტათი ხანში შევიდა თუ არა, ამხანაგებთან ერთად ყოველ კვირაში „ბედის კვერს“ იკეთებს, სარკეში ჩახედვით საქმროს ეძებს... ამასთანავე ნათქვამი აქვს ამხანაგებისათვის, რომ როცა მას არ ეცოდინება, ისე სასთუმალში ცოცხალი ბაყაყი დაუსვან — იქნებ საქმრო დაასიზმროს... დედმამის ჩუმად დავითნს აბრუნებს, ყმაწვილებს აკვირდება... ერთი სიტყვით თამრიკო აფრენას აპირებს, მხოლოდ ჯერჯერობით ფრთები არ მოზრდია. მარა უბედურება კიდევ ისაა, რომ ჯერჯერობით არავინ შეუყვარდა; მართალია, ბევრი

მაქანკლები კი დაუდის, მარა მისი გულის გამბობი ყმაწვილი ჯერ არ შემოძლევია. დედ მამას არასოდეს არ გადააქრიდა, „მათ წინააღმდეგ როგორ წავიდოდა“, მარა სიყვარული მაინც კარგი რამ უნდა იყოს, აკი ყველა ამაზე ლაპარაკობს... მაშ რისთვის არ ესახება თამროს გულში? ეხლა კი მოხედა ღმერთმა... შოთა ლამაზი ყმაწვილია, მშობლებიც, ისეა საქმე, უარს არ იტყვიან... თვითონაც უყვარს.

წარმოიდგინა, ვითომ გათხოვილიც არის... მშვენივრათ აცვია, ახურია, საყდარზე მაზედ უკეთ ჩაცმული არაეინაა, სილამაზით ხომ ყველას ჩრდილავს... შოთაც ყველას თვალთა: მისი ქამარ-ხანჯალი ერთ ბიჭათ ღირს, თივთიკის ნაბადი ვაჟაკობას უსაკეცებს... მთელ სოფელს ენატრება იმათი ბედი. დედ-მამა გახარებული ყავთ... თან შვილებიც შეეძინათ— ქალ-ვაჟი. მათ შეხედვას არაფერი სჯობს, მოწყვეტილი ვარსკვლავებია. ვაჟი ჩოხითა ყავთ მორთული, იარაღში უზისთ... ერთი სიტყვით ყველაფრით ბედნიერები არიან. არაფერი არ აკლიათ: არც მიწა-წყალი, არც ფული; დიდებული სახლკარი აქვთ... მოსამსახურე გოგო-ბიჭი ყავთ... მშობლების გული გააბედნიერეს, მტერს თვალი დაუფსეს...

რაზე არ ფიქრობს თამრიკო, რა არ წარმოიდგინა?...

ოცნებამ დაათრო, სხეული მოუდუნა, მოლალა...

ცეცხლი დაუნელდა, ტანი დაუწყნარდა, საფეთქლებმა ცემა შეწყვიტეს...

ძილი კი არ მოდის...

შოთამ წაართვა...

კარში გამოვიდა... სამოთხეში გონია თავი... ასე მომხიბლავათ, ასე წარმტაცად არასოდეს არ ჩვენებია მთვარიანი ღამე...

ყველაფერი სიყვარულით გაჟღენთილათ წარმოუდ-

გა... ყველგან წმიდა გრძნობა ჩქეფდა, უმანკოება თრთოდა...

„ღმერთო ჩემო! რა ბედნიერებაა!.. ყველაფერი ხარობს, თრთის... სიო ხე-ტყეს ეჩურჩულებს, ეხმატკბილება... სუ!... სიყვარულს უხსნის, სიყვარულს!.. ალბათ მისთვისაა ზგრე სათუთი, ნარნარი... ბულბული!.. ისიც სატრფოს დასკურღულებს, დაკენესის... ხის ტოტებიც როგორი ლმობიერებით ეკვრიან ერთმანეთს!..

ალბათ შეყვარებულნი არიან, ჩურჩულებენ... ღამით დრო დაუხელებიათ, არაფინ უცქერისთ და კოცნიან ერთმანეთს... ბედნიერები!... მთვარე... მთვარე ხომ ნამდვილ შეყვარებულ ქალწულსა გაეს!.. მე მგაეს... მე... ხა... ხა... ხა... დახეთ ერთი როგორ ირცხვის, წითლდება... კდემამოსილ ჩადრში იმალება... ახ, შენი ჭირიმე! შენ გენაცვალე, მთვარე... ვინ გიყვარს, ვინ, შენ გეთაყვანე? ვის წინაშეა, რომ ვნებით მიბნედილხარ? ა? ვიცი, ვიცი, შე კუგრუმელავ!.. შენ დედამიწა გიყვარს, მას ეარშიყები შორიდან... გაგიგე, გაგიგე გულის ნადები... მთვარე, იცი? მეც შეყვარებული ვარ, მეც მიყვარს... ხა... ხა... ხა... ხა... იცი ვინა? იცი? კი? არა, არ გეცოდინება! შენ არ მომიკვდე! არა, გენაცვალე!.. არ გეცოდინება მეთქი, ხა... ხა... ხა... მე შოთა მიყვარს, შოთა“...

თამრიკოსთან ერთად იქაურობამაც გადიხარხარა, სიყვარულით გაიცინა... სამოთხეა ირგვლივ, ნეტარება... სიხარული...

სიყვარულით შეუშვირა მთვარეს ვნებით მღელავი ფუნთუშა გულ-მკერდი...

მთვარემაც მსწრაფლ დაცხრილა თამრიკოს ქორფა ტანი სხივებით, ეინი მოუკლა. ირგვლივ სიმღერაა წყნარი, ჩუმი... ნეტარობს ცა და დედამიწა, ბედნიერე-

ბის იქმნს გალობს... შვება და უმანკოება აკვანს არ-
წევს...

თამრიკო შიგ წევს და ისმენს ტკბილ ჩურჩულს,
ვით ჩჩვილი დედის ნანას... ვნების ზვირთებში ცურავს...
სხეულის ყოველი წერტილი უთრთის... საღდაც მიი-
წევს... რაღაცას ეძებს...

XVI

შოთას გამოცოცხლება ყველას ეამა.

მისი ტოლები გაკვირვებულნი იყვნენ—რა მოუვი-
და ამ ადამიანსო. მართალია, სჯეროდათ, როცა შოთა
აზობდა ავით ვარო, მარა ამის დასამტკიცებელი საბუ-
თი მაინც და მაინც ძლიერი არ იყო.

— რამ გამოცვალა ეს კაცი ასე, რამ გარდაქმნა?

— გული ხომ არ გაუტყდა დღევანდელის მდგო-
მარეობით?

— არ არის რაღაც დასაჯერებელი; თუ შოთასაც
გული გაუტყდა და არ წამს ბრწყინვალე მომავალი,
მაშინ მართლაც დაღუპული ყოფილა ყველაფერი...

— ცისა და დედამიწის შეერთებას დავიჯერებ და
მაგას კი ვერა... აქ რაღაც სხვა მიზეზია... ხშირი იყო
ასეთი მუსაიფი შოთას ამხანაგებში.

მართალიც იყვნენ... შოთა ყველასათვის სამაგალი-
თო მუშაკი იყო, როგორც ქალაქში, ისე სოფელში,
როცა კი ჩამოვიდოდა. და, რასაკვირველია, რომ ყვე-
ლას ეჩოთირებოდა მისი ეხლანდელი უმოქმედობა და
დაგონებული ყოფნა.

უკვირდათ მშობლებსაც. მართალია, შოთას მოღვა-
წეობას ისინი აღმაცურათ უყურებდნენ და ხშირათ აყვე-
დრიდნენ, რომ „ქვეყნის სატირალს შენ რა გატირებს,

ხალხს შენ ვერ გააბედნიერებ და მხოლოდ თავს დაი-
 ლუპავო,“ მარა მეორე მხრით თავმოყვარეობაც თავისას
 შევბოდა: მშობლები ხშირათ ლაპარაკობენ თავის გულ-
 ში,—მადლობა ღმერთს, თუ ჩვენ მუდამ დაბეჩავებულნი
 ვყოფილვართ და არავის შეუმჩნევივართ, შეილი მაინც
 კარგი გვყავს, ქკვიანია და კაცად ცნობილიო. გიგო
 ხშირათ ეტყოდა ხოლმე ცოლს დაქებით:

— ჩემს შოთას ჩემი ქკუა გამოყვა და არა შენიო.

რა კი ასე უყურებდენ შოთას მშობლები, რა გა-
 საკვირია, რომ მისი უმოქმედობის დროს კიდევ შეში-
 ნებოდათ და თავმოყვარეობაც შელახოდათ. გიგო ხში-
 რათ ეცადა ფრთხილი კითხვებით და შორიდან ჩამოარა-
 კებით წამოეცდევინებინა რამ შეილისათვის, გაეგო თუ
 რა აზრისა იყო თავის უწინდელ მოღვაწეობაზე, მარა
 ამათ,—მიზანს ვერ მიაღწია: შოთა ან სულ არას უპა-
 სუხებდა და ან მაშინვე მოუჭრიდა სიტყვას.

თითქმის ასევე ექცევოდა შოთა ტოლებსაც. ბევრი
 იმათგანი შოთასთან ერთად იყო ქარხანაში მუშათ და
 დღეს, იქ უმუშევრათ დარჩენილი, ისევ სოფელში შემო-
 ხიზნული იყო: ზოგიც ძვირათ თუ გაშორებოდა სო-
 ფელს: ადრე დაცოლშვილებულ გაცოდვილ-გაჯახი-
 რებულნი ირჩენდენ თავს ორიოდე კვალი მიწით და
 რაღაც „ფოჩხით“ ზოგი პარასკეობას დალალობდა ახ-
 ლო მდებარე დაბაში, ზოგიც ვაქრობდა ჯაგარს, კვერცხს,
 ქათამს და ამნაირათ აპურებდა ცოლშვილს და უძღვებოდა
 მტერ-მოყვარეს. დიახ, ყველა ესენი კარგათ იცნობ-
 დენ შოთას და ასე გამოცვლილის ნახვამ ისინიც და-
 აფიქრა

მაგრამ ეხლა, რა კი შოთა ისევ ძველი შოთა შე-
 იქნა, ყველამ ფრთა გაშალა და მის გარშემო შემოკრბენ.

სიხარულის ღრუანტელმა დაუარათ, როცა გაიგეს,

რომ ამაღამ ამა და ამ ადგილას კრებაა დანიშნული შოთას ინიციატორობითო.

კვირა საღამო იყო... ბნელეთმა კალთები დაუშო... ზეცამ სანთლები ააციმციმა...

სოფლის ერთ მიყრუებულ ადგილს მდებარე დობილოში რამოდენიმე ყმაწვილი წამოწოლილიყო... დაყუდრებული ადგილი მოენახათ... ბებერი კაკლის ხე ქალგათ აღგათ.

კიდევ ცოტა ხანი და ოცზე მეტი კაცი მოგროვდა. ოხუნჯობენ, ლაზლანდარობენ, მომავალ სამუშაოზე ბქობენ.

— ოხ, ღღეს იმდენი ვიცეკვე, რომ ფეხები მეტკინა,— ამბობს ერთი.

— ღღეს თუ ფეხები აცეკვე, ხვალ ორშაბათია და ხელები აცეკვე... შაბათამდე გაგვარდება, შეილოსან, ქირქატი...

— ნეტავი სამუშაოს ვიშოვიდე, თვარა ღღეისწორ კვირასაც, სიტყვას გაძღევე, ათჯერ ვიცეკვებ...

— რავა, ბიქო, ათავებ თოხნას თუ?

— აბა ხომ არ ჩაებერდებით შიგ? მერმე იქნება ჩვენს კნაზს მოურიგდეთ, ბილიდოურში სამარგელი აქვს.

— რამდენი მუშაობთ ერთად?

— თორმეტი. მარა ვადენტ კი ბღღვირს...

— მე, ძმაო, ამ აბრეშუმობაზე თოხნას ცოტა ვულალატე, მარა სამაგიეროთ მომტეხეს ქალებმა ფურცლის თრევით კუსუბო... გადაყვევი მეტი არა ვარ, ოლონდ ღამე არ მძინავს ბჟოლაზე, თვარა მუღამ ზედ ვარ... ჩამოვეხევი, თვარა სხვას ვინ ჩივა.

თავი მოიყარეს. წესისამებრ თავმჯდომარე აირჩიეს და საქმეს შეუდგენ.

პირველათ ილაპარაკა შოთამ.

ყველა სულ-განაბული უსმენდა. წრფელი სიტყვე-

ბი გულში ხვდებოდათ, გულის სიღრმიდან ამონაგლეჯი სიმაართლე ყველას თვალ წინ ეშლებოდა.

შოთა ლაპარაკობდა დალაგებით, წყნარათ, მხატვრულათ. არც ერთი ფუქი სიტყვა არ წარმოუთქვამს, არც ერთი აზრი დაუსახელებელი და გაურკვეველი არ დაუტოვებია. მან საკვირველის ნიქით და უნარით დააწყო თავისი აზრები მძივებივით ერთ ძაფზე, მხატვრულის შედარებებით გააშუქა და შემდეგ ნაირათ დაასკვნა:

— მაშ ასე, ამხანაგებო! ჩენი სამოქმედო პროგრამა დღეს ასეთი უნდა იყოს: უნდა ვეცადოთ, რომ დანგრეულ-დაფუშული ერთობა ისევ აღვადგინოთ; უფრო ღრმათ უნდა შევაგნებინოთ მშრომელ ხალხს, რომ მათდა საბედნიეროთ აუცილებელია ხელი-ხელ ჩაკიდებული ერთად სიარული, გაწყვეტილ ფერხულის კიდევ გაბჟა. ამას მოვახერხებთ ჩვენ მხოლოთ ეკონომიურ ნიადაგზე. თუ ხალხს მდგომარეობის გაუმჯობესობაში დავეხმარებით, ისიც ჩვენთან იქნება. რა საშვალებას უნდა მივმართოთ ამ მიზნის მისაღწევათ დღეს სოფლათ? კოოპერატიულ ამხანაგობებს, წვრილ კრედიტს, სკოლას, ბიბლიოთეკას და სხვა. ხომ გინახავთ მდინარის კალაპოტში სადმე მიგდებულ კუნძის ახლო როგორ მოუსილავს? ის მონასილავი თანდათან გაზრდილა და ერთ მშვენიერ დღეს კუნძულათაც კი გადაქცეულა? ასეთი კუნძულის როლს ითამაშებენ დღეს ზევით ჩამოთვლილი საშვალებანი. ამასთანავე ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენს მოქმედებაში ჩაქსოვილი უნდა იყოს კლასთა ბძროლის გაღვივება. ამნაირათ ჩვენ გავვიადვილდება მშრომელი ხალხის პოლიტიკურათ აღზრდა და გათვითცნობიერება. მაშ ჩენი სამოქმედო ფორმულა ასეთი უნდა იყოს: მშრომელი ხალხის პოლიტიკურათ აღზრდა

ეკონომიურ ნიადაგზე. დიახ, ესაა ჩვენი მიზანი. ეხლა იკითხავთ, თუ რა გზით უნდა განვახორციელოთ ეს? როგორც აშკარა, ისე ფარული გზით, ანუ უცხო სიტყვებით რომ ვსთქვათ: როგორც ლეგალურათ, ისე არა ლეგალურათ: ვიმოქმედებთ, როგორც დღევანდელი კანონების ჩარჩოებში, ისე მის გარეშეც. ამასთანავე ნუ დაგვაფიწყდება, რომ ჩვენც მომზადებული უნდა ვიყოთ! უნდა ვიცოდეთ ჩვენი ცხოვრების, როგორც წარსული, ისე აწმყო, სულ ერთია ეს ისტორიის საშვალეებით იქნება, თუ ლიტერატურის. უნდა ვიცოდეთ კაცობრიობის განვითარების ისტორია, სხვა ხალხთა ყოფა-ცხოვრება, მისწრაფება, რამდენათაც შესაძლებელია, მათი ლიტერატურა და სხვა და სხვა. უნდა ვეწაფებოდეთ აგრეთვე მეცნიერებას. ერთი სიტყვით, ყველაფერი ეს მე ისეთ ანბანურ ქეშმარიტებათ მიმაჩნია, რომ ზედმეტია ამაზე კიდევ ლაპარაკი...

ილაპარაკეს სხვებმაც. ყველა იმ აზრის აღმოჩნდა, რომ საჭირო იყო თავიანთ მოქმედების გამოცოცხლება. ამასთანავე უნდა დაეხმარებინათ მასწავლებლები და ამნაირათ უკვე კარგა ხნის უკან ჩასახული მშრომელი ხალხის საკეთილდღეო მოქმედება, უფრო უნდა გაეჩაღებინათ და გაეფართოვებინათ.

ყველაზე მწვავე და სადღეისო საკითხი მთელი სოფლისათვის ეხლა პარკის გაყიდვა იყო. ამის შესახებაც, რასაკვირველია, იმსჯელეს. დაადგინეს მასწავლებლების და ახალგაზრდა მღვდლის—ანტონის—საშვალეებით მოეწვიათ ყრილობა, რომელზედაც ხალხს გააფრთხილებდენ ჩარჩებისაგან და მათთან ერთად პარკის კარგ ფასებში გასაყიდ გზას გამონახავდენ.

სათანადო დადგენილება მიიღეს იმის შესახებ, თუ როგორ ემოქმედნათ ქსენონის გახსნის საქმეშიც.

XVII

მზე თავს დასტრიალებს დედამიწას.. უნდა დაცვარული პირი შეეშროს...

აგერ-ეგერ მიწას ორთქლის ლეჩაქის ნაგლეჯები წაუფარებია...

მზის სხივები ნისლში ლალ-ფირუზის მძივებს აპნევს...

დაფოთლილ ხეებსაც ნისლი შემოფიფქია...

სკოლის ეზოში ქრიაპულია. ბავშვების ევილ-ხივილი ცას წვდება.

თითქმის ყველა ფეხშიშველია... ფერ-მკრთალნი, ჩაყვითლებულნი...

ზოგი კოხტათ ჩაცმულია, ზოგი მოჩანჩულათ... ზოგსაც ჰაერის სანაფარდო სარკმელები ბლომათ აქვს ბლუზა-შარვალზე.

რიგი წიგნს კითხულობს, რიგი თავდაყირა გადადის... ათასნაირ რამეს თამაშობენ.

ერთ კუთხეში მოსწავლე გოგოები მოგროვილან... ზოგს ლურჯი ფართუკი აფარია, ზოგს თეთრი—მელნით დაშხეფილი. რიგი ნაცრის ფერათაა მორთული, რიგიც მიხაკის... კაბები მუხლებზე ძლივს წვდებათ.

ერთ-სართულიანი სკოლა გახუნებულ პალტოიან გენერალივით დგას: კედლები შემოკრცვია, სახურავი ჩამოქოქილი აქვს, დერეფანში მასწავლებლები სეირნობენ... ჩამპალი იატაკი საცოდავით წმუკუნებს... ჩამტვრეულ ფანჯრებში ხანდახან ქარიც შერგავს თავს... სვეტთან რალაც ძველი მუზარადის მაგვარი ჰკიდია... ეს სასკოლო ზარი გახლავთ...

მასწავლებელი ოთხია. ერთი მათგანი ქალია. მათ-

შივეა სამღვთო სჯულის მასწავლებელი მღვდელი ანტონი.

ორ მასწავლებელს უბრალო ბლუზები აცვიათ, მესამე კი სულ ჩაყვითელ-ფოლაქებულია. თუ სადმე შესაძლებელი იყო, ყველგან ყვითელი ფოლაქი მიუმაგრებია... მეტის რეცხისა და ხმარებისაგან დავრდომილ „ტუჟურკას“ ამით აგვარიანებდა... თუმც არც შარვალი ჰქონდა უკეთეს მდგომარეობაში: უკან, სადაც ჯერ არს, თეთრ ძაფს ნასაძვალ ევარი შემოერგოლან... გახუნებულ, ხავერდ-შემოცვეთილ ქუდსაც ორი კაკარდა უმშვენებდა... ჰო, მართლა, ლამის გაგვაფიწყდა! ტოტებ შემოჩიჩხვეულ შარვალზე, წინ, სადაც შეეფერებოდა, ყვითელი ფოლაქები ებნია... „მეტი ფოლაქი შემექნა ნაყიდი და აბა ხომ არ გადავაგდებდიო“, იტყოდა ეს მასწავლებელი, როცა ამას შენიშნავენ.

* — აბა! „ბატუშკა“, შენ გეგონა, რომ ნარდში მჯობებდი? უთხრა მღვდელს ჩაკაკარდებულმა მასწავლებელმა.

— ცოტა გადაკრული არ ვყოფილიყავი, რასაც გაიტანდი—ის შენ დაგექანდა...

— გადაკრული შენ იყავი და მე არა?

— მაინც რა კაი ღვინო იყო! ჩაერია ჩავვარგვალელებული მასწავლებელი.

— კაი ღვინო, თვარ: შენ რომ მსმელი ხარ?! დაცინვით უთხრა ჩაკაკარდებულმა და მასწავლებელ ქალს გადახედა, რომელსაც კარგი ხანია რაც ეარშიყებოდა, მარა თანაგრძნობა ვერ მიელო. ქალს ჩავვარგვალელებული მასწავლებელი უყვარდა და დღეს თუ არა ხვალ მაინც გვირგვინს „იფსკენიღენ“. დამარცხებული კაკარდოსანი კი ყოველ საშვალეებას ხმარობდა მათ შუა გასაჩხირებლათ.

— უჩიტლებო! ეი, უჩიტლებო! გადმოძახა კანცელარიიდან მწერალმა.

— რა გინდა, პლატონ ჩემო? შეეკითხა ჩაფოლაქებული მასწავლებელი.

— ჩაღბით გუშინ? ვაი თქვენს ტყავს!.. როგორ შეგრჩათ!.. ნანობდა ჩამტვრეულ ფანჯარაში თავგამოყოფილი მწერალი.

— შენს მაგიერათ მამასახლისმა ხუხა! დაიმედა მღვდელმა.

— მერე მე რაი? ჩემი მუცელი ხომ არ ქონებია თან!..

— აწი არ არის დარეკის დრო? იკითხა მასწავლებელმა ქალმა და კისერზე გრეხილით მიბმული უბრალო საათი სარტყელიდან ამოიღო.

— ჯერ რა დროსია? იწყინა კაკარდოსანმა.

— როგორ თუ რა დროსია? გაკვეთილზე მეტი „პერემენა“ უნდა იქნეს? პირველი გაკვეთილის შემდეგ ნახევარი საათის დასვენება ვის გაუგონია?..

მასწავლებელმა ქალმა ძველი მუზარადის ენაზე ჩამოპორწიალებულ ბაწარს წაავლო ხელი.. მუზარადიც აბარდლუნდა...

მოსწავლენი სკოლისაკენ წამოციცქინდენ...

კაკარდ-ფოლაქებიანი მასწავლებელი ბრძანებითი კილოთი გაჩერდა კიბესთან და თავის განყოფილებას აჩვენა—დაეწყვეთ და ისე ამოდითო...

სურვილი ფიცხლავ აუსრულდა, ვინაიდან მოწაფენი დაგეშილი ყავდა.

კაკარდოსანს ეამა და ამაყად გადახედა ამხანაგებს... გულში კი გაივლო: ღმერთო, როდის იქნება, რომ სარევიზიოთ ინსპექტორი მოვიდეს და ჩემი ასეთი ცდა და შრომა ვაჩვენო, თან ასე დაწყობილი შეგირდები ვანა-

ხო, ყველაზე უფრო მოვეწონებიო. შემდეგ ბრძანება გას-
ცა და მოსწავლენიც სალდათებივით ოთახში შებრაახუნ-
დენ.

გაჩაღდა სწავლა. მღვდელი თავისუფალი იყო.

დღეს სოფელს პარკის გაყიდვის მოწესრიგებაზე
უნდა მოელაპარაკნა; კრება კანცელარიაზე იყო. რამო-
დენიმე გლეხი უკვე მოვიდა. მათ შორის შოთაც იყო.

მამა ანტონი მაშინვე მასთან მივიდა. მღვდელმა მშვე-
ნივრათ იცოდა, რომ შოთასთან საქვეყნო საქმეებზე
უნდა ელაპარაკნა და არა უმნიშვნელო რამეებზე.

დიღხანს ილაპარაკეს. მ. ანტონი ყოველ თავის
ნათქვამს უკვირდებოდა, და წონიდა—ხებრული არაფერი
ესტკვა და დღევანდელი ცხოვრების უცოდინარობა, ან
აზრებით ჩამორჩენა არ შემეტყოსო. შოთას გულ-დას-
მით უსმენდა, ყველაფერს უჯეროდა, არც ერთ მის
ნათქვამში ექვი არ შეუტანია. მხოლოდ ხანდახან, რათა
ეჩვენებინა, რომ ნასწავლია, სემენარია დაუსრულებია
და ამა თუ იმ მწერალთა თხზულებანი წაუკითხავს,—
სხვა და სხვა ნაწერებში გატარებულ აზრებს იტყოდა,
მარა რაღაც შიშით, მოკრძალებით—შეცდომა არ მო-
მივიდეს და არ შევრცხვეო. მართალია, ანტონი ხედავდა,
რომ ამ მხრით შოთაზე მალლა იდგა, მარა მეორე მხრით
რწმუნდებოდა, რომ ყველაფერი ის, რაც თვითონ წარ-
მოსტკვა, დღემდე ხელ-უხლებლათ ეწყო გონების სა-
კუქნაოში, არაფერზე არ მოუხმარია,—ხოლო ის კი,
რასაც შოთა ამბობდა, დღევანდელ ცხოვრებაში აუცი-
ლებელი რამ იყო, უსაქიროესი. შოთას აზრები ხორც-
შესხმულნი იყვნენ, მისი კი გაყინულნი, მკვდარნი. შოთას
პირით თვით ცხოვრება ლაპარაკობდა, მღვდელი კი თი-
თქოს არქივის ნივთებიდან მტვერს ფერთხავდა.

ამას კარგად გრძნობდა. მამა ანტონი და კიდევ

ბორძიკობდა, ენა ეშლებოდა, ვით საეგზამენოთ წამდ-
გარ ბავშვს. თან ასე ფიქრობდა: „უთუოდ ჩავეუჯდები,
მაინც ბევრი დრო მაქვს, და ყველაფერს შევეისწავლი...
ახალ აზრებს გავეცნობი, მეც ხომ კაცი ვარო.“ მაგრამ
ისიც მოაგონდა, რომ ასეთი გადაწყვეტილება ბევრჯერ
ძიუცია თავისი თავისთვის და სისრულეში კი ვერ მო-
უყვანია. ეს სულ ეკლათ დაესო გულზე. „ცოლშვილმა
დამლუბა, ჩამითრია... ახ! რა ხარ ცხოვრებო“-გაიფიქრა
და ისეთ გუნებაზე დადგა, რომ მზათ იყო შოთას წინ
აღსარება ეთქვა, გადაეშალა გულის სიღრმე და დაენა-
ხვებინა, რომ ისიც კაცია, ისიც იყო ერთ დროს გა-
ტაცებული ხალხის სასამსახურო იდეებით, უოცნებნია
საზოგადო მოღვაწეობაზე, მარა უღმობელმა ცხოვრებამ
ჩაითრია, თავის ყაიდაზე წაიყვანა, თავისი მრწამსი აღი-
არებინა.

ასე მგონი არასოდეს არ მორბილებია ანტონს გუ-
ლი, ასე განსაწმენდათ არასოდეს არ მომზადებულა...
თავისი თავი დამცირებულათ, დამდაბლებულათ, მიწას-
თან გასწორებულათ დაეხატა; უბრალო მუშა შოთა
მასთან შედარებით უდიდესი და ყველასათვის უსაქიროე-
სი აღამიანი იყო დღევანდელ ცხოვრებაში.

ბმა აუთრთოლდა, შიგ სათუთი, გულის სიღრმიდან
ამონაგლეჯი გრძნობა ჩააქსოვა და თავდახრილმა გა-
ნაგრძო:

— ეხ, ძმაო შოთა, ცხოვრება ძნელია, ძნელი...
ჩაგითრევს კაცს, ჩაგიტყუილებს ორმოში და მერმე
რაც უნდა ეცადო, იქედან ვერ ამოხვალ, ცოცხალის
თავით ვერ დასტოვებ ორმოს.

ცოლი, შვილი, მტერ-მოყვარე, მშობლები... ყვე-
ლა იმას ცდილობს, რომ ამ ორმოში იყო, ყველა გზას გი-
ღობავს... თუ ერთხელვე დაეშვა კაცი იმ საშინელ ხა-

როსაკენ, მერმე ხსნა არ არის, შველას ნუ ელი,—მან თავისი ხუჭუჭი თმა გაისწორა, შლიაპა მუხლზე დაიღო და კვლავ განაგრძო:

— მაგალითისათვის მოვიყვან ჩემ თავს. ვაკვირდები ჩემს აწმყოს, ვიგონებ წარსულს და კრემლით მევსება თვალეზი. რას ვეჭრფოდი და რა ვარ? რას ვეძებდი და რა ვპოვე? განა იმას ვიფიქრებდი, რომ მე მღვდელი ვიქნებოდი, დედაკაცის კაბას ჩავიცვამდი, მთავარივით სოფლათ კარი კარ ვივლიდი და ლარიბ ხალხს ტვირთად დავაწვებოდი? ეეხ?. როცა მესმის ჩემი ამხანაგების დაწინაურება, კრემლები მადგება. ბევრი მათგანი კაცი შეიქნა, სამშობლოს გამოადგა, ხალხს თავი შესწირა, არ შეუშინდა ციხეს, ციმბირს, შიმშილს... მწერლობენ, ხალხს უძღვიან... მოქალაქეთ ეძახიან... მე კი... მე? განა ახალგაზრდობისას, სემინარიაში ყოფნის დროს, მეც მათთან არ ვიყავი? მათთან ერთად არ ვემზადებოდი სამოღვაწეთ?.. ეხ, ვინ იცის რამდენი იდეალი მეხატებოდა წინ, რაზედ არ ვოცნებობდი!.. დღეს კი ამხანაგებს გამოვწყდი, ვით წერო თავის გუნდს. ვინც მძულდა და მეზიზღებოდა, იმის სახით დავდივარ! რაა ჩემი ყოფნა, ჩემი არსებობა? რომ კოლა-შვილი არა, სინდისს ვფიცავ, ყველაფერს თავს დავანებებდი და სადღაც გადავარდებოდი...

შოთა გულ დასმით უსმენდა ანტონს. სიბრალული იგრძნო მისადმი, აღსარებამ გული აუჩუყა.

— განა პატიოსნებაა ეს ჩემის მხრივ?—ამბობდა ანტონი,—რაც არ გწამს, იმას როგორ უნდა ემსახურებოდე კაცი? რა საქმეც შენი სულისა და გულის წინააღმდეგია, იმას როგორ უნდა ასრულებდე ადამიანი? ეხ, ცხოვრებაე, ცხოვრებაე!... რა ჩემი საქმეა მღვდლობა, როცა მისი დედა-ბოძი არა მრწამს!.. რო-

დესაც მშვენივრათ ვიცი, რომ ყველაფერი ეს... მარა ეხ, რაღა გაეაგრძელო... ვინ არ იცის ყველაფერი ეს ჩვენს დროში?.. თვალის ახვევა, დაბრმავება, სიცრუე... და მე, მე უნდა ვიყო ამის მოციქული? ვის რას უკეთებს ჩემი მოქმედება, ვისთვისაა საჭირო? განა მე რომ არ ვიყო და ყველა ჩემისთანებიც, ვითომ რამე დააკლდებოდა ხალხს? განა ვერ იცხოვრებდა?... სიცრუე თან დაყოლილი სენია კაცობრიობისა... მარა მე რათ შევიქენი ამ სიცრუის მოციქული? რათ შევიქენი იმის ბურჯი და დამმაგრებელი, რისი დაღუპვა და გაქრობა ადამიანის ბედნიერებათ მიმაჩნდა სწავლის დროს?..

— ვინ გაიძულათ ანტონ ამ გზას დადგომოდით? თანაგრძნობით ჰკითხა შოთამ.

— ვინ მაიძულა? მე თვითონაც არ ვიცი ვინ. სემინარიის დასრულებისას ერთ-ხანს ვიმასწავლებლე, გადაწყვეტილი მქონდა ამ ასპარეზზე დამეღია სული. მარა ამ დროს ჩემი მშობლები ძალიან გაქირვებულ მდგომარეობაში იყვნენ, უნდა დაეხმარებოდი, ხოლო ჩემი ჯამაგირი რას მიშველიდა? ამავე ხანებში ერთ მღვდელს მზითვებიანი ქალი ყავდა, უნდოდა შემერთო, გაბედნიერებას მპირდებოდა, შემდეგ ჩემ ადგილსაც დაგიტოვებო. ქალი შემიყვარდა, ალბათ მზითვეის გამო. ეხლა ასე ზფიქრობ, თუმც მაშინ, ვინ იცის, რა საღებავებით არ ვამკობდი ჩემს გრძნობას. შევირთე, მატერიალურათ სული მოვითქვი. პირველათ, როცა სიმამრი მეუბნებოდა: მოვკვდები და ჩემი ადგილი შენ დაიჭირეო, მე ეს სიცილათაც არ მყოფნიდა, სამასხაროთ ვიღებდი. შვილები შემეძინა, ცოლ-შვილის სიმძიმე ვიგრძენი, დავრწმუნდი, რომ ქონება ცუდი არ იყო და როცა ჩემი სიმამრი მიიცვალა, დიდის ყოყმანის შემდეგ, ის საქმე ვიკისრე, რაც მძულდა და ვაძაგებდი. მიკვირს ღმერთმანი,

როგორ ჩავიდინე ესა, რას ვფიქრობდი მაშინ? მარა, ეხ!... კაცი საშინელი არსებაა, თავის გულში ყოველგვარ თავის საქციელს ამართლებს და ქვეშაირების თეორიას გამოუძებნის. მეც ასე მომივიდა... ერთი სიტყვით, ერთხელ ორმოსკენ დაშვებულმა, თავი ვერ შევიმაგრე, თუმცა ვამბობდი და ვფიცავდი, ის დაფრჩები, რაც ვიყავი, ვფიცავდი, რომ მღვდლის ანათორაში იმაზე მეტს გავაკეთებ, რაც გამიკეთებია-თქო... ვფიქრობდი მეფინა ხალხში სინათლე, ქვეშაირიტება... მარა ნათლათ დავინახე, რომ გარს ათასნაირი წინაღმდეგობანი მეხვია. თუ ქვეშაირიტების გზაზე ვივლიდი, უნდა მომეჭრა ის შტო, რომელზედაც მე ვიყავ დაყრდნობილი... კითხვა პირდაპირ დაისვა: ან დაწყებული საქმე ლოდიკურ დასკვნამდე უნდა მიმეყვანა და ან უნდა შევეჩერებულვიყავ... გარემოებამ კიდევ პირველი მიმადებინა და ვარ ის, ვისაც მხედავთ... ვიცი, რომ ბევრს ვხელფარ სოფელში, ჩემი ძვირათ სჯერათ, არა სწამთ რა, ხშირათ ადამიანათაც არ მთვლიან, ხალხმა, სხვა ჩემისთანაებთან ერთად, მეც რაღაც გულქვათ დამსახა, იქნებ ის მართალიც იყოს... მარა... ეხ... ღირს ყველა ამაზე ლაპარაკი? განა მოსაგონარია ასეთი ფუჭი ცხოვრება?.. პირად „მე“-ს განმტკიცებაში გატარებული დრო? ეხ, რას ვეტრფოდი და რა დამრჩა ხელში? „

მამა ანტონი კიდევ ბევრ ხანს ილაპარაკებდა, რომ ხალხი არ შეგროვილიყო მათ გარშემო. შოთას ისე გადახედა, თითქოს მისგან ითხოვს პატიებასო და ხალხს სალამზე სალამი მისცა.

შოთას გულში მართლაც თანაგრძნობა მოიპოვა ანტონმა.

XVIII

შუა დღემ მოატანა.

კრება დაიწყო. გაცხარებული მსჯელობაა. სასწავლებლის დერეფანი და მოაჯირი დახუნძულია ხალხით— ჩრდილს შეფარებიან.

მსჯელობენ შოთა და მისი ამხანაგები, ხალხი, ერთი მასწავლებელი და მღვდელი. დანარჩენი მასწავლებლები დერეფნის კუთხეში ატუზულან, მონაწილეობას არ იღებენ. კაკარდოსანი ჩაფიქრებული დადის და რაღაცაზე გული მოსდის, მგონი ხალხის ზმაურობაზე. ის მასწავლებელი, რომელიც ხალხშია, კირივით ეზიზღება, გულში დასცინის, თუ მოახერხა ინსპექტორსაც კი ჩასჩურჩულებს რასაც ჯერ არს, მარა გულ-ახდილათ ამას ვერ ბედავს, ვერ გამოუმზეურებია თავისი გულის ნადები. თუმც იმედი აქვს, რომ ადრე თუ გვიან მოხდება ის, რაც მოსახდენია და მის ადგილსაც ჩაიგდებს ხელში,— სასწავლებლის ზედამხედველი გახდება...

კრების მსჯელობა ხანდახან ცხარე ხასიათს იღებს. სოფლის რამოდენიმე „თავი კაცი“, რომელნიც შარშან თვითონ ყიდულობდნენ პარკს, ერთობ ცხარობენ და თავს შეურაცხყოფილათ თვლიან, როცა მათ შარშანდელ საქციელს აკრიტიკებენ. ყოველის გზით ცდილობენ თავი იმართლონ და კეთილის მყოფელათ მოეჩვენონ ხალხს.

— ჩვენ რომ არ გვეყიდნა, ვნახავდით, რა ფასებშიც გაასაღებდით! ჩვენ გვიმადლეთ, თვარა!.. ამბობს ერთი მათგანი ყვედრებით.

— ჩვენ ავწიეთ ფასი და ახლა რას გვეუბნებიან? უმატებს მეორე.

— ხალხის მტრებს ჩვენ გვეძახით, მარა თქვენც

გაკეთებულიც ჯერ არაფერი გვინახავს, — ამბობს შოთას აღრესზე მესამე „თავი კაცი.“

— გიცნობთ რაც შეილები ხართ, გიცნობთ, — ეუბნებიან „თავ კაცებს“, — რა მუცლის გვრემაცა გაქვთ ვიციო... წელსაც გინდათ პარკის ყიდვა თქვენ დაგრჩესთ და ის გალაპარაკებთ. ხალხის ინტერესების დაცვაზე ლათაიებს თავი დაანებეთ, სჯობია პირდაპირ სთქვათ, რომ საკუთარ ჯიბეებს ემსახურებით...

„თავი კაცი“ კარგად ხედვენ, რომ ყველაფერი ეს შოთამ და მისმა ჯგუფმა დამართა მათ და კბილებს ილესვენ, რა ქნან არ იციან.

— დედას აგიტირებთ რომელსაც იქნებაო, — ჩურჩულებენ ერთმანეთში, როცა ნათლათ რწმუნდებიან, აჟომ ხალხის ნდობა შემოეცალათ და მით კოვზები ნაცარში უცვივათ. კბილებს აკრაქუნებენ. ემღურიან აგრეთვე მღვდელს, მასწავლებელს.

— ეს მღვდელი მაინც რამ გადარია დღესო, — ამბობენ.

შოთა არავის ყურადღებას არ აქცევს, ის თავისი გზით მიდის, ამხანაგებიც მხარს უმშვენებენ.

მის მაყურებელ მამა ანტონს გული ლმობიერებით ევსება, ყოველ მისს სიტყვას ხარბათ იქერს. თვითონ ლაპარაკში მორცხვი იყო. მართალია საყდარში ბევრ-ჯერ უთქვამს ქადაგება, განსაკუთრებით მღვდლობის პირველ ხანებში, მარა იქ სულ სხვა იყო, მოკამათე არავინ ყავდა. აქ კი, — კრებებზე, გამოსვლა არც ისე ადვილია: გიპასუხებენ, შენს ნათქვამს ათასნაირათ გადაჰქეპენ... ეს ძალიან აშინებდა ანტონს და ძვირათ ულაპარაკნია; მხოლოდ ისეთ შემთხვევაში ილაპარაკებდა, როცა დარწმუნებული იყო თავის აზრების უტყუარ კემარიტებაში და მასთან, რაც უმთავრესი იყო, თუ

ატყობდა, რომ მისი ნათქვამი ხალხს მოეწონებოდა. ლაპარაკის დროს ღელავდა, თრთოდა, ხან აზრების გამოთქმასაც ვერ ასწრებდა, იმდენი ეხვეოდა, ხან კი სულ დაებნეოდა და მოულოდნელათ გაწითლებულს სიტყვა უნდა შეეწყვიტა რაღაც უხერხულის მოძრაობით და გამომეტყველებით... ამით ყველა მიხვდებოდა, თუ რა მდგომარეობაში იყო ანტონი.

ეხლაც ასეთ გარემოებაშია, მარა მაინც მხნეობს და ლაპარაკობს. შოთა მაზედ რაღაც გამამხნეველათ მოქმედობს, გამბედაობა შესძინა. რაკი შეატყო, რომ მისი ნალაპარაკევი მოსწონდა შოთასაც და მის ამხანაგებსაც, ცოტათი გათამამდა...

მოილაპარაკეს ყველა საჭირო ზომებზე, სათანადო საშვალეებაც გამონახეს.

კრების დასასრულ ქსენონის შესახებაც ილაპარაკეს, ჯერ მასწავლებელმა და შემდეგ შოთამ.

მასწავლებლისათვის იმდენათ ირ უსმენია ანტონს, ხოლო შოთამ კი სრულიათ მიიჯაკვეა. სულ-განაბული უსმენდა, გულში შენატროდა, რაღაც შურის მაგვარმაც კი გაუელვა.

უცებ შეადარა თავისი მოღვაწეობა შოთასას და თავი გაცამტვერებულათ, მიწასთან გასწორებულათ იგრძნო. შოთა მთის მწვერვალზე ეჩვენა, თვითონ კი ქაობში იყო. „რა გამიკეთებია ჩემს სიცოცხლეში?“ ფიქრობს ანტონი ივის რა ვარგე? რა შეესძინე ხალხს?... მე, ნასწაველმა, თავისი თავის ქვეყნის მარილათ მაღიარებელმა?... განა. შევაშრე მაშვრალთ ცრემლები, დავადე იარაზე მალამო?... გაუუმჯობესე თუნდაც იოტის ოდენათ წუთისოფელი? ჰმ... მე სამაგიეროთ ზეციურ ცხოვრებისათვის მოვამზადე ხალხი, ზეციურისათვის... შოთამ კი, ჩემთან შედარებით უსწავლელმა, ხალხის

სიყვარული დაიშახურა. მე კი... მე!... განა ძალმიძს ვსთქვა, საქვეყნოთ ვალიარო ხალხი მიყვარს-თქო? ჰმ... ხომ ყველა სიცილს დამაყრის... შემომძახებენ: ვინ შენ, მღვდელი, და ვინ ხალხის სიყვარულიო... ახ, ღმერთო ჩემო!... რათ შევაძულე აგრე ხალხს თავი, რათ?"

— მამაო, რა კარგი ყმაწვილია ეს ჩვენი გიგო ბროლიძის შვილი!..

ამ სიტყვებით ანტონს ფიქრები შეაწყვეტინეს. წინ გაბრიელი უდგა.

— როგორ... გაბრიელ? დაბნეულათ შეეკითხა ანტონი...

— კარგი ყმაწვილია მეთქი შოთა...

— ოო... კარგი... ძალიან კარგი... ჭკვიანი.

— მამაო, მაგის შესახებ ჩუმათ მინდა მოგელაპა-რაკო და თუ დრო გექნებათ... ერთის წამით...

ანტონი სიამოვნებით დათანხმდა. გაბრიელმა უთხრა: მსურს, რომ შოთა დავისიძო და შენ რას მირჩეო. ანტონს ძალიან ეამა და დიდი დახმარებაც აღუთქვა.

ხალხი იშლება.

— ვნახოთ, ჩვენზე უკეთეს მუშტარს ვის იშოვით! იმუქრება ერთი „თავი კაცი“.

— აყევით ძველებურათ ბიჭბუჭებს, მარა გავიგებთ რა კვერცხებსაც გამორჩებით, — უმატებს მეორე, — რასაც მოიგებთ, ბოლოს გაიგებთ.

— კარგია, გეყოფათ! არ გვეშინია თქვენი მუქა-რის, ჩვენ აპეკუნები არ გვკირდება, — ეპასუხებიან.

ყველა მიიჩქარის სასადილოთ.

— შეხედე იმ ჩაყვითელ-ფოლაქებულ „უჩიტელს“! რაფა დეიზომება!.. მალე აგიკრავთ ბარგს აქედან, თუ კაცები ვყოფილვართ, — ამბობენ აქეთ-იქეთ.

— არც ის ჩაგვარგვალეებულია დოვლათი...

— ის ხომ იმ უსიტყვო მასწავლებელ ქალის კურ-
კურს უნდება...

ანტონი ცოტათი თავისი თავის კმაყოფილია დღეს, შოთას ღიმილით გამოემშვიდობა და უთხრა, დიდათ სასურველათ დამირჩება, თუ კი კიდევ მოგვიხდება ერთად ლაპარაკიო... შოთასაც საწინააღმდეგო არა უთქვამს რა.

მართალია, ანტონი ცოტათი სინიღის დამშვიდებუ-
ლი მივიდა სახლში, მარა თან ტუჩებს იკვნეტდა, როცა თავის წარსულს იგონებდა. ცოლ-შვილს რაღაც ზიზ-
ლით შეხედა. მისი აზრით ისინი იყვნენ მისი აგრე
დამძაბუნებელნი და დამჩაჩანაკებელნი.

XIX

სალამოა.

მზე უკანასკნელათ ავარაყებს დედამიწას...

ფოთლებით ჩაბანჯგვლილი ხეების ჩრდილები თვა-
ლსა და ხელს შუა იზრდებიან, აღმოსავლეთისაკენ წვე-
ბიან.

შორს, ცის კიდურში მიქლობილ მთათა გრეხილს,
ნისლის ქათიბი წამოუსხამს... მზე წითელ-ყვითელი ძა-
ფით აგვირისტებს ამ ქათიბს, თან ოქროს ბამბის ქუ-
ლებს აპენტავს ზედ...

შოთა ჩაფიქრებულია, საყდრის გალავანში ზის.

მზე მასაც ეთხოვება, უკანასკნელათ კოცნის...

შოთაც ემაგიერება, სახეს არ არიდებს... გრძნობს,
რომ სხივთა მეოხებით მზეს უერთდება, უხილავი ძა-
ფებით ეწებება მნათობს... მთრთოლვარე სხივები გუ-
ლში წვდება. ღვთაებრივ გრძნობას უქუხებს და ნაკა-
დულაჲ ქცეული მზისკენ მიაქვს, მნათობთა მეფეს

უძღვნის... ისიც თავისიანებს უნაწილებს, ცის გუმბათში აპნევს...

წმინდა გრძნობა აიაზმათ ესხურება ბალახ-ყვავილებს...

ყველას გულში იკრავს შოთა!.. ყველა გულში იკრავს შოთას.

ლაქვარდ ციდან მზე ელვარე, ლურჯი თალი... მიწაზე კი ია, ვარდი...

ყველაფერი ხარობს, ყველაფერ ხარობს...

არეს გულში ჩაექსოვა, სიერცემ გულ ჩაიქსოვა...

გამოურკვეველის სიამოვნებით დაპყურე მშობელ სოფელს, მწვანე ფოთლებით დაფუთულს...

უნდა იმღეროს, ჰიმნი უძღვნას ქვეყნიერებას... უნდა, როგორც თვითონ, ანეტაროს სამყარო... მაგრამ რა გზით, რა სახით?

ვთუ თუ გული ამოატანოს ამ სიმღერას, თან გადააკვდეს ამ ჰიმნს? დეე, რაც იქნება იქნეს!.. მოკვდეს შოთა, შეიწიროს ტარიგი ქვეყნის სამსხვერპლოში..

დეე, მშობლის წინაშე ნეტარებაში დალიოს სული...

იმღერებს შოთა, ამეტყველდება... ბანს მისცემს მთა და ბარი...

თამრიკოც ააწკრიალებს ღვთაებრივ ჰანგს...

და გაქრება ქვეყნად ვაება, ტანჯვა...

ბედნიერებით მთვრალი სამყარო გულში ჩაიქსოვს ყოველ სულიერს...

აჰა, წუთი და შოთაც ააუღერებს საბედნიერო ჰიმნს...

მარა ხმა ვერ ამოულია...

გაქვავებულა...

თვით სიყვარულის ქანდაკად ქცეულა...

თამრიკოსაკენ იყურება...

იმ ბედნიერ საღამოს აქეთ მისკენ არის მოჯაქვეული
შოთას სული და გული...

თამრიკოთი სცხოვრობს, თავს დაფარფატებს...

მისი კლთხის სულიერიც უყვარს, უსულოც...

იქედან მონაბერ ქარსაც სატრფოს მაგიერ გულში
იკრავს... მომფრინავ ჩიტს სულიკოს ამბავს ეკითხება...

თამრიკოს დედა, მამა, ნაცნობი, ნათესავი, ყველა
თამროს აგონებს, ყველას შეხარის...

ეხლაც სულ-განაბული დასცქერის თამრიკოს მა-
მის კარ-მიღამოს...

სატრფოს ელის. დაჰპირდა, მოვალო...

რათ დაიგვიანა ამდენი? რა მოუვიდა?

დიღხანს იყო შოთა სულ-განაბული. ადგილიდან
არ იძროდა. ერთ გრძნობას, ერთ აზრს შეებოქა ყმა-
წვილი; მიწაზე დაელურსმა, აღარ უშვებდა.

— ეს ვინ მოდის? თამრიკო, შენ?

თამრო მოგოგავს... ბალახებს ფეხს არ აკარებს...

თეთრად მორთული, აღვის ხის ტანა...

თავზე მანდილი... გულ-მოხდილი...

ბროლის მკლავები... აფუნჩული გულ-მკერდი...

ათქვლეშილი ძუძუები მწითე ყურძნის მტევნებათ
უკანკალებენ...

იცინის თამრო, ვით მოწყალე ღვთაება... იღიმება,
ვით ღმერთი სამოთხეში...

მოდის, უახლოვდება... მღელვარება იპყრობს, ტანი
ეკეცება. ხელები დაყარა...

— რათ არ იძვრი, გენაცვალე, შემომეგებე!—
შემოსკიკიკა შოთას...

შოთა კი გაქვავებულია, ხმას ვერ იღებს... სულის
თქმა შეჩერებულია...

— შოთა!...

— თამრო!...

მოწყდენ ადგილიდან... წრფელ გრძნობათა ნაკადულნი უნდა შეხეთქდენ, გადაეწნან ერთმანეთს...

წამი და...

თამრო განზე გახტა, ვით ირემი... ხელები გაშალა, გადიკისკისა...

შოთა ისევ გაქვავდა, თითქოს დამეხაო...

— თამრო, ეს რას ნიშნავს?

— ხა... ხა... ხა... განა არ იცი, გენაცვა, რას ნიშნავს? აკი გითხარ გუშინ—სანამ ჯვარს არ დავიწერთ, ჩვენ დაძმანი ვართ-თქო.

— განა ექვი შეგაქვს ჩემს სიყვარულში?

— შოთა არ მომიკვდეს!.. მარა რა ვქნა, ფრთხილათ უნდა ვიყო. ხომ იცი, ნათქვამია—გველი გარედანაა ქრელი და კაცი შიგნიდანო...

— ერთი სიტყვით არ გწამს ჩემი წმინდა სიყვარული? თითქოს გამწყრალი შეეკითხა შოთა.

— რა ვქნა, სიცოცხლეო, შენ თითონ იფიქრე! მე ერთი უბრალო სოფლის ქალი ვარ, ჩემი მშობლების მზე და მთვარე... რომ მარტო ჩემი თავი მყავდეს, წყეული ვიყო, რომ შენ არ გიძღვნა ჩემი ახალგაზრდობა, არ მივენდო შენს პატიოსნებას!.. მარა რა ვქნა, როდესაც ასეთ პირობებში ვარ... ჩემი თავი მე არ მეკუთვნის...

-- თამრიკო, პირდაპირ მითხარ, გჯერა თუ არა ჩემი სიყვარული?

— მჯერა, ვფიცავ ჩემს ახალგაზრდობას—მჯერა. მარა მოიგონე გუშინდელი ნალაპარაკევის აკი შენ თვითონ მითხარი, რომ სულ ამ ორი თვის უკან ერთი ქალი გიყვარდა... და მერმე შენ შემიყვარდიო... ვინ იცის, იქნებ მეც განიძულაო...

შოთა გაწითლდა, თითქოს დანემსესო.

— თამრო, თუ გიყვარდნე მეორეთ არ სთქვა მაგ სიტყვები...

— გეწყინა? მაპატიე, გენაცვალე, ქალის გული ოხერია, ყველაფერი უნდა თქვას...

— გთხოვ არ გაიმეორო...

— პირობას ვერ მოგცემ; როცა მომაგონდება, რომ შენ ოდესმე სხვა ქალი გიყვარდა, ეკლათ დამესობა... მე ხომ შენი ვარ, ჩემი გული ხომ შენ და მხოლოდ შენ გეკუთვნის...

— ჩემი გული კი ვის ეკუთვნის?..

პასუხის ნაცვლათ თამრიკომ ველს გადასცინა...

— თამრო, სიცილი უადგილოა! რით დაგიმტკიცო ჩემი უსაზღვრო სიყვარული?

— ხა... ხა... ხა... ჯვარი დავიწეროთ...

შოთა ჩაფიქრდა. თამრომ განაგრძო:

— მასთან მართალი უნდა გითხრა, რომ გუშინდელ შენი ნალაპარაკებიდან ბევრი ქკუაში არ მომდის. განა შესაძლებელია ჩვენი ერთად ცხოვრება ჯვარ-დაუწერლათ? რასაკვირველია, სიყვარული უნდა გვაერთებდეს, მარა ჯვრის დაწერაც აუცილებელია... უმისობაზე ფიქრი ყოველად შეუძლებელია... მასთან, ნუ გეწყინება და კიდევ დამაეჭვა შენმა მაგგვარმა ლაპარაკმა...

— როგორ?.. ვითომ მე შენი მოტყუება მინდა?

თამრომ გაღივირქოდა. ნათლად ემჩნეოდა, რომ მზათ იყო ეთქვა—ყველაფერი შესაძლებელიაო. შოთა აენტო.

— მაშ აგრე, არა? ძალიან კარგი. მზათა ხარ, რომ ეხლავ ჯვარი დავიწეროთ?

თამრიკო ათრთოლდა, სიცილათ იქცა.

— სთქვი, გელოდები!..

— რა ესტქვა? ხა... ხა... ხა... ხომ არ გაგიყლი? თამრიკო ბალახებში ჩაჯდა, ჩაიკეცა.

— თამრო, მე მართლა გეუბნები, არ გეგონოს ემასხარობდე.

— ხა... ხა... ხა... სად არის მერმე მღვდელი? ხომ არ გაგიყლი? ასე ვის გაუგონია?

— აი საყდარი, სულ ორი ფეხისნაბიჯზეა... მღვდელიც აი იქ ცხოვრობს...

— შოთა, გენაცვალე, რა იყო? რა არის? ახლა... რა?.. დედამ არ უნდა გაიგოს, მამამ?

თამროს სხეულში ცეცხლი აენტო...

შოთას სერიოზულმა კილომ შეაფიქრა.

— მე მივდივარ... ეხლავ აქ გავჩნდებით მე და მღვდელი.

შოთა წავიდა...

თამრო ბალახებში ზის... ვნებათა ქროლვას ვერ ამაგრებს, ცეცხლათ მოენტო...

მთელი სხეულით კანკალებს, რაღაც შიშიც იგრძნობს... ფიქრები დაეხვია: „ღმერთო ჩემო! რა ხდება, რა ამბავია ჩემს გარშემო?.. წავიდა, მღვდელს მოიყვანს... ჯვარს დავიწერ... მერე?.. მერე?.. ჩავეკონები... ჩამეკონება... ახ... ახ... რა მოულოდნელი ბედნიერებაა?.. ღმერთო... რას მოვესწარი, რას ვხედავ?.. მე... მე ქმარიანი ქალი ვიქნები?.. შოთა იქნება ჩემი ქმა... ხა... ხა... ხა... ღმერთო... დედიკო... დედა!.. მე უშენოთ ვერ გავთხოვდები... ვერა... ახ... მამა... შოთა... მოვეკვდები... დავიწვი... რათ არ ვაკოცე წელან? აკი მეც მინდოდა, სული მიმდიოდა... მარა... მარა მე მეგონა თვითონ დამიკერდა, თვითონ დამატანდა ძალას... თორემ ჩემით ხომ არ დავენებდებოდნი?.. ახ, ნეტავი დავეკირე... ნეტავი... მეც ერთი უხასიათო ვარ... რომ მოვდიოდნი

აკი გადაწყვეტილ მქნოდა მეკოცნა... როცა დავინახე: მაშინ კი... მაშინ შემეშინა... წუხელის მთელი ღამე მენატრებოდა... ღმერთს ვფიცავდი, როგორც კი ვნახავ, ჩავკოცნი-თქოდა რა ვქენი, რა ახლა?.. ახ... ღმერთო... მაშ კმარიანი ვიქნები... შოთა... ჩავკოცნით ერთმანეთს... ღმერთო... რათ ახლა არ ვაკოცე, რათ? რა მშვენიერი იყო!.. მეშინია... ვერა... ვერა... ახ..“

თამრო არ არსებობს, გაქრა, ოცნებას გაყუა, ქვეყანა დაავიწყდა. ვნების ფრთებით ზეცას მიაწყდა...

ძუძუები მკლავებში ჩაიკლა... იცინის, კირკიტებს სულელივით... ტანს ვერ ამაგრებს, მუხლები უკანკალებს. ვერ მოუსვენია: მიდის, მოდის, დაჯდება, აღდება...

მზეც უკანასკნელათ ემოწმა თამროს ვნებათა ქროლვას და ჩაიმალა...

XX

აი, კიდევ მოდიან...

ნუ თუ ეს სიმართლეა? სიზმარია თუ ცხადი?

თამრო შეშინდა, სირცხვილმა აიტანა...

მამა ანტონი იცინის, კმაყოფილია, რომ შოთას აამებს, მისს გულს მოიგებს... პირველათ შეფიქრდა—როგორ დავსწერო აგრე ჯვარი, რაიმე სასჯელი არ შემხედესო, მარა მოაგონდა გაბრიელის სურვილი შოთას დასიძებაზე, შოთაც დაეხატრა და გადასწყვიტა წამოყოლოდა.

— გამარჯობა თამარ! მიესალმა მღვდელი.

თამრო დაიწვა. თვალი ვერ გაუსწორა, მისალმება ჩაიჭურჩულა.

— წავიდეთ,—უთხრა შოთამ.

— სად? მე... მე... მე...

— ხომ თანახმა ხარ, თამარ? შეეკითხა მღვდელი, — შენი გულის სურვილი თუა, სხვისი დარდი ნუ გექნება; გაბრიელი მე მეხვეწებოდა, რომ შოთა გამირიგეო. დედამამის შიშს ნუ გაივლებ; ხომ იცი შენს მშობლებს ყველაფერში დავიყოლიებ.

დიდხანს პასუხი ვერ მიიღო. შოთა უხერხულ მდგომარეობაშია, გაწითლდა, ხან მღვდელს უცქერის, ხან თამროს. მღვდელმა კითხვა გაიმეორა.

მ. ანტონის სიტყვებით გათამამებულმა თამრომ თანხმობის ნიშნათ მღვდელს მორცხვით შეხედა...

საყდრისკენ მიდიან. არავინ ხმას არ იღებს...

ეს წამები უცებ რაღაც უსიკოცხლოთ, უფერულათ ეჩვენა თამროს... თითქოს საუცხოვო ბაღნარიდან გატიტვლებულ მინდორზე გადასულიყოს. სიყვარულს სულ სხვა ელფერი დაედო, ჩვეულებრივი შეიქნა, მიმზიდველობა დაეკარგა...

ფიქრთა გროვაც მოსკურავს გრძნობის ტალღებში.

„როგორ? მაშ ყველაფერი სინამდვილეა? ცხადია? ასრულდება ის, რასაც ამდენი ხანი შევეტრფოდნი, რაზედაც ამდენი ხანი ვოცნებობდნი? ა? ნუ თუ სიმართლეა? ოცნება გადადის სინამდვილეში? ახ... ღმერთო!.. ღმერთო!.. რათ? რათ? ნეტავ არ ასრულებულიყო ჯერ კიდევ... მეოცნება, შორით მეყურებია სამოთხისათვის... მაშ დღერიდან სულ სხვა ფიქრი, სხვა აზრი... მშვიდობით ახალ-გაზრდობავ, ქალიშვილობავ... უმანკოებავ... ახ ღმერთო! ეს რა ამბავია, რა მომდის? ა? აწი ტოლებში ვერ გავერევი, ამხანაგებს გამოვწყდები... ქმრიან ქალს დამიძახებენ... მშვიდობით... მშვიდობით...“

თამრიკოს გული აუჩუყდა, ცრემლს ვერ იმაგრებს...

უკვე საყდარში არიან... მღვდელი დიაკონს ეძებს... თამროსაც აიძებებს...

სიჩუმეა... საყდრის კუთხენი დაჩრდილულია...

კანკელს შავი დოღბანდი აფარია...

ხატები რაღაც საიდუმლოთ გამოიყურებიან...

გამოხედვა მიმკვდარებით, თვალები დაყინვიათ...

სიკვდილი მეფობს, გაცივებულია იქაურობის სულნი

და გული...

უთანაგრძნობოა, უსიცოცხლო...

თამრო კი კარებთანაა... თრთის ვით თოფ-ნა-
კრავი მტრედი...

— რა იყო, გენაცვალე, რა გატირებს? ბავშვი
ხომ არა ხარ?

ეკითხება შოთა... მასაც სიბრაღული იპყრობს.

— თამრო, გენაცვალე, მე ხომ ძალას არ გატან?...
მაშ რა გატირებს, რა იყო? თუ შენი ნება არ არის,
ისე... მღვდელიც რას გეუბნება ხომ გესმის?

— დამეთხოვე, გენაცვალე... მე ისე... არ ვიცი
რათ... არა...

ცახცახებს, ერთ ადგილს ვერ გაჩერებულა... რაა
ღაც შიში იპყრობს... სირცხვილმა აიტანა, შოთას პირ-
დაპირ ვერ უცქერის...

ფართქალებს, ვით ნათოფარი შველი...

შოთა მიიწია... კარის ჩრდილში მიიმალნენ... ხე-
ლები დაუჭირა...

— შენი ჭირიმე, შოთა, შენ გენაცვალე... ახლა
ნუ... ნუ... ნუ, გენაცვალე...

— თამრო... ჩემო ყველაფე...

ამის თქმა-ლა მოასწრო შოთამ...

გულში ჩაიკრა... ჩაწუწუნა...

— კმარა, გენაცვალე... კმარა... ნუ... ნუ... ჩურ-
ჩულედა თამრო...

შოთა მოშორდა...

თამრო ჩრდილში დარჩა...

მითვლემილია, მიმკვდარებული, საშინელ ცუდ გუნებაზე...

„ღმერთო ჩემო!.. რა იყო ეს? რა მოხდა? უსიცოცხლო კოცნა, უნდომო, მოუხეშავი... რა იყო? რა? ნუ თუ მეტი არაფერი უნდა ყოფილიყო, მეტი არაფერი უნდა მეგრძნო?..“

რალაც შეურაცხყოფილათ იგრძნო თავი, დამცირებულიათ, დამდაბლებულათ...

სიყვარულს მოეხსნა საოცნებო თეკა, დაეკარგა მიმზიდველობა...

აღმაფრენა მიწას შეეხო; შეიბილწა...

და საშინელი მარტოობა იგრძნო თამრომ, უმწეობა. ამ წუთს მისი შემბრაღე, პატრონი არაფერ იყო.

ციური კიდობანი დაემსხვრა სინამდვილეზე... დარკარგა წმინდა წარსული, ჩირქი მოეცხო უმანკოებას, შეიბლალა ახალგაზრდული სინორჩე...

ისევ ცრემლები. ისევ ცრემლები...

მკლავები თითქოს დაეტეხა, ტკივილებს გრძნობს... ძუძუებიც საშინლათ უჭრუა...

„ახ, შოთა, შოთა!“

წარსული სამოთხეთ ეჩვენება, აწმყო კი...

სულ ერთი თვე თუა რაც შოთა შეუყვარდა. ეს ხანა ოქროსია, დაუფიწყარი, სანეტარო!.. ეხლა კი!.. რა იწყება დღეიდან?

„ნუ თუ ესაა სიყვარული? მეტი სიტკბოება არაა მასში? ახ, ღმერთო!.. როგორ მინდოდა წელან მეკოცნა, როგორ მწადდა!.. იქნებ მაშინ უკეთესი ყოფილიყო... ახ... ღმერთო... ახლა კი რა იყო?..“

ჯვარის წერის დროც მოვიდა.

როგორც უთხრეს, მაშინვე წამოვიდა. შეშინებუ-

ლია, თითქოს ანგარიშს არ აძლევს თავსო... მისდა უნებურათ მიდის და დგება საღაც საჭიროა.

ათასნაირი ფიქრები აწვება... ასე გონია საღაც ინთქება, ჯურღმულში ვარდება...

ერთს წუთს ის იყო წამოიყვირა—მიშველეთ, ამომიყვანეთ აქედანო, მარა თავი შეიმაგრა.. „ხომ მომეპრა საქვეყნოთ თავი, — ეინ რას იტყვის? ახლა რომ გავიქცე, მერე ხომ სიცოცხლე არ მიწერია... დედა, მამა, ხალხი... მერმე კიდევ... შოთა... ახ, შოთა... ღმერთო!.. ხომ არ შეძულდა? რაღაც გამოცვლილათ მეჩვენა, გარდაქმნილათ.. მე კი სულ სხვა მეგონა... სხვა.. რაა დღეს ჩემს თავზე? რა ჩავიდინე? რა ვქენი? მარა ალბათ ასეთი ბედის ვარ, ასეთის... ალბათ სხვებსაც ასე ემართება... ვაჰ.. რა უგემური ყოფილა კოცნა!.. მაშინ რათ არ ვაკოცე?.. აწი როგორი იქნება?..“

ჯვარის წერა დასრულდა.

კარში არიან. მღვდელი არიგებს, აიმედებს აფლიკინებულ თამროს; მომავალ ბედნიერებას უთვალისწინებს. უქებს ქმარს, სიმდიდრეს და სხვა ასეთებს.

მღვდლის სიტყვებმა ცოტათი გაათამამეს თამრო.

— ნუ გეშინია, ბავშვი ხომ არა ხარ, ჩემო საყვარელო სულიერო შეილო, — ეუბნებოდა მღვდელი, — მშობლები არას გეტყვიან, ჩემზე იყოს ყველაფერი... პირველათ კი შეფუცხუნდებიან, მარა მაშინვე დავაწყნარებ, შენ დარდი ნუ გაქვს... კიდევ გაუხარდებით...

შოთამაც დაარიგა, თუ როგორ მოქცეულიყო.

თამრო გათამამდა, დარდები გადაეყარა... თან და თან კარგ გუნებაზე დგება... საღამოს ნიაგმა გამოარკვია. ვნებათა დელვისგან მოდუნებული სხეული თითქოს განუახლდა, გამოეცვალა, მეტის მღელვარებისაგან გამოწვეული გულის ძგერა დაუნელდა.

წამოვიდნენ. ბნელა. ზეცა ვარსკვლავებით მოკა-
ქაქებულა...

მარა ვინ უცქერის მას?... ვის სცალია მისთვის?

შოთა და თამრო ერთმანეთს აკვდებიან, გარდა
თავისი თავისა ვინ ახსოვთ ახლა?..

მღვდელი კარგად გრძნობს, თუ რა უხერხულ
მდგომარეობაშია და ცდილობს ყურადღება არ მიაქ-
ციოს ბედნიერთ... დროს აძლევს.

თან კმაყოფილია ანტონი, რომ შოთას გული ასეთ
ნაირათ მოიგო. მარა ერთი რამ უკვირს: ის დაწმუნებუ-
ლი იყო, რომ შოთას არც ღმერთი სწამდა, არც ხატი,
არც ჯვარის წერა და არც სხვა ასეთი. თუ ასეა, თვი-
თონ ჯვარი რათ დაიწერა? რითი ახსნას ეს? „ალბათ.
პრინციპი ერთია და სინამდვილე მეორე“, გაიფიქრა და
კოტათი გული დაიმშვიდა: თავის წარსულსაც ამ აზ-
რით დაუწყო სინჯვა.

XXI

პირველ გაგებისას თამროს მშობლები, რასაკვირ-
ველია, შეფუცხუნდენ, ავარდენ, დავარდენ, ვინ იცის
რა ამბავი დაათიეს! სიღონია მაინც ხომ ქვას აგდებდა
და თავს უშვერდა, შეიცხადა, ლამის გაგიჟდა, მეზობ-
ლები შეყარა. რომ ღვთისნიერი ქალი არ ყოფილიყო,
უთუოდ დიდ შეურაცხყოფას მიაყენებდა მამა ანტონს
ასეთი საქციელისათვის. პირველათ ლამის დასაგლეჯათ
მივარდა: „შენ გამიბახე ოჯახი, შენ მომტეხე ძვალი,
ქვეყანაში თავი არ გამომეყობაო“, ეკაპასებოდა, მარა
რა უნდა ექნა—ათასი რომ ებტუნა თამრო მაინც ჯვარ-
დაწერილი იყო. გულის სიღრმეში, როგორც ვიცით,
არც კოლსა და არც ქმარს შოთას დასიძების წინააღ-

მდეგი არა ქონიათ რა, მარა თავი მაინც გალანძლულათ დასახეს, სოფელ ქვეყანა დაგეცინებსო და სხვა ამგვარი.

— ჩემს თამროს ვინ არ ითხოვდა? მე შენ გეტყვი ლამაზი არ იყო, გაზდილი არ მყავდა?... ასე გაბახებულათ უნდა დაეწერა ჯვარი? ვის გაგონია? სად ნახულა? მაქანკალი უნდა მომსელოდა, თეთრები უნდა შეეკერა, ოცდაათი ფაიტონი უნდა გაყოლოდა საყდარზე... სასახელო ქორწილი უნდა გადამეხადა... მტრისათვის თვალი უნდა მომეკრა... ოჯახი უნდა გამემხიარულებია, ეს იყო ჩემი ერთად ერთი გამამხიარულებელი... და ვინ მომქრა თავი?... ვინ?... რა უნდოდა ღარიბი კაცის ხელში ჩემს შვილს? ისეთი მდიდარისათვის უნდა მიმეცა, რომ ოქროს ტახტზე დაესვა... ჩემი ლამაზი შვილი ოქროს ტახტის ღირსი იყო, ოქროს...

კაპასობდა სიღონია.

გაბრიელიც გვარიანათ შეწყრა, მარა მალე მოღბა...

შოთა და თამრიკო კი შეგროვილ ხალხში იყვნენ და მოლოცვას ღიმილით ღებულობდნენ. შეუწყვეტელი ოხუნჯობა იყო, სიცილი.

— ქორწილის გადახდას ვადა ჯერ კიდევ არ წასვლია, ჩემო სიღონია, — ღიმილით უთხრა მღვდელმა, — შენ ოღონდ გული დაიწყენარე და ისეთი ქორწილი გავაჩალოთ მე და გაბრიელმა, რომ ქუდი სულ ქერში ავისროლოთ...

— მემასხრები, არა? ასე უნდა, მამაო? ღმერთო შეგცოდე და ახლანდელი არც ღვდელი ხართ ქრისტიანი და არც ერის კაცი!.. რას გავს ეს, სად ნახულა? ქალიშვილი ამას რაეა უნდა ბედავდეს? გაირყვნა ქვეყანა, გაფუქდა! მერე ვის წაყვა ჩემი შვილი, ვის? ყოველ წამში დაჭერა მოელის ისეთ კაცს, სამი წელიწადი ციხეში იყო.. ხელმწიფე მას არ წამს, ღმერთს არაფრათ აგდებს, ღვდელს, ხატს, ჯვარს...

ბევრი იკაპასა სიღონიამ. ბოლოს გაბრიელმაც კი ურჩია დაწყნარებულიყო და რაიმე ცუდი სიტყვით სიღის გული სამუდამოთ არ გაეტეხა.

შე გამოჩერჩეტებულო, ბერო კაცო, — მიაყვირა ამ სიტყვებზე სიღონიამ — შენი ბრალია ეს, შენი, თვარა თამრო ამას ვერ გამიბედავდა მეი..

დიღხანს იყაყანეს, იდავეს. დასასრული, რასაკვირველია, ახალ ჯვარ-დაწერილთა გამარჯვება იყო. მეორე ღღეს უნდა გადაეხადათ ქორწილი, იმ ღამეს კი ცოტა ვახშამი იკმარეს.

დილაზე გათენებამდე ვილაც მოადგა გაბრიელის ქიშკარს. ცოლქმარნი ახალ ამღვარნი იყვნენ. სიღონია თავ შეხვეული იჯდა და გაბრიელს ებუზღუნებოდა.

— ვინაა რომ იძახის? — იკითხა სიღონიამ.

— მგონი პეტრე მღვდელია, — უპასუხა ქმარმა და ქიშკარს მიაშურა.

— დილა მშვიდობისა, მამაო!

— დილამშვიდობის! — ჩუმათ მიესალმა მღვდელი, — გავიგე, ჩემო ერთგულო, ღვთის მოყვარე გაბრიელ, შენი პატიოსანი და ქებული ოჯახის გაუპატიურება და გამოვიქეცი მაშინვე... რა მოგსვლია, რაფა დაღუბულხარ, ვინ გაგლანძლა ასე? ვინ გაგაბახა ქვეყანაში? კაცი იყავი, ნასახელევით ცნობილი, შენი შვილები ყველასათვის სამაგალითო ყოფაქცევის იყო და ეს რა მოგივიდა, რა გიქნეს?

გაბრიელი უსიტყვოთ მიჩერებოდა მოხუც, პირუბანელ, თმა აბურძღნულ ხუცესს და რა ეთქვა არ იცოდა.

— ხომ იცი ვინ გიქნა ეს შენ? ვინ გამოგქრა ყელი? მაგ მღვდელმა გარყვნა ჩვენი სოფელი, მან გააფუქა ხალხი, ღმერთი გადაავიწყა ყველას!.. საკურთხი არ წამს, არავის არ შემოატანინა საყდარზე, საწირავს არა-

ფრათ აგდებს, წირვა-ლოცვა ფეხებზე ჰკიდია... დაგი-
მტკიცებ, რო ღმერთიც არ წამს... რა რომ მაგი დანი-
შნეს ჩვენს სოფელში, ხალხს სარწმუნოება შეერყა, მა-
ნამდე ყველას ჯეროდა ჩემი სიტყვა და მერე კი არა-
ფრათ არ მაგდებენ... გინდა მღვდელი შეხვედრიათ და
გინდა ძალი... მან გარყვნა მთელი მრევლი, მაგისთა-
ნებია რომ სარწმუნოებას ძირს უთხრიან... ხომ გახსოვს
ჩვენი დრო, განა ასე იყო მაშინ?

სიღონიამ შეატყო, რომ პეტრე მღვდელი, რო-
გორც მისი ოჯახის მოქირნახულე, თამროს საქციელის
გამო მოვიდოდა. არ დაუდგა გული და ლაპარაკით ჯა-
ვრის ამოსაყრელათ ქიშკარს მიაშურა.

— მამაო პეტრე, ხედავ ჩემს შერცხვენას და
თავსლათის დასხმას? პატიოსანი შეილი გავზარდე მე-
გონა და შეხედე, რა მიქნა?.. მოალაპარაკა სიღონიამ.

— ახლანდელ დროში სადაა პატიოსნება, ჩემო
სიღონია! სადაა ნამუსი და სირცხვილი? ახალგაზღობამ
გარყვნა და გააფუქა ქვეყანა... ძველ დროში ამას რო-
გორ გაბედავდა ან მღვდელი და ან ერის კაცი?... მარა
სულ ყველაფერი აღმა მიდის, ილუპება ქვეყანა... მერმე
როგორ ფიქრობ, ჩემო სიღონია, ვისი ბრალია ეს?

ამ სიტყვებით პეტრემ სიღონიას ჯვარი გადასახა
და ხელზედაც იმთხვია.

— ეშმაკის და უხილავის, მამაო, აბა ვისი ბრალი
უნდა იყოს!..

— მართალი თქვი, მართალი. მერე იცი ვინაა
ეს ეშმაკი და ბოროტი სული ჩვენში? ეს ჩვენი ახალ-
გაზდა მღვდელია, ანტონი! იმან და მისთანანებმაა, რომ
გაგვიტებეს ძველ მღვდლებს სახელი და გარყვნეს
ხალხი. რომ მაგ არ ყოფილიყო ჩვენ სოფელში, ხალხი
ძველებურათ ღვთისნიერი იქნებოდა. რომ მაგ წაწყმენ-

დილს და ღვთის პირიდან შეჩვენებულს ჯვარი არ დაეწერა, შენი შეილიც პატიოსნათ გეყოლებოდა სახლში.

— აბა, აბა! მართალს ამბობ შენი ოლარის მადლი შემეწია.

პეტრე გათამამდა, ხმას უმატა, წვერებს ხშირ-ხშირათ ივარცხნის; ხან გაბრიელს მიმართავს ლაპარაკის დროს, ხან სიდონიას.

— მარა თუ ნაკურთხი მღვდელი ვყოფილვარ, ამას არ შევარჩენ... თქვენს გამლანძღველს მეც შავს დღეს ვაჩვენებ... ეფისკოპოზის ყურამდე მივიყვან ამ საქმეს, სინოდს შევატყობინებ... თვარა გათამამდება და ვინ იცის რას არ იზამს!.. თუ არაფერი უთხარი, ყველას გადაწერს ჩვენს სოფელში ასე ჯვარს, არც ნათესაობას დაეძებს და არც ღმერთს... მარა თქმასაც არ დავაჯერებ... თუ არ გაპარსეს, ამ სოფლიდან მაინც გადავაყვანინებ... მოვიშორებთ თავიდან, მაინც ყველას ძულს, არზას მივართმევ ეფისკოპოზს... შენც უნდა მხარი დამიჭირო... მაგან დაგლუპა, შეგარცხინა. სად უნდა გამოჩნდეთ, ახლობამდი პატიოსანს გეძახდენ, ქუდი გეხურათ... ვინ გაგიხადა სიძეთ?... ვისი შეილი? ახლავე დაიჭირავენ და დააციმბირებენ... იცი? ეს ხომ იცით? პრისთავი დაეძებს... დასაბუთებული არზა წარუდგინოთ ახლავე ეფისკოპოზს, დაქორწინებასაც მოშლის და ამ მღვდელსაც გაპარსავს... *შენ თუ გამაგრდები, მაგ ქორწინება ისე ჩაიარს, როგორც ხახვი. დედ-მამის უმისოთ ნება არ ჰქონდა ჯვარი დაეწერა... მოწმობა არ აუღია, ხალხში არ გამოუცხადებია... ეგება ნათესავეებიც კი იყავით... ერთი სიტყვით აუარებელი საბუთებია... ოღონდ თქვენ გამაგრდით და მხარი დამიჭირეთ და თქვენს პატიოსნებას მე აღვადგენ...

კოლქმარი სულგანაბული უცქერის; თუმც გულის

სიღრმეში ორივე დარწმუნებულია, რომ მღვდელი წყალს ნაყავს. ხუცესი კი ლაპარაკობს და ლაპარაკობს, ხან ხმა მალდა, უფრო კი ჩუმათ.

— ამან გაათამამა, ამის ბრალია, თვარა თამრო მე ამას ვერ გამიბედავდა, — სთქვა წუწუნით სიდონიამ და ქმარს შეხედა.

— მაგისი კი არა იმ უღვთო მღვდლის ბრალია და კიდევ უნდა დავაყენოთ დღე, დრო მოვიგდე... მარა ეს მითხარით, ქალი სადაა, რას ამბობს?

კოლ-ქმარმა პასუხი შეანელეს, მღვდელი კი მოუთმენლათ მოელოის.

— სადაა ქალი, არ იტყვიოთ?.. ყმაწვილი ხომ თავის დედმამსთანაა? — შეშინებულის ხმით ეკითხება მღვდელი... ხან ერთს უცქერის, ხან მეორეს...

— ორივე აქ არიან... ოთახში... სთქვა გაბრიელმა და ჩაფიქრებულმა პირი იბრუნა.

— როგორ? წუხელის კიდევ დააწვინეთ ერთად?!

— გაგვიწყრა ღმერთი და... ამოიღულღულა სიდონიამ...

მღვდელს პირს კატა ეცა. შერცხვა, გაწითლდა, ყურები ჩამოყარა. მიწა რომ გახეთქოდა ის ერჩია. კოლ-ქმარი თვალს არიდებს, რათა მღვდლის უხერხული მდგომარეობა კიდევ ირ გააუარესონ.

პეტრემ მსწრაფლ შეიბრუნა პირი და ბურღულღული სახლისკენ გასწია.

სიდონიამ და გაბრიელმაც სახლს მოაშურეს. ხმას არ იღებდენ. მშვენიერათ გრძნობდენ, თუ რა მდგომარეობაში იქნება ამ წუთში მათ მიერ პატივდებული პირი. სხვას რომ მოსვლოდა ეს ამბავი, სასაცილოთ არ ეყოფოდათ, მარა მღვდელს როგორ შეებედავდენ, და მასთან ისეთს, როგორიც პეტრეა მათთვის?

XXII.

მამა ანტონი ბახჩაში იჯდა. მაგიდაზე ქალაღებები ელაგა. არ კითხულობდა. გრძელ თმას ივარცხნიდა. თავს ტალავარი ადგა, ვაზის ფოთლებით შემოსილი, გადაცვარული. ცდილობდა ვენახის ულორტებისათვის ხელი არ წამოეკრა - ეშინოდა ქალაღებზე ცვრის დაწვეთების.

ვაზის ფოთლებს მზის სხივები გამოეპარათ. მაგიდას ადგილ-ადგილ ოქროს ლენტი გადაეფარა.

— ჰუხ... ჰუხ... ჰუხ... მოესმა ანტონს.

ბახჩაში კრუხი დასეირნობდა. თან ახლდა ერთი ჯარი თოთო წიწიღებისა... დაბუხულებულნი, გადაპენტილი ბამბის ქულები... ნამს სრუტავენ, ფუსფუსებენ, დედას ექურღლებიან...

ანტონს გული გაუნათდა ამ სურათის დანახვაზე.

— გოგო, ეპრასია, გოგო! ამ წიწილებს მოხედე ერთი, ქორმა არ მოგვტაცოს, — გასძახა გოგოს და ღიმილით დააქქერდა წიწილებს.

შემდეგ ქალაღებს დაუწყო ჩხრეკა. ძველის ძველი ხელნაწერი მეტრიკული წიგნი იყო. რაღაც ცნობები უნდოდა. შლის ოცდაათ-ორმოცის წლის უკან მღვდელ პეტრეს მიერ ხელმოწერილ ქალაღებს. და ეღიმიება, თან ფიქრობს: სწორეთ ასე აწერს ახლაც ხელს ჩვენი ხუცესი, არც წინ წასულა, არც უკან, რაც ორმოცი წლის წინ ყოფილა, ისაა ეხლაც.

ამასობაში დიაკონი მოვიდა და უამბო, რომ ამ დღილაზე მ. პეტრე გაბრიელისას იყო და საშინლათ გვექაღებო.

ანტონს თითქოს თოფი მოხვდაო. მოკვდა კაცი, მოიშალა, მთელი სხეული მოუღუნდა... თავზარ დაცე-

მული სკამს გადააწვა, თავი მისდა შეუმჩნევლათ ვაზის ბარდებში გადაჰკიდა. ნამის წვეთები აცვივა. ვერას გრძნობს.

ჯოჯოხეთი დაუტრიალდა გულში. საშინელი ფიქრი და აზრი გულს უწიწენის.

„ღმერთო, ეს რა ვქენი, რა მომივიდა? დავიღუპე თავი, ცოლი, შვილები! დავიკალი ჩემის ხელითვე, მოვიწამლე არსებობა... კისერი გამოვიქერი... ვინ მჯიდა? ვყოფილიყავი ჩემთვის, დავტეულდიყავ ჩემს ქერქში!... რას ვწერდი ჯვარს?... რაც უნდოდა ის ექნა იმ ოჯახ-დასაქცევს... რალა შემომიჩნდა და დამიმეგობრდა?... ხათრი ვერ გაუტეხე... შემრცხვა... ახ, ღმერთო, ცოლო და შვილო! ვიყავი ჩემთვის წყნარათ, უდარდელათ... ეს კი რა დამემართა!... რაზე გავითხარე ჩემი ხელით ჩემივე სამარე?“

უადგილობა, ლუკმა პურის დაკარგვა მთელის თავის საშინელებით გამოესახა. ამ დილაზე თუ თავისი თავის მადლიერი იყო და უხაროდა, რომ შოთა სამუდამოთ დაიმეგობრა, ეხლა ყველაფერი დაღუპულათ ეჩვენა... მისი დამღუპველი და გამაუბედურებელიც შოთა შეიქნა.

„სწორეთ დამღუპა, ამომადლო იმ კაცმა! ჩადგა ჩემი ცოლშვილის ცოდვაში ფეხი. ახ, რა ვქენი ეს, რა?“

სადილობამდე ასეთ მდგომარეობაში იყო. არც მკვდარი იყო და არც ცოცხალი, ხმას არ იღებდა. სადილობაზე კი—როცა გაბრიელისას მეორეთ მიიწვიეს, ცოტათი გათამამდა, გული მოიბრუნა და თავის მეუღლეთ გაბრიელს ესტუმრა.

როგორც შოთა, ისე გაბრიელი მხიარულათ შეხედნენ ანტონს, პეტრე მღვდელიც აქ იყო, საუკეთესო ადგილს მოეკალათებია და სანამ სადილს მიაართმევდნენ,

სული მიუდიოდა. ქვაბის ყოველ გარაწყუნებაზე ყურებს ცქვეტდა.

სიცილ-კისკისი იყო, მხიარულობა. ანტონი მეუღლითურთ ყველამ მხიარულათ მიიღო. ყველაზე უწინ ხელზე გიგო ბროლიძე ემთხვია. გახარებულნი იყო, გაბრწყინებული. როცა ანტონმა მიულოცა შოთას დაქორწინება, სიხარულით რა ექნა არ იცოდა.

— მამაო ანტონ, მოდი აქ, მოდი! მშვენიერი ჩრდილია! — დაუძახა მამა პეტრემ და ხელი დაუქნია.

პეტრეს ხმამ ყველას ყურადღება მიიქცია. გაელიმათ. კარგათ იცოდენ, თუ როგორის მოუთმენლობით მოელოდა ხუცესი სადილს.

— ჩვენს ხუცესს არ მოშივდეს, ხუცესს, ის თუ გაძღა ღღეს, გაბედნიერდება ჩვენი სოფელი, — ოხუნჯობდენ სტუმრები.

ანტონიც ღიმილით წავიდა პეტრესკენ. გააბეს მუსაიფი.

— ანტონ ჩემო, სწორეთ რომ მოიკიდე იმათი მადლი, ჯვარი რო დაწერე... რა დროს გაატარებდენ წუხელის... აი მაგათ ტყავს, — ღიმილით და ტუჩების წლაკუნით უთხრა პეტრემ.

ანტონს სინიღისი ქეჯნიდა, რცხვენოდა თავისი თავის. „არა, სწორეთ დიდი მშიშარა ვარ! წელან ქვეყანა დამექცა მეგონა! ვფიქრობდი, რომ ყველა ჩემი მტერი იყო და ნამდვილათ კი კარგად მიმიღეს. არავის ჩემდამი მტრობა არ ეხატება სახეზე... ახ, რა ბედნიერებაა!“.

ქორწილი გაჩაღდა. მეფე-დედოფალს, როგორც წესი და რიგია, პირველი ადგილი მიუჩინეს. რაც გუშინ საყდარზე წესრიგი დაიკლეს, ღღეს სულ ერთიანათ შეუსრულეს. ყველა მხიარულობს, იცინის. გიგოს და

მის მეუღლეს მიწაზე ფეხი არ უდგიათ. მხოლოდ სიდონია ბუზლუნებს, მარა მასაც გული უნათდება, როცა ახალ დაგვირგვინებულთ ხედავს. გაბრიელი ხომ გასაფრენათაა. „შოთა და თამარი, შოთა და თამარი... შვილიც ეყოლებათ და ავთანდილს დავარქმევ!.. ფიქრობს ბედნიერი მამა. შორს გადაყარა რაც ღღემღე დარდი ენახა.

საერთო მხიარულებაში მხოლოდ შოთას და—კესო—არ იღებს გულით მონაწილეობას. მართალია, სხვების შესახედავათ ისიც იცინის, საქნარობს, ცეკვავს, გარმონს უკრავს, მირა ხანდახან ისეთს ამოიხენეშებს და მოიწყენს, რომ ყველა დარწმუნდება მისი გულის დარღებში. შოთას მეტი ვერაფერს ამჩნევს ამას. ის ჩუმათ უთვალთვალებს დას და გული ესერება. „ჩემო დაიკო, უბედური ხარ, დატანჯული... ჯერ შენ უნდა გამეთხოვებინე და მერმე მე უნდა შემერთო ცოლი... ვიცი, ჩემი ბედნიერება სხვა პირობებში გაგინახადებოდა, იქნებ ახლაც კი გინახია, მარა... ეხ... შენც აღამიანი ხარ, სისხლ-ხორცი გაქვს... შვიდი-რვა წლის უკანაც გასათხოვარი იყავი“.

კესოს გულიც ბოლბითაა სავსე. „ღმერთო ჩემო, რაზე დამბადე ასე უიღბლო? რაზე დამტანჯე? ჩემზე უმცროსები დათხოვდნენ, შვილები ყავთ და მე რა ვქნა, სანამდის ვიყო ასე? დავბერდი აღამიანი... რუ თუ ჩემს სიცოცხლეში ქმარზე უნდა ვიოცნებო, ვიფიქრო და ახლოს კი ვერ მივეკარო?.. ქალი თუ კაცი, ყველა, დიდი, პატარა იმაზე ფიქრობს, იმას აქებს, იმისკენ მიილტვის... ყველა ბედნიერებათ თვლის ცოლქმრობას და მე რა შევიქენი ისეთი, რომ არაფერი მეღირსა!.. ვინმეს მაინც შეეყვარებოდი... ღარიბის შვილი რო ვარ არავინ ყურადღებას არ მაქცევს... ყველას ეღირსა გა-

ხარება, გათხოვება და მე რა უბედური საათზე დაბადებული შევიქნენი?.. რა ხატის მტეხელი გამოვედი! შოთა, ძამიკო, შოთა! ღმერთმა გაგაბედნიეროს!.. მარა... მე... მე... ესაა შენი ძმობა? ეს? ამას ველოდი შენგან?”

შოთა მშვენივრათ კითხულობდა ყველაფერ ამას დის გამომეტყველებაში და გული უკვდებოდა სიბრაღით. ხოლო საღამოზე კი შემდეგმა სურათმა სულ ერთიანათ მოწამლა.

ისა და თამრიკო ოთახში იყვნენ. თამრომ შოთას სიყვარულით გაუღიმა, სახეზე ვნების აღმა გადურბინა. ამას თვალი შეასწრო კესომ და ისეთ ნაირათ მოიწყინა, ისეთის სიძლიერით გადუქროლა სახეზე შურმა, რომ ამის მნახველ შოთას ეგონა თამროს მივარდება და დაწიწკნისო. კესო რომ ასე მოქცეულიყო, ვინ იცის, შოთას იქნება არც კი დაეცვა თამრო, ისე აღივსო დის სიბრაღით. „მართალი ხარ დაო, მართალი“—გაიფიქრა და დაიფიცა, რაც უნდა დაჯდომოდა კესო მალე გაეთხოვებინა.

ქორწილი დათავდა. ყველაფერმა ჩვეულებრივი სახე მიიღო. ყველა ბედნიერი და კმაყოფილია. ახალ დაგვირგვინებულნიც ბედს ემადლიერებიან და მძახლებიც...

თამროს და შოთას ასეთ ნაირათ შეუღლებამ, რასაკვირველია, მთელი სოფელი განსაკუთრებულ ელფერში გახვია; ქალებს ვინ იცის რამდენ ხანს ჰქონდათ ეს ამბავი საქორიკანოთ. მხოლოთ გულდაწყვეტილი და პირში ჩალა-გამოვლებული ყმაწვილები კი ჯავრის მოსაკლავათ „წაიყვანეს თამარ ქალი დიელო, მოწამე ხარ შენ საქართველოს“ მღეროდენ.

სხვა შემთხვევაში ამ ლექსს უწმაწურ კუდსაც გამოაბანდენ, მარა ეხლა შოთას პატივის ცემისათვის ასე შორს არ წასულან...

XXIII

შემოდგომა იწყება.

ქარ-მიდამომ ოქროს ფერი გადიკრა. მზე დალილიათ გამოიყურება. გაზაფხულ-ზაფხულში მჩქეფარე სი-
ცოცხლის ნაკადული თითქოს მოქანცულა, მოდუნე-
ბულა. ერთ დროს მქუხარე და მოჩუხჩუხე, დღეს უხა-
ლისოდ მიტბორავს, მიიზლაზნება...

ბუნებამ კმაყოფილება შექმნა... ადამიანის სასია-
მოვნოთ მიმართული ღვაწლი უმწვერვალეს წერტილამდე
აიყვანა... დაათავა ბედნიერების ტაძრის შენება...

გაზაფხულისას დაწყებული გაცხარებული მუშა-
ობა შეანელა... დღეს დანათესა მკის...

მისცა ადამიანს რის მიცემაც შეეძლო...

ასეთ მდგომარეობაშია თამროც...

ახალგაზრდობის უმანკო აფეთქებამ შეძლენა რის
შიძლენაც შეეძლო...

ერთ დროს ბედნიერების ნაკადული მთის მწვერ-
ვალეებს ასკდებოდა, გაათრთებული ჩამოჩქრიალებდა,
ჰქუხდა...

დღეს კი ბარშია... მოქანცული მიიზლაზნება... ნე-
ლათ მიაცურებს ბედნიერების ნავს... მოღლილი ტალღა
ნელათ ეშხაპუნება ნავის კედლებს... ხშირათ კიდევ
სთვლემს...

ნიჩაბიც უმოქმედოთ არის... თამროს არ სცალია
მისთვის...

ის შოთას გულ-მკერდში ნეტარობს მითვლემილი,
თავდავიწყებული...

დაწყნარდა ღელვა... ჩადგა ქარ-ტეხილი...

ბედნიერებამ მისცა შეყვარებულთ რის მიცემაც
შეეძლო...

შაბათ საღამოა...

თამრო დერეფანში ზის... ახლათ დაბანილ თმას ივარცხნის...

შიშველ მკლავებს მზე უკოცნის... მოღეროდა ყელამდე კი ვერ მიულწევია: გიშრის თმის ბადე უშლის... კიდევ კოტა ხანი და შოთაც მოვა ყანიდან... ჩაეხვევიან ერთმანეთს...

არსიდან დარდი, სევდა... კმაყოფილი წუმპლოაობს თამრო ბედნიერების ტალღებში... ყველაფრის მადლიერია: ცის, დედა-მიწის, უტყვის, მეტყველის...

მის თვალში მთელ ქვეყანას ბედნიერების ბადე აფარია... ჭმვებაშია გახვეული... მოსპობილია სევდა, დარდი, კაეშანი... თვალს არ სდის ცრემლი, გული არ კვნესის...

ყოველი არსი ბედნიერებას უდასტურებს, ნეტარების ჰიმნს ასმენს... შარბათს აპკურებს, ნექტარით ათრობს...

შოთა მისია, ის შოთასია...

და სხვა რა უნდა ბედის ნებიერს?..

— შოთა, შენ? გენაცვალე! რათ დაიგვიანე!

— ვმუშაობდი.

— ვმუშაობდი!.. ვმუშაობდი!.. რაა ვითომ, რომ არ იმუშაო ისე არ იქნება? იმათ იმუშაონ, ბებრები არიან!.. შენ კი ჩემთან იყავი... ჩემთან... ჩემთან... შენი კირიმე... შენი... თამრო უსურვაზივით ჩაეგრისა შოთას...

— სულ შენ ხომ ვერ მოგიჯდები, სულიკო, საქმეც უნდა ვაკეთო... მოხუცები მარტო ვერას გახდებიან.

ამ სიტყვებით თამრო მუხლებზე დაისვა...

— ახლა თმას დავიწნი, გენაცვალე, მაცალე!.. მერე ვითამაშოთ...

შოთამ არ დაუჯერა და კოცნა კოცნითვე გადაუხადა.

— რა გაქირებული ჩვენა ვართ!.. სულაც რომ არ იმუშაო, რა დაგვემართება?.. მიწა ბევრი გვაქ და წყალი...— ამბობდა თამრო.

— თამრიკო, იცი, მე დღეს წერილი მივიღე ქალაქიდან.

თამროს ექვის ნემსი დაესო.

— ვისგან? შეეკითხა გაფითრებული.

— ამხანაგისაგან.

გული დაუწყნარდა. ეგონა ელენესაგან იყო.

— აბა, მაჩვენე!...

დავარცხნილი, ჯერ დაუნაწნავებელი თმა ხელათ გადიყარა სახიდან და მსწრაფლ ჩააჩერდა ქმარს.

შოთა მაშინვე მიხვდა თამროს თვალებზე, თუ რა აწუხებდა მას, მარა არაფერი უთხრა და ჯიბისკენ წაიღო ხელი. ელენეს სახემ ბუნდოვანათ გაუარა თვალგბთან...

— მომეცი, მე წავიკითხავ, მე... არ ასვენებდა თამრო.

— შენ თმა ივარცხნე და მე ვიკითხავ, გაგიქირდება გარჩევა, ცუდი ნაწერია.

— მე ყოველგვარი ნაწერის წაკითხვა შემიძლია!.. მომეცი... მომეცი!..

შოთამ არ დაანება. თამრო დაისვა მუხლებზე და დაიწყო წერილის კითხვა.

„ძვირფასო ამხანაგო, შოთა! სხვა ამხანაგებთან ერთად მეც გესალმები! გისურვებთ ბედნიერებას. ჩვენ უოჩაღათ ვართ, თუმც უშენობა ყველას და ყველაფერს ატყვია. ამხანაგო! ყველას გაგვიკვირდა, რასაკვირველია, შენი აგრე მოულოდნელათ სოფელში წასვლა. მართა-

ლია, მიზეზი ცოტათი ვიცი, მარა ნუ თუ აგრე ღრმა იყო იგი? (ყოველ შემთხვევაში თავს ნებას არ მიეცემთ, რომ შენს გულში ხელი ვაფათუროთ. ეს სხვათა შორის). პირველ გაკვირვებას მეორეც მიემატა — ეს შენმა დაგვიანებამ გამოიწვია, გვეგონა მალე ჩამობრუნდებოდით. გვიკვირდა, მაგრამ, მართალი უნდა გითხრათ, რომ ყველა აღგვაფრთოვანა და გაგვახარა, როცა ჩვენს გაზეთში წავიკითხეთ შენი ვრცელი წერილი სოფლათ მუშაობის შესახებ. ამ თემაზე დაწერილი ჩვენ ბევრი წაგვიკითხავს, მაგრამ, გარდა ფრაზებისა, შიგ არა ყრილა რა. სურვილების გამოთქმა ადვილია, ხოლო საქმე კი... ხომ გახსოვს მგოსნის სიტყვები: „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უძევს დიდი მზღვარიო“? შენი წერილის ძვირფას ნაწილს სწორეთ რომ საქმე შეადგენს. ყველა ის კულტურული დაწესებულებანი, რაც თქვენს სოფელში დაგიარსებიათ ამ ბოლო წლებში, ყველასათვის სანატრელი და სასურველია... მარა, შენი წერილის სიტყვების არ იყო, „ესაა მხოლოდ მედალის ერთი მხარე და უნდა ვემსახურობოდეთ მეორესაც“, მათი დაშორება შეუძლებელია. ჩვენც შენთან ერთად ამ სიტყვებში ვგულისხმობთ არალეგალურ მუშაობას. დღეს შეიძლება ლეგალური მხარე ძალადღეს მას, მარა ხომ იცი, სასწორი ხან აქეთ აიწევა და ხან იქეთ. ჩვენც ასე უნდა ვიქცეოდეთ. შენ ყველაფერი ეს ჩვენზე არა ნაკლებ იცი და რა საჭიროა კიდევ სიტყვა გაგიგრძელოთ?“..

— ვინ შოგიტანა ეს წერილი? — სრულიათ მოულოდნელათ იკითხა თამრომ და თან აკოცა შოთას.

შოთას ეწყინა, ეგონა თამროც მასავით იყო ამ წერილით დაინტერესებული, ფიქრობდა გულ-დასმით მისმენსო. ხმა არ გასცა და განაგრძო:

„ამ წერილის შემდეგ ჩვენ ყველანი მოხარული

ვართ, რომ შენ სოფლათ გადი და იქ შრომობ. ვინ იცის, იქნებ დღეს სოფლათ მეტად საჭირო იყოს შენის-თანა თავდადებული მუშაკები, ვიდრე ქალაქათ...“

— რაზე არ მიპასუხე, გენაცვალე? მე გელოდები! თამრომ კიდევ გააწყვეტინა შოთას კითხვა და კოცნა გაუმეორა.

შოთას ეხლა უარესად ეწყინა. გაკვირვებულათ ჩახედა თვალებში. ლამის უსაყვედურა, მარა თავი შეიმაგრა და უგულოთ უთხრა:

— შალვა სურათაძემ მომიტანა... დამიგდე ყური, ბოლომდი ჩავიკითხავ...

„იშრომე, ამხანაგო, შენებურათ... გახსოვდეს მშრომელი ხალხი და მას ანაცვალე ყველაფერი... მისი კეთილ-დღეობა ჩვენი ბედნიერებაა, მისი კენესა ჩვენი ვაებაა. ცოტათი შევეცდით ქავეკვადის ლექსს და გეტყვი: „მაშვრალთ წყლული გაჩნდეს წყლულათ, გეწოდეს მის ტანჯვით სული, მის ბედით და უბედობით დაგედაგოს მტკიცე გული...“ შენ კარგად იცი, ამხანაგო, რომ სოფლის მშრომელი მაჯა ჩვენ, ქალაქისას, უნდა ამოგვიდგეს გვერდით და აგრე შრომის წითელი დროშით შეუდრეკელათ წინ უნდა გავსწიოთ აღთქმულ ქვეყნისაკენ... მაშ შრომა შენებური, ამხანაგო, სიმხნევე, თავდადება საქვეყნო სამსხვერპლოზე!.. გამარჯვება ჩვენია...“

„გავიგეთ ცოლი შეგირთავს. გილოცავთ. გისურვებთ, რომ ღირსეულ მეუღლეთ გამოგდგომოდეს, შენთან ერთად ეტარებინოს ცხოვრების მძიმე უღელი...“

შენი ამხანაგები: ბიქტორი, ალექსი, კირილე, მიშა, ვასო, მარო და სხვები...“

თამრომ შემკრთალივით შეხედა შოთას. თვალებში შიში ეხატებოდა. თავს რალაც მტყუანისებურათ გრძნო-

ბდა უკანასკნელ სიტყვების გამო... უხერხულობის გასაფანტავათ წერილი გამოართვა და სინჯვა დაუწყო.

— გაიგე რამე? ნაძალადევი ღიმილით შეეკითხა შოთა.

— რაზე ვერ გავიგებდი? ყრუ კი არა ვარ? შენ გგონია მე არაფერი წამიკითხავს და განუვითარებელი ვარ! ნაწყენათ უთხრა თამრომ და თან მოეხვია.

ჩიტივით ფართქალებდა, ეკვროდა, თითქოს შეუ-რაცხყოფას გრძნობდა, თავს აბრალეობდა. იგრძნო, რომ რაღაც გამაყოფელი ხაზი იყო მისა და შოთას შორის გავლებული. დაინახა, რომ რაღაც ისეთი რამ იცოდა შოთამ, რაც მან არა... ერთის მხრით კიდევ ეამა ეს, გაიფიქრა: „კარგი ქმარი მყავსო“, მარა მეორე მხრით რაღაც იქვი შეეპარა, გულში ღრღნა დაუწყო—„რათ არ ვიცი ყველაფერი ის, რაც შოთას გულში უძევსო“...

— ხომ სამუდამოთ გეყვარები?... სამუდამოთ!... მითხარი... მითხარი!—მარტო ამისი თქმას ახერხებდა თამრო.

— რა საკითხავია ეს თამრიკო? ამას რა თქმა უნდა? შენს მეტი ვინ უნდა მიყვარდეს? შენ ხარ ჩემი ღვთაება, ჩემი სიცოცხლე...

— ახ, შენი ჰირიმე, შენ გენაცვალე!... ჩემი ხარ, ჩემი! შენს თავს ვერავის ვერ დაფანებებ... ვერა... სა-მარემლის ჩემი ხარ... ჩემი...

— ვიშრომოთ, გენაცვალე, ერთად, დაუღალავათ, თავდადებულათ. ხომ გაიგონე რას მწერენ ამხანაგები: გისურვებთ ისეთი მეუღლე გამოგდგომოდეს, რომელიც კირში და ლხინში შენთან იქნება და მხარს დაგიმშვე-ნებსო... ჩემი ტანჯვა შენი ტანჯვა უნდა იყოს, ჩემი სიხარული შენ უნდა გახარებდეს...

— მალე დადგება მაგ დრო? — იკითხა გულუბრყვი-
ლოთ თამრომ...

— ვინ იცის, როდის დადგება! მხოლოდ ეს კია, რომ მანამდე დიდა ხანი გაივლის, შეიძლება რამოდენიმე თაობამაც გადაიაროს... მაგრამ ჩვენ აქედანვე უნდა ვამ-
ზადოთ ნიადაგი... შენ ოღონდ გულმოდგინეთ და და-
კვირვებით იკითხე, აი ის წიგნები, გუშინ რომ მოგეცი, რომელი აღგილიც ვერ გაიგო მკითხე და აგიხსნი; შემ-
დეგ მე მოგიყვები ხელახლათ მაგ წიგნებს შინაარსს... შეგასწავლი ყველაფერს და მერმე შენვე დაინახავ და მიხედები თუ როდის განხორციელდება ყველაფერი ეს. მაშ ჯერ იკითხე, მეც განვაგრძობ ჩემს დღევანდელ სა-
უბარს, შემდეგ წრეებში წაგიყვან აქ, მერმე ქალაქში გაგავითარებ და შენც სხვებივით გეცოდინება ყველა-
ფერი... შენც ჩემს გვერდით დადგები ბრძოლის ველზე.

— ძაან ძნელი საკითხავი კია ის წიგნები... „ქრის-
ტინე“-ს ისე ვკითხულობდი, რომ გული ვერ მოვწყვი-
ტე... ისე კილო „სიმონას“, „ელისოს“, „კაცია—ადა-
მიანს“, „მამის მკვლელს“ და... ამ წიგნების კითხვა კი გამიჰირდა...

— არა უშავს, პირველათ გაგიჰირდება, მარა ბო-
ლოს შეიგნებ, გაიგებ... ისე შეგიყვარდება, რომ გულს მოწყვეტ.

— ის კიდევე, გენაცვალე, „სურამის ციხე“... ახ, რამდენი ვიტყვი!.. რაფერ ყვარებიან საწყლებს ერთმანეთი!.. ჩვენსავით ყვარებიან... ჩვენსავით... მერე კიდევე საწყალი ქრისტინეს ამბავი! ახ, ის უსინდისო იასონი, ისა! ერთი რომ მანახა, შევქამდი...

შოთას გაეცინა.

— რა იყო, რაზე გაგეცინა?.. ხო, მართალია, ის მინდოდა მეკითხა: თუ ჩვენ ვერ მოვესწრებით იმ ბედნიერებას, რათ გვინდა ისე?.. სხვისი გულიზა ვიწვალოთ?.. მერმე კიდევე პოლიციამ... რომ დაგვიქიროს? შენ ხომ იყავი სამ წელიწადს ციხეში, კილო გინდა რომ ჩაგსვან?

— რა უყოთ მერმე? უმსხვერპლოთ რა გაკეთებულა ქვეყანაზე?

— რაო, რა სთქვი? შენ ციხეში ჩაგსვან და მე? მე რა ვქნა მერე? რა მეშველება?.. რო ჩამოგახრჩონ?

— განა ჩემისთანები არიან ციხეში?

— აა! უყურე! სხვას რას დავეძებ მე!.. თუ უნდათ ყველა გაუციმბირებიან... ოლონდ შენს თავს ნუ წამართმევენ და სხვას რას ენაღლობ?..

— რაც გელაპარაკე ის არ შეგისმენია?

— ის... რა უყოთ მერმე... სხვამ იმუშაოს და აკეთოს და შენ კი აქ იყავი. სასმელი არ გაკლია და საკმელი. ხო იცი მამას ჩვენს მეტი არაფერა ყავს და შენ რო რამე მოგივიდეს, თავს მოიკლავს, არ გეკოდება?

შოთა ნაწყენი აღგა, ხმა არ გასცა, თამროც წამოხტა და შემოეხვია.

— ქალაქში წაგიყვანო რო სთქვი ხომ წამიყვან? ხომ?... კი? ო, შენი ქირიმე... რა კარგი იქნება!.. ჩამოვიკიდებ გულზე ოქროს საათს, ძეწვეს, ხელებს გავიჭედავ ბექლებით, სამაჯურით... ახ... რა კარგი იქ-

ნება!.. მტერს თვალი დაუდგება, ჩემს ამხანაგებს ყველას ყურებს ჩამოვაყრევინებ... კაი იქნება ხომ, გენაცვალე? ა? ხომ? რაა, ბეჩა, ხმას რომ არ მცემ?.. არ გიყვარვარ შენ, არა... არა...

კეკლუცობს თამრო და თან, თითქოს ტირილს აპირებსო, ამ უკანასკნელი სიტყვებით მოიწყინა და უკან დაიხია...

შოთას ხმა არ გაუცია. კარში გავიდა. გაბრიელი და სიდონიაც მოვიდნენ ყანიდან, ურემი მოაჭრიალეს...

შოთა მათ მისახმარებლათ წავიდა.

XXIV

მეორე დღეს, კვირას, შოთამ სადილზე დაიგვიანა. როცა მოვიდა, დაინახა, რომ სიმამრს მისი მშობლები და კესო დაეპატიჟნა. ეამა. ხალისით მიესალმა ყველას. მაშინვე გაჩაღდა სადილი. თამრო ჯარასავით ტრიალებდა. ცდილობდა თავი გამოეჩინა მეორე მშობლების წინაშე.

— შეილო, შოთა, რისთვის დაგაგვიანდა, სად იყავი ამდენი ხანი? დინჯათ ჰკითხა გაბრიელმა სადილობის დროს.

ამ კითხვამ ყველა შეაშუშმარა, ყველამ რაღაც უხერხულობა იგრძნო.

— ამხანაგებთან ვიყავი, მამა, ცოტა საქვე გვექონდა.

— ვისთან იყავი? შეეკითხა თავის წილ გიგო, რომელმაც ხელსახოცით გაიწმინდა ღომითა და ქათმის წვენიტ დასვრილი თითები და შემდეგ მუხლებზე ხელებ დადებული მიაჩერდა შვილს.

შოთა ცოტა არ იყოს გაკვირდა. სახეში ჩააცქერდა და უბასუხა:

— ამხანაგებთან ვიყავი მეთქი. რა იყო?

— ამხანაგებთან იყავი...

გიგომ ჩაახველა ამ სიტყვებზე და ხმას დარიგებითი ელფერი მისცა.

— შეილო, — განაგრძო, — ახლობამდე რაც გიქნია, ისეთი რამ არ გამოგადგება აწი... ცოლიანი კაცი ხარ, ოჯახს მოკიდებული და ძველი ახალგაზღვრი თუ რამე გაქვს, ყველაფერი უნდა დაივიწყო. უწინდელი არც ამხანაგები გამოგადგებიან და არც სხვები. აწი ისინი შენი ამხანაგები არ არიან, შენ შენი საქმე გაქვს, იმათ კიდევ თავისი... შენს საქმეს უნდა დააკვირდე კარგად, შეილო, უცოლობის დროს რაც გეპატიებოდა, ის დღეს არ გარგია, ახლა სხვა მდგომარეობაში ხარ...

— მამა ჩემო, რა საქიროა ეხლა მაგის ლაპარაკი?

ყველა უხერხულათ სდუმს, ვერ სქამენ. მხოლოდ თამრო დასაქნარობს კუთხეში, ტყვილა დაფუსფუსებს, ვითომ ყურადღებასაც არ აქცევს ლაპარაკს, მარა ნამდვილათ კი სმენათაა გადაქცეული. წითლდება, ეშინია შოთას პირდაპირ შეხედოს.

— შეილო, შენ კი გგონია, რომ საქირო არაა ამის თქმა, მარა ერთი ჩვენ არ გვკითხავ? საქირო კი არა, საქიროზე მეტიცაა. მე შენი დაცოლშვილების იმედი მქონდა, თვარა ასე აგიშვებდი? ვფიქრობდი, ცოლს რომ შეირთავს და ოჯახობას იწყებს, კკუაში ჩავარდება და ვილაც ამხანაგებთან ხეტიალს თავს დაანებებს თქვა და შენ კიდევ არ იშლი ძველ დროს, კიდო იმ გზით მიხვალ?... ეს კი გამოუდევარია, შეუძლებელია, შეილო! როცა უცოლო იყავი, მაშინ გზა გაშლილი გქონდა, დაფრინავდი, მაგრამ ცოლიანობა რკინის უღელია, ეს უნდა გცოდნოდა. როცა კაცი ცოლს ირთავს, ბორკილს იყრის ფეხებში; იცი? სულ სხვა ცხოვრება უნდა

დაიწყოს... შენ კი, თითქოს აქ არაფერიაო, ესეც განაგრძობ უწინდებურათ მოქმედებას...

— მთელი ოჯახი შენზეა, შეილო, შემოჩერებული, — დაეხმარა ქმარს მართა.

— მაცალე მე ჯერე, დედაკაცო! გააწყვეტინ გიგომ და განაგრძო: ამ კაცს ერთად ერთი ქალიშვილი ყავდა და შენ მოგცა, გიშვილა, დაგისიძა. გონია, რომ მის ქონებას უპატრონებ, გაუძღვები, ოჯახს მოუბრუნებ, გაუცოცხლებ, და შენ კიდევ ტყეში გაქვს თვალეები?

— მამა ჩემო, ნუ თუ ღღეს მნახე, ღღეს მიცანი! განა არ იცი ჩემი ამბავი?.. რა საჭიროა ამგვარი სიტყვების ლაპარაკი?

— შეილო, 'მე მამა ვარ შენი, შენი მშობელი... ყველა, ვინც ამ სტოლზე ვართ, შენი კარგის მდომი ვართ და ყველაფერი უნდა გითხრათ, დასამალავი რა გვაქვს?.. შენ გგონია, რომ მარტო მე გეუბნები ამ სიტყვებს? გაბრიელიც ჩემი აზრისაა, სიღონიაც, დედა შენიც და ყველა...

შოთამ უკმაყოფილოთ გადახედა ყველას, რაღაცის თქმა უნდოდა, მარა თავი შეიმაგრა.

— შენზე აღრე გავიგონე მე მაგ ახალთაობის აზრები და მართლა მეგონა რამე გამოვიდოდა, მარა ყველა ხედავს რაცაა... ვინ იცის როდის ასრულდება რასაც ამბობენ... ან რამ უნდა აასრულოს, როცა ერთი პირი ვერ დაფიქვით. ყველამ თავისთვის დაუწყო საქმეს წევა, ყველა თავის სარგებლობაზე ფიქრობდა და კიდევ დაიღუპა ყველაფერი. გაგონილა, ჩემო გაბრიელ, კაცს ჯერ მტერი არ დაგემარცხებინოს რა მისი ინაწილებდე? ა?

— რასაკვირველია, შენ ვიგო, უთანხმოებამ დაღუპა ყველაფერი, მარა მე რო? მათე მაგ საქმე არც

უნდა დაეწყოთ... სთქვა თავის წილ გაბრიელმა და, რაკი შეატყო, რომ ყურს არავინ უგდებდა, ისევ მამა-შვილს შეატყერდა.

— მიირთვით საკმელი, თქვენი კირიმე! ასე თუ მოიქეცით, ხომ უსადილოთ დარჩით... მოკიდე ხელი, მართა... მიირთვი, გენაცვალე, კესო! ეპატიუება სტუმრებს სიღონია.

— პოლიციამ რო გაიგოს, ხომ დაგიკირავს. რავაც ქე გაატარე სამი წელიწადი ციხეში, ისე გიზამენ კიდევ ახლა; ვინ იცის—ეგება ციხეს არც კი დაგაჯერონ... მერმე რა უნდა ეშველოს შენს მშობლებს და სიღედრ-სიმაბრს...

— ის ღღეი ღმერთმა ნუ მომასწროს... მანამდე მე მიმიერთვას უფალმა,—სთქვა სიღონიამ. მართაც დაემოწმა.

— შვილო, მოქრისტიანი მეგონა და შენ კიდევ ეშმაკებისკენ გქონია გულის ყური. გლახებს და მემამულეებს რალაც დავა მოსვლიათ სიმინდის გაყოფაზე და შენ ჩარევიხარ შიგ. ამას წინეთ თავადი ფარნაოზი ვნახე და მითხრა, რომ შენი შვილი ჩამომამორე, გლახებს ნუ მიბუნტებს, თვარა მთავრობა ჯერ კიდევ არ გამეიწყებია, ხელათ მიაციმბირებენო. ასე ამბობენ მისი სახლის კაცებიც... ერთობის მობრუნება უნდაო, იძახიან... აი გუშინ კიდევ წერილი მოგსვლია ამხანაგებისაგან... ქალაქიდან... ალბათ კამიტეტები იქნებიან და შენ გწერენ, თუ როგორ მოიქცე აქ...

— თქვენ ვინ გითხრათ წერილის მოსვლა? უცებ შეეკითხა შოთა და თამროს გადახედა... თამრო თოფნაკრავივით გაფარდა კარში.

— ვის უნდა ეთქვა, შვილო? ვისაც წაუკითხე

იბან სთქვა. დედამისათვის უთქვამს, მათაც შეშინებიათ და შენს დასარიგებლათ მოგვიწვიეს დღეს...

შოთა გაშრა; ენა დაება. მიხვდა ვისი ნათქვამიც იყო. უნდოდა თამრო შემოეხმო, მარა თავი შეიმაგრა; ათსნაირმა ფერმა გადაკრა...

ყველამ შეატყო, თუ რა მდგომარეობაში იყო.

საშინელი უხერხულობა გამეფდა. გაბრიელ და სიდონიას ერთობ ეწყინათ გიგოს სიტყვები:

„რისთვის გაგვანჯღავენა ასეო“. ეგონათ გიგო ნამუსს შეუნახავდა, თორემ თავიდანვე გააფრთხილებდენ, რომ არა დაცდენოდა რა ამის მაგვარი.

გიგომაც შეატყო ესა და თავის გასამართლებლათ განაგრძო:

— დასამალავი აქ რა გვაქვს, შვილო! ყველაფერი უნდა ითქვას, დაფარული ეშმაკისაა...

— მამა ჩემო, — დაიწყო შოთამ, რომელსაც ეტყობოდა, რომ მღელვარებას აკაევებდა, — მე მცირეწლოვანი არა ვარ, ვიცი რასაც ვაკეთებ, რასაც ვმოქმედობ. კკუაზე დარიგება მე არ მჭირდება...

— რას ამბობ, შვილო, — ჩაერია დედა მისი, — გუშინ კილო ასე პეტრე მღვდლისათვის გითქვამს... მისაყვედურა — შენმა შვილმა გამლანძღაო. რაც უნდა იყოს, შვილო, ნაკურთხი ადამიანი, პატივის ცემა უნდა, მოხუცია... ცოლის შერთვა ხომ კარგიაო, უმასხრებია და ამას გული მოსვლია...

— მისი მოხუცებულობისა და ნაკურთხობის მე არაფერიც არ მეცოდინება... მაგისთანა ჩერჩეტებს და გარყენილ ავხორცებს მაგრე უნდა... მე სიბერეს და კალარას კი არ ვსცემ პატივს, არამედ კკუას და მხოლოდ კკუას. კკვიან ბავშვს ასის წლის გამოჩერჩეტებულ მოხუცზე მაღლა დავაყენებ; — უპასუხა დედას და შემდეგ

მამას მიმართა: ასე, მამა ჩემო! გითხარი იმისი არ იყოს, მე დღეს არ დავბადებულვარ, თავიდანვე ამ გზაზე ვადგევარ და სიკვდილის კარამდეც მას ვემსახურები, ვერავინ და ვერაფერი ხელს ვერ შემეშლის: ვერც თავადი, ვერც აზნაური. ვინც წინ გადამელობება, იცოდე არ დავინდობ... ჩემთვის სულ ერთია, ვინც უნდა იყოს... დედა, მამა, ცოლი თუ სხვა. ვინც მისწრაფების აღსრულებაში ხელს შემეშლის, ის ჩემი მტერია და მტერს მე ყოველთვის მტრულად მოვეყურობი!

— შვილო, დაგიღუპივარ და ესაა! უთხრა აკანკალებულის ხმით გაბრიელმა.

— რას მიქვია დაღუპვა? როგორ დაგღუპე? მე ჩემი გზა ვიცი და შენ კიდევ შენი! შენ შენს ღმერთს ემსახურები და მე კი ჩემსას. მე არავისგან ჭკუის სწავლებას არ მივიღებ და გთხოვთ, ვისაც ჩემი თავი გინდათ, დღეის იქით, ამის მაგვარი რამ არა გამაგონოთ რა!

ამ სიტყვებით შოთა კარში გავიდა. თამრო კი მაშინვე სახლში შემოვიდა. გაფითრებული იყო, აცრემლებული.

ყველა გაქვავდა, ხმას არ იღებენ... ხოლო სიდონიასა და მარათს მგონი თვალებიც კი ამოუსველდათ.

შოთამ თან გაიტანა ჯოჯობებით... „ნუ თუ? ნუ თუ ეს სიმართლეა? თამრომ, ჩემმა ღვთაებამ, ასეთი რამ ჩაიდინა? დამასმინა? როგორ ახასიათებს მას ეს? რაფერათ უცქერის ის ჩემს აზრებს? სწამს თუ არა?... იქნებ ნაპრალობა ჩემსა და მის შუა? იქნებ ხილიც არ გაიდება?... მარა ჩვენ ხომ სამუდამოთ შევეერთდით... მე აკი ის მიყვარს... მასაც ვუყვარვარ... და განა სიყვარული შემაერთებელი ხილი არაა? ახ, ღმერთო!.. მარა... მარა... ეს რაა? რა ამბავია? რა ჩაუდენია ეს“?

პასუხმა შორით გაუელყა. თავს ზარი დასცა, ააკან-

კალა. შეშინებულმა მიიხედ მოიხედა. ფიცხლავ დერე-
ფნიდან გამოვიდა და ქიშკარს მიაშურა... შუა ეზოში
შეამჩნია, რომ ქუდი არ ჰქონდა. თოფნაკრავივით შე-
მოტრიალდა ქუდისათვის... დერეფანში მშობლები და
სიდედრ-სიმაბრი დანახა.

გამოირკვა. ფეხს უნელა. ჩაფიქრებული ხის ჩრდილში
გაჩერდა...

XXV

სალამოზე მორიგი თავყრილობა უნდა მომხდარიყო.

შოთა დაგონებული წავიდა. ამხანაგების უმეტესო-
ბა შეგროვილი დახვდა.

განაგრძეს მოთხრობის კითხვა. შემდეგ წარსულ
სალამოს წანაკითხზე იმსჯელეს. თუ ვინმეს რაიმე ახალი
კითხვა დაბადებოდა, შეძლებისდაგვარი პასუხი გასცეს.

წრეს გადაწყვეტილი ჰქონდა ჩვენი ძველი და ახალი
მწერლების შესწავლა და რამდენათ ძალი და ღონე
ჰქონდა კიდევ ასრულებდა ამას. გარდა მოთხრობა-ლე-
ქსებისა, კითხულობდნენ ადვილათ გასაგებ ენით დაწე-
რილ მეცნიერულ ბროშიურებს, სტატიებს და სხვ.

წიგნებით სასოფლო ბიბლიოთეკიდან სარგებლო-
ბდნენ, რაც კი იქ არ მოიპოვებოდა, ყიდულობდნენ.
თვალყურს ადევნებდნენ მიმდინარე პოლიტიკურ ცხოვ-
რებასაც, არც ერთი წერილი არ დარჩებოდათ გაზეთ-
ჟურნალში წაუკითხავი. თუ რამ გაუგებარი შეხვდებო-
დათ, ერთმანეთის საშვალებით ხსნიდნენ.

შოთა ამ წრის სული და გული იყო. მასთან სხვე-
ბზე უკედ მომზადებულიცა და გამოცდილიც. ყველას
უყვარდა, ყველა პატივს ცემდა, როგორც კოდნისა-
თვის, ისე პირადი თვისებებისათვის: იოტის ოდენი მედი-

დურობა არ ემჩნეოდა, საშინელი თავმდაბალი და უბრალო ხასიათის იყო.

ეხლაც ყველა სიხარულით მიეგება. მის ახსნა-განმარტებას ყველა ყურს უგდებდა, გულდასმით უსმენდა.

როცა დაშლის დრომ მოატანა, ლაპარაკი ჩამოვარდა გლეხებსა და მემამულეთ შუა მომხდარ უთანხმოებაზე.

— ამხანაგებო, — ამბობდა ერთი, — ყველამ იცით, თუ რა ურცხვით დაარღვიეს მემამულეებმა გლეხების წინაშე გაზაფხულისას დადებული პირობები ყანების შესახებ. ამ ნიადაგზე მომხდარ კონფლიქტის გამწვავებას ჩვენ გვაბრალებენ. თავადები გადასახლებით გვემუქრებიან, საჭიროა ზომები მივიღოთ მათ წინააღმდეგ, თავი უნდა დავიცვათ...

ლაპარაკში სხვებიც ჩაერივნ. კარგა ხანს იმსჯელეს.

შემდეგ კოოპერატიულ დუქნის შერყეულ მდგომარეობასაც შეეხნენ.

დუქნის რევიზია და წლიური კრება შემოდგომის გასულს უნდა მომხდარიყო. გადასწყვეტეს მხურვალე მონაწილეობა მიეღოთ და დუქანი ფეხზე დაეყენებიათ. აქვე უფრო ნათლათ გამოიკრევა, თუ რა ხრიკებით ცდილობდნენ სოფლის ჩარჩები დუქნის დამხობას. მეორე მხრით დუქნის მტრათ სოფლის ზოგიერთი „თავი კაცი“ გამოდიოდა: სურდათ თვითონ ყოფილიყვნენ დუქნის გამგეთ, ან რაიმე თანამდებობა ეშოვათ შიგ, რომ ამ გზით ცოტა მაინც ჩამოეთალათ სასოფლო ქონებისათვის. გული უკვდებოდათ, როცა ხედავდნენ, თუ როგორ სარგებლობდნენ დუქნით ზოგიერთები. მომავალ წლიურ კრებაზე თანამდებობის პირთა არჩევნებიც მოხდებოდა. ამისათვის ყველა ემზადებოდა. რიგი, — შიგ

მყოფი, — ადგილის შერჩენას კდილობდა, რიგი შიგ შეძვრომას ეხლა ელამუნებოდა და რიგიც მოწადინებულ იყო სულ გაექრო ღუქანი. ამ პირობებში დიდი ბრძოლა მოელოდათ შოთას და მისს ამხანაგებს.

დაიშალნენ...

შოთა კბილ-შეკრული მოვიდა სახლში. თამროსათვის სახეში ვერ შეეხედა. ხმის ამოუღებლივ მიუჯდა ვახშამს.

— შვილო, გახსენი შუბლის რაა რომ ასე მოიწყინე? — უსაყვედურა გაბრიელმა, — კაცს ცხოვრებაში საწყენიც ბევრი შეხვდება და სამხიარულოც... თუ ყოველ საწყენზე ასე მოვიქვეცით, შენი მტერია.. გამხიარულდი, შვილო... ნუ გეშინია, ღმერთი მოწყალეა!..

შოთაზე ამ სიტყვებმა გავლენა იქონიეს. თავი მალა აიღო და თითქოს ღიმილითაც კი გადახედა სიმამრს.

თამრომ ყურები აცქვიტა. ახლობამდე, რაკი თავს მტყუანათ გრძნობდა, დარცხვენილი იყო, ახლა კი ცოტათი გათამამდა.

— დამილიე ღვინო, — ღიმილით უთხრა სიძეს გაბრიელმა და სტაქანი აიღო, — შოთას გაუმარჯოს!.. მოსწი, ქიქები მივარაკუნოთ!..

შოთამაც სურვილი აუსრულა.

იმ დღეს მომხდარ ამბავზე ლაპარაკი, რასაკვირველია, უხერხულობა იქნებოდა. ეს მშვენივრათ იცოდა გაბრიელმა. ამისათვის მოდგა და რაც რამ ახალგაზრდობისას თავს გადახდენია, ან წაუკითხავს, ყველაფერს მოყვა. არსენას ლექსი სულ ზეპირათ სთქვა, ისე ბევრი ადგილები „ვეფხისტყაოსნიდან“... მოყვა „ყარამანიანს“, ზღაპრებს...

თვითონაც იცინა, სხვებიც აცინა, გაამხიარულა ოჯახი.

— აბა, რაღა გეგონა, სიძე ბატონო, - მიუბრუნდა შოთას, — გაბრიელი შენ ყრუ კაცი გგონია? უსთავლელი? აი, დედასა! ეს ღრო არ წამომწეოდა, ნახავდი რაც ვიქნებოდი. პირველი კაცი ვიყავი ჩვენს სოფელში ყველაფრათ და ახლაც ასე ვიქნებოდი.. არა, ერთი მითხარი, ვისი წყალობით იციან ძველმა კაცებმა ჩვენში ქალაქი? სულ ჩემის!.. აბა ერთი პირობის ქალაქი, ან თამასუქი მაჩვენე ჩვენ სოფელში სხვისი დაწერილი... ან ჩემი დაწერილი იქნება, ან ჩემი შეგირდის... კაი მწიგნობარი გგონია ხომ შენ შენი თავი, ჩემო შოთა, მარა აბა ერთი ვექსილს თუ დაწერ?... ხა... ხა... ხა... ვერ დაწერ, შენ არ მომიკვდე, ვერ დაწერო... ან ცხენის მოწმობას თუ შეადგენ, ან ხარისას?... არა... ხა... ხა... ხა... ხა!.. ვერ მოგართევს! ბევრი გაზეთი წაგიკითხავს, წიგნიც, მარა პირობის ქალაქს მაინც ვერ დაწერ!... აა... ტყუილი ლაპარაკი იქნება!.. ხა... ხა.. ხა!..

შოთაც გულიანათ იცინოდა სიმამრის ლაპარაკზე. თამრო დარწმუნდა — შოთა საყვედურს არ მეტყვის, შემირიგდაო.

გამხიარულებულთ მამალმაც კი დააყვილა.

მხოლოთ ახლა მოაგონდათ დაწოლა.

თამრო დაწოლისას უთავბოლოთ ქულოპინებდა. ცდილობდა ემხიარულნა. უნდოდა რაიმე ნაირათ შოთას გადავიწყებოდა იმ დღის ამბავი...

გულში ეკვროდა, ფიქრს არ აცლიდა, სულ სხვა და სხვა რამეებზე ალაპარაკებდა.

შოთა მიუხვდა თამროს გულის პასუხს. რაღაც სიბრაღული იგრძნო მისდამი. იფიქრა: „გამოუცდელია, არ იცის, გულუბრყვილობით მოუვიდა და რაკი ეხლა ასე იქცევა, ალბათ გრძნობს დანაშაულს და მეორეთ არ გაიმეორებსო.“

ამ სიტყვებით დაიმშვიდა გული და გადასწყვიტა არ ესაყვედურნა.

მართალია, ამ დროს სხვა საშინელი აზრებიც წამოეშალნენ, გარემოების უფრო ღრმით გათვალისწინება იყო საჭირო, მაგრამ შემკრთალმა შოთამ ხელი დააფარა მათ და დავიწყების ტალღებს გადასცა შორს, შორს, ზღვაში შთასანთქავათ...

XXVI

— შოთა, მაშ ასე, ამ საღამოს მოგელი. როგორც კი მორჩე საქმეს, წამოდი...

— ძალიან კარგი, უთუოდ მოვალ.

ამ პასუხით დაკმაყოფილებული მასწავლებელი გზას გაუდგა. ცივოდა, წვიმას აპირებდა...

მთებს ღრუბლებით წაეკრა თავი... დაძარცვული ხეები დასევდილი გამოიყურებოდნენ... ქარი სისინებდა...

მასწავლებელი არაფერს უურადლებას არ აქცევდა. მალალი სხეული საზაფხულო პალტოში გამოეხვია, დაბალი საყელო აეჩეჩა, შეხუნებული შლიაპა უურებზე შემოეფხატა და ილლიით ქალაქში გახვეული პური და შაქარი მიქონდა. თან ფიქრობდა: „ვאי თუ ამინდი აღრე გაფუქდეს და გატალახდეს!.. სიდან ვიშოვო კალოშის საყიდელი ფული?.. არა და ფეხსაცმელებს ესაა ბსკერი გავარდესო“...

სახე დაღუშულ-დასევდიანებული ჰქონდა. მის გონიერ გამომეტყველებას მგონი ერთხელაც არ გარბენოდა ღიმილი... ამის მოწამე მოგრძო თხელი წვერი და შავი უღვაშები იყო.

შოთას ცდა დიდხანს არ დაჰკირებია.

— მოხვედი? შეეკითხა და ლამპა გაუნათა, — კარ-

გად დააკვირდი, თვარა იატაკი ჩამპალია და შეიძლება ფეხიც კი ჩაგივარდეს შიგ...
 — სირცხვილი კია ჩვენი სოფლისათვის, რომ სასწავლებლის ოთახს იატაკი ასეთი ჰქონდეს?

უთხრა შოთამ და უკან გამობრუნებულ მასწავლებელს ოთახში შემოყვა; ნოტიოს სუნი ეცა.

-- რა ქნას, ძმაო, სოფელმა, ყველაფერს ხომ ვერ გასწვდება?.. დაჯექი... აი სკამი... ცოტა შენჯღრეული კია, მარა იმედია გვაპატიებთ...

— არა უშავს... საბოდიშო რა გაქვთ...

— ფშშუუუ... მოისმა ამ დროს ბუხრიდან.

— უჰ! ჩაიდანში წყალი აღუღებულა!.. გადიარა კიდევ...

ამ სიტყვებით მასწავლებელი ვებერთელა ბუხარს მივარდა და ზევით ასულ ბღღვირიდგან ჩაიდანის გადმოღება განიზრახა...

უჰ!.. ხელი დავიწვი წამოიძახა უცებ და ბავშვით ერთი გვარიანათ შეხტა, თან მარჯვენა ხელის მუხლებზე სეება დაიწყო „უჰ, უჰ“-ს ძახილით.

— ძალიან დაიწვით?

— მგონი კარგად... აბა ვნახო სინათლეზედ!.. ხელი სანთელთან მიიტანა.

— არა უშავს, არ აჩნია დიდათ... დააიმედა შოთამ.

— მართალი ხარ... ეხლა კი შაქარი და მისი ჯანი... ჩაიც გავიკეთოთ და ვილაპარაკოთ რამდენიც შეგვეძლოს და სანამ არ მოვლალდეთ... მარა ერთი რამ უნდა ეხლავე დავდოთ პირობათ! არამც და არამც ხმას არ აუწიოთ და მსჯელობას კინკლაობის ხასიათი არ მივსცეთ...

— მაგას რა თქმა უნდა...

— სწორეთ ისე არ მოვიქცეთ, როგორც ამ ორი კვირის წინ კრებაზე...

აი იმ დღეს— შენ რომ საამბანაგო დუქნის უმთავრესი ნოქრობა ჩაგაბარა ხალხმა...

— მაშინ ორივე მხარე დამნაშავე ვიყავით, მარა მეტად კი შენ... ვინაიდან პირველად შენ დაიწყე, — უთხრა შოთამ ღიმილით.

— ასეა თუ ისე, ვეცადოთ, რომ დღეს იმის მაგვარი არა მოგვივიდეს რა... მასწავლებელმა ჩაი მოამზადა და მაგიდაზე შემოდგა. შოთა რვეულებს ათვალეობდა.

— ჩვენს დროს კი ასე არ ვსწერდით, — სთქვა მან და რვეულს ჩააცქერდა.

— მაშ როგორ?

— რუსულ ანბნებს ცოტა სხვა მოხაზულობა ჰქონდა... რვეულიც ასე მახსოვს, მგონი სხვაფერ იყო დახაზული... უფრო დაქანებულიათ...

— ეს დიდი განსხვავება როდია, ჩემო შოთა!..

— რომელი განყოფილებისაა ეს რვეულები?

— მეორის.

— ოჰო! ბევრი უსწავლიათ...

— შენი მოწათფობის დროს ვინ იყო აქ მასწავლებლათ?

— ლევან ჩაჩანაძე... ერთობ ავეგულა კი იყო... გვცემდა საშინლათ... სწავლებით კი კარგად გვასწავლიდა...

— შენ მის ხელში გაათავე აქ ორი კლასი?

— დიახ. მასთან მე სასწავლებლის „სტოროჟათაც“ ვიყავი. კიდევ ვსწავლობდი და კიდევ ვმსახურობდი... სწავლის ფულისა და წიგნების საფასის გარდა რამოდენიმე თუმანს მამაჩემსაც ვაძლევდი ხოლმე... წარმოიდ-

გინე შენ—რამდენი მე იმ ჩაჩანაძეს ულანძღივარ, უთრევი-
ვარ, მარა მაინც მიყვარდა, კეთილი გულის კაცი იყო...
როცა თავისუფალი დრო მექნებოდა, სულ იმას ჩამჩი-
ჩინებდა, რომ წიგნი მეკითხა... რაც კი სასწავლებელს
წიგნი მოეძეოდა, სულ გადამაკითხა... გაზეთები შემა-
ყვარა... ისე გავერთვი გაზეთების კითხვაში, რომ სოფ-
ლის მოამბე გავხდი. ამოვიკითხავდი თუ არა რაიმე ახალ
ამბავს, მაშინვე სოფელს მოვდებდი... სოფლებელიც
ყოველთვის მეკითხებოდენ: აბა, ჩემო შოთა, რა წერია
ახალი უჩიტლის გაზეთში, ვაინობა ხომ არ ეწყება რუ-
სსო?.. ხა... ხა... ხა... შემდეგ, სასწავლებელი რომ გა-
ვათავე, ორი წელი სოფლათ დაერჩი... „სტოროჟობას“
თავი დავანებე: მოცილე აღმომიჩნდა, ნახევარ ფასათ
დადგა... სოფელსაც ეს უნდოდა... მარა ამ ხანებში
მასწავლებელთან კავშირი მაინც არ გამიწყვეტია, წიგ-
ნებს მაკითხებდა... შემდეგ ქალაქში წაველ, ქარხანაში
ვმუშაობდი... წარმოიდგინე, იქედანაც კი ვსწერდით
ერთმანეთს წერილებს ერთ ხანს...

— ეხლა სადაა თუ იცი ის მასწავლებელი?

— მოკვდა საწყალი... მაგოდენი კარგი ჩემთვის
კაცს არ უქნია...

— სხვებისაგანაც გამიგონია მისი ქება...

კარგა ხანს სიჩუმე გამეფდა...

ლამე უკვე ჩამოწვა... ვიშივიშებს, ტირის... შეცი-
ვებული ქარი ოთახის კედლებს ასკდება:— ტირის—შე-
მიშვითო... ცრემლებით კედლები გააღბო...

მასწავლებელი კი თავისებურათ გატაცებით ლა-
პარაკობს, უმეტესად ქერს მისჩერებია, თავის აზრებს
თითქოს ზევით, ჰაერში კითხულობსო. შოთას ხანდახან
თუ ჩამოხედავს... ხან იღიმება და ხელით თითქოს
რალაცას წვდებო, ხან კი შუბლს იკრავს, მკაცრ გა-

მომეტყველებას იღებს... სულის თქმას ვერ ასწრებს, ხანდახან გულზედაც იჭირებს ხელს... მისს გაცრეცილ, თხელ სახეს გონიერების და საზრიანობის ბეჭედი აზის, თან ოცნების ელფერი გადაკრავს.

შოთა ხმა გაკმენდილი მისჩერებია, სულ-გატრუნულია, ყოველ სიტყვას იჭერს... გავს, რომ მოხიბლულია, გატაცებულია...

— დიახ, დიახ! — განაგრძობს მასწავლებელი, — მე იმას მოგახსენებთ, რომ ადამიანის ქკუა და გონება ბევრ რამეს ვერ მისწვდენია და ვერც მიწვდება... ადამიანის გონებას საზღვარი აქვს დადებული, შემოფარგლულია... მან არ იცის სიდან წარმოშობილა, სად მიდის სიკვდილის შემდეგ... მას ვერ შეუგნია ქვეყნიურ ცხოვრების მიზანი, თავისი დანიშნულება. მას, ადამიანს, ტყვილათ ეძახიან ქმნილებათა გვირგვინს! ეს სრული სისულელეა, შეცდომაა. ერთი მითხარით, რაა ის გვირგვინი, რომელსაც ორი წამის სნეულება გააუბედურებს, მოსპობს ხედავ, მშვენიერათ გრძნობს ადამიანი თავს, ბედის კმაყოფილია, ყველაფერს ემადლიერება... უცებ ასტკივდა უბრალო რამ, ვსთქვათ, ცხვირი... ან მოუკვდა ვინმე საყვარელი არსება... დიახ, ერთი სიტყვით, შეემთხვა უბრალო რამ უბედურობა და ეს ზექმნილება, ზეარსიც, რომელსაც თავი ღმერთად მიაჩნდა, ცა და ქვეყნის მბრძანებელათ რაცხდა — აი ის სუბიექტი უუბედურესი არსებაა, უბრალო მატლია... უღონო, უსუსური!.. ან კიდევ... ვთქვათ ეს თქვენი პატივცემული ზექმნილება, რომელიც მთელ სამყაროს ჩირადაც არ აგდებს, უცებ სიკვდილის მასპინძელი ხდება... სად იკარგება მაშინ მისი ზემისწრაფება, ღვთაებრივი ძალა, უკვდავება? რა ემართება ამ პატივცემულ გვამს? არარათ იქცევა, გიპასუხებთ მე... ვსთქვათ — ეს ქმნილებათა მე-

ფე, ანუ გვირგვინი, როგორც გინდა უწოდეთ... დიახ, ვსთქვათ ეს მეფე თქვენს წინაშე დგას ამ წუთს; ჰკითხეთ მას—რისთვის ამოდის მზე აღმოსავლეთიდან და არა დასავლეთიდან? ჰკითხეთ, რა სწადია, რა უნდა? სიდან მოსულა, სად მიდის? დიახ, ჰკითხეთ ამ ვაჟბატონს—რა მიზეზია, რომ ჩემი ტვინის, ან თუ გნებავს, მისი ტვინის უჯრედები ამა თუ იმ ცნებას და კოდნას ინახვენ და საჭირო დროს ხელის გულზე დაგილაგებენ... ხა... ხა... ხა... გეტყვის, რომ ეს უჯრედების თვისებააო... მარა ერთი ნიბრძანეთ, კამბეჩის ტვინის უჯრედებს რათ არა აქვს ეს თვისება? გვიბრძანეთ ამის პასუხი, გეთაყვა!.. იცოდეთ, რომ ის თქვენი ზეკმნილება ამ კითხვებზე დააღებს პირს და სანამ შიგ ბუზი არ ჩაუფრინდება, არ დაკუმავს... მარა მომითმინეთ, ჯერ კიდევ ბევრი ასეთი კითხვა მაქვს, ბევჯერ დავაღებინებ ხახას მაგ თქვენ ზეკმნილებას... მოწყალეო ხელმწიფე! გეკითხებით მონა თქვენი: რისთვის არსებობს ქვეყნად ბოროტი და კეთილი, კარგი და ავი, ანუ, როგორც ჩვენი ხუცები ამბობენ, ეშმაკი და ანგელოზი? რა საჭირო იყო ორივეს გაჩენა? ან ერთი ყოფილიყო, ან მეორე... ვისთვის რა აუცილებელი იყო სიკოცხლესთან ერთად სიკვდილის გაჩენა? მითხარ ზეკმნილება! თუ სიკოცხლე საჭიროა, აუცილებელია, მაშინ სიკვდილი რისი მოხელეა? და პირიქით, რათ გაჩნდა ქვეყნად ეს ორი ერთმანეთის მოპირდაპირე ძალა?.. არსებობს სიცილი... კარგი და პატიოსანი. მარა რა საჭირო იყო მასთან ერთად ტირილის გაჩენა? სიყვარულს რათ მოუხსკუპეს გვერდით სიძულვილი? ერთი გვიპასუხეთ, თუ შეიძლებოდეს? აა, აქაც პირი დააღეთ? მე ეს თავიდანვე ვიცოდი! ქვევით. არსებობს ქვეყანაზე რაიმე შეურყვეველი ქეშმარიტება, რომელიც ყოველ ადგილს და

ყოველ დროს ქეშმარიტება იყოს? შეგიძლიათ თქვენ, პატიცემულო გვამო, ბრძანოთ, რომ სიძულვილს ადგილი არ უნდა ჰქონდეს ქვეყნად? დაამტკიცებთ იმას, რომ მისი არსებობა უკანონოა? ვერა, თქვენც არ მომიკვდეთ! მაშინ მეც დაგიმტკიცებთ, რომ არც სიყვარულს აქვს ქვეყანაზე ადგილი... დიახ... დიახ, მე ამას სერიოზულად ვამბობ, სრულიათ სერიოზულათ... ყური მიგდეთ, ზე-ქმნილებავ! შენ მიერ მოგონილი მეცნიერება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქვეყანა ადრე თუ გვიან დაიღუპება, მზე გაცივდება და ყველაფერი გაიყინება. თუ ასეა რათ შრომობ, რათ იდგამ წელებზე ფეხს, იგონებ აუარებელ რამეებს, თხზავ ქეშმარიტებებს... თუ კი ყველაფერ ამას ბოლო მოეღება, გაქრება, რა საკიროა მაშე მაზედ თავის მტვრევა, ღლე და ღამე ფიქრი? ზე-ქმნილებავ! თუ მართლა ასეთი ხარ, სძლიე სიკვდილი, დაიმონე მეხი, მიწის ძვრა, მოსპე. სიძულვილი, გააქარწყლე ბოროტი, გაანადგურე უსამართლობა! დიახ, იყავ ნამდვილათ, ქეშმარიტად ზე-ქმნილებათ... წინაღმდეგ შემთხვევაში მე შენ გიწოდებ ქვე-ქმნილებას და ნუ გეწყინება, გეთაყვა, მე ამის საბუთი მაქვს. არ გჯერა? მაშე მისმინე. ბოროტება ეშმაკის სახით ჯერ კიდევ, ევას ესტუმრა. მას აქეთ ღმერთიდან მოყოლებული ყოველი ადამიანი ამ ეშმაკს ებრძვის და ღღემდე ვერ მოუხსპიათ ის... თუ შენი ღმერთი ყოველის შემძლებელია, მოსპოს ეს ეშმაკი, თუ შენ ზე-ქმნილება ხარ, გაამეფე ანგელოზი. რა არ ილაპარაკე შენ, ზე-ქმნილებავ, ამ საგანზე? ვისის ხელით არ გინდოდა ბოროტების მოსპობა? მარა შესძელი? ერთი მითხარი, რა გააკეთეს შენმა მსგავსებმა: მოსე წინასწარმეტყველმა, ქრისტემ, ბუდდამ, მაჰმადმა? მოსპეს ბოროტება? თქვენც არ მომიკვდეთ. ყველაფერი ისეა, როგორც

იყო. ავიღოთ ახალი დროის ზე-ქმნილებანი. დავასახელოთ თუნდ ლიუტერი, რეკლიუ, სპენსერი, მარქს-ენგელსი, ტოლსტოი, ნიკოშე და ვინც გინდათ კიდევ!.. რას აკეთებენ ყველა ეს პატივდებული პიროვნებანი? თქვენი არ ვიცი და მე კი მგონია, რომ მხოლოდ წყალს ნაყვენ და მეტი არაფერი. დიახ, დიახს გიკვირთ? მე კი ვამტკიცებ, რომ წყალს ნაყვენ, მორჩა და გათავდა. აბა რომელიმე მათგანი თუ მიპასუხებს რისთვისაა გაჩენილი აკვანთან ერთად კუბო? რაც უნდა იყებდონ, რაც უნდა ილაპარაკონ, ქვეყანაზე ბოროტება მაინც არის და იქნება, მისი მოსპობა შეუძლებელია... კაცის გულში მაინც იქნება სიყვარულის გვერდით სიძულვილი... დიახ, მათი მოძღვრება უძლურია, ნაცარქექიობაა. ყველა მათგანი იძახის, რომ შავი შავია და თეთრი კიდევ თეთრიო. ვიცით, ბატონო, ეს, ვიცით, ქვეყნის დასაბამიდან ამას იძახიან. მარა თქვენ ეს კარგიც გვიქენით ბარემ: მოსპეთ შავი და გაამეფეთ თეთრი. თუ არ შეგიძლიათ, მაშ გაჩუმდით, ნუ ლაყბობთ!..

მასწავლებელი უცებ ჩაჯდა, თავი ჩაქინდრა, გულზე ხელები მიიჭირა.

შოთას ხმა არ ამოუღია. რალაც უხერხულათ იყო, ნალაპარაკევი ერთობ არეულათ ეჩვენა. კარგა ხანს სიჩუმე გამეფდა.

— შენი ნალაპარაკევი ასე თუ ისე მესმის, მარა საქმე იმაშია, რომ იმის შესახებ, თუ რა უნდა იყოს, როგორ უნდა იყოს ცხოვრება მოწყობილი, ჯერ კი არა გითქვამს რა. შენ, ასე ვთქვათ, კრიტიკულათ შეეხე ადამიანის გონების სიძლიერეს და განმარტე ბუნებაში არსებული ჰარმონია — დისჰარმონია...

— დიახ, შენ მართალი ხარ, — გააწყვეტინა მასწავლებელმა და განაგრძო:

— ჩემი დასკვნა ასეთია: ქვეყანა, თვით ბუნება, ერთმანეთის წინააღმდეგე პრინციპებზეა აგებული, ორ ერთმანეთის მომსპობელ ძალაზეა ამოქსოვილი; ჰარმონია და დისჰარმონია—აი რას ვხედავთ ჩვენს გარშემო; გონიერება და უგონობა—აი რა მეფობს თვით ბუნებაში. ასევეა მოწყობილი თვით ადამიანის ბუნება, აჩვენებს თვისებებითაა შემკობილი კაცობრიობა. ბოროტი და კეთილი დასაბამიდან ყოფილა ადამიანის ცხოვრებაში გაბატონებული, არის და იქნება. მისი მოსპობა დღევანდელ პირობებში, ე. ი. იმ ძალღონით, რაც კაცობრიობას შესწევს, შეუძლებელია. მაშ ასე, ბუნებაში ქაოსი და მოუწყობლობა, ადამიანის სულსა და გულში კიდევ უარესი. და ამ-ქვეყნიურ ტრაგედიას, კეთილსა და ბოროტის შუა საშინელ ბრძოლას, შორით უთვალთვალებს ის უხილავი ძალა, რომელსაც სხვებთან ერთად მეც უაღრეს გონიერებას ვუწოდებ... აი ის ძალა გაქვავებულის გამომეტყველებით უცქერის ყველაფერ ამას და ელის იმ წამს, როცა... ერთმანეთ შორის ბრძოლაში ორივე ეს ძალა დაიღუპება, შთაინთქება. და აი, იმ წამს დაიწყება ქვეყნად ახალი ცხოვრება, სულ ახალი ურთიერთობა. სამყაროში გამეფდება ერთი პრინციპი, სულ ერთია ეს რომელიც იქნება: ბოროტი თუ კეთილი, ვინაიდან ადამიანის გონება ჯერ კიდევ ვერ მისულა იმ შეგნებამდე, თუ რომელია მათში სასარგებლო და საარსებო კანონიერების მექანიზმი. ვინ იცის, რომელია ამათში კარგი ან ცუდი? ბოროტს ეკითხები—კარგი მე ვარო, გეუბნება, კეთილს ეკითხები და ისიც ასე ამბობს. დიახ, ჩემი დასკვნა ასეთია... ჯერჯერობით ეს კმარა...

ამ სიტყვებით გრძელი თმა უკან გადიყარა და გაცივებული ჩაი პირზე მიიღო; დალია, როგორც ცივი

სასმელი... შემდეგ იქვე მდგომ ლოგინზე გადაწვა მღვ-
ლვარების დასაწყნარებლათ.

ლოგინს საშინელი კრეკინი აუტყდა.

შოთა ერთ ხანს ჩაფიქრებული იყო, სიდან დაეწყო
არ იცოდა. ცდილობდა ისე წარმოეთქვა თავისი აზრი,
რომ მასწავლებლისათვის შეურაცხყოფა არ მიეყენებინა,
რაც შეიძლება რბილი დასკვნები გაეკეთებია მისი ნა-
ლაპარაკევისათვის. თან ეცადა შეძლების და გვართ
მოკლეთ გამოეთქვა თავისი აზრი.

— უპირველეს ყოვლისა, ჩემის აზრით,—დაიწყო
შოთამ,—არსად არ არსებობს ისეთი უხილავი რამ ძალა,
რომელიც თავის ნებისა და სურვილის მიხედვით ახდენდეს
ამა თუ იმ მოვლენას, როგორც ბუნებაში, ისე ადამიან-
ში. მე არ ვიკვლევ იმ საკითხს, თუ საიდან გაჩნდა
ადამიანი და სად მიდის სიკვდლის შემდეგ. მე თავს არ
ვიმტვრევ იმ კითხვაზე, თუ რამ ან ვინ გააჩინა ქვეყანა,
ან რისთვის გააჩინა. ასეთი კითხვები მხოლოდ კით-
ხვებია და მეტი არაფერი. ჯეროვან, დამაკმაყოფილებელ
პასუხს ვერასოდეს ვერ მიიღებთ. მე მრწამს ქვეყანა, ისე,
როგორც ვხედავ, ვცდილობ ავხსნა და შევისწავლო,
როგორც ბუნება, ისე კაცობრიობა, იმ ნაირათ, რა ნა-
ირათაც მე იმას ვუცქერი, რაგვართაც ის ადამიანს ეჩვე-
ნება. მე ვცდილობ ავხსნა და გავიგო ყოველგვარ მოვ-
ლენის მიზეზი, როგორც ბუნებაში, ისე კაცობრიობაში.
გარეშე ამისა ჩემთვის კითხვა არ არსებობს. ბუნება მაინ-
ტერესებს მე იმდენათ, რამდენათაც ის ჩემს წინ, ასე
ეთქვათ, მოქმედებს, სხვა და სხვა მოვლენებით მეხა-
ტება; ადამიანის ცხოვრება მაინტერესებს მხოლოდ
აკენიდან საფლავამდე. სიდან გაჩნდა იგი, როგორ ჩაი-
სახა? ეს გადაუწყვეტელი თეორიებია და მეტი არაფერი;

ყველას შეუძლია აქ თავის თეორია იქონიოს, მხოლოდ გადაწყვეტილ აზრს კი ვერაფერს დაადგება. სად მიდის ადამიანი სიკვდილის შემდეგ? აქაც იმსჯელებთ, იკამათებთ რამდენიც გინდათ, დამაკმაყოფილებელ პასუხს მაინც ვერ მიიღებთ. თქვენ ბრძანებით, რომ ბუნების გარეშე არსებობს რაღაც უხილავი ძალა, რომელიც მთელ სამყაროს თავის ნებაზე ამოქმედებსო. ერთი გვიბრძანეთ, როდის ნახეთ თქვენ ის ძალა რეალურათ, თვალსაჩინოთ? რასაკვირველია, არასოდეს და იცოდეთ, ვერც ოდესმე ნახავთ. მაშ ასე — ჩემის აზრით, კაცობრიობის გულის ყური იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ახსნას ბუნების ყოველგვარ მოვლენათა მიზეზი, ერთის მხრით, და მეორე მხრით, შეისწავლოს ადამიანის ბუნება და ცხოვრება. მარა, რასაკვირველია, შესწავლას მიზანი ჰქონია და აქვს, ესაა: ბუნების ძალთა დამორჩილება და თავის სასარგებლოდ გამოყენება. მეორე მხრით, ადამიანის ყოფა-ცხოვრების უკეთ მოწყობა. თქვენ ტყვილათ ცდილობთ ადამიანს ძლიევამოსილების გვირგვინი ტალახში ჩაუწიხლოთ. ადამიანის გონებამ შექმნა უმაღლესი კულტურა, კაცობრიობის საერთო მუშაობამ მოგვცა ყველა ის სიკეთე, რასაც ჩვენს თვალს წინ ვხედავთ. ვინც ოდნავ მაინც იცის ისტორია, ამაში დამეთანხმება. კაცობრიობა ყოველ მხრივ წინ მიდის, იმორჩილებს ბუნებას, სწავლობს ადამიანის ცხოვრებას და ყოველის მხრივ ცდილობს ის გააუმჯობესოს. და კიდევ აუმჯობესებს. თქვენ კარგად სთქვით: როგორც ბუნება, ისე ადამიანის ცხოვრება, ორ ერთმანეთის მომსპობ ძალაზეა აგებულიო. ეს ასეა, მარა ადამიანის გონება ამას ებრძვის. თქვენ შემტდარი ხართ, როცა...

— რაა კაცო, ამ თქვენობით რომ მელაპარაკებით!..

აკი პირობა დავდეთ გუშინ ერთმანეთს ასე არ მივმართოთ... ვინმე ტუზი ხო არა ვარ?.. ან ბატონი... მე ხომ იცი ყველა მათგანი მძულს და მეზიზღება!.. საყვედურით მიმართა მასწავლებელმა შოთას.

— უკაცრავათ, გამაფიწყდა. დიახ, შენ შემცდარი ხარ, როცა ამბობ — ვინ იცის რომელია უმჯობესი, ბოროტი თუ კეთილიო, ძალა დამარღვეველი, თუ ამშენებელიო. ჩვენ უნდა ვსცდილობდეთ გავამაგროთ და მხარი დაუჭიროთ ყველგან და ყოველთვის სიცოცხლეს; დიახ, სიცოცხლეს და ყველაფერ იმას, რაც მას ამშენიერებს. სხვა, ამის წინააღმდეგი კი უნდა მოვსპოთ, მოვიშოროთ, გავლენის უნარი წავეართვათ... ჩვენი ცხოვრება პირველ „ალუ“-ს დაძახებამდე ბნელეთითაა მოცული, კუბოს შემდეგაც იქეთკენ მიდის. და აი, ამ ორ წამს შუა რაც შეიძლება უნდა სასიამოვნოთ მოვეწყოთ, რაც შეიძლება უკეთ უნდა ვიცხოვროთ; რამდენათაც შეიძლება ეს ორი მომენტი ჩვენს ცხოვრებაში ერთმანეთს უნდა ძალზე დავაშოროთ, მათ შუა მანძილი უნდა გავადიდოთ... მარა უნდა ვიცოდეთ, რომ ერთი ადამიანის მუშაობა აქ უძლურია, აქ აუცილებელია საერთო ძალა, ერთად შეთანხმებული მუშაობა; ერთ პიროვნებას არ ძალუძს ყველა ეს საკითხები გააკელიოს და გადაწყვიტოს. საჭიროა, ასე ვსთქვათ, შრომის განაწილება... მასთან ეს დრო, როგორც ისტორია ამოწმებს, საშინელი ხანგრძლივია, აქ საჭირო ხდება რამოდენიმე თაობის მუშაობა. მე გავათავე ჯერჯერობით.

ამ სიტყვებით შოთა ადგა. თითქოს ქარის ზუზუნს გაუტაცნიაო — მასწავლებელი ჯერ კიდევ ლოგინზე იწვა, სახე ლამპის ჩრდილში ქონდა.

— ეხ, ჩემო შოთა! სთქვა მან ბოლოს, — ნეტავი ყველაფერი მართლაც ასე მარტივი და გასაგები იყოს,

როგორც შენ გგონია!.. ადამიანის გონებას და ცოდნის მოყვარეობას ეს ვერ დააკმაყოფილებს...

უცებ ჩაჩუმდა და გაიფიქრა: „რაც უნდა იყოს მეცნიერულათ მოუშზადებელი არაა და იმისათვისაა, რომ ასე ადვილათ ეჩვენება ყველაფერიო.“

— მაშ ასე—შენ გწამს, რომ ბოლოს კეთილი გაიმარჯვებს, აღმაშენებელი ძალა გაშლის დროშას? შეეკითხა ცოტა ხნის შემდეგ მასწავლებელი და ზეზე წამოდგა; სრულიათ მოღუნებული იყო, კამათის ხასიათი თითქოს დაკარგვიაო.

— რასაკვირველია. დროთა მსვლელობა გვეუბნება, რომ იქნება წამი, როდესაც დადგება ქვეყნათ კეთილის და ჰარმონიის მეფობა. ბუნებას ჰარმონიულათ აქცევს ადამიანი და კაცობრიობის გულშიც გააბატონებს ერთ ძალას—სიყვარულს და მხოლოთ სიყვარულს!.. დისჰარმონია და სიძულვილი აღიგვება პირისაგან ქვეყნისა...

მასწავლებელი ისევ ჩაჯდა. ჩაფიქრდა: „მეც ვსულელობ ერთი! რა საჭიროა ამდენი ლაყობა, ვის რათ უნდა აინტერესებდეს ყველაფერი, ეს? ცხოვრება მაინც თავისებურათ მიმდინარეობს, ყველაფერი ისე ხდება, როგორც მას სწადია...“

— ეხ, ძმაო შოთა! შენ ბედნიერი კაცი ხარ, გწამს, რომ ქვეყანაზე სიმართლე გაიმარჯვებს... მე კი... მე ყველაფრის იმედი დამეკარგა. არა მწამს, რომ ადამიანი გაკეთილდეს, სიყვარულმა დაისადგუროს მისს გულში. გაუტანლობა, შური, სიძულვილი, პირადი მე, აი რას ვხედავ ყველგან... თავის კეთილდღეობისათვის ყველა მზათაა სამარე გაგითხაროს, გიღალატოს, არ დაგინდოს. დღეს თუ პატრის გცემს, იცოდე რომ შენგან რამეს გამოეღის, სარგებლობა უნდა, ხვალ კი პირვე-

ლათ ის გესვრის ქვას, გაგწირავს. ჯერ ერთი ადამიანი არ მინახავს, რომ გავეტანო, გულ წრფელათ თანაგვრძნო ჩემთვის... მაგალითად, ავიღებ შენ. ხომ გახსოვს ამას წინეთ კრებაზე როგორ აღტაცებით გისმენდა ხალხი, ტაშს გიკრავდა, გემადლიერებოდა? იცოდე, რომ თითქმის ყველა შენდამი შურით იყო აღზნებული, იმას ფიქრობდენ — რათ მე არ ვარ შოთას ადგილსო... და მართალია დუქანი ჩაგაბარეს, მარა ეს ერთმანეთის წინაშე სირცხვილით და წახედულობით ქნეს, ჩუმათ კი, რომ ჩაგეხედა თვითეულის გულში, ყველა შენი მტერი იქნებოდა... და იცოდე, მაგ ხალხისთანა მტერი შენ არავინ არ გეყოლებოდა. თუ გუშინ ტაშს გიკრავდენ, ხვალ ტალახში ჩაგყრიან. ხალხთან კაი ნაქნარი არ გაგივა...

— რას იქ, ცხოვრება ასეთია... „მაგრამ რადგანაც კაცნი გქვიან— შეილნი სოფლისა, უნდა კიდევ მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა“,— ჩუმთ უპასუხა შოთამ.

— ეხ, ჩემო შოთა, ასეთი აზრები მხოლოთ კაცის გულის მოსაფხანათაა მოგონილი და მეტი არაფერი... მარა ლამპაც რომ გვიქრება!.. ნავთიც არა მაქვს... ხათაბალა, თუ გინდა, ესაა!..

მართლაც ლამპას სინათლე თან და თან შემოაკლდა.. რუხი ფარაჯა გადაეფარა იქაურობას.

ბაასის დაწყებისას თუ ორთავეს ეგონათ, რომ სიცხარეს გამოიჩენდენ, ეხლა ორივე გრძობდა, რომ ლაპარაკის ხასიათი სულ დაეკარგათ, უღ გუნებაზე დადგენ...

მასწავლებლის სულიერი მდგომარეობა შოთასაც გადაედო.

კარში კი საშინელი წვიმა იყო... ქარი სისინებდა... კედლები სულ დაასველა, ოთახშიც აცივდა...

— მეც წავალ, თორემ ამინდი უარესდება...

მასწავლებელმა შოთა ფრთხილათ გაიყვანა და შემდეგ ფანჯრიდან, სანამდიც შესაძლებელი იქნებოდა, ცდილობდა გზა გაენათებინა...

კარგა ხანს იდგა სანთლით ფანჯარასთან... როცა სინათლე შენელდებოდა, ლამპას პატრუქს აუწევდა... სინათლე იმატებდა... რა ჩანელდებოდა, კიდევ აუწევდა... თან საშინელ მარტოობას გრძნობდა; ცარიელ, ნოტიო და მიბნელებულ ოთახში შებრუნება ენანებოდა. გული დაწყვიტა შოთას წასვლამ.

კარგა დაშორებული შოთა ჩაფიქრებული მიჩერებოდა სინათლეს... აწვიმდა, ქარი უბერავდა. ის კი უძრავათ იდგა და სახე უცინოდა... „მასწავლებელო, — ფიქრობდა, — შენ არ გწამს რომ ქვეყანას სინათლე მოეფინება, არ გწამს, რომ ბნელი გაიფანტება... მაშინ მანც ანათებ... ბნელს ებრძვი... ბნელს ებრძვი... შენი მოსწავლენიც შენ მიერ ანთებული სანთელია... ისინიც ბნელს ებრძობებიან... შენდა შეუმჩნეველად ანათებ... ანათებ...“

ცივი ქარი ცრემლებს ღვრიდა, ზეცა პირშემურული იყო...

შოთა კი გამოქანდაკებულივით მისჩერებოდა სასწავლებელს და იმეორებდა: „ანათებ... ანათებ... სხვა შენისთანებთან ერთად შენც ანათებ... ანათებ... ერთ დროს მთელ ქვეყანასაც გაანათებთ.. გაანათებთ“...

XXVII.

მასწავლებელი საშინლათ მოდუნებული შებრუნდა ოთახში...

გულ-მოკლული დააცქერდა რვეულებით გადა-

ფენილ მაგიდას... იქაურობაც მისებრ მიმკვდარებული იყო...

ბუხარს ცეცხლი ჩაუქრა, სანთელი თვალებს ხუკავს...

შავი მანდილი ესაა, დაეფინა იქაურობას...

ბუნება კი ღმუის, გვენშის, ტირის...

„ღმერთო ჩემო, — ფიქრობს მასწავლებელი, — რა მარტოობა, რა მოწყენაა? თითქოს ცოცხალ არსებას არც კი გაეაროს აქ... ღმერთო, რა ვქნა? ახ... ყველგან სიკვდილი, სიცალიერე... ირგვლივ სიჩუმე... გულში სამარე... ახ... რა ვქნა, ვის შევჩივლო მარტოობა?.. ღმერთო!...“

მისდა შეუმჩნეველათ გაიშხლართა ლოგინზე...

„რაა ჩემი სიცოცხლე, რას გავს? რისთვის ვარსებობ? რას ვაკეთებ? ვის ვარგივარ?.. ნუ თუ აგრე უნდა შემქამოს მარტოობამ, დამღრღნას?.. ნუ თუ არასოდეს არ გამიჩნდება თანამოაზრე, თანამგრძობი?.. ახ... ახ... რა სიცალიერეა!... განა კი ვარსებობ? ვინმე მამჩნევს? ხ... ხა... ხა... ვითომ მასწავლებელი ვარ, შეგირდებს ვასწავლი!.. საქმეს ვაკეთებ, განათლებას ლამპარს ვანთებ!... ხა... ხა... ხა... მეც ვშრომობ, რაღა! სასაცილოა... სასაცილოა... განა ჯოჯოხეთის სიბნელეს ჩხირის სინათლე გაფანტავს? განა ნათელ დღეს ერთი შავი წერტილი დააბნელებს? ზღვას წვეთი დააშრობს?.. ასე ვართ მე და ჩემი მასწავლებლობაც... ეხ... „რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსაგნოთ, მარტო? კკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი?.. ეხ“...“

კრემლებმა გადურბინეს მიმქცნარ ლოყებზე... გული აუჩუყდა...

„არც დედა, არც მამა, არც მეგობარი, არც სატრფო... ღმერთო... ნუ თუ ყველაფერი დაგენანა ჩემთვის?“

რით დავიმსახურე შენი ასეთი რისხვა?.. ახ... გულო... გულო!... ეს მაინც არ მქონდეს, არას ვიგრძნობდი.. არას დავინახავდი!... დედა, დედიკო... სადა ხარ?.. სად?..“

მასწავლებელს შავათ დაეხატა, როგორც აწმყო, ისე წარსული და მომავალი... არსად იმედი, არსად სიტკბოება... მაგრამ არა, მასაც ჰქონდა ცხოვრებაში ბედნიერი წუთები, მომხიბლავი წამები... და კიდევ დასტრიალებდა მათ ფარვანასებრ, დაჰხაროდა, დაფარფატებდა... დღეს კი შორს, შორს მიემალა, გულის კუნჭულში და საიდუმლოთ ესიყვარულებოდა, ჩუმათ ეალერსებოდა!..

„ახ, ჩემი ცხოვრების ბედნიერო წამებო! კურთხეულო წუთებო! ნუ იმალეებით, ჩამოიხსენით პირბადე... ერთხელ კიდევ დამატკბეთ თქვენის ხილვით... მეჩვენეთ, მეჩვენეთ თქვენ გეთაყვანე, თქვენ შემოგველე!.. ვინ გითხრათ, ვინ, რომ თქვენ დაიხოცენით, დასამარდით, დაიმსხვერიოთ? არ დაიჯეროთ, თქვენ გენაცვალე ეს, არა, არა!.. თქვენ ცოცხლები მყავხართ გულის სიღრმეში... არ შეგხებიათ ცხოვრების მურტალი ხელები... არ შეუბილწავხართ მძაფრ ტალოებს... არა... არა... განხორციელდებით, აღმისრულდებით, ისე, როგორც მე მწადდა, მე მინდოდა... ხა... ხა... ხა... კუბოში ხომ არა ხართ? ეს რა გარტყიათ გარს?.. საკმეველს ხომ არ გიკმევენ, მიწის გათხრას ხომ არ გიპირებენ?.. ახ, ღმერთო!.. ნუ თუ ყველაფერი დაიღუპოს, შთაინთქას?.. ჰმ.. შოთას ჰგონია, რომ მე არ განმიცდია ის, რასაც თვითონა გრძნობს, რაც მასა სწამს!.. ეხ, ჩემო შოთა, შოთა! ყველაფერი იყო ჩემს გულში, იქნებ შენზე უკეთაუკი დავიცავდი იმ თვალთა ხედვის ისარს, რომელზედაც შენ დგებარ, მარა სინამდვილე... სინამდვილე... ახ... ღმერთო... გული... გული... გული ამომგლიჯეთ!“

შოთას ფეხსაცმელი წყლით გაეფსო... ატალახებული მიწა ფეხებს უკოცნიდა, ტლაშანი ისმოდა...

ზეცა აიაზმით ბანდა... ქარი სატრფოსებრ ეგრიხებოდა, ვნებით მთვრალი გიჟებრ კოცნიდა...

ბნელეთი უბეში იძვრენდა, უმაღავდა ბოროტ თვალს, ვით ძვირფას განძს.

ეზოს მიუახლოვდა. მხოლოთ ეხლა გამოიჩქვა. თავი ანება მასწავლებელთან ლაპარაკის დროს აღძრულ კითხვებს...

ფანჯარასთან სანთელი ენთო... სწორი, ოთხ-კუთხი სინათლე ბნელეთს შერქობოდა, ეზოს გადაფენოდა...

თამროს მოწყენილი სახეც თან გამოეტანა...

შოთას გული გაუნათდა... თამრო ზღაპრულს ქმნილებას გავდა...

ქიშკართან ჩამოჯდა და მისი ცქერით ტკბებოდა...

„თამრო, გენაცვალე!.. მე მელოდება ჩემი ქორთა გოგონა, სილამაზის ღმერთი... ღვთის მშობელივით დაუკრეფია გულზე ხელები... ალბათ თვალებიც მინაბული აქვს... გულში კი მე უზივარ, ჩემზე ფიქრობს... ახ, თამრიკო!.. ყველას ძინავს, მარტო ის მომელის, მარტო ის შემხარის... ჩემი თამრო, ჩემი დაუფასებელი... ჩემი ერთგული...“

თამრიკო! თამრიკო! შენ შემაყვარე ხელახლათ ქვეყანა, შენ მექეცი ყავარჯნათ და მომავალშიც ასე უნდა მეყოლო... ასე... მხარი უნდა დამიმშვენო...“

კიდევ უნდოდა ფიქრები განეგრძო, მარა ამ უკანასკნელ სიტყვებზე შეკრთა, შეშინდა.

უცებ წარმოუდგა და გაითვალისწინა ყველაფერი ის, რაც ამ იმედის აღსრულებას თამროს მხრივ ხელს უშლიდა... შავი აზრები მგლის ხროვასავით შემოეხვია... შორს, შორს, ელენეს სახემაც გაურბინა...

მოეწამლა ტკბილი ოცნება...

უცებ ხელი ჩაიქნია, შავ ფიქრთა ხროვას მოვიშორებო... და სახლს მიაშურა...

ფიქრთა ხროვა კი გააფთრდა, გახელდა, დასაღრღნელათ დაესია...

მარა მხოლოდ ოთახის კარამდე...

იქ კი, თამროს წინ, ყველა გაქრა, ბნელეთში გაიფანტა...

ერთმა კოცნამ ყველანი დააჯოჯოხეთა...

— ჩემო მშვენიერო, რათ იტანჯები უძილობით, დაწოლილიყავ, მე ხომ არ დავიკარგებოდი...

— შენ მე არ გიყვარვარ...

ეს ლა უპასუხა თამრომ და ცრემლთა ნაკადულეებიც წასქდა...

— რა იყო, გენაცვალე, რა მოგივიდა?

— აგრე მეკითხები ყოველთვის!.. როგორ თუ რა მომივიდა? სადა ხარ ამდენი ხანი, ვისთან ხარ?.. რაზე მტოვებ მარტო?.. ყველას ძინავს, ყველა გულ-დამშვიდებულია, მე კი ასე უნდა ვიყურყუტო... მუდამ გულმკედარმა, გაუხარებელმა... შენ სხვა საქმეები გახსოვს, თვარა მე არა... ათასი რომ გთხოვო ჩემი გულისათვის ფეხს არ გადაადგამ, ერთი საყდარზე არ გამყოლიხარ... და ვილაც ეშმაკებს კი მუდამ კულში დასდევ... ხან ღუქნის კრებაზე ხარ, ხან წარმოდგენის, ხან ბანკის და ვინ იცის კიდევ რის!.. კრების ამბავს, როგორც კი გაიგონებ, მაშინვე გარბიხარ... მე კი... მე მიტოვებული გყავარ, ქვრივი ქალივით გულმოკლული ვარ... ტოლში ვერ გავრევივარ და ამხანაგში... რათ მინდოდა გათხოვება თუ არ გამაზარებდი?.. ჯვარის დაწერამდე ათას წილათ უფრო ბედნიერი ვიყავი... გული მიცინოდა, მიფართქალებდა... შევხაროდი ცას, მიწას, ტოლს, ამხანაგს... კვირის გათენება

ღღგომათ მიმაჩნდა... ახლა კი?... შენმა სუყვარულმა ერთ
 ადგილს დამაბა, არაფერ არ მიყვარს, ყველას და ყველაფერს
 გულგრილათ ვექცევი... შენს გამო დედაც შემძულდა,
 მამაც... შენს მეტი ცა და ქვეყანაში არაფერი მყავს და შენ
 კი ასე მექცევი... მიტოვებ რაღაც წიგნებს საკითხავათ!..
 არ მინდა არაფერი, არც წიგნი, არც სხვა რამე!.. ყველა-
 ფერი ჯანდაბაში წავიდეს, ცეცხლმა დაწვას... ოღონდ
 შენ მყავდე, ოღონდ შენ იყო ჩემს ახლო... მეც ადამი-
 ანი ვარ... არაფერი არ გვაკლია, ათი გლეხის საყოფი
 გვაქვს ყველაფერი და შენ რას იჭირებ განგებ, რათ
 იგდებ ცეცხლში თავს?.. რას დაეძებ ქვეყნის საქმეს,
 რას ჩივის გინდა რომ გადაყვე და მეც გადამიტანო?
 ღმერთი არ გწამს? შენი თავი თუ არ გებრალება, მე
 მაინც მომხედე, მე, თუ გიყვარვარ... მარა... მარა...
 რომ უწინდებურათ გიყვარდე, ასეც არ მომიძულედი,
 ყოველ ღამე ასე გულ-ატირებული არ მამყოფედი...

თამრო ცრემლებში იხრჩობოდა... ძლივს ლაპარა-
 კობდა... შოთა გაკვირვებული უცქეროდა.

— კარგი, თამრო, აბა რას ამბობ? ბავშვი ხომ
 არა ხარ?.. განა ვაჟკაცი მუდამ ქალს უნდა უჯდეს და
 ესიყვარულოს? განა მეტი საქმე არა აქვს?

— სხვას რაც უნდა ისა ქნას, ისინი გაჭირებული
 არიან, ლუკმა-პური არა აქვთ, ჩვენ კი რა გვიჭირს!?!..

— თამრო, მიკვირს რას ამბობ? ნუ თუ ჩემი ნა-
 ლაპარაკევი შენზე არ მოქმედებს? ან იქნებ ასე გგონია
 თავშესაქცევათ ვლაპარაკობ? უსუსურ შავშვივით კი ნუ
 მოიქცევი?

— შენ ბევრ იმისთანას ლაპარაკობ, რომ... ქვე-
 ყანას შენ გასწვდები? არც მამას მოსწონს შენი აზრები,
 არც დედას... არც შენს მშობლებს... მამა და დედა

რომ ვერ გიბედავენ ჯერჯერობით, შენ გგონია უხარიათ შენი...

— თამრო, თუ შენ მე გიყვარვარ და ჩემი ხარ, ჩემთან უნდა მოკვდე, ჩემთან უნდა დალიო სული, — გააწყვეტინა შოთამ.

— აბა ყისთან? აბა ვინ მიყვარს?..

— ხო და რაკი მაგრეა, მთელი ქვეყანა რომ ჩემი წინააღმდეგი იყოს, ყველას ვძულდე და ყველა მდევნიდეს, შენ მაინც ჩემი მომხრე უნდა იყო, ჩემი აზრები და გრძნობები უნდა გწამდეს... შეუძლია არც დედამ თანამიგრძნოს, არც მამამ, არც ძმამ, მარა შენ კი ჩემთან უნდა იქნე!.. სხვაფრივ შეუძლებელია; სხვაფრივ მე ცხოვრება არ შემიძლია!.. მითქვამს და კიდევ გეუბნები!

თამრო ამ სიტყვებმა ცოტათი დააშოშმინა, დაამშვიდა, კილოში დაინახა, თუ რა ძლიერათ უყვარდა შოთას. „რაკი ასე უყვარვარ, სხვას არ დავეძებო,“ გაიფიქრა და კიდევ ცოტა ლაპარაკის შემდეგ სრულიათ შეურვიდა ქმარს.

— შეილო, შოთა, მოხვედი? რათ დაიგვიანე ამდენი? გამოსძახა მეორე ოთახიდან გაბრიელმა.

— მოვედი, მამა, მოვედი. იმ ჩვენ ახალ დანიშნულ მასწავლებელთან ვიყავი... ლაპარაკს ავყევით...

— როგორი კაცია, ვარგა „უჩიტლათ“? თუ ჯობია იმ ჩაფოლაქებულს?

— ასე, ჩვეულებრივია... იმაზე ჭკვიანი კია...

— ერთობ აქოლიალებული კია... მარა იმას მაინც რომ აჯობებს, ექვი არაა. სახეზე ეტყობა, რომ გონიერი კაცია! ის ჩაფოლაქებული კი ღვინის სმისა და იმ მასწავლებელ ქალის კურკურის მეტს არას აკეთებდა... კარგი ქნა სოფელმა, რომ მოი-

შორა თავიდან... მარა შენ რო არ ყოფილიყავი, ის „უჩიტელი“ დღესაც აქ იქნებოდა... ძალიან მოეხმარე მაგაში შენ სოფელს, ყველა გიმადლის, შეილო. ბავშვების დედ-მამა სულ შენ გლოცავენ...

გაბრიელი კიდევ ცოტა ლაპარაკის შემდეგ გაჩუმდა.

ცოტა ხნის შემდეგ ცოლქმარი ლოგინში იწვა. თამრო დამფრთხალი მტრედევით ეკვროდა ქმარს გულში, თითქოს ცდილობდა გულში ჩაძვრომოდა...

შოთა კი უძრავათ იყო...

წედანდელ შავ ფიქრთა ხროვა ისევ დახვევოდა, სწიწქნიდა, დახარხარებდა, გულს უღრღნიდა...

რამდენათ გულში ეკვროდა თამრო, შოთა იმდენათ რწმუნდებოდა, რომ ის, თამრო, თითქოს მოწადინებული იყო რაღაც უპიროვნო არსებათ გადაქცეულიყო, ტიკინათ დაესახა თავისი თავი შოთას წინ, მხოლოდ გასართობ, ვნების მოსაკლავ არსებათ დახატოდა მას. შოთა თან და თან რწმუნდებოდა, რომ თამრო მისგან არას ითხოვდა, გარდა ალერსისა, სიყვარულისა და თამაშისა. ეს ლა იყო მისი ცხოვრების მიზანი...

საშინელი იყო შოთასათვის ამაზე დაფიქრება.

„ნუ თუ მოვტყუვდი? ნუ თუ ღირსეული მეუღლე არა მყავს?.. განა თამროს, ღვთაებრივ სილამაზის მქონეს, ჩემს მშვენიერს, კოცნა-ალერსის მეტი არა უნდა რა? ნუ თუ მისი ცხოვრების მიზანი მართო სქესობრივი სიყვარულია და მეტი არაფერი?.. რასა გავს მისი ჩემდამი დამოკიდებულება? შეიძლება ადამიანი გიყვარდეს, პატივს სცემდეს მას, მარა ნუ თუ შენი პიროვნება, შენი საკუთარი „მე“, სურვილი, ნება, აზრი და გონება მას და მხოლოდ მას უნდა უმსხვერპლო, მასში გათქვიფო? განა ქვეშარტი სიყვარული დამონებას მოითხოვს? ურთ-ერთი-სადში უპატივცემოდ სიყვარული წარმოუ-

დგენელია, ერთგულობა ცოლ-ქმარს შუა აუცილებელია, მარა უკიდურესობამდე მისული ერთგულობა ხომ შეუძლებელია!.. ყველაფერს საზღვარი აქვს, საზღვარს გადაშორებული ერთგულობა, იგივე ორგულობაა... ღმერთო ჩემო, რა აზრები მომდის... ა?... თამრო... თამრო!..“

უცებ შავ ფიქრთა ხროვას ერთი გამოეყო, სახეში ჩააცქერდა და ჩასძახა:

— შოთა ბროლიძე, ბატონო, შოთა ბროლიძე! ერთი გვიპასუხეთ, გენაცვა, ელენეც ასეთი მეუღლე იქნებოდა შენთვის? აი ის ელენე, შენ რომ სიყვარული გამოაუცხადე და მან კი უარი გტკიცა... ხა... ხა... ხა... ისიც ასეთ ფიქრებს მოგგვრიდა? აბა გვიპასუხეთ, ღვთის გულისათვის, ყმაწვილო!

შოთას თავზარი დასცა ამ კითხვამ. ის მოულოდნელათ საშინლათ შეკრთა და ამოიქშინა...

— რა იყო, გენაცვალე, რა მოგივიდა? შეეკითხა თამრო და უფრო ჩაეკრა გულში...

დაისრულმა შოთამ კი ლამის ხელი კრა მოსაშორებლათ...

იმ წუთს სძაგდა თამრო, ეშინოდა მისი.

XXVIII

— მამა, შენ უთხარი და ეგება ხათრი არ გაგიტეხოს...

— შენ უთხარი, შვილო, სულ ერთი არაა?

— არა, მამა, არა, შენ უთხარი. მე როცა ვეტყვი, ქკუაზე რიგებას დამიწყებს, ყველაფერში გამამტყუნებს... შენი კი მოერიდება...

გაბრიელი გარეთ გამოვიდა. თამროც კარებს მოადგა.

მზე იცინოდა... შიშველ მიწას ცივ ფარაჯას უთბობდა... რთვილი უკვე დაადნო...

შოთა დერეთანში იყო. პირ-დასაბანად იმკლავებდა... თან ზარმაცად ამთქნარებდა...

— შეილო, შოთა, გამოეწყე და დღეს წირვაზე ერთად წავიდეთ... თამროც წამოვა... ეგება დელაკაცი წამოვიტყუო, კარგი ამინდია...

თამრო სმენათ გადიქცა.

— ვნახოთ აბა დღეს ის ჩვენი აყინწილებული ახალი მასწავლებელი როგორ ავალობებს საყდარში მოწაფეებს!.. ვითომ შემეცილოა, მარა ვნახოთ, თუ ჩემზე უკეთ მოაწყობს გალობას!.. უწინაც უქნიათ ასე უჩიტლებს, გალობა მოუწყვიათ, მარა მალე მიუნებებიათ თავი... არა, იცი შოთა, წარსულ კვირას მე რომ ბანი არ მეთქვა, ცუდათ იყო მათი საქმე! გაუქირდათ, მარა რა გაუქირდათ!.. ხა... ხა... ხა... უჩიტელი გეიჭიმა, გასოსოლიკდა, გაწვრილდა... ისე ოუწია ხმას, რომ კინაღამ სული ამოხდა... მეც ამ დროს შემეცოდა და ისეთი ბანი დავალულუნე, რომ შენგან მოწონებული... „კილო ძველი კაციო“... ამბობდა ხალხი... დღესაც მოგვხმარები და აბა შენ დააფასე, ჩემო შოთა, ვინ სჯობს...

— მე საყდარზე არ წამოვალ...

ჩაილაპარაკა შოთამ და პირის ბანა იწყო, თან საშინელი წყენა იგრძნო: მიხედა რაშიც იყო საქმე...

— რაზე არ წამოხვალ, შეილო?— განაგრძო გაბრიელმა, — ჯვარი რომ დაიწერე მას აქეთ საყდარზე არ ყოფილხარ. არ ვარგა, შეილო. შენი ძირი ხატი უნდა გიყვარდეს, თაყვანს უნდა ცემდე... ძლიერი ხატია, მისი მუხლის კირიმე... წამოდი, შეილო, სოფელ-ქვეყანაში გამოჩნდები, სანთელი აანთე, ღმერთს შეეხვეწე. ჩემ შეწირულ ბაირაღებს და სახარებას ქე გაჩვენებ... ხომ არ გინახავს? ა? ნახე?

— არა.

— ოო, თუ არ გინახავს გაჩვენებ... წამოდი შევილო, მტერს თვალები უნდა დაუფსოთ... მთელ სოფელში ნასახელევი კაცი ხარ და ისე უნდა მოიქცე, როგორც შეგშვენის...

თამრომ პირსახოცი მოუტანა; პირდაპირ ვერ უცქეროდა.

— რა უნდა გაეაკეთო, მამა, საყდარზე?

— როგორ კითხულობ, შევილო? ჩვენ რას ვაკეთებთ? ღმერთს უნდა ვევედრო, მეტს რას გააკეთებ?

— ღმერთს უნდა ვევედრო? რა ვსთხოვო?

გაბრიელს ეწყინა, შოთას სიტყვებში ირონია დანახა.

— რასაც ჩვენ ვსთხოვთ ის უნდა სთხოვო შენც!..

— მე, მამა, არ წამოვალ და სხვებს, ვისაც გინდათ, წადით.

ამ სიტყვებით შოთა ოთახში შევიდა. გაბრიელი არ მოელოდა თუ შოთა გააწბილებდა. გული მოუვიდა, მარა თავი შეიკავა. დარცხენილივით წავიდა სამზად სახლისკენ...

— რა ვქნა? რა ბედის შევიქენი?.. მე უბე... მხოლოდ ამის თქმა მოასწრო თამრომ და ტირილი წასქდა.

— რას გავს, ადამიანო, შენი საქციელი, რა იყო? ახლა გაიგე, რომ საყდარზე არ წამოვალ? შენ თუ გინდა წადი!.. ხომ არ გაკავებ?!.

— ერთი მითხარი, ქმრიანი ვარ, თუ ქვრივი? ა? ქმარი ცოცხალი მყავს, თუ არა?—ამ კითხვით თამრო წამოიქრა ლოგინიდან და შოთას შეაჩერდა.

„რა ლამაზია, რა მშვენიერია“, გაივლო შოთამ გულში და სახეში მიაჩერდა.

— მითხარი ერთი! თუ არსად გამყობი, მტერში

არ გამომაჩენ, მოყვარეში არ დამამშვენებ, ისე რათ მინდებხარ აბა? დეე, სთქვას ყველამ, რომ ჩემი ქმარი ხარ, დაგინახონ ჩემთან გავლილი! ხომ არ გერცხვინები? მახინჯი ხომ არა ვარ? ჯვარის დაწერამდე თუ არ გრცხვენოდა ჩემთან გავლა, ახლა რა არის?

— თამრო, შენ თუ აგრე განაგრძე...

— არ მინდა მოგისმინო, არა!—გააწყვეტინა გაკაპასებულმა. თამრომ, — შენ არ გიყვარვარ, არ გებრალეები, თორემ ასე არ შომექცეოდი!.. არც ჩემი დედა გიყვარს, არც მამა!.. არაფინ... შენ შემოგწირე ჩემი ყმაწვილქალობა, ახალგაზრდობა... შენი გულისათვის ყველაფერი დავივიწყე და დღეს ასე მექცევი? შენს ხელში ერთი გახარება არ მინახავს... თავიდანვე უბედური ვიყავი. ჯერ ჯვარი როგორ დავიწერე? უპატრონოსავეთ, უჭირისუფლოსავეთ... აგდებულათ... ჩემი ჯვარის წერაზე ოცდაათი ფაიტონი უნდა ყოფილიყო, ძვირფასი ტანისამოსი უნდა შემეკერა... შენ კი ისე ამიბნიე ყველაფერი, ისე მომხიბლე, რომ... რა ვქენი თვითონაც არ მახსოვს!..

თამროს ნათლათ წარმოუდგა ამ ლაპარაკის დროს ის წამი, როცა ჯვარის წერის წინ შოთან პირველ შეხვედრისას გაექცა და არ აკოცნინა. გულმა გაუცინა, შეენანა, რომ ამ ლაპარაკით ქმარს აწყენინებდა, მარა თავმოყვარეობამ ნება არ მისცა გაჩუმებულიყო და განაგრძო:

— მას შემდეგ არის და ხეირიანი ტანისამოსი არ მიყიდე... რამდენი ხანია გეხვეწები ოქროს საათი მიყიდე მეთქი და არ მისრულებ... შენი ფულით მიყიდე-თქო, ხომ არ გეუბნები... მამიჩემის ქონებიდან იყიდე-თქო, მარა...

შოთა ხმა-გაკმენდილი მისჩერებოდა.

— მერე კიდეც!.. თუ ღმერთი არ გწამდა და ხატი, ჯვარს რათ იწერდი, მაშინ მაინც რათ შედი საყდარში?

ისედაც გულ-დასერილ შოთას, ამ სიტყვებზე თავზარი დაეცა... შერცხვა, გაწითლდა, თავი მტყუანათ იგრძნო. უნდოდა რაღაცა ეთქვა, გადმოენთხია ბოლმა, მარა... უცებ შეტოტმანდა და შურდულივით ქიშკარს მიაშურა.

— რაო, გული მოიყვანა? არ წამოვალო? — შეეკითხა სიღონია ქმარს.

— არ წავალო!..

— რა უყოთ, რა ადამიანი გამოდგა, რა შეიქნა? ხო გეუბნებოდნი, კაცო, არაა ჩენი საქმე-თქვა... ახლა? ხო აგიხდა? ცარიელ-ტარიელია...

— რაზეა ცარიელ-ტარიელი? ახლა ხომ ჯამაგირ-შია?.. დუქნიდან აქვს ჯამაგირი! — გააწყვეტინა გაბრიელმა.

— თავზე გადაგდია, შენმა სიცოცხლემ! მაგი რომ შობა, ასე თუ მოიქცა, კიდეც ბევრი შერჩება...

— რაო, რას შვება?

— რასა და გუშინ წინ მისი ლაწირაკი ამხანაგები რომ არიან, ისინი მოსულიყვნენ და ფული ეთხოვათ... ქალაქში მივალთ და სამგზავრო არა გვაქვსო. მასაც აუწყევია და ოცი მანეთი მიუცია, თან უთქვამს: როცა გექნესთ მაშინ მომეცითო...

— შენ ვინ გითხრა ეს?

— თამრომ. საწყალს გონებია ეხლა მაინც საათს მიყიდისო და მას კი ეშმაკებში გაუცია ფული... ხო და რის იმედი უნდა ქონდეს მის პატრონს?.. გოგო მომიკვტება ჯავრით, თვარა სხვას ვინ ჩივა?..

გაბრიელი ჩაფიქრდა.

— მე რომ რამე უთხარი, შევეძულდი, შევზარდი. ვატყობ, რომ ჩემი ნალაპარაკევი ეკალივით ესობა!.. თავიდანვე გვერდზე მიყურებს... რა გველი შეუწვი მაგ ცეცხლ-შემოკიდებულის შვილს!... კაის მეტი რა მიქნია?—ამბობდა სიღონია.

— კარგი, დედაკაცო, ნუ დაიწყებ ჩურჩუტს! ვის ყავს ჩვენზე უკეთესი სიძე? ერუი შეხედე, რა ქკვიან კაცად მიაჩნია მთელ ხალხს!.. მასწავლებლებიც და მღვდლებიც კი ემეგობრებიან... მამა ამტონი ხომ იცი ნასწავლია, სემლარია გაუთავებია და იმან მითხრა, რომ იღბალი გქონია, მაგისტანა ქკვიან სიძეს ვერასოდეს ვერ იშოვიდიო... რა უყოთ თუ ხანდახან ასე იქცევა... ახლანდელი ყმაწვილები და ახალგაზრდები ყველა ისე არ შეგება?.. რას იხამ ახლა?.. მგონი დაზე ევაქრება ვილაცაო, კესოსაც მოსწონს ის კაციო, და დავეხმაროთ, რქნება გავათხოვებინოთ, ცოდვა... და მერე უფრო დაგვანდობს გულს... შეუყვარდებით!— ამბობდა გაბრიელი; თან ეტყობოდა, რომ თავის საბუთების თვითონვე არა სჯეროდა, ტყვილა იკეთებდა გულს.

— შენმა სიცოცხლემ, დასაც მე გაუთხოვებ არა? ეს ლა გვაკლია!.. თუ არ დაგიშლია გიგო ბროლიძის ოჯახსაც მე ვარჩენ... ჩურჩუტო!.. გამორეტებული!

— წადი, წადი და იმ გოგოს მიხედე, ტირის მგონი, შენ ქკუა ვინ მოგცა!?. გაწყრა გაბრიელი.

წირვის დარეკეს. გაბრიელმაც პირჯვარი გამოისახა: „მესმა, უფალო, ხმა შენიო“, თან დაატანა.

„რო ვაკვირდები, ჩემი დედაკაცი მართალს ამბობს! ტყვილა ვჯიუტობ და ვიცავ ჩემ სიძე ბატონს... თუ კიდე ასე გაგრძელდა, არ ვიცი რა მოგვიხდება! ასე თუ

აბნია მან ფულები, მომხედა ღმერთმა“, ფიქრობდა გაბრიელი და საყდრისკენ მიდიოდა.

ზარები მხიარულათ გადმოჰქიკიკებდნენ სოფელს, უზრუნველათ კისკისებდნენ...

XXIX

შოთა თავის მამის ოჯახში მივიდა... იმუსაიფეს აქეთურზე-იქითურზე. ბოლოს გიგომაც მოხსნა საყვედურის გუდას თავი.

— შეილო, ამას მოველოდი შენგან? მდიდარ კაცს რომ ჩაესიძე იმის იმედი მქონდა, რომ შეილს გამათხოვებინებდი, თვალში გამომახედვინებდი და ეს რას გავს? არ გებრალეები მაინც? შენ მყავდი იმედათ და შენაც ხელი ამადე? რა უნდა ეშველოს ჩვენს ოჯახს, რამ უნდა დააყენოს ფეხზე? თუ შენ არ გაიგებ ჩვენს გაჭირებას, მაშ სხვა რას გვიკითხავს? ხომ ხედავ ჩვენს სიღარიბეს, ჩვენს სიბეჩავს? ტანს არ გვატვია და ფეხს...

კესოც იქ იყო დედასთან ერთად. სულ-განაბული მისჩერებოდა მამა-შვილის ლაპარაკს. გული გამალეებული უფეთქავდა, თუმც რაც შეეძლო ცდილობდა არ გამოემჟღავნებინა მღელვარება...

— აი, შენი დაი არაა აგერ შემომამბერდა ხელში? შენი სისხლ-ხორცი არაა? არ გებრალეება? და-ძმობა არ იცი?— უსაყვედურა შოთას მამამ.

კესომ ტუჩი აიბზუა, სიწითლემ გადურბინა და შუბლ-შექმუხენილმა რაღაც მამის სახელზე წაიბუტბუტა.

— გათხოვება არ უნდა? არ უნდა დაქმარშვილდეს?..

კესოს გულზე უკბინეს. არ იცოდა რისთვის დაეთმო: სიხარულისათვის, თუ თავდაკერილობისათვის. ისევ

შეორე ამჯობინა და, ვითომ გამწყრალმა, წაილაპარაკა:

— არ დამანებებთ თავს? მე არავისი საჭირნახულო არა ვარ, არავის არ ვეკიდები ბარგათ. ჩემს თავს კი ვირჩენ... არ მინდა ეს თქვენი გათხოვება და რა ჩამტყუებინებართ? მოლაზვნათ წავალ...

— მამა ჩემო, რაზე ცხარობ და მესაყვედურები? როდის იყო, რომ მქონდა და არ შეგეწიე? ახლაც რასაც ჯამაგირათ ავიღებ, კესოს გათხოვებას მოვანდომებ... მაჩვენოს ვინც მას უნდა და მეც მზათა ვარ ხარჯი ვიკისრო...

კესოს გულში ჩიტი გაუფრინდა. „ვახ, შენ გენაცვალე, ჩემო ძამიკოვო“, გაიფიქრა, თუმც სახე უფრო დაინაოქა, სიხარული არ შემატყონო.

გიგოსაც ეამა, მართასაც, რასაკვირველია.

— მაქანკლობა გვაქვს, შეილო!—ჩაერია მართა,— კაი ოჯახის შეილია, დიდი ხანია გვევაქრება, მარა უშენოთ რას ვიზამდით?.. კესოსაც კი მოსწონს...

— ვახ, მეტი გაგიხმა ის ენა შენ!—შიაწყველა მისკენ გაცინებულ პირით მიბრუნებულ დედას კესომ.

— როგორ, დაო, შენ არ მოგწონს? თუ შენი სურვილი არ იქნება, ისე ვინ შეგერთავს?

კესო დაიწვა, მიწა გაუსკდა. ყველა მის პასუხს ელის, ენა დაება...

— სტქვი!

— ზომწონსს.. ზომწონს რა, ის კი არა ვარ?.. უნამუსო კი არა ვარ, რო სოფლის ბიჭებს ვსდიო.. ვინც მაგენს მოეწონება, ის მეც მომეწონება... მაგენის წინააღმდეგი როდის ვიყავი?..—ძლივს მოახერხა კესომ და კიდევ განაცარ-მტვერდა ადამიანი. „როგორ გამოვედი სირცხვილიდან, დავკარგე ნამუსიო“—გაიფიქრა და თავი ჩაქინდრა.

შოთას ეკლათ მოხვდა დის პასუხი. „თავისი გრძნობა ვერ გაუმხელია, დანაშაულათ მიაჩნია მისი ქონება... მონაა მაშ რა ეშმაკიო“ — იფიქრა და თავი ანება.

მშობლები გამხნევდენ შვილის პასუხით. იქავ გადასწყვიტეს გათხოვების დაჩქარება.

— დაუდგა იმ შენს სიდედრს, სიღონიას, თვალები, რო ვერ გიცნობს, შვილო! ყოველ დღე დადის და თავი მოგვაძულდა დაარიგეთ, დაარიგეთ თქვენი შვილიო, — დაიწყო მართამ დაბეზლების კილოთი, რაკი დაინახა, რომ შოთა ოჯახზე ზრუნავდა და არ ივიწყებდა მათ.

— როგორ, აქ დადის? გააწყვეტინა შოთამ.

— აბა? დადის და მეტი არა? ჩააგონეთ რამე, ნუ იქცევა ასეო. მაშინ კი ძაან გააფიჩინა ყურები მთელმა ხალხმა რომ საზოგადო დუქანში აგირჩია და ტაშს გიქრავდენ, მაშინ კაი იყავი... მე მიმადლოს, თვარა შენისთანა სიძეს ვინ მიაშავებდა?

„ღმერთო ჩემო, რაა ეს ჩემს გარშემო? — ფიქრობდა მშობლების მოშორების შემდეგ შოთა, — სად მოვხვდი? დედა, მამა, ცოლი, სიდედრ-სიმამრი... რა ხალხის ხელში ჩავარდი?.. თამრომ რა მითხრა კიდევ: ჯვარი რათ დაიწერეო?.. მართალია, მართალი! საყდარში არ უნდა შევესულიყავი... აკი იქაურობის არა მწამს, რა... რა ჩავიდინე ეს, როგორ შევეცდი?.. ან ახლობამდე რათ არ დავაკვირდი ამას? თამრომ როგორ მომაგონა?.. თამრო... თამრო... რა ხდება ჩემს გარშემო, რა? რა მომეღლის?..“

დიდხანს იყო ჩაფიქრებული. მოიგონა მთელი თავისი წარსული. თამროს პირველი სიყვარული. გული დაუტკბა, განსაკუთრებით იმ წუთის მოგონებით, როცა პირველათ თამროს კოცნა განიზრახა და ის კი შეველივით გაუსხლტა...

დიდხანს ტკებობდა ამ მოგონებით, ხოლო აწმყომ უცებ დასუსხა, შეაკრთო.

„ღმერთო ჩემო, ვაი თუ ცუდი რამ მომელის?.. თამრო, თამრო... რა იყავ და რა ხარ დღეს?.. ვინ იცის ხვალ რა იქნები?.. ახ!.. მარა ჯანდაბას ყველაფერი დეე, რაც უნდა ის მოხდეს!.. სამაგიეროთ იმის მაინც კმაყოფილი ვარ, რაც მთელი ჩემი ცხოვრების მიზანს შეადგენს, რასაც პირველ შეგნების აქეთ ვემსახურები... მშვენიერათ წავიყვანეთ დუქნის საქმე, დალუპვას გადავარჩინეთ, ხალხი მადლიერია... სასწავლებელი შევაკეთებინე, ქსენონის საქმე უკვე მოგვარდა, ბანკიც... ბიბლიოთეკა მშვენიერ მდგომარეობაშია... მემამულეებთან შეტაკებაში ჩვენ გავიმარჯვეთ... ჩვენი წრე გაიზარდა, ქართულ ლიტერატურას მალე დაასრულებენ... პოლიტიკურათაც გვარიანათ მომწიფდა... ხალხში გავლენა გვაქვს“...

სახემ გაუცინა, დარღები გადაეყარა, კერძო, საოჯახო უკმაყოფილება სულ დაავიწყდა... ოცნებამ გაიტაცა, ბრწყინვალე ფიქრთა სავანეში შეცურდა. „ახ, რა ბედნიერება იქნება, როცა ყველგან ასეთი დაწესებულებები მოიფინება... წინ წავა სწავლა-განათლება, მშრომელი ხალხი წელში გაიმართება, თავს მალლა აიღებს... თავის ბედზე თვითონ იზრუნებს... მონობას თავს დაახწევს!..“

საზოგადო დუქნის წარმატებით, რასაკვირველია, მისი მტრები კმაყოფილნი არ იქნებოდნენ. განსაკუთრებით, რაკი სხვას ვერას გახდენ, კბილებს ილესავდნენ შოთაზე და ყველა იმ ახალგაზრდებზე, ვინც მას ეხმარებოდა. რა ხრიკებს არ მიმართეს, მარა არა გაუვიდათ რა; იძულებულნი იყვნენ მიწყნარებულიყვნენ.

მაგრამ... საქმემ უცებ ცუდი ხასიათი მიიღო:

ერთ მშვენიერ ღამეს საზოგადო ღუქანს ყაჩაღები დაეცენ და გაძარცვეს. ეს შემთხვევა საკმარისი იყო, რომ ღუქანის მტრებსაც თავი წამოეყოთ. ყველა ერთ ხმათ ამტკიცებდა, რომ ყაჩაღობა შოთას ამხანაგებმა ჩაიდინეს და შოთაც ამხანაგათ იყოვო. მემამულეებმაც თავი წამოყვეს და შოთას წინააღმდეგ ამოძრავდნენ. რითაც გაუფიქროდათ ჩირქს სცხებდნენ.

— ახლა! ხო ხედავთ რა შეეძინათ მაგ თქვენმა ახალმა ვაჟბატონმა! — ამბობდა ერთი „თავი-კაცთაგანი.“

— ამ სამ თვეში რაც მოგება გამოაჩინა, ყველა მის ამხანაგებს გაატანა, — დაცინვით უმატებდა მეორე.

— გაგაბედნიერებთო რო პირდებოდა ხალხს, აი კიდევ აასრულა, — ღრეკით ემოწმება მიკიტანი.

— დამპალი საქონელი მოაქვს და იმისთვის ყიდის იაფათ, თვარა ისე ღუქანი რას მოიგებდა? ახლობამდე რათ ვერ იხეირა? რა შეიქნა მაგ შოთა ამისთანა?

ხალხს ხმები ჯეროდა, თავის მართლება არ გადიოდა. ყაჩაღების კვალიც ვერ აღმოაჩინეს. ყველა დარწმუნდა, რომ მძარცველები მათივე სოფელში იყო.

— აი იმ ვაჟბატონების საქმეა, სოფელში რომ უქმათ დაეხეტებიან... ახალ თაობის კაცები ფართო, რომ იძახიან!.. მაგათ დაგვლუპეს და ამოგვაგდეს! არ ვიცოდით, რაც ხალხი იყვნენ? როდის გაუკეთებიათ რამე, რომ ახლა გამოვიდოდა რამ კეთილი მათგან? შეაცდინეს ხალხი, არივ-დარიეს ქვეყანა, გააღატაკეს საწყალი კაცი... მაგ სათოკენი, მაგენი...!

ასე ამბობდა სოფლის უმეტესობა, რომელიც მზათაა გუშინდელი ღმერთი ღღეს ტალახში ამოთხუპნოს.

— შოთა, მოიგონე ჩემი ნალაპარაკევი, ხალხი არაა სანდო თქო, რომ გეუბნებოდი; მე მრწამს, რომ შენ ამ

საქმეში მართალი ხარ, მარა... არ გადის. შენი სიმართლე, — ეუბნებოდა შოთას ჩვენ მიერ ცნობილი მასწავლებელი.

შინაურებიც ხესა და ქვას აყრიდნენ.

— აი, შეილო, ხომ აგინდა ჩემი სიტყვა! — ეუბნებოდა გაბრიელი, — გირჩევდი ნუ აყოლიხარ ამ ლაწირაკებს, თავი დაანებე სანამ ერთ უბედურობას შეგყრიდნენ-თქო, მარა არ გჯეროდა... და აი რა გამოვიდა!..

— შეილო, შენ არ იცი და ჩვენი არ გჯერა! შენს მეტს თუ რამე გამოცდილება აქვს და რამე უნახავს არ გგონია... ესაყვედურებოდა თავის წილ შეილს გიგო...

— დაილუპე, შეილო, შენი ჯიუტობით და ესაა... ქვეყანაშიც შერცხვი...

— კმარა მამა, მე არსად არ შევრცხვენილვარ!.. არც არასოდეს ტალახი არ მომეცხება! გააწყვეტინა კრიკა შეკრულმა შოთამ...

საშინელ მდგომარეობაში ჩაეარდა. რა ექნა არ იცოდა. მასზე ნაკლები დღე არც მისს ამხანაგებს ადგათ. ყველასათვის თითოთ საჩვენებელნი შეიქნენ. ეცადნენ საქმის გამოსაძიებლათ ხალხს მოლაპარაკებოდნენ, რაიმე საერთოდ ელონებინათ, მარა არავინ არ უჯერიდა მათ, სიახლოვესაც არ იკარებდნენ.

წარბებ-შეკრული იჯდა შოთა, დარდი ვერ დაეოკებია. ვისზედ მიეტანა იქვი არ იცოდა. „ნუ თუ მართლა ვინმე ჩემიანი იქნებოდა? არა, ეგ შეუძლებელია...“ „მეთასევეერ ფიქრობდა. დოინჯ-შემოყრილი წიგნს დასჩერებოდა. ცდილობდა წაეკითხა, მარა ერთისტრიქონიც ვერ გაიგო.

მეორე ოთახიდან შემდეგი მუსაიფი ესმოდა.

— ძალიან კარგია, — ეუბნებოდა თამრო დედას, — მოუხდება! აწი მაინც არ აყვება იმ ვილაც ლაწირაკებს, აწი მაინც მოქრისტიანდება... ხო ხელაფს, რომ არავინ უმადლის მ:ს კაი ნაქნარს... ხალხს მაგი აამებს?.. მარა დედა, რაც უნდა იყოს, გული მიკვდება, როცა მესმის თუ როგორ ავით იხსენიებენ ჩემს შოთას... პირში ვერ მიბედავენ, მარა... ტირილი მომდის, როცა ცუდათ ახსენებენ... გულში მაშინაც ძალიან მიხაროდა, როცა აქებდენ, მარა პირში რაღა ვეტყოდი კარგს შოდი-თქვა... მარა რაც დაემართა მოუხდება, ახია მაზედ, აწი მაინც არ დაისწავლის ქკუას?..

შოთას თავს ზარი დასცეს ამ სიტყვებმა, ფეხის ხმით შეატყო, რომ თამრო მისკენ მოდიოდა.

— უი, ჩემი სიკვდილი, შენ აქ იყავი? — მიაძახა თამრომ და ცოტა დაბნევის შემდეგ გვერდით მოუჯდა. შოთას ხმაც არ ამოუღია. თამრომ თავზე თმის სწორება დაუწყო.

— ჩემო კარგო, ჩემო ოქრო, ხვითო!.. რამ მოგაწყინა? გამხიარულდი, გენაცვალე, რა გაქვს სადარღო? შენ იყავი მხიარულათ და ყველაფერი შავ წყალს წაუღია, რას დაეძებ ქვეყნის საქმეს!.. გამხიარულდი, სულიკო, მაკოცე... მაკოცე!.. ესიყვარულებოდა ქმარს.

— მომშორდი, საზიზღარო!!! — უცებ მიაყვირა შოთამ და ზეზე წამოიქრა. თამროც წამოხტა... გაშეშდა. დიდხანს შეჩერებოდენ ერთმანეთს, თითქოს შესაქმელათ იწევდენ...

ორთავე კანკალებდა, ენები დაებათ, გამომეტყველება გაუქვავდათ... მხრებამდე გაშლილათ ატანილი ხელები ორთავეს დაეყინათ...

XXX

ხვალ ახალი წელია...

დედამიწას თეთრი ჩადრი წაუხურავს... ზეცაც ზამბახით მოქსოვილ ლეჩაქს აფარებს.

ცის გუმბათიდან ვებერთელა თეთრი ბურთი მოგორავს...

სიჩუმეა. თბილა.

ტოტებ გადაფიფქული ხეები ხმა გაკბენდილი დგანან... ყურები დაუყრიათ...

თოვლის ქულებით დაყურსულან...

კარ-მიდამო თეთრად მორთული ეგებება ახალ-წელს...

ძველი კი შავებში გააცილა...

— თუ ასე თოვა, ისეთს დაყანთრავს ამელამ, რომ... სთქვა გაბრიელმა და საახალწლო სამზადისი განაგრძო ცოლთან ერთად.

— ერთობ დაამბუმბულებს... დაემოწმა თამრო.

სალამოს, კარგა შეგვიანების შემდეგ, შოთაც მოვიდა. თოვლით იყო შეთეთრებული, ფეხები დიდხანს აბაკუნა დერეფანში.

— დიდი ვაქრობა გექნებოდა, შვილო, დღეს, — უთხრა გაბრიელმა.

— ასე...

ივახშმეს.

— შვილო, შოთა, დღეს ჩემი დისწული იყო აქა... დაიწყო გაბრიელმა.

— მერე?

— მერე და ის, რომ შემეხვეწა, ხვალ ნათელა მაქვს და შოთამ შვილი მომინათლოსო. იმედია, შვილო, უარს არ ეტყვი. ჩემი სისხლი და ხორცია, ჩემს ოჯახში

გაზრდილი, ჩემი მომხედავი და დამტირებელი... ჩვენც მოვალთ, შეილო, კამპანია ვახშმათ ექნება.

შოთას დიდხანს ხმა არ ამოუღია. სხვებიც ჩუმად იყვნენ. ყველა გრძნობდა, რომ შოთას არ ეამა ეს ამბავი.

— თუ არ დაგვიკარგავ, შეილო, შენ იცი, — ბოლოს ისევ სიდონიამ ამოიღო ხმა, — ესაა მისი პირველი შეილი, გულის ყვავილი... მოუნათლე შეილო და ეამება, ღებრთი მოგიწონებს და კაცი... შენი ნათესავი უნდა გიყვარდეს, მტერ-მოყვარეს ანგარიში უნდა გაუწიო... ოჯახის კაცი ხარ...

— რამე კაი სახელი უნდა გამოუგონოთ, იცი შოთა? — ჩაერია თამრო. — მე ვფიქრობ...

— რისთვის გინდათ, რომ მომიწამლოთ ეს დღესა-სწაული?! — სთქვა ადელეგებულმა შოთამ და წამოდგა.

— რას ქვია, შეილო, მოწამელა? რას ამბობ ამას?..

— განა არ იცით, რომ მე ბავშვს არ მოვნათლავ?

— დაიწყო კიდევ მისებური! — ჩაილაპარაკა თამრომ.

— რა სთქვი, ქალბატონო? ხმა მალლა მითხარი.

შოთა თამროს ჩაატკერდა.

— მე არაფერი არ მითქვამს, — ჩაილაპარაკა ცრემლმორეულმა თამრომ.

— შეილო, ხომ არ შეშლილხარ! — შეწყრა გაბრიელი, — რას ერჩი მაგ ბავშვს? რაც სათქმელი გაქვს, ჩვენ უნდა გვითხრა!.. ჩვენ ვართ აქ უფროსები... და არა გუშინდელი ბარტყი!..

— დაიწყნარე, შეილო, გული, ნუ შეშინდები! მოეფერა დედა თამროს.

— ჩემს ცოლს, ჩემს ამხანაგს, მე ყველაფერს ვეტყვი, არც არავისი შეშინია და არც არავის ვკითხავ! გაბრიელი დარწმუნდა, რომ თუ თავს არ შეემაგრებდა, რაიმე ცუდი მოყვებოდა მისს პასუხს და შეტო-

ტმანების შემდეგ წარბებ-დახუშული გაჩუმდა... თან გაცეცხლებულ თვალებს ხან შოთას მიაჩერებდა და ხან თამროს...

კარგა ხანს სიჩუმე იყო.

— შეილო, სულ აგრე ლაპარაკი არ გარგია! სიბრიყვეს თავი უნდა ანებო. ხომ ხედავ, რომ შენი კაი ნაქნარი არ გადის... მიენდვე სოფელს და აკი შენც ხედავ რა გიქნეს... შენმა ამხანაგებმა შეგარცხინეს, გაგაუპატიოსნეს... იმათ რა ენაღლეებათ, რას აგებენ თავნიდან, პატიოსნება, რომ არ ჰქონდათ, ვინ შეუბღალათ?..

— მამა ჩემო, თუ ღმერთი გწამდეს ერთ დამავეს ნუ შელაპარაკებით ყოველ წამს!.. ყოველთვის ნუ მაროგებთ ჰკუაზე, მე სრული წლოვანი ვარ, არავისი თითება და გაძლოლა არ მინდა... ჩემს ამხანაგებსაც ცუდათ ნუ იხსენიებ!..

— ნუ ვიხსენიებ, დიახ, ნუ ვიხსენიებ!.. კაი რამე შეგძინეს!..

— მაგას ისე აქვს აბნეული გზა-კვალი, რომ ჩვენ ვეჩვენებით მტრებათ, თვარა მისი ამხანაგები წმინდანებათ მიაჩნია,—სთქვა თამრომ...

შოთას ხმა არ გაუცია, მხოლოთ დიდხანს კი უსტკეროდ საშინელის გამომეტყველებით... თამრო კიდევ შეაშინა ამან...

— აბა რა უთხრათ, შეილო, იმ ადამიანს? დავკარგოთ? სამუდამოთ დავეთიშოთ?

— როგორც გენებოსთ...

— შეილო, შენ თუ ჩვენს ნათესავეებს ასე მოექცეცი, ხომ დავგიკარგე ყველა! ჩვენ თუ გინდებვართ ჩვენი ნათესაგ-მოყვრებიც უნდა გინდოდეს!.. თუ ჩვენი შეილობა გინდა...

— ნუ მომაბეზრეთ თავი! ათასი რომ მითხრათ, იმას ვერასოდეს ვერ ჩამადენინებთ, რაც მე არ მწამს. არა მწამს არც თქვენი მღვდელი, საყდარი, არც ნათელა... და არც...

ქორწინებაო, უნდა ეთქვა, მარა რალაცა მოაგონდა და ჩაჩუმდა. თან, თითქოს შეშინებულმა, თამროს გადახედა—როგორც ერთხელ, ნიშნი არ მომრიგოს ჯვარის დაწერისათვისო...

— შეილო, ასეთი შეჩვენებული თუ იყავი, ჩვენთან რა გინდოდა?!. მღვდელი შენი მტერია, თავადი, აზნაური, ვაჭარი და ყველა!.. ვინც სოფელში კაცური კაცია, ყველას შენ კბენ და ვილაც გუდა მშიერებს კი ეამხანაგებიო!.. ამისთანა კაცს რა უნდა ჩემს ოჯახში!..

წამოიძახა გააფთრებულმა გაბრიელმა.

— ახლობამდი, შეილო, ხელს გაფარებდი, ფიქრობდი ეგება გაიგონოს ჩემი, შეიბრალოს ოჯახი-თქვა, მარა რაკი არაფერი გადის, აწი მე ვიცი!.. მეგონა გამიტანდი, შეილობას გამიწვევდი, მთელი ჩემი ქონება ხელში ჩაგიხვიე და შენ ამისთანა ამბებს მითევ? როცა კისერში ჩამაჯექი, მერე იძახი თქვენი არაფერი მწამსო? ესაა შენი პატროსნება? ესაა შენი კაი კაცობა? ამისათვის იძახი, რომ ჭკვიანი კაცი ვარო?! აჰ!

გაბრიელი ღორბლებს ყრიდა, თვალთაგან ცეცხლს აფრქვევდა.

-- სინილისიანი მეგონე და უსინდისო ყოფილხარ! კაცი მეგონე და დედაკაცი ყოფილხარ!.. ყველაფერი უნდა გადმოვანთხოო, ყველაფერი! შენი ჩამოსვლის მერე ოჯახი ამერია, ამიფორიაქდა. ვინ არ დადის? ვინ არ დაჩანჩალობს ღემს ეზო-გარემოში?.. სულ სათოკე ხალხი, დასახვრეტი... კაცს ლუკმაპური გიქირდა, ჩამოგისიძე და შენ კიდევ ამას მიშვრება?.. მერე ვისი შეი-

ლი?.. ვისი?.. ვინ ღამიბატონდა? ახლა კიდევ თავისი დაი ჩემი სახლიდან უნდა გაათხოვოს!.. ღმერთო, რას მოვესწარი ამას?! რათ არ მომიკალი ჩემი თამრო ისე, როგორც სხვა შეილები?.. ვიქნებოდი ჩემთვის უდარდელათ, უზრუნველათ... ეხლა კი?.. ეხ... ხე... ხე... ხე...

აცრემლებული გაბრიელი კარში გავიდა. თამრო კარგი ხანია ტიროდა, სიღონია თავჩაქინდრული იყო.

შოთა საშინელი აღელვებული იდგა. მთელის სხეულით კანკალებდა.

— თუ ამდენი რამ გქონდათ სათქმელი, ახლობამდე რათ არ მითხარით?— შეეკითხა ის წყნარის, თავშეკავებულის ხმით შემობრუნებულ გაბრიელს და მღელვარების დასაწყნარებლათ გულზე ხელი დაიკირა.

საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა. ჩუმმა ხმამ, მტკიცე კილომ გაბრიელი თითქოს შეაშფოთა... თამრომაც დედასთან ერთად გაკვირვებით შეხედა შოთას. ის კი ჩუმათ ადგა და პასუხს ელოდა. მარა ამაოთ.

— მითხარით, მე თქვენ გეკითხებით: მეუღლე, ჩემო სიამრო და სიდედრო!— განაგრძო მან ისევ წყნარათ,— თუ მე თქვენთვის ასე უცხო ვიყავ, ასე გეჩოთირებოდით, ღღემდე რათ არაფერი მითხარით?..

ხმა არავინ გასცა.

— მაშ მე ვიტყვი ჩემსას,— განაგრძო შოთამ იმავე ხმით,— უპატიოსნობა ჩემს ღღეში არ ჩამიდენია, მით უმეტეს თქვენს წინაშე. ჩემი სინიღისი წმინდაა. შეიძლება თქვენ სხვაფრივ გესმით პატიოსნება, მე კიდევ სხვაფრივ, მარა ეს ხომ ჩემი ბრალი არაა. რაც შეეხება ჩემს ხასიათს და ჩემს რწმენას, ეს მე მგონია, ყველამ კარგად იცით და დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ის დავრჩები, რაცა ვარ. თუ ჩემი თავი გინდათ, მომასვენეთ, ყოველ წამში ნუ მალელებთ... სხვა რა გინდათ

ჩემგან? ლოთი არა ვარ, გარყვნილი არა ვარ, ქონებას უთაებოლოთ არ ვფლანგავ, რამდენათაც შემიძლია ვმუშაობ, ზარმაცობას ვერვინ შემომწამებს...

შოთას ხმა თან და თან უწყნარდებოდა, ნაკლებათ უკანკალებდა.

— სხვა, მართალია, ღარიბი ვარ და ღარიბის შვილი, მარა სიმართლით კი გვიცხოვრია, სხვისი ოფლი არც მე და არც მამაჩემს არ გვიქამია... ამით მე ვამაყობ, ჩემს დას მე ვათხოვებ, მე ვაქლევ ფულს, ჩემს ნაშოვარს და არავის ნება არა აქვს რამე მითხრას. რაც შეეხება თქვენს სიმდიდრეს, ამაზე აი რას მოგახსენებთ: მე მალელვებს და მოთმინებიდან გამოვყავარ იმ გარემოებას, რომ თქვენ, ჩემი სიღღერ-სიმაძრი, ხალხს ფულს ტყვილებთ: ეს რაღაც უსარგებლო წამლებიო, ეს დავითნიო, მკითხაობა და რაღაც ასეთები. თუ დღეის იქით ამის მაგვარი რამ მე აქ დაფინახე, იცოდეთ თავს დაგანებებთ... თქვენ თქვენთვის და მე ჩემთვის... მე თქვენი სიმდიდრის არა მინდა რა...

შოთას ხმა აუკანკალდა, თვითონაც ათრთოლდა... გაბრიელს და სიღონიას უნდოდათ რაიმე ეპასუხნათ, მარა ჩუმმა ხმამ რაღაც შიში მოგვარათ...

თამრო ხომ კარგი ხანია გულ-აფხანცალებული მისჩერებოდა შოთას და ყოველ წამს მზათ იყო წამოეკივლა...

შოთას თამროს შეაჩერდა; თამრო შეკრათა, დედისკენ მიიწია.

— შენ კი, ჩემო ქალბატონო, — მიმართა შოთამ, — შენ მაინც რათ მიწამლავე არსებობას? შენ მაინც რათ არ თანამიგრძნობ? რათ არა ხარ ჩემს გვერდით?.. აკი მეფიცებოდი ჯვარის წერამდე: შენთან ერთად მოვკვდები, შენი ვარ კირში და ლხინშიო. საღ არის შენი აღთქმა?

ვიცი გიყვარვარ, უზომოთ გიყვარვარ, ყოველ წუთს ჩემზედ ფიქრობ, ჩემზე ლოცულობ!.. მარა რაა ისეთი სიყვარული, რომელიც თავის სასიყვარულო არსებასთან ერთად ტანჯვას ვერ გადიტანს... ხომ ხედავ, რა დღეში ვარ!.. მარტო ვარ, მარტო... ეხლა მინდა დახმარება და თანაგრძნობა... აკი ერთხელ მიხსენი, ყავარჯნათ მექექ... ეხლაც ზომეშეელე, ხელი მომეცი... შენი იმედი მქონდა... ხომ იცი, როგორ მიყვარხარ!.. რათ მინდა ისეთი საყვარელი არსება, რომელიც გაქირებისას ჩემს გვერდით არ იქნება, მხარს არ გამიმაგრებს? თამრო, ჩემო ყველავე, შენ მაინც ნუ აყვები ამათ... მარა ეხ... რას ვამბობ?... განა პირველათ გთხოვ? პირველათ გეხვეწები და გემუდარები?..

შოთა უცებ აქვითინდა; დაბარბაცდა, კინალამ დაეცა...

ყველანი შეშინდენ; გულ-აჩვილებულ თამროს ტირილი წასქდა და ათრთოლებული მივარდა შოთასთან...

გაბრიელს გულში ცეცხლი აუტრიალდა. „რას მოვესწარი ამას, რა საცოდავობა დამიტრიალდა ოჯახშირ.“

სიდონიაც იჩუყებოდა, თავსაფრის ყურით ცრემლს იშრობდა.

XXXI

შოთას გული ვერ დაუწყნარებია, მთელის სხეულით თრთის. თვალში ძილი არ ეკარება... თან რაღაც შიშსა გრძნობს, ასე გონია, მთელი ქვეყანა მაზედ ამხედრებულა... ცდილობს გრძნობას დასქარბოს, მარა ვერ მოუხერხებია... ერთის წუთით ესაა გონებამ გაიმარჯვოს,

მარა გრძნობათა ტალღა უცებ ამხოვს მაჲ, საბატონო ტახტს უმსხვრევს... და შოთა ისევ გრძნობის კლანჭებშია...

თამროც სულ-განაბულია. მშვენივრათ გრძნობს, თუ რა ქარბუქია შოთას გულში. ახლოს მიკარება ვერ გაუბედნია. მისი საყვარელი შოთა, სათაყვანო არსება, რაღაც საშიშ არსებათ გადაექცა... ჩაირღვა მათ შუა ხილი.

„ღმერთო, რა ემართება ჩემს ღვთაებას,— ფიქრობს შეათასედ გულ-ატირებული, — სად წავიდა მისი სიხალისე, სიყვარულის ალი?.. განა იმას ვიფიქრებდი, რომ ოდესმე დადგებოდა ასეთი წამი ჩვენ შორის? შოთა, შოთა! შენ შემოგვევლოს შენი თამრო, შენ გენაცვალოს... ჩემო ღმერთო, ჩემო სიცოცხლე!.. მაპატიე, თუ ოდესმერამე გაწყენინე... ღმერთია მოწამე— შენმა სიყვარულმა ჩამადენინა... შენთვის კარგი მინდოდა... ვფიცავ ზევით ცას და დაბლა ქვეყანას, რომ ცუდი გულის შენზე არასოდეს არ ვყოფილვარ... მუდამ წრფელის გულით გექცეოდრი... იქნება ვცდებოდი, გენაცვალე, მარა აბა რა უნდა მექნა? მე ხომ შენსავეთ შეგნებული არა ვარ... ბავშვი ვარ, ჩემი ცოდნა და შეძლება მარტო ისაა, რომ მიყვარხარ... მთელის ჩემის არსებით მიყვარხარ!.. ღმერთია მოწამე... ჩემო შოთა, შენზე უკეთესი ვინ მყავს ქვეყნად?.. შენ ხარ ჩემი სიცოცხლე!.. შენა ხარ ჩემი პირველი და უკანასკნელი სიყვარული... თავს დაგაკვდები, შენს წინ სანთელივით დავდნეები... ოღონდ რაც იყო ეს მაპატიე, ეს შემინდე... ოღონდ წარსულს ნუ გამიხსენებ... შოთა... შოთა“...

თამრო გულს აყვა. ამ წუთს მზათ იყო ფეხ-ქვეშ ჩავარდნოდა თავის საყვარელ არსებას, მის წინ დაჩოქილიყო და პატიება ეთხოვა, თან ფიცი მიეცა, რომ სამარის კარაშდე მისი უერთგულესი მეგობარი იქ-

ნებოდა... მზათ იყო მასთან ერთად ევლო კლდეში და ღრეში და ბაღნარშიც...

„შოთა, ჩემო ძვირფასო, ჩემო სულის დგამე!.. განა მე შენი ერთგული არა ვარ? განა არ მინდა შენი კარგი? იქნება გგონია, რომ შენი ცუდი გამახარებს? თუ ასეა, ვაი მაშინ შენს თამრიკოს, უი მაშინ შენს სატრფოს!.. მაშინ რამ უნდა მიშეელოს, თუ არა შევმა მიწამ? ვინ უნდა ჩამიკრას, თუ არა სამარემ!.. ღმერთო, რა ნახა დღეს ჩემმა თვალებმა, რას მოვესწარი?.. როგორ ატირდა ჩემი სიცოცხლე, როგორ აუჩვილდა გული! არასოდეს აგრე არ მოსვლია, არასოდეს აგრე შესაბრალისი არ მინახავს!.. ალბათ გაუქირდა ჩემს სიცოცხლეს, ალბათ აეფსო მოთმინების ფიალა!.. ღმერთო! ახლა გადამარჩინე და პირობას გაძლევე ერთის სიტყვითაც არ ვაწყენინო შოთას!.. მუდამ მის მხარეზე ვიქნები... არც დედას ვეძიებ და არც მამას... ჯანდაბას მაგათი თავი!.. მათ რა ენადღვლებათ... სულ მაგათი ბრალია, მე რაც მომივიდა, მაგათი... მარა აწი მიყურონ!“

თამრო ამ წუთს სულითა და გულით შოთასია. მზათაა მასთან ერთად სახრჩობელაზე ავიდეს. ჰგონია, რომ როგორც ამ წუთს ასე არასოდეს არ უგრძენია შოთასთან დაახლოვება... ისიც კი იფიქრა—ეხლა რომ მიყვარს, მგონი ისე პირველ ხანებშიც არ მყვარებიაო... მზათ იყო ტირილით გახეთქილიყო და წარსული შეენანებია შოთას წინაშე... რამდენჯერმე განიზრახა ეს, მარა შოთას საშინელი ბორგვა და ოხერა თავზარს ცემდა, აშინებდა... და დამფრთხალი ცრემლებში იღრჩობოდა.

შოთა უარეს მდგომარეობაში იყო. მისი გული ცეცხლის გენიათ გადაქცეულიყო. გაჯოჯოხეთებუ-ლიყო...

„რით დავახწიო თავი ამ მდგომარეობას, რით? — ფიქრობდა ის — ასე მგონია ჩემს გარშემო რაღაც საშინელების ბადე მოქსოვილა, მომსპობი, განმანადგურებელი რგოლი შემომკვრია!.. ყველაფერი მელუპება, ყველაფერი უკუღმა მიდის. ასე მგონია, მთელი ქვეყანა უკუღმა იწყებს ტრიალს და ყველა და ყველაფერი ჩემს წინაა ამხედრებული... რა ვიფიქრო არ ვიცი... რა გზას დავადგე ვერ გამომიკვლევია... ნუ თუ მე და თამროსა მუდამოთ ვშორდებით ერთმანეთს? ნუ თუ ამხანაგებმა ბილალატეს? ნუ თუ, მართლაც, წილი უდევსთ ღუქნის გაძარცვაში?.. ვერ დამიჯერებია, ვერ დავრწმუნებულვარ!.. ხალხი კი, შეუგნებელი ხალხი, მზათაა ჯვარს მაცვას... ერთ დღეს თუ ჩემს წინაშე ქედს იხრიდა... დღეს?“... ამ წუთს მოაგონდა მასწავლებლის სიტყვები: „დღეს შენი მალმერთებელი ხალხი ხვალ ტალახში ამოგთხუპნისო.“

„ნუ თუ მართალია მასწავლებელი? ნუ თუ ჩემი თამროს სიყვარული მოჩვენება იყო? ნუ თუ ხალხი არაა სანდო? უგუნურია, შურიანია, გულღვარძლიანია? ნუ თუ ქვეყანაზე არავინ არაა სანდო, ვერავის ვერ დავეყრდნობით? ა? არა, მასწავლებლო!.. ქვეყანაზე არსებობს სიყვარული! სიყვარული, რომელიც მთელი ქვეყნის მხსნელი ქვა-კუთხედია!.. არსებობს სიმართლე, ნდობა... რომ ასე არ იყოს ახლობამდე მოისპობოდა მთელი ქვეყანა, განადგურდებოდა მთელი სამყარო... შენ ცდები მასწავლებლო, ცდები!.. დეე, თამრო და მე ვერ შევთვისდეთ, სიყვარული გაგვიქრეს! ამხანაგებმა, ერთგულმა ამხანაგებმა, ბილალატონ, ხალხმა მაძაგოს, მე მაინც ვიტყვი, რომ ქეშმარიტება არსებობს ქვეყანაზე, სიყვარული თვით ცხოვრებაშია ჩაქსოვილი... და როცა იქნება გაიმარჯვებს, გაიმარჯვებს!..“

მარა ღღეს... ღღეს... რას ვხედავ? ყველამ შემიძულა, ყველამ, მგონი ჩემმა თამრომაც კი... ახ... მოვკლდი მეტი არა ვარ!.. გული ლოდით გადაშეკცა, ესაა მიწასთან გამასწოროს, გამანადგუროს... ერთ ღროს სიყვარულით აღსავესე, ლმობიერებით მოლიტლიცე, ეხლა შხამ-სამსალის ბუდეთ გადაქცეულა, განალველებულა... ახ, ღმერთო! რას მოვესწარი ამას? როგორ ვიფიქრებდი, რომ ჩემს ბუტკუნჩელა თამროს ოღესმე ასე მოვიხსენიებდი!.. თამრო, თამრო, ჩემო უმანკოვ, ჩემო მშვენიერების ხატებავ! რისთვის არ გიძგერს ჩემებრ გული?.. ღმერთად დაგსახე, შენგან ველოდი იმედს, დახმარებას გაქირებისას და შენ კი რათ მილალატე, რათ ვერ გამიწიე უღელღი?.. თამრო... განა ამას ველოდი შენგან? განა ამას მპირდებოდა შენი სიყვარული? ის წამები, როცა ჯოჯოხეთად ქცეული ქვეყანა სამოთხეთ გადმიქციე? თამრო... რათ მიხსენ, რათ მომაბრუნე მაშინ, თუ ამას მიმზადებდი?.. რათ მომატყვილე შარბათით, თუ ბოლოს ძიმწარეს შემომპარებდი? დეე, დავლუპუღვიყავ მაშინ, დეე, მოვსპობილვიყავ იმ ხანებში?.. რათ ამიყვავე გულში იმედი, თუ აგრე უცებ დამიქნობდი?.. თამრო... იქნება შენ არც კი ხარ დამნაშავე?.. ახ... ჩემო საყვარელო არსებავ!.. რა ვქნა, რითი მოგიშორო?.. ახ, ღმერთო! რა წამომცდა?.. ჩემი თამრო... ჩემი საყვარელი უნდა მოვიშორო?.. რა ვსთქვი, რა?..“

შოთა მთელის სხეულით შეირყა, გველივით გაიკლაქნა...

„დაშორება აუცილებელია“ — გაუელვა უცებ თავში და უარესად დაიგრიხა. დიდხანს იყო თავზარ დაცემული, თვალეზ აბრიალებული. ეს საშინელი სიტყვებიც თავს დასტრიალებდენ...

„ღიად, აუცილებელია,“ — სთქვა დიდი ხნის ფიქრის შემდეგ შოთამ და გონება მოიკრიბა.

„აკი მეც ასე ვფიქრობდი ამ ბოლო ხანებში... მაშ რათ შემაშინა ამ აზრმა ეხლა? ჩემი აქ ყოფნა შეუძლებელია... მე სხვა ვარ, ესენი სხვა არიან... ჩვენ ვერ შევთანხმდებით... მათ ჩემი არ ესმის, მე მათი არა გამეგება რა. ჩვენს შუა ნაპრალია. უნდა გავშორდე აქაურობას... აქ დარჩენა წარმოუდგენელია... მშობლები, საზოგადოება, ნათესავები, ყველა აღმაცერათ მიცქერის... დღეიდან ჩემი აქ ყოფნა შეუძლებელია, შეუძლებელი... ასე მგონია ტალახში ვარ ჩაფლული... მარა, ვსთქვათ, ხალხის წინაშე გაემართლდი, ხალხის გული ისევ მოვიგე, განა შემეძლება მაშინ აქ ყოფნა? თამრო?!. ახ!.. შეუძლებელია, შეუძლებელი!.. ვიცი გიყვარვარ თამრო, მეც მიყვარხარ. მარა რა გვიყვარს ერთმანეთში?!. ნუ თუ ყველაფერი ეს სიმართლეა, ნუ თუ სამუდამოთ გეტხოვები?!.“

შოთა ცრემლებს ვერ იმაგრებდა...

თავს საშინელის ნაპრალის პირს გრძნობდა, ყოველ წამს დაქვესკნელებას ელოდა.

თვალ-წინ წარმოუდგა მთელი თავისი წარსული, აწმყო... ათასჯერ გადასინჯვის შემდეგ მაინც იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ უნდა განშორებოდა იქაურობას.

მთელი ღამე შავს ფიქრებში გაატარა. კარგათ იცოდა, რომ თამროც კარგ დღეში არ იყო, მასთან ერთად იტანჯებოდა... მარა ხმა ვერ გაეცა... ერთ დროს მთელის არსებით შეყვარებულნი, შემაერთებელ ძაფს თუ ყოველ წუთს ხედავდენ, ამ წამს კი მათ შუა უბსკერო ზღვა იყო. ორივე აქეთ იქით ნაპირებზე იტანჯებოდენ, ხოლო ერთმანეთს კი ხმას ვერ აწვდიდენ...

„ვიძახი და მრწამს, რომ ქვეყნად კეთილი გაიმარ-

ჯვებს, სიყვარული დროშას გაშლის-თქო... დიახ, ეს იქნება-თქო... მარა... ჩემო თამრო!.. მე? მე რა? მე ხომ ვერ ველირსე?.. — აღმოხდა ბოლოს ღონე-მიხდილ შოთას და საზარ ფიქრების წინ ქედი მოიხარა.

მეორე-მესამე დღეს შოთა დამუნჯებულივით დადიოდა. ვისაც ჯერ იყო ღუქნის ანგარიშები ჩააბარა, ამხანაგებს გამოეთხოვა, თან საკირო დარიგება მისცა და ბოლოს სიმამრ-სიდედრს და თამროს შემდეგის სიტყვებით მიმართა:

— მშვიდობით, მე აქ არ მედგომება, ქალაქში მივდივარო...

ყველას თავზარი დაეცა. დამუნჯდენ, გაქვავდენ.

შოთა წავიდა

XXXII

მატარებელი თავ-გამოდებით მიხარხარებდა...

მესამე კლასის ვაგონიც თავის აქრელბულის მგზავრებით თავ-დავიწყებული მირბოდა...

აგერ ხურჯინიანი მგზავრი; იქ მეორეს ტომრები სკამ ქვეშ ამოუწყვია. მესამე ქათმებს აკრიახებს. ერთ ადგილას ხმა-მალალი ლაპარაკია, მეორეს — სიცილი... აქ კიდევ დედა ატირებულ ბავშვს აშოშინებს.

ოფლის სუნი დგას, ყალიონის კვამლში შეკაზმულ-შეზავებული...

შოთა ერთ კუთხეში მიმჯდარა, ხმას არ იღებს. დაღონებული მისჩერებია ხალხს. ათასი ფიქრები უტრიალებს თავში. ხან ამაზე ფიქრობს, ხან იმაზე, ხან აქაა, ხან იქ. თამრო, დედ-მამა, ხალხი, ამხანაგები, ყველა

აგონდება, ყველა თვალ წინ გაურბის მეთათ, მეთათ-სეთ... ვერც ერთზე ვერ შეჩერებულა—ხან ერთი, ხან მეორე...

„ყველა დავტოვე, ყველას გამოვეთიშე, — ფიქრობს შოთა, — თამრო... რა დღეში იქნები, ჩემო ტურფა, რა დღე მოგვლის? რაა ეხლა შენს გულში?.. ნეტავი არ მომაგონა, არ მომაგონა!.. დედა, ჩემო დედიკო, შენ რას ფიქრობ ჩემზე?.. კესო, შენ მაინც ხომ მოგიმადლიერე, დაო, შენ მაინც ხომ გეშველება!.. აგისრულდება შენი ოცნება... მამა, ტანჯულო მამავ!.. მუდამ შრომა, მუდამ სიმშლილის შიში, მუდამ სხვის წინ ცახცახი... ნუ თუ ვერასოდეს ვერ იგრძნობ თავს ბედნიერათ?.. ახ, მამილო... მე არა ვარ შენს წინაშე დამნაშავე... არა... არც თამროს წინ, არა!.. თამრიკო... გახსოვს ჩვენი პირველი სიყვარული? გახსოვს ჯვარის წერის დროს წინ, რომ არ მაკოცნიე? რა წამები იყო, რა ბედნიერება! ნუ თუ სამუდამოთ დაიღუპა, არ მობრუნდება, არ განმეორდება? ნუ თუ თამროც სამუდამოთ დავკარგე, კვლავ ვერ ვიხილავ, ვერ დავტკბები მისის სილამაზით?.. ახ... რა კარგი იქნებოდა, რომ თამრო მუნჯი ყოფილიყო!.. მუნჯი!.. ხმას ვერ ამოიღებდა... დავსვამდი და თაყვანს ვცემდი... რა ბედნიერი ვიყავ მაშინ!.. აი, სიყვარული რომ გამოუცხადე... ჩონგური... მთვარე... ეხ, ყველაფერი დაიღუპა, ყველაფერი... შემცდარა მგოსანი, როცა უთქვამს: „ვით არ ვადილო სიტურფის ღმერთა! ყოვლნი კეთილნი მან შეიერთაო“. თამროზე რაზე არ გამართლდა ეს?... ხალხი... რას ფიქრობს ახლა ჩემზე ჩემი სოფელი? ალბათ ყველას ცუდ კაცად მივაჩნივარ!.. ამხანაგებო... ვინ იცის, იქნებ თქვენში მართლაც არის იუდა... ალბათ მასწავლებელი ეხლა გამარჯვებულათ იცინის და ნიშნს მიგებს — ხომ გამართლდიო... არა, ვფი-

ქრობ ამდენი ხანი და ვერ გადამიწყვეტია—ვის უნდა გაეძარცვა ღუქანი? ყოველ მხრივ დავმარცხდი... დავმარცხდი... რასაკვირველია, არა ზნეობრივად... ამ მხრივ წმინდა ვარ... მარა ჯვარი რომ დავიწერე? რა ჩავიდინე, რა მომივიდა? აკი გადაწყვეტილი მქონდა ეკლესიასთან ყოველი კავშირი შეემწყვეტა... თამრიკო... შენი ბრალია, შენი... რას ფიქრობს ახლა ჩემი სიმამრი? საწყალს გაუცრუვდა იმედები... გაუცრუე... მარა მეც ხომ გამიცრუა!.. ყველანი მოვტყუვდით, ყველანი... ერთმანეთი მოვატყუეთ“...

შოთამ ფანჯარაში გაყო თავი. მთა—გორები, ველები თითქოს ცეკვავენ მატარებლის ხმაზე... გადათოვლილი მიდამო მზის სხივებზე ქათქათებდა...

„რა უნდა ეშველოს აქ მცხოვრებ ხალხს,—ფიქრობდა შოთა,—როდის მოალწევს აქამდე ბედნიერება? გაუნათლებლობა, სიბინძურე, სილატაკე—აი რაში ხდება აქაურობას სული. როდის უნდა დადგეს მათთვის ბედნიერება? როდის გაიფანტება საშინელი ბნელეთი და ეშველება ხალხს რამე? როდის?“

— გვცივა, გვცივაო,—მოესმა შოთას და ფანჯარა დაახურვინეს.

ისევ თავისიანებზე ფიქრობს, ისევ თამრო უდგას თვალ-წინ... თვალენი ეცრემლება. „აღბათ ფიქრობს: მილალატა, მომატყუაო, უსინდისო ადამიანათ მაღიარებს... რა ვქნა, ჩემო თამრო, როდესაც ჩენი ერთად ცხოვრება შეუძლებელი შეიქნა!.. არ მომიტყუებიხარ, არა!.. რით უნდა დაგარწმუნო ამაში, რით“?..

რაც უფრო უახლოვდებოდა ქალაქს, მით უფრო დარდი უმსუბუქდებოდა, შუბლი ეხსნებოდა.

„სოფელი დაღუპულია, წვრილმანია, ადამიანის გა-

მათახსირებელია, დამაქუცმაცებელი... შენ-ჩემობა, შური, გაუტანლობა... აქ კი... ..

მოაგონდა ამხანაგები, მათთან თითქმის ათი წლის განმავლობაში შრომა და გული ხალისით აეესო...

„მაშ მოვდივარ, მოვდივარ ამხანაგებო! ისევ თქვენთან, თქვენთან სიკვდილი, თქვენთან დარჩენა... ელენესაც ვნახავ... როგორ მოვექცე? ა?“

ეს კითხვა უსიამოვნოთ შეეჩრა შოთას აზროვნებაში. პასუხის გაცემა კი ვერ მოეხერხებია, ეშინოდა, სცხვენოდა...

„როგორ? — ფიქრობდა, — რამოდენიმე ხნის უკან ქალაქიდან სოფლათ ქალის გულისათვის გამოვიქეცი... ეხლაც სოფლიდან ქალაქად თითქმის ამისათვის მოვალ... და ეხლა კიდევ ქალზე ვიფიქრო?... არა! სირცხვილია, შეუძლებელია... განა ქალის სიყვარულის მეტი არაფერია ცხოვრებაში? სულ ქალზე ფიქრი ხომ არ შეიძლება? ეს ხომ პირადი ცხოვრებაა... მარა... აქაც ხომ საჭიროა ბედნიერება... თამრო!.. რათ წამართვი ეს ბედნიერება, რათ მომიწამლე არსებობა? რამ დამავიწყოს შენი თავი, რაფერათ ამოვირეცხო გულის სიღმრძიდან? თამრიკო... ყველაფერი დავლუპე, ყველანი დავკარგე... ხელ-ახალი ცხოვრება ხელ-ახლათ ბედნიერების შენება!.. არა, ყოველგვარი უბედურება ერთად როგორ უნდა დაატყდეს ადამიანს... ის მეყოფოდა, რომ ხალხის თვალში ისე დავეცი, ტალახში გავისვარე და ეს კიდევ რა იყო?“

ამასობაში მატარებელიც მიუახლოვდა ქალაქს... შორით სერებზე გამოჩნდა შენობები... თეთრი, მოწითაწილი სახლები... საყდრები... ქარხნების მიღები...

მზეს ოქროს მძივები გადაებნია თოვლით გადათეთრებულ სახლების სახურავებზე.

პირველათ ნისლში გახვეულს გავდა ქალაქი... შემდეგ კი, მატარებლის მიახლოებასთან ერთად, თან და თან გამოიჩინა.

შოთას გული აუთრთოლდა. სოფელი სრულიათ გადააფიწყდა. მთელი მისი არსება ქალაქმა შთანთქა. მისდა შეუმჩნეველათ ვაჟა-ფშაველას სიტყვები მოადგა ენაზე და ცოტა შესწორებით წარმოსთქვა:

■ შენგანა გულობს ეს გული, შიგ გრძნობა უღულს ღვთიანი.

შენი მიწოვავ მეც ძუძუ, ლალიან — ბარაქაიანი!...ო

შოთა სიხარულით მიიღეს ამხანაგებმა. მაშინვე, როგორც ძველს და გამოცდილ მუშას, ქარხანაში შესაფერი ადგილი მისცეს.

XXXIII

ფართე ზალა. თეატრის პარტერი.

მუშები იკრიბებიან. ზოგი კარგი ხანია მოსულა. ერთ კუთხეში ხმა მაღალი ლაპარაკია... მეორე ადგილს გაზეთს კითხულობენ, მესამეს — წიგნს... რიგი ჩაფიქრებული ზის, რიგი საჯდომს ეძებს, სკამებში მიდომოდის...

არიან ქალებიც...

ყველა უბრალოთაა ჩაცმული. შეძველებული პალტო, უკალოშო ფეხსაცმელი, ქუდათ „ჟოკე“, ან ყაბალახი... ზოგს-პალტო რამოდენიმე ადგილს კიდევ დაუკვრებია, — სჩანს თავისი ხელით...

თითქმის ყველას სახეზე რალაც მოყვითანობრქყვიალა ფერი ადევს; მათ გამომეტყველებას ნების ძალის და სიმტკიცის დალი ასვია... უმეტესობა მკვირცხ-

ლათ, კოცხლათ გამოიყურება. შეხედვისთანავე დარწმუნდებით, რომ დამოუკიდებელი არსებანი არიან, სწამთ თავისი მე და აქეთ თავისი საკუთარი აზრი და რწმენა.

ცივა, ცუდი სინათლეა.

ირგვლივ ადამიანის ამონასუნთქის და ოფლის სუნი დგას...

— ამხანაგო, როგორ მოგწონს ჩვენი გაზეთის დღევანდელი მეთაური?— ეკითხება ერთი მეორეს.

— დღეს ვერაფერი შეილია მაინც და მაინც. გუშინ კი მშვენიერი იყო...

— მოთხრობა როგორია?

— საუცხოვო. ადგილ-ადგილ კიდევ ავცრემლდი...

— რა ქენი, ამხანაგო, თუ დაათავე ჩემი წიგნის კითხვა?

— უკაცრავათ, მაპატიე, კოტა კიდევ დამრჩა... ხვალ უთუოდ შემოგიტან... დრო არა მაქვს, კაცო, და რა ფერათ უნდა ვიკითხო? იცი? სულ სადილობის დროს ვიკითხულობ. ცალი თვალი წიგნში მაქვს და ცალი საკმელზე... რა ვქნა, მეტად დრო ვერ მიშოვია.

ასე ლაპარაკობდნენ ერთ ადგილს მუშები.

— ვინ ავირჩიოთ თავმჯდომარეთ?

— ალექსი... უთუოდ ალექსი.

— უარს ამბობს, არ შემიძლიაო.

— მაშ ვასიკო...

არა, არ შეიძლება, ვასიკომ მოხსენება უნდა გააკეთოს... მაგისათვის არ სცალია...

— კლასიონი?..

— ის ხომ ნაფიცი მდივანია...

— შოთა?..

ფარდა აიწია. მოისმა ზარის წკარუნი. ლაპარაკი შეწყდაა ყველანი ლაგდებიან...

— ამხანაგებო, წინადადებას ვაძლევთ თავმჯდომარე აირჩიოს და საქმეს შეუდგეთ, — მოისმა სცენიდან მტკიცე ხმა.

— მე ვასახელებ ამხანაგ კირილეს... დაიძახა ერთმა მუშამ, ცოტა პაუზის შემდეგ.

— კირილეს არ შეუძლია თავმჯდომარეთ იყოს — ის გამგეობის წევრია, — უპასუხეს სცენიდან.

ხმის უმეტესობით არჩეული იქნა შოთა ბროლიძე. მან წყნარის გამომეტყველებით და ღრნჯის სიარულით დატოვა პარტერი და სცენაზე ავიდა... .

მისი სცენაზე გამოჩენა და ტაშის საერთო გრილი ერთი იყო...

ის აუჩქარებლივ მივიდა თავმჯდომარის ადგილს და, ზარის ხელში აღების შემდეგ, ამხანაგებს ღიმილით მადლობა გადაუხადა...

ახოვანი ტანი, გაშლილი პირი სახე, შავი წვერულვაში და არწივისებური გამომეტყველება ყველაზე შესაფერ შთაბეჭდილებას ახდენდა...

ტაშის ცემა კარგა ხანს არ შეწყვეტილა.

— ამხანაგებო, ნება მომეცით კვლავ მადლობა გითხრათ გულწრფელის სალამისათვის... ეხლა კიდროს საქმეს შევეუდგეთ. გთხოვთ აირჩიოს მდივანი.

— კლასიონი... კლასიონი... გაისმა აქეთ-იქით.

ერთხმათ არჩევის შემდეგ კლასიონი თავმჯდომარეს მიუჯდა. უბიდან რალაც დაქმუქვნილი ქალაღლი და კარანდაში ამოიღო და მაგიდაზე დაიდო.

— წინადადებას ვაძლევ დრამატიულ საზოგადოებას თავის წარმომადგენელის პირით შეკრებილ წევრებს წლიური ანგარიში ჩააბაროს, — გაისმა თავმჯდომარის ხმა.

მოხსენების გაკეთებას შეუდგა მუშა ვასიკო. მან

დალაგებით განუმარტა დამსწრეთ, თუ რა უშლიდა გამგეობას წლის განმავლობაში თავისი მოქმედება სასურველათ წაეყვანა. და სხვა. მოხსენებიდან. სჩანდა, რომ ხელის შემშლელი პირობები ბევრი იყო: უფულობა, არტიტების სინაკლულე, პირადი კინკლაობა, შენობის მოუწყობლობა და სხვა. სულ წარმოდგენა გაემართათ ოცდა ექვსჯერ, გარდა ორი-სამი შემთხვევისა თეატრი მუდამ ხალხით ყოფილა გაქედლილი. შემდეგ მომხსენებელმა შემდეგის სიტყვებით დაათავა: „გასულმა წელმა ნათლათ დაგვანახვა, რომ თეატრისადმი მისწრაფება და სიყვარული შესამჩნევათ გაიზარდა დაბალ ხალხში. ახალმა ცხოვრებამ ახალი მოთხოვნილება წამოგვიყენა. ძველი რეპერტუარი ვერ გვაკმაყოფილებს, ცხოვრება ითხოვს ახალს. ჩვენი უბნის დრამატიული საზოგადოების გამგეობა სრული დარწმუნებულია, რომ ჩვენს თეატრს ბრწყინვალე მომავალი აქვს, საჭიროა მხოლოდ ერთგული შრომა და მუყაითობა.“

შემდეგ წაიკითხეს სარევიზიო კომისიის მოხსენება. ცოტა ტენიკურის ხასიათის დეფექტებს გარდა, ყველაფერი რიგზე აღმოჩენილიყო.

ამასობაში თეატრი სრულიათ გაიქედა ხალხით. გარდა მუშებისა, სხვებიც იყვნენ, თანამგრძნობნი.

გაიმართა კმათი. შოთა მშვენიერათ ხელმძღვანელობდა.

— ამხანაგი ელენე სიტყვას ითხოვს... თავმჯდომარე, ყურადღება!.. გაისმა ვილაცის ხმა.

ელენეს სახელი ტყვიასავით მოხვდა შოთას. თავში სისხლი აუვარდა, გაწითლდა.

— უკაცრავად, ამხანაგო, ხმაურობაა და ვერ გავიგონე!.. მოიბოდიშა შოთამ და პარტერს გადააწყვერდა, ელენეს ეძებდა: ვერ დაინახა...

— შემიძლია დავიწყო? მოესმა ერთ კუნკულიდან შოთას.

შოთამ უცებ მიიხედა იქითკენ. თვალ-წინ დაეხატა შუა ტანის, შავგრემანი ელენე... ამხანაგებში იყო ჩაკუნჩხული.

— ინებეთ... მაშინალურათ უთხრა და თან გულმა კანკალი დაუწყო. სუნთქვა გაუძნელდა. ელენესთან წარსული მეგობრობა ხელის გულზე გადაეშალა.

რამდენი ხანია ელენე არ ენახა ქალაქში ჩამობრუნებისას რამდენჯერმე ქონდა შემთხვევა შეხვედროდა, მარა განზრახ გვერდი აუქცია. მართალია, თუ გულის სიღრმეში ჩაფხედავდით, შეხვედრის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, პირიქით კიდევ სწაღდა, მარა გონება ეურჩებოდა, ნებას არ აძლევდა.

ელენე ლაპარაკობდა ნელათ, წყნარათ, დაბლათ, ასე რომ მისი ლაპარაკის დროს ხშირად ისმოდა: „ხმა მალლა, ხმა მალლა...“ო. თან ხშირ-ხშირათ ახველებდა, გულზე ხელს იჭირებდა.

შოთას კი ნაცნობი ხმების გაგონებაზე გული უთრთოდა.

კამათი დასრულდა. გარდა ზოგიერთ შემთხვევებისა, კრება გამგეობის მოქმედებით კმაყოფილი დარჩა. ეხლა ჯერი მიდგა გამგეობის წევრების არჩევაზე; ერთი თქმა ვილაცამ დაიძახა — ისევ ძველებიო, მარა რაკი რამოდენიმე თავის ნებით აპირებდა გამგეობიდან გამოსვლას, უნდა ხელ ახალი არჩევანი მოეხდინათ.

გამოცხადდა შესვენება.

სცენაზე რამოდენიმე მუშა ავიდა და შოთასთან ერთად მუსაიფობდნენ, ეტყობოდათ, რაღაც საინტერესოზე ბჭობდნენ — ალბათ კანდიდატებზე.

— შოთა, გამარჯობა! მოისმა ნარნარი, მშვიდი ხმა.

— შენ? შენ, ელენე? გაგიმარჯოს! გაგიმარჯოს! მიეპასუხა უცებ შოთა და სახე—გალიმებულმა, თითქმის გაცინებულმა, ხელი გაუწოდა. სულთქმა შეუჩერდა.

ელენეც ილიმებოდა. დიდხანს ეჭირათ ერთმანეთის ხელები.

— ეს შავი რა არის? რათ გაცვია?—შეეკითხა შოთა.

— დედა მომიკვდა,—მოწყენით უპასუხა ელენემ.

— როგორ?! ბარბარე მოკვდა? როდის?

— ორი კვირის უკან... გაცივდა, ვერ მოუარე მე უბედურმა... ექიმი ვერ მოუყვანე დროზე...

ელენე ჩაიფერფლა, თვალები აუცრემლდა. საშინელი ხველა აუვარდა. შოთამ მიუსამძიძირა, ანჯგეშა.

— შენ ცოლი შეგიერთავს, გავიგეთ... შეეკითხა კარგა ხნის შემდეგ ელენე.

— შევირთე... უთხრა შოთამ და თან ცოტა არ იყოს შეურაცხყოფა იგრძნო. „რათ შეკითხება აგრეთ?“ დაიბნა, შერცხვა, მოშორება განიძრახა, რალაც სულ სხვაზე ჩამოუგდო მუსაიფი.

ელენემაც შეატყო შოთას ეს და გულში თავს უსაყვედურა: „რა სულელური კითხვით მივმართე! იქნება კიდევ ეწყინა? მით უმეტის ჩემგანო...“

ცოტა ხნის შემდეგ კრება განახლდა. დაიწყო არჩევნები ფარულის კენჭით. ყველა მწყობრათ მიდიოდა საარჩევნო ყუთებთან და ყრიდა კენჭებს. აირჩიეს ასისტენტი. ხმების დათვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ გამგეობის ცხრა წევრიდან ოთხი მუშა იყო არჩეული, დანარჩენი თანამგზობი ინტელიგენტები. სხვათა შორის გამგეობაში მოხვდა შოთაც. შემდეგ აირჩიეს სარევიზიო კომისია. აქ ელენეც მოხვდა. კრება ტაშის ცემით მიეგება არჩევნების დასრულებას და დაიშალა.

XXXIV

შოთა რაღაც გახარებული მოვიდა ოთახში. უწინდელივით უსიცოცხლოთ არ ჩვენებია იქაურობა.

ოთახის შუა ადგილს დადგმული თუნუქის ფეჩი უსიტბოთ დახვდა, ტყვილათ მოკიდა ორჯერ-სამჯერ კერში ასულ მილს ხელი. ხელათ დაიკუზა და წინ ზეწარ-ჩამოფარებულ კრაოტის ქვეშიდან სანაეთე თუნუქი გამოიღო, შემდეგ დერეფნიდან მოკლეთ დახერხილი შეშა შემოიტანა და ცეცხლი გააჩალა. ნავთის სუნნი გაჟარდა.

მაღე დათბა. შოთა ფანჯარასთან იჯდა და იქვე მაგიდაზე დაწყობილ წიგნებს მისჩერებოდა. ერთ ხელში გაზეთი ეკირა. სახე ხან უცინოდა, ხან კი უსევდიანდებოდა.

„ელენე... ეტყობა დედის სიკვდილს დაუტანჯავს... მასთან უფრო ნარნარათ გამოიყურება, ხმაც უთრთის... როგორის რწმენით ლაპარაკობდა!.. ერთხელაც ენა არ შებორძიკებია... ჩემთან ღიმილით მოვიდა... გაზრდილა ამ ხნის განმავლობაში გონებრივათ, მომწიფებულა...“

უცებ მოაგონდა თამრო, წარსული და შეიკმუხნა, ტკბილ ფიქრებს საცო დაადო. „ეხ, ჩემი პირადი ბედნიერება მოიწამლა... მოიწამლა... თამრო. რ. ბევრათ ტკბილი მოსაგონი ხარ და უფრო ბევრათ კი...“

დაღამდა. ბნელეთმა შოთას გულიც მოიცო, კაეშანი შემოეხვია. დარდის გასათანტავათ წიგნს მიმართა. ერთი გვერდი გულდასმით ჩაიკითხა, ყველა წინადადება გაიგო, გაბმულ ძაფს თავი მოუნახა და ავტორთან ერთად ისიც შეუდგა გორგალი—სწიგნის დედა აზრის—შლას. მარა ამ დროს მისდა შეუქმნევლად წიგნის აზრთან ერ-

თად სხვა აზრიც გაუსრიალდა, ვით გველის წიწილი ფოთლებ ქვევით.

ქვეწარმავალი წიგნის აზრს შეეცილა... თამროს სახემაც გაიცურა მის წინ.

შოთას ერთის წამის განმავლობაში არც კი შეუმჩნევია მეორე აზრის გასრიალება. წიგნს კითხულობდა, არაფერი ცვლილება მომხდარა. მარა უცებ შეჩერდა, წაკითხული ვერ გაიგო, ჩაუკვირდა. მიზეზიც მსწრაფლ აღმოაჩინა. სახეზე უკმაყოფილება გამოეხატა, გველივით შემოპარული აზრი მოიშორა და ხელახლათ იწყო გაუგებელ ნაწილების კითხვა. ცოტა ხანს ისევ წიგნის აზრს მიყვებოდა. მარა კიდევ შემოეპარა გველის წიწილი, ეხლა კი უფრო მოზრდილი, გამბედავი... თამროსთან ერთად გაბრიელიც მოყავს, გიგოც, შოთას ამხანაგებიც და მთელი სოფელი... შხამი, სამსალა—აი მისი შემადგენელი ნაწილები... კვლავ მოიშორა... კვლავ შემოეპარა... ბოლოს იძულებული შეიქნა წიგნისათვის თავი დაენებებია: აზრს გრძნობაც გამოეხმაურა; გულმა ცემას უმატა, საფეთქლები აჩქარდნენ. სულის თქმა გახშირდა... ეხლა კი სრულიათ მოიკალათა მეორე აზრმა, საზიზლარ ვეშაბათ იქცა, შოთას სხეულს შემოეკლაკნა, შემოერგოლა თავის შავი, მოქნილი, მაგარი ტანით... სისინებს, დასაშხამავ ადგილს ეძებს:

რა ჩაიდინე, ყმაწვილო, რა?—ეკითხება შავი არსება სისინით,—გააუბედურე თამრო, მისი მშობლები, საზოგადოების ნდობა სამუდამოდ დაკარგე, შენს ამხანაგებს სოფლის ქონება გააძარცვიე... სუ... ენა... ტყვილათ ფიქრობ, რომ შენი ამხანაგები არ ჩაიდენდნენ მაგ საქმეს! უსაქმოდ დაძრწოდნენ ამ ზამთარში, მშიერები ეყარნენ... თან არც ისეთი ზნეობისანი ბრძანდებიან, შენ რომ გგონია!.. ტყვილათ ესარჩლები! მაშ ვინ ჩაიდენდა?..

სოფელი ტყვილა კი არ იძახის ამას!.. შენც არ მამიკვდე!.. შენ ხარ აქ დამნაშავე, შენ!.. კარგად მოიქეცი, შენმა მზემ!.. გააუბედურე საყვარელი არსება, გაძარცვე სოფელი და ქალაქში გამოიქეცი... კარგია თქვენი ქირიმე!.. იძახი ხალხისათვის თავდადებული ვარ, არას დავშურაფო და შენ კი ასე მოექეცი მას!.. შემდეგ კი თავი ანებე და აქ გამოიქეცი... ერთი გვიბრძანე, ყმაწვილო: ავამყოფს უნდა ექიმი თუ კარგათ მყოფს? აქ ისედაც კარგად მიდის სოფელთან შედარებით მშრომელი ხალხის ბედი... მუდამ ერთად არიან, საერთო გრძნობა მუდამ ღვივის მათში... აქ უშენოთაც გაკეთდებოდა რამე, იქ კი... იქ, სოფელში, საშინელებაა გამეფებული, სიღუბე ირგვლივ: სიღარიბე, სიბნელე, შენ-ჩემობა, დაწვრილმანება, გაუტანლობა, ყველგან და ყველაფერში პირადობაა წინ წამოყენებული, საერთო ინტერესების შეგნება განუვითარებელია... და აი იქ, იქ უნდა დარჩენილიყავ, გემუშავნა, ხალხი ფეხზე წამოგეყენებინა, წელში გაგემართა... მაშინ მეც ტაშს დაგიკრავდი... დღეს კი... დღეს რა? შენმა მზემ, დღეს კრება არ შედგებოდა, რომ შენ თავმჯდომარეთ არ ყოფილიყავ!.. სოფელში კი მართლაც არ შედგებოდა... დიახ, დიახ, ტყვილა იმართლებ, ბატონო ჩემო, თავს, ტყვილა! შენ იქ იყავ საჭირო და არა აქ!.. მარა შრომას, თავდადებას აქ გამოიქცევა ამჯობინე!.. სირცხვილი... სირცხვილი შენი!"

შოთა დაიწვა, დაიხრაკა... საშინელმა შხამმა მთელი სხეული მოუღუნა. ლოგინზე წამოჯდა. საზიზღარ ქვეწარმავალს სახეში ჩააქცერდა.

„შენ ცდები, გესმის? ცდები! — ეუბნება მას. — აკი გუშინ, გუშინ წინ სულ ამას გეუბნებოდი, რომ ცდები... შოთას შენ ხალხის სამსახურს ვერ ასწავლი, ბავშვობიდან-

ვე ამ აზრით გაზრდილა, ბევრი მსხვერპლიც შეუწირავს ამ სამსხვერპლოზე... იქ, სოფლად, შეუძლებელი იყო ამ პირობებში მისი დარჩენა, შეუძლებელი... მითხარ, მოსისინე — განა შეიძლება მარტო აზრით იცხოვროს ადამიანმა, მარტო ჭკუას ემონოს? გრძნობას რას უშვები? განა შესაძლებელი იყო იქ გაფრერებულიყავ, როცა ჩემი უსაყვარლესი ქმნილება, ღვთაებათ დასახული არსება ისეთივე აღმოჩნდა, როგორც მისი მშობლები? განა შემდეგლო მასთან ცხოვრება, ვინც ჩემს უღელს ვერ გასწევდა, ვინც მხარს ვერ დამიმშვენებდა?.. ოო, ვიცო რის თქმაც გინდა! მარა განა არ ვცდილვარ, რომ რამე შეეგნო, შეესწავლა? განა არ მიცდია, რომ ჩემი აზრი, ჩემი გრძნობა ჩამენერგა მისს გულში?.. მარა რა გამოვიდა? ერთხელაც ვერ ვაგრძნობინე აღმაფრენა, ერთხელაც ვერ მოვაშორე აზრით და გრძნობით იმ ანგარებიან ადგილს, რომელზედაც შობილა და გაზრდილა... ასეთ შემთხვევაში მე ის-ლა დამრჩენოდა, რომ მოვშორებოდი... რაც შეეხება სოფელს, აქ კი იმას ვიტყვი, რომ სიმართლე გამოჩნდება, არ დაიჩრდილება... ყველა ჩემს კაინაქნარს წყალში ვერ ჩაყრიან... ეხლა ცოტას იცხარებენ, გულს დაიწყნარებენ და ბოლოს ყველაფერი გამოჩნდება... იქ კი ვერ დავრჩებოდი, ვერა... შენ თვითონ მიხვდი, გაიგე თუ რათა! ახლა მაინც არ მომშორდები? წადი, გასწი! ჩემი პასუხი ერთი და იგივეა“...

ის კი არ ცხრება, იკლავება, წივის:

„არა, ერთი ესეც გვიბძანეთ, ვაჟბატონო! თუ შენ თამრო არ გიყვარს უწინდელივით და არ აღმერთებ, მაშ რათაა, რომ ახლა იტანჯები, რათ იგონებ? ესაა გულწრფელობა? მე მშვენნივრათ ვიცი, თუ რაც გიყვარს შენ მასში საუცხოვოთ ვიცი.. თუ გულწრფელი ხარ, პირდაპირ სთქვი ესა, გაბედე, შენს სიცოცხ-

ლეში ერთხელ მაინც გადააბიჯე ფეხი შენი პიროვნების ჩამაქრობელ აზრებს, ერთხელ მაინც გადალახე შაბლონიური აზრები, უმეტესობის მიერ შემუშავებული ზნეობრივი და სამოქალაქო კარაბადინი და სთქვი, საქვეყნოთ აღიარე ის, რასაც შენი პიროვნების სისრულე მოითხოვს, ემონე შენს „მე“-ს და არა საზოგადოების აზრს... მაშ, სთქვი, რათ გიყვარს თამრო? გელოდები!..“

„გამშორდი-მეთქი! — თითქმის მიაყვირა შოთამ, — შენ ვერ მასწავლი მე ჩემს მოვალეობას, როგორც საზოგადოების, ისე ჩემი პიროვნების წანაშე... მე ვიცი რასაც ჩავდივარ! მე ვიცი რისთვისაც მიყვარს თამრო და ამის არც მრცხვენია, არც მეშინია... გამშორდი, წადი!..“

შოთა წამოდგა, გაიარ-გამოიარა. ლოდად ქცეული შავი ფიქრები მოიშორა, თავისუფლად ამოისუნთქა... გული დაიწყნარა. კარგა ხნის შემდეგ დაწვა. ეცადა ოცნება არ დაეწყო. მსწრაფლ ჩაეძინა.

აი თამრო... გაბრწყინებულია, გაფოფინებული... შეხარის ცას, მიწას. ქიკიკებს, ფართქალებს... უზრუნველია, უღარდელი... ყვავილები დაუკრფა... კისკისებს... შოთასკენ მოდის, ვნებით უღიმის... თაიგული ჩანგურათ გადიქცა... თამრო სიმებს აკვენესებს... თვალები მინაბა... ტუჩები უთრთის... მთელი სხეული უკანკალებს... ეს რაა? ეუუუნა თვალებიდან ცრემლები ჩამოეპარა... ნუ თუ სიმართლეა? ნუ თუ სტირის? „თამრო, თამრიკო!.. რა მოგივიდა, რა იყო?.. ხა... ხა... ხა... შე კუდრაქავ, შენა! განა ხუმრობდი? მატყუებდი? განაგრძე, განაგრძე სიმების წკრილი... რათ დაანებე თავი?.. თამრო, ეს რა შენობაა?.. საყდარი... ჩვენი საყდარი... გაკოცებ, გენაცვალე, გაკოცებ... რა იყო? სად მირბი? არ გრცხვენია?.. რა

დროსი ცეკვაა, გენაცვალე?.. ხომ ხედავ აქ მარტო ჩვენა ვართ... თამრო, აი მამაშენი, გაბრიელი... შეხედე... რა გატირებს, რამ შეგაშინა?.. რაო? რა სთქვი? მე? მე დაგტანჯე? როგორ არ გრცხვენია მაგ სიტყვებისათვის?.. თამრო... თამრო... რათ კივი? რა იყო?..“

შოთას ძილი შეუერთა, გამოეღვიძა.

— ეხ, რა ბედნიერი წამები იყო!—წაიღულულა. აწმყოს მოგონებამ უცებ ჩამწარა ტკბილი სიზმარი.

საბანი მაგრათ ჩაიკრა გულში... „ახ! სად არის თამრო?“—გაიფიქრა.

აწმყო მოიშორა, უკან გაბრუნდა ოცნების გზით... ბედნიერების სათავე მონახა.

„ახ, რა ბედნიერი ვიქნებოდე, რა ბედნიერი, რომ თამრო ისეთი ყოფილიყო, როგორც მე მინდოდა!.. როგორ მოვტყუვდი! ახლა აქ მეყოლებოდა, ერთად ვინეტარებდით, როგორც არა ერთხელ... რა ბედნიერი წამები გაგვიტარებია ერთად!.. თამრო, თამრო!“..

შოთა დაიკლაკნა, აცახცახდა; მისმა სხეულმა საშინელი სიმშილი და მარტოობა იგრძნო...

„ნეტავი მოხდებოდეს სასწაული და ამ წუთს თამრო აქ გაჩნდებოდეს... ფეხქვეშ ჩაუვარდები, პატიებას ვთხოვ... გულში ჩავიკრავ, ჩავაკვდები... ახ, რა ბედნიერი ვიქნები!“

შოთა შეშინდა, შეაფიქრა ამ აზრმა. „რა გავიფიქრე ეს? რა? განა შესაძლებელია დღეიდან ჩვენი შერიგება? შეუძლებელია, წარმოუდგენელია!.. ამას მე სხეული მალაპარაკებს, სხეული...და არა...არა სალი გონება... ჩვენ სამუდამოთ დავშორდით ერთმანეთს... რა უყოთ, რომ თამრო ლამაზია... საქმე რაშია? მე სილამაზე მიყვარს, თუ თამრო?.. ცხადია სილამაზე... თუ ასეა ყველა ქალი უნდა მიყვარდეს, ვინც ლამაზია... დიახ,

ლოლიკურათ ასე უნდა იყოს... ელენე... მართალია, თამროს სილამაზეს ვერ შეედრება, მარა“...

დიდხანს ფიქრობდა შოთა. მართალია, გონების თვალით და ხშირათ გრძნობითაც ამართლებდა თავის საქციელს, მარა ხანდახან გრძნობა მაინც თავისას შეებოდა. დაკარგულ ბედნიერების წარმოდგენა მთელ სხეულს ურყევდა...

XXXV

კარგად გათენდა.

შოთა ის იყო ოთახიდან უნდა გამოსულიყო. კარხანამ უკვე იკივლა.

დერეფანიდან ფეხის ხმა მოესმა.

— ამხანაგო, შოთა! სახლში ხარ? — მოესმა ქალის სუსტი ხმა.

ხმაზე იცნო. აღელდა. დაიბნა.

— შენ, ელენე? რას მივაწეროთ?

შოთას დერეფანში გამოსვლამდე ელენე ოთახში შევიდა. მხიარულათ მიესალმენ ერთმანეთს.

ელენე ამ დილას ჩვეულებრივზე ლამაზი ჩანდა, თუმც მის შესახებ მგონი არაფის უთქვამს ლამაზიანო. ულამაზობასაც ვერვინ დაწამებდა. შავგრემანი, მოგრძო ცხვირი და პატარა შუბლი, კკვიანი თვალები და საზოგადოთ საზრიანი გამომეტყველება სიმპატიურ აღამიანათ ხდიდა.

ამ დილაზე შეცივნოდა, ლოყები თითქოს დაწითლებოდა, სახეზე გადაფითქული თეთრი უსუსური თმა ყალყზე დადგომოდა.

— წიგნისათვის შემოვიარე, შოთა...

— რა წიგნი გინდათ?

— შენ მგონი რამიშვილის პიესა გაქვს... მომავალ კვირისათვის ჩვენს თეატრში „მეზობლებსა“ ვდგამთ და როლი მაქვს შიგ...

— დიდის სიამოვნებით, მიირთვი.

— სამკერვალოში წავიღებ და თუ დრო დავახელე, ვათვალიერებ... მართლა, არ მითქვამსი მე თამბაქოს ქარხანას თავი დავანებე და ახლა მკერავთან ვარ... ექიმმა მითხრა, სუსტი აგებულობა გაქვს და ვერ აიტან... ძლიერ საშიშიაო...

შოთამ წიგნი მისცა.

— ვერ წარმოიდგენ, როგორ ვიწვები სირცხვილით, როცა სცენაზე ვარ... მე თვითონა ვგრძნობ, რომ სასცენო ნიქის არა მაცხია რა, მარა რომ არ მეშვებიან, ითამაშე, ითამაშეო...—განაგრძობდა ელენე.

— არა უშავს, გაიწრთვნები, შეეჩვევი. გენიოსათ არც ერთი მსახიობი არ დაბადებულა. ნიქს განვითარება უნდა... ჩვენი სცენა ეხლა იდგამს ფეხს და თუ ერთგული მუშაკები არ ეყოლა, დაიღუპება...

ელენე ამ ლაპარაკში დაჯდა. ეტყობოდა, რომ წასვლა მაინც და მაინც არ უნდოდა, ლაპარაკი სწადდა. შოთა უხერხულ მდგომარეობაში იყო. პირდაპირ ვერ უცქეროდა, წითლდებოდა. თანაც ქარხნისკენ მიეჩქარებოდა.

ელენემ რაღაც უმნიშვნელო ლაპარაკი დაიწყო. ძალა უნებურათ შოთასაც მხარი უნდა აეხა. ფეხზე იდგა, არ ჯდებოდა. ხშირათ კარებისკენ მიდიოდა, პალტოს ფოლაქებს იბნევდა—იქნებ მიხვდეს, რომ წასვლა მინდაო.

— უი, მართლა, როგორ მოვიკალათე! მეც მაგვიანდება და შენც... წამოიძახა ელენემ და უცებ წამოიდა... საშინელი ხველება აუფარდა, გული ძლივს დაიწყნარა.

— დიახ, თუ არ ვიჩქარეთ დავიგვიანებთ,—სთქვა შოთამ ელენეს დაწყნარების შემდეგ.

— მერე რა როკაპია ჩენი სამკერვალოს პატრონი! შავს დღეს გვაყენებს დაქირავებულებს, — კიდევ დაახველა. — ვაი, ჩემი ცოდვა, თუ თამბაქოს ქარხანამ კლექი შემძინა და მეც დედა ჩემს გამაყოლა!.. ეს სიტყვები ნაღვლიანათ სთქვა ელენემ. შოთას დაიმედებამაც ვერ გაუქრო ეს ნაღველი...

შოთა და ელენე გამოვიდნენ. ცოტაზე ერთი გზა ქონდათ. დაშორებისას ორთავემ ერთმანეთს ქურდულათ თვალები გააყოლეს.

შოთა მართლა დააეკვა ელენემ. მარა მაინც და მაინც დიდი ყურადღება არ მიუქცევია. გადასწყვიტა კი თავი ფრთხილათ დაეკირა და წარსული არ მოეგონებინა.

ელენე მშვენივრათ ამჩნევდა შოთაში ღრმა ცვლილებას, დასევდიანებას. ამხანაგებიდანაც გაეგონა — შოთას ცოლინათვის თავი დაუნებებიაო. ეს გარემოება რაღაც იმედებს უღვიძებდა. თუმცა დიდათ კი არა.

„აკი ერთხელ უარი უთხარ, — ფიქრობდა ელენე, — უყვარდი, მე კი გული არ გადუშალე; რაღაც უშინაარსო, მაღალ-ფარდოვანი აზრებით უპასუხეო... ეხ... ეხ... ჩემი იყო და ვის დაუთმე, ვის?“ — ტუჩების კვნეტით ფიქრობდა ელენე.

დედის სიკვდილმა საშინლათ იმოქმედა მაზედ, უკან თუ ჩამორჩებოდა არ ეგონა. ეხლა საშინელ მარტოობას გრძნობდა. ახლო მეგობარი ციურ მანანასავით ესაქიროებოდა. ქარხნის მიტოვების შემდეგ ჰაერზე უნდა წასულიყო, ეაქიმნა, მარა ერთი რომ შეძლება არ ჰქონდა და მეორე არც ისე ავთამყოფად თვლიდა თავს, თუმცა საშინელი სენის უტყუარი ნიშნები უკვე გამოაჩნდა.

მეორე დღეს შოთას ელენეს ოთახის ახლო მოუხდა გავლა. მას არც კი მოგონებია, თუ ელენეს შეხვდებოდა; მით უმეტეს ასე უდროვო დროს.

— შოთა! მოესმა ნაცნობი ხმა.

გამოილაპარაკეს. გამოიჩქვია, რომ ელენეს ერთობ შეუძლოთ ეგრძნო თავი და იმ დღეს სამკერვალოში არ წასულიყო.

— ამინდიც რომ ასეთი დაღვრემილია!.. ყველაფერი ხელს უწყობს ჩემი სევდისა და დარდის გაძლიერებას, — ამბობდა ცოტათი შეხალისებული ელენე.

შოთა ოთახში მიიპატიჟა.

ორთავემ რაღაც უხერხულობა იგრძნეს, ლაპარაკს თავი ვერ მოაბეს. ორნივე სირცხვილმა და მოკრძალებამ აიტანა. გრძნობდნენ, რომ რაღაც საჩოთირო მდგომარეობაში იყვნენ; მხოლოდ დაშორება იყო ამ მდგომარეობის წამალი, მარა ვერც ეს მოეხერხებიათ.

— ცუდი გაზაფხულია, — სთქვა ბოლოს შოთამ.

— აბა! ძალიან! დაემოწმა უგულოთ ელენე.

უცებ ელენე გათამამდა, წელში გასწორდა და შოთასათვის სრულიათ მოულოდნელათ იკითხა:

— შოთა, კმაყოფილი ხარ თუ არა დაცოლიანებით? ბედნიერათ გრძნობ თავს თუ არა?

შოთას ცივი წყალი გადაესხა. სხეულის თითოეული წერტილი მოსიარულე კიანქველათ ექცა. მარა ფიცხლივ გონება მოიკრიფა და მტკიცედ უპასუხა:

— შენ რაში გეკითხება ჩემი ბედნიერება?

მტკიცედ დაწყებული წინადადება კანკალით და ლელვით დაათავა.

— შეიძლება, ზნეობრივათ არ შეიძინებ ამის უფლებას, მარა გუნებ ნითხრათ, — ხარ ბედნიერი თუ არა? — ელენეს კითხვის კილოს რაღაც მოთხოვნის ელფერი ედო.

ასე გეგონებოდათ ამ ადამიანს რაღაცის ძალით გაგება და წაღება უნდაო.

— თქვენს მეტს ამ კითხვაზე ყველა ამხანაგს უპასუხებ, — უთხრა შოთამ ჩაჩერების შემდეგ.

— თუ ოდესმე კეშმარიტად გყვარებივარ, მიპასუხე. გაფიცებ იმ წამებს!

შოთა დაიბნა, რა ეთქვა არ იცოდა. იგრძნო, რომ ელენე არ მოეშვებოდა, სანამ პასუხს არ მიიღებდა.

— ელენე! რათ გინდა იცოდე ჩემი პირადი ცხოვრება? რისთვის გაინტერესებს? მე ხომ იმ წუთის შემდეგ შენთვის არ ვარსებობ ისეთ პირათ, რომლის კერძო ცხოვრება შენ გაინტერესებდეს... რომ ეს ასე ყოფილიყო..

— მინდა ვიცოდე. მინ...

ელენეს უცებ ტირილი წასკდა... მის ქვითინში ნაგლეჯ-ნაგლეჯათ ისმოდა:

„მე შენ მუდამ მიყვარდი... მიყვარდი... შენ კი შენ... ახ... რათ წამართვი ბედნიერება, რათ?“

შოთას უნდოდა ენუგეშებინა მტირალი, მარა ვერ მოეხერხებია. მას არ ასვენებდა სიტყვა „მიყვარდი“, რომელიც ტყვიასავით მოხვდა; სიხარული და წყენა ერთმანეთში აერია.

— მკაცრად მომეკეცი... მხოლოდ ერთხელ მითხარ... დრო არ მომეცი გულში ჩამეხედა... ჩემს სულსა და გულს ჩავკვირებოდი... მაშინვე სოფელში გაიქეცი... მე კი... მე... საშინელ მდგომარეობაში დამტოვე... გულში ცეცხლი ამინთე და მერმე კი გამშორდი... მას აქეთ ვიტანჯები, ვკვდები... ვკვდები... ახ, დედა... დედაჩემო...

ელენეს ამ სიტყვებზე საშინელი ხეელა აუტყდა.

— ელენე, ტირილი გამოუდევარი წამალია. როგორც ვატყობ შენ მე მღებ ბრალს, მე კი შენ... არა,

ბრალის დადება რას ქვია? ეს სიტყვა ვერაა თავის ადგილს ნახმარი... შენ მაშინ მიპასუხე, რომ ერთი ისაა დამაბრკოლებელი მიზეზი, რომ არ მიყვარხარო და მეორეც, რაც უმთავრესია, მე პრინციპიალურათ გათხოვების წინააღმდეგი ვარო. ხომ შენი სიტყვებია ეს?

— ჩემი სიტყვებია, არ უარყუოფ... მარა მაშინ ვცდებოდი, როგორც პირველში ისე მეორეში... აგერ ოთხი-ხუთი წელი მეგობრები ვიყავით, ისე შეგეჩვიე, რომ ვერც კი წარმომედგინა, თუ შენ ჩემდამი მაგგვარ სიყვარულს იგრძნობდი. ასე ვფიქრობდი ჩემს თავზედაც... გულში კარგად ჩახედვის შემდეგ კი სულ სხვა ვნახე— მარა შენ ამ დროს სოფელში წადი და იქ...

— მე ისე მოვიქეცი, როგორც ჩემი გრძნობა და გონება მეუბნებოდა. სხვაფრივ მოქცევა არ შემეძლო. ხოლო შენს გულში რა იყო, ის კი არ ვიცოდი... ამირან გულში მღეროდა და ყმებო, ბანი მითხარითო,— სწორეთ ისე გჭირს შენ... აკი მითხარი, ვისაც სურს საზოგადოებას ემსახუროს, მან პირადი ყველაფერი უნდა დაივიწყოს, ოჯახი საზოგადო მოღვაწეს ხელფეხზე ბორკილათ ედებაო და სხვა.

— ესთქვი, ვსთქვი... ყველაფერი ვსთქვი... ეხლა კი... ეხლა...

— მაშინ შენს სიტყვებში გარდა ჩემი წინადადების უარყოფისა, რაღაც დაცინვის მაგვარიც კი გამოსკვივოდა... დამცინოდი, რომ მე პირად გრძნობაზე გითხარ რამ... თითქოს ადამიანი უსულგულო მანქანაა, რომელსაც არც ხორცი აქვს, არც სისხლი და მარტო განებით ცხოვრობს... და მასთან თითქოს პირადი ბედნიერება საზოგადოს ეწინააღმდეგებოდეს. მართალია, დღევანდელ პირობებში ხშირათ ეს არაა, უმეტეს შემთხვევაში საზოგადოება ჩაგრავეს პიროვნებას, მარა დღეს

თუ საზოგადო ცხოვრების გაუმჯობესობაზე ვფიქრობთ, აქ პიროვნებაც წინ გვიდგას, ერთი მეორისაგან განუშორებელია... ისეთი საზოგადოება უნდა შეექმნათ, სადაც პიროვნებაც ბედნიერი იქნება და საზოგადოებაც... სხვაფრივ კაცობრიობის გაბედნიერებაზე ფიქრი შეუძლებელია...

ელენე გაშტერებით ჩააჩერდა ამ სიტყვების შემდეგ შოთას. თითქოს რაღაცის ამოკითხვა უნდა მის სახეზეო. ხან ღიმილი გადაუბრუნდა, ხან მოიღუშებოდა.

უცებ შეტოტმანდა და რაღაც მოთხოვნითი კილოთი წამოიძახა:

— მაშ მე მართალი ვარ... პირადი ბედნიერებაც მინდა, პირადიც... ამას ვეძიებ, დავკარგე და უნდა ვპოვო!..

უცებ მაგიდას დაეყრდნო, თავი მკლავებში ჩამალა და ხველებასთან ერთად ქვითინსაც მოყვა.

შოთა შეაფიქრა ამ გარემოებამ. უსაზღვრო სიბრავეს იგრძნო ელენესადმი.

ამის შემდეგ პირველ კითხვისთანავე დალაგებით მოუყვა ელენეს თავის თავგადასავალი, მას აქეთ, რაც მისგან უარის მიღების შემდეგ გადახდა. არ დაუმალავს არაფერი.

იმედო, ექვი, კმაყოფილება, წუხილი, ყველაფერი აერია ერთმანეთში ელენეს. გულდასმით უსმენდა, ერთი სიტყვაც არ გამოარჩენია. ბოლოს თვითონაც დაუსვა რამდენიმე კითხვა.

დიდხანს იყვნენ ორთავენი ჩაფიქრებულნი... საღამომაც მოაწია. ელენე მოგაგონებდათ იმ ადამიანს, რომელიც რაღაც უძვირფასეს განძს ეძიებს, ურომლისოთ მას არსებობა არ შეუძლია. შოთა მშვენიერათ ამჩნევდაამას. იქ ყოფნა ძნელი იყო, წასვლით კი არ

უნდოდა ელენე დაეშხამა. ყოყმანობდა, რა ექნა არ იცოდა.

— შოთა, შენთან მოვკვდები... წამოიძახა ელენემ და ადგილიდან მოგჯა.

შოთას მკლავებიც მზათ დახვდა, გულმკერდში ჩაიკლა.

„მკერდი მკერდსა შეეწება, გადაექლო ყელი ყელსა.“

— ელენე! შენ? — ეკითხებოდა გონს მოსული შოთა.

— მე ვარ, შოთა, ელენე, მე... შენი ელენე... შენი... სიკვდილამდე... სამარის კარებამდე შენი ერთგული...

— მარა... ეგ შეუძლებელია... შეუძლებელი... მე... მე...

— არა, შოთა, შენ ჩემი ხარ, ჩემი... თვით ქვესკნელ-ზესკნელის ძალაც ვერ გამომტაცებს შენს თავს!.. არა... ეგ აუცილებელია... აუცილებელი!..

— ელენე... ელენე... რა ექნა, არ ძალმიძს!..

— მე შეგაძლებინებ, მე... მე აგატანიებ ჯვარს გოლგოთაზე, მე ვიქნები შენი სვიმონ კანანელი... ნუ გეშინია!.. შენ ოლონდ გიყვარდე... გიყვარდე!.. მომეწყინა მარტობა, მოშივდა სულს, სხეულს... შოთა... შოთა...

იქაურობა სამოთხეთ გადაიქცა, ვნების ზღვაში ასცურდა... დაავიწყდა ყველაფერი...

აინთო ღვთაებრივი ცეცხლი...

ვესტალკამ თავი ანება დარაჯობას... კოკონს უცქერის...

ვნების უფსკრულს მიეცა ორი სხეული, ბედნიერების მდინარემ უკვდავების ზღვისკენ გააქანა ისინი...

ბნელეთმაც უერთგულა მათ: მზრუნველობით წა-

აფარა ორთავეს შავი კალთები და მითთან ერთად ისიც
ნეტარებას მიეცა...

დაიბრუნეს დაკარგული სამოთხე...

XXXVI

— დღეს უნდა ვკერო, ჩემო ალექსი, თორემ საქმი დღე ხომ იცი ჩემი მდგომარეობა? უთხრა ახლათ მოსულ მუშას ელენემ და საცვლების კერა განაგრძო.

— მე შეგონა დღეს, როგორც კვირას, შეისვენებდი, თორემ მაგის საწინააღმდეგო რა მექნება! რაც აღრე შეიკერება და გაიგზავნება, მით უკეთესი იქნება, — ღიმილით სთქვა ალექსიმ.

— უკაცრავათ, ჩემო ალექსი, მე მამაკაცებივით ზარმაცი არ გეგონო! რას მიქვია კვირის დასვენება? მერმე კიდევ, როცა ასე საჭირო საქმეა... კაცებო ზარმაცები ხართ და გინდათ, რომ ქალებიც გავზარმაცდეთ, მარა... — სიცილით ეუბნებოდა ელენე ალექსის და თან კერვას განაგრძობდა...

— შენ, ეი, ამხანაგო! ოთახში რომ შედიხარ მარტო დიასახლისი უნდა შეამჩნიო? მამასახლისს სალამიც არ უნდა?..

— ოო, უკაცრავათ შოთასთან, უკაცრავათ! ამ ბოლო ხანებში სიბერე მესტუმრა და თვალეზზე დობანდი გადამაფარა... — ღიმილით უთხრა ოთახის კუთხეში ფანჯარასთან მიმჯდარ შოთას ალექსიმ და თან მიუახლოვდა.

— შენ მიზეზები მუდამ მზათა გაქვს... ხელი... ხელი... ნუ მადებ მხარზე!.. წერას შემაშლევინებ!..

— რასა სწერ? ოო, სახალხო უნივერსიტეტის ანგარიშებია?...

— მაშ... ვითარცა ხაზინადარი...

— ალექსი, ნატო სად არის? ხომ არ გინახავს ამ დილაზე?— შეეკითხა ელენემ.

— არა, გუშინ კი ვნახე.

— გუშინ ნახე? შარშანაც ხომ არ გინახავს? გუშინ მეც კი ვნახე, ერთად არ ვიყავით?— ირონიულათ უთხრა ელენემ.

— რათ გინდოდა?

— მითხრა კერვაში მრგებმარებიო...

— ყმაწვილო!— მიუბრუნდა შოთა ალექსის, — საცვლები დღეს მოთავდება, მარა ეს მითხარი შენ, ხომ გყავთ საიმედო კაცი, რომ გადასცეს ციხეში?

— როგორ კითხულობ, კაცო! გეყავს აბა ისე როგორ იქნება?

— შენც ამბობ რაღა! თითქოს არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ჩვენ ამხანაგებისათვის საცვლები გაგვეგზავნოს და ნამდვილათ კი ციხის მოსამსახურეთ მიეთვისებინოთ?..

— ეს შეიძლება ოდესმე იყო, ეხლა კი...

— სანამდი გინდა ალექსი, გვადგე თავზე? დაჯექი, აი სკამი.. ცოტა შენჯღღლეული კია, მარა ეპატიება, დიდი ხნის ნამსახურია... უთხრა ელენემ.

— მაშ აღმატებულების ჩინიც ექნება! აბა მაჩვენეთ სადაა მისი აღმატებულება! დავაჯდე ერთი კისერში... ალექსიმ სკამი მონახა და დაჯდა... ფეხების იატაკზე დაქირებით შეანძრია, სიმაგრე გაუსინჯა.

— ოო, მალე დაგქირდებათ ამის პენსიით „ოტსტაფკაში“ გაშვება...

— ალექსიჯან, როგორაა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში წევრთა ჩაწერის საქმე? რამდენი მიემატა ძველებს?— შეეკითხა შოთა, რომელიც

თავის საწერს ჩასჩერებოდა და გაცხარებული მუშაობდა.

— მშვენიერათ. ძალიანს მუშაობს ჩვენი კომისია, მარა იმ დასკვნამდეც მივედით, რომ პროფესიონალურ საზოგადოების გამგეობას უნდა ვსთხოვოთ უფრო მეტი ზნეობრივი დახმარება გაგვიწიოს...

— მაშ ვერ გქონიათ საქმე კარგად...

— ცოდვა გამჟღავნებულისჯობია! მაინცა და მაინც ვერ მიდის სახარბიელოთ...

— ძალიან ეცადეთ, ძალიან... ამ შევბენელ პირობებში სადაც კი ქუქრუტანას დავინახავთ, ყველგან უნდა ვეცადოთ თავი გავყოთ...

— შემიძლია გეახლოთ?—დაიძახა ვილაკამ დერეფანში და შემდეგ ფანჯარას მიაღვა.

— ვასიკო ხარ? როგორ კითხულობ, შე კაცო, შემოდი!—გაეპასუხა ელენე.

— ახალგაზრდა ცოლქმარის ოთახში დაუკითხავათ შესვლა ვის გაუგონია?

ვასიკო შემოვიდა. მისი სიტყვებით სიცილ მორეულნი, სახეში შეჩერებოდნენ შუა ტანის ჯმუხა ყმაწვილს, რომელმაც შესვლისთანავე „ჟოკე“ მოიძრო და ეხლა პალტოს გახდას აპირებდა...

სიცილი მასაც გადაედო. ყველას მიესალმა, ცოცხლათ მიიარ-მოიარა ოთახში და ფანჯარასთან საჯდომი მოინახა.

— სხვები არ მოსულან?—იკითხა და პასუხისთვის არ დაუცდია—გაზეთის კითხვა დაიწყო.

— თავადები არიან, ჯერ როგორ მობრძანდებოდნენ,—უთხრა ალექსიმ.

— ახალი ამბავი იცით, ყმაწვილებო?—იკითხა შოთამ და წერა განაგრძო.

— არა... არ ვიცი...

— ხომ გახსოვთ ჩვენი დეპუტატების შეკითხვა დუმაში? — იკითხა მანვე.

— როგორ არა.

— დღეს წერილი მოიწერეს, რომ ჩვენგან გაგზავნილ ფაქტებს რაღაც დაკლებია და დამატება უნდაო. თან რამოდენიმე კითხვაზე პასუხი უნდა გავსცეთ. საქმე ძალიან საჩქაროა და ეხლავე უნდა დავფაქტურდეთ.

— ჩვენ ფაქტები მივაწოდეთ და დანარჩენი მაგათი საქმეა, — სთქვა ვასიკომ, — თუ კიდევ რაიმე აკლიათ, ინტელიგენტები გვყვანან და აწონ-დაწონიან ყველაფერს. მაგათ ჩვენზე უკეთ არ იციან?..

შოთამ უცებ წერას თავი ანება და ამხანაგებს მიუბრუნდა.

— ვინ ინტელიგენტები, ერთი მიძხარი, თუ კაცი ხარ? — შეეკითხა გაკვირვებული შოთა, — ვერ ხედავ, რომ ყველანი ჩამოგვშორდნენ? ბრმა ხომ არა ხარ! ყველა თავ თავის საქმეს შეუდგა და ჩვენც ჩვენს საქმესთან დაგვტოვეს... რათ არ იცი, რომ ისინი სტუმრები გამოდგნენ... მასთან უმადურნიც... როცა ქეიფი და მეჯლისი გვქონდა, მაშინ გვეწვიენ და დელურს უვლიდნენ, ეხლა კი, როცა მასპინძლებს შავი ღღე გვადგია, თავი გვანებეს და ისევ თავისიანებისკენ გასწიეს... ერთ დროს ჩვენი მეჯლისით ატროგებულნი, თავისიანებს უარყოფდნენ, მარა დღეს ისევ მშობლიურ კერას დაუბრუნდნენ, მშობლების წინაშე ცოდვებს იხანებენ...

— შენ ცდები, ამხანაგო, ჩვენ ბევრი ინტელიგენტი შეგვრჩა... ყველაზე მაგას ვერ ვიტყვით, — შენიშნა ალექსიმ.

— შენ დამასწარი, — მიუგო შოთამ, — მეც ეს უნდა

მეთქვა ეხლა. მართალია, ინტელიგენტური ძალები დღეს კიდევ შეგვრჩენია, მარა ერთი ვიკითხოთ, ვინაა ეს ინტელიგენცია?.. ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი მუშათა კლასისა... მაშვრალის შეილი, მაშვრალის კერაში აღზრდილი... ისინი ჩვენთან ერთად იდგნენ და დგანან ბრძოლის ველზე, არც გვიღალატებენ!.. სხვები კი, ეგრეთ წოდებული თავად-აზნაურული და ბურჟუაზიული ინტელიგენცია, უკვე დაგვშორდა და თბილ ბინებზე იკალათებს... ისინი მოკლებულნი არიან ყოველგვარ სერიოზულ მუშაობის უნარს... მათი საქმეა კამანდრობა, გენერლობა და აკი კიდევ იყვნენ ამ როლში... ეს თვისებები მათ თავიანთ წინაპრებმა გადასცეს, მბრძანებლობის ალლო მათ დედის ძუძუსთან ერთად შეთვისებიათ... მარა დღეს კი, როცა შემოქმედებითი მუშაობაა საჭირო, ისინი უთავბოლოთ დაყანყალებენ და წარსულ მოღვაწეობის სარგებლით ცხოვრობენ... ჩვენ კი—მუშათა კლასი და ჩვენი სისხლ-ხორციით აღზრდილი ინტელიგენცია,—ისევ ჩვენი საკითხის წინა ვართ, ისევ ჩვენს საქმეს უდგვივართ სათავეში. ასე ნათლათ არასოდეს არ დამტკიცებულა უკვდავი სიტყვები: „მუშათა კლასმა თავისივე ხელით უნდა სქედოს თავისი ბედით.“

შოთა ცხარობდა, ლელდებოდა, ერთ ადგილს ვერ დამაგრებულოყო.. დანარჩენები ჩუმათ მისჩერებოდნენ.

— მიმოიხედეთ გარშემო.—განაგრძობდა ის,—ვინ გვიდგას დღეს გვერდით? ვინ ცდილობს ფეხზე წამოაყენოს დანგრეული საქმე? ისევ ჩვენ, მუშები. დიდი უმეტესობა ინტელიგენციისა მიიპალა, ზოგმა თბილი ადგილი იშოვა, ზოგიც უნივერსიტეტში იხიზნება... არალეგალურ კრებებს თითქმის არ ესწრებიან... აი მაგალითი: დღეს სამი დღის უკან შტაკელბერგის ქარხანაში

სტიქიურათ გამოწვეულ გაფიცვაზე უნდა ვიმსჯელოთ და ნახავთ ვინც მოვა კრებაზე...

— ვიცით, ვიცით... კმარა აწი, დაწყნარდი, — ღიმილით შენიშნა ელენემ, რომელსაც ცოტა არ იყოს თავი მოსწონდა, რომ ასეთი მკერმეტყველი და ჰკვიანი კმარი ყავდა.

— როგორ დავეწყნარდე? — ამბობდა შოთა, — რათ არ იცის ამ ამხანაგმა, რომ შეკითხვა ჩვენ შეგვეხება და ჩვენვე უნდა გავუწიოთ მას ანგარიში?.. სხვას ვის ეპრიანება ჩვენი საქმე? აბა დახედეთ რა რიხით მობრძანდებიან ხოლმე ლეგალურ კრებებზე ჩვენი კეთილის მყოფელნი!.. ნურც გაუმტყუნებთ! ერთს სახალხო უნივერსიტეტის გამგეობაში უნდა წამოსკუპება, მეორეს წერაკითხვის და შესამეს და უთვალავს კიდევ სად... ყველაფერი იმისათვის, რომ საზოგადო მოღვაწის სახელი ატარონ... დიახ... ეს უნდა ვიცოდეთ... საზოგადოების მამოძრავებელი მუშათა კლასი ყოფილა და იქნება... გონიათ, რომ ჩვენ აგვლაგმენ, მარა ვერა! ჩვენ კიდევ ვარსებობთ, მომავალი ჩვენია. ციხეს, ბორკილს, სახრჩობელას მხოლოდ დროებით შეუჩერებია ისტორიის წინმსვლელობა... დიახ...

შოთა შეჩერდა, ლაპარაკი შეწყვიტა, სიცხარეც დაანელა.

— ყველგან უნდა ვერეოდეთ... როგორც პოლიტიკაში, ისე საზოგადოებრივ მუშაობაში. ყველგან ჩვენი უნდა შეგვეკონდეს, — განაგრძო მან, — ჩვენს დეპუტატებს ჩვენ უნდა დაუკავოთ მხარი, ისინი ჩვენ უნდა დაგვეყრდნონ... ჩვენის ხელით უნდა გაუგზავნოთ მასალებიცა და ყველაფერი... ინტელიგენციას კი თავისი საქმე აქვს.

ლაპარაკში სხვებიც ჩაერივნ. ვასიკო თავის მართლებას შეუდგა; ამბობდა, რომ მას სრულიათ არ

ქონებია სახეში ინტელიგენტების ბატონობა, წინ ძლო-
ლა და სხვა... ცოტა ხნის შემდეგ ყველა დაწყნარდა და
შოთამ წერა განაგრძო.

— იმედია ხელს მომიწერთ... სთქვა ვასიკომ და
პალტოს ჯიბიდან რალაც ქალაღლი ამოიღო.

— რა არის?

— უმუშევარ ამხანაგთა სასარგებლოთ მოგეხსენე-
ბათ რომ ფულებს ვაგროვებთ...

— ჩაიწერე ჩემგან ათი შაური, — უთხრა ელენემ.
ვასომაც ჩაიწერა.

— ჩემგანაც ათი, — დაუმატა შოთამ.

— მე, ძმაო, ამდენი არ შემიძლია, — სთქვა ალექ-
სიმ და ჯიბეს ხელი გაიკრა, — აბა ვნახოთ რამდენი
მაქვს...

ჯიბიდან თუთუნში არეული გროშები ამოიღო და
ხელის გულზე თელა დაუწყო. ვასიკოც ეხმარებოდა.

— სამი კაპიკი... ორი შაური... აბაზი... ხუთი
შაური... ესეც ორი აბაზი... ესეც ეამეტი შაური... ა,
ძმაო, მეტი არ მაქვს, მარა ისიც უნდა იცოდე, რომ ამ
ფულებიდან დღეს სადილიც უნდა ვქამო და ვახშამიც...
გამოიანგარიშეთ რაც მომინდება და დანარჩენი მი-
ირთვიეთ

— ხუთი შაური სადილათ, აბაზი, ან სამი შაური
ვახშმათ... — ხელათ უანგარიშა ვასომ.

— კარგი ძმაო, დავიტოვებ შვიდ შაურს... ექვსი
შაური კი ჩაწერე. ამ კვირაში თუ რამე ვიშოვე კიდევ
მოგცემ...

— არა უშავს ამასაც, ჩემო ალექსი, — უთხრა ვა-
სომ და კარანდაშის წვერის ენაზე დაწების შემდეგ სია-
ში ჩაიწერა, თან ჩაილაპარაკა: „სულით და გულით მო-
ძღვნილი მცირედიც შეიწირებისო“, უთქვამს მგოსანს.

— ელენე წყალაძე აქ ცხოვრობს?—მოისმა დერეფანში.

ხმაზე ვასიკომ გაიხედა და მაშინვე წერილით შე-
მობრუნდა.

— ელენე, შენი წერილია, ფოსტალიონი იყო.

ელენემაც საჩქაროთ წერილი გამოართვა, ფიცხლავ
ყური გაუხია. სახეზე მღელვარება დაეტყო, გაწითლდა.
წერილი მსწრაფლ ჩაათვალიერა.

— უი, ბიძა ჩემი მწერს სოფლიდან.

— რას იწერება?

— „ჩემო საყვარელო და შეილის მაგიერო ძმის-
წულო ელენე. პირველათ ყოვლის შემძლებელ ღმერთს
ვთხოვ შენს კარგად ყოფნას. ვიცი შენი კეთილი გუ-
ლის ამბავი, რომ ჩვენც გვიკითხავ... ჩვენ ხეთისა და
შენის იმედით“—კითხულობდა ელენე მისუსტებულის
ხმით.

-- ძალიან მოიმედე კი ყავხარ, —ჩაილაპარაკა შო-
თამ.

— ნუ მაშლევინებ, ბეჩა!... მმმ... „შენის იმედით
კარგად ვართ... გავიგეთ, რომ საწყალი დედაშენი, რო-
მელიც რომ ჩემი რძალი იყო და რომელიც რომ ჩემი
ძმის ცოლი იყო, უფალს მიუერთმევია. შეილო, ელენე!
ისე გემდურით რომ ენა ვერ იტყვის... რაზე დაუკარგე
დედა შენის თავი ჩვენი სოფლის მიწას? რაზე დეიწუნე
სოფელი?... შამოგეთვალა ჩვენთვის... ჩვენც კაცები
ვართ... ქირისუფლობას გაგიწევდით... ერთი ქალაღის
ყური რომ გამოგეგზავნა მეტი ხომ არ გინდოდა!.. ჩა-
შვასვენებლით იმ ცხონებულს ლამაზათ და მისი ქმრის
გვერდით დავასაფლავებლით... აგი არ უნდა გექნა შეი-
ლო, ელენე... ძაანს გენდურით... ქემანც ჩამოდი და
აღაპი გადოუხადე აქანე. უპატრონოთ ნუ დააგდებ...“

კაი ადამიანი იყო საწყალი... ყველა ტირილით დაესქდით რომ გევიგეთ. ახლა, შეილო, იმას გთხოვ რომ რაცხა ერთი კვალი მიწა რომ გაქ სოფელში სხვაზე არ გამოყიდო.. კანოლითაც მე შერგება და ისეც... თუ დიდს არ გამომეკიდები და მამიშენის სულს გლახათ არ მახსენებებ შენ იცი... ჩემი ქონება შენც კარგად იცი... თუ ღმერთმა შენი გათხოვება გამაგონა, ამ მიწის ფულს მაშინ მოგცემ..."

-- ე, ბიჭო, შოთა, უშველე!.. თუ გერგოს ერთი ორასი თუმანი! ხა... ხა... ხა...

— „შეილო, კიდო გწერ. შენი ადგილი არ გეგონოს რომ ბევრი ღირდეს, სულ ოთხი—ხუთი თუმანი"... ამოიკითხა ელენემ.

— ვაა!.. მე მკგონა აგვიშენდა ამხანაგი-თქო... და ეს...

საერთო სიცილი ატყდა.

— მაცალეთ, ნუ მაწყვეტინებთ... „მოგიკითხეს ცუცამ, კატომ, სინომ, გაბომ, ფეფემ, დესპინე ჩემმა და ყველა მეზობლებმა. ასე ჩემო შეილო, მიწას თუ არ გამოყიდი და პირში ლუკმას თუ არ გამომტაცებ შენ იცი"...

— არა, ელენე, ეს შენი ბიძა გავს, რომ გაქექილი კაცი ყოფილა!—შენიშნა ღიმილით ვასომ.

— აბა, როგორ ეშმაკურათ იწყებს და როგორ ათავებს!..

— ალბათ მიწა ას მანეთზე მეტი ღირს...

— ასათ კი არა ორასათაც არ გავყიდი... მქონდეს მამიჩემის სახსოვრათ... იშოვა დრო და მწერს,—ამბობდა ელენე,—დედაჩემის სიცოცხლეში ერთი წერილიც არ მოუწერია, სოფელში არ გვიშვებდა, ერთი ღამე არ გავათევია და ახლა რას იწერება!.. ძიან კი ცხელა, თუ

სადაა დედა ჩემი დამარხული!.. რასი ენატკბილობაა კი ვიცი, მარა იმ მიწას, სულიც რომ ამომხდეს, მაინც არ გავყიდი, ვგდოს, მედგას სოფელში ფეხი!..

ამასობაში კიდევ მოვიდა რამდენიმე მუშა და ორი-ოდე მუშებისავე ბედში მყოფი ინტელიგენტი. ღარიბულათ ეცვათ, თავს შეძველებული შლიაპები ჩამოეთხატათ. მუშებიდან დიდათ ვერ გაარჩევდით.

დღეს ადგილობრივ ფარული კომიტეტის კრება იყო. უნდა ემსჯელათ შტაკელბერგის ქარხანაში მომხდარ გაფიცვაზე, მოახლოვებულ პირველ მაისის მუშათა დღესასწაულზე და სხვა.

— ფრთხილათ შემოდით ხომ? პოლიციამ არ დაგვინახოს.

— რასაკვირველია, ფრთხილათ შემოველით...

— თუ ძმა ხართ, თამბაქოს ნუ მოწევთ, თორემ ისედაც, პატარა ოთახში სულ გავიგუდებით...

კრება დაიწყო

შოთა და ელენე ერთად იყვნენ. ჯვარის დაწერაზე არც ერთი სიტყვა არ თქმულა. ორთავე აწმყოთი ცხოვრობდნენ, ორთავე კმაყოფილნი იყვნენ დღევანდელის მდგომარეობით. პირად წარსულისკენ არც ერთი არ იხედებოდა. როგორც შოთასთვის, ისე ელენესათვის თამრიკოს მოგონება თავზარ დამცემი იყო. მათი ოჯახური ბედნიერების და კეთილ დღეობის მტერი თამრიკო იყო. თამროს მხოლოდ ერთი ჩამოსვლა ორთავეს ტკბილ არსებობას გააჯოჯოხებებდა, ცხოვრებას მოწამლავდა. ელენეს ამ მდგომარეობამ ძუ ვეფხვის სიაფთარე შესძინა, ის გალომგულეებული დარაჯობდა თავის ბედნიერებას. შოთაც მასთან იყო, მხარს უმშვენიებდა. ისიც თავს ევ-

ლებოდა თავის პირველ სატრფოს. ნეტარობდა იმასთან ერთად, ვინც პირველათ ააქლერა მისი გულის სიმნი.

მაგრამ უბედურობა მეორე მხრიდანაც მოდიოდა. ეს იყო ელენეს ავთამყოფობა. მართალია, როგორც პირველ უბედურობაზე, ისე მეორეზედ ორივე თვალეხს ხუჭავდა, არ სურდათ მათი მოგონება, ანგარიშის გაწევა, მარა გულის სიღრმეში კი ორთავე გრძნობდა, რომ აქედანაც დიდი საფრთხე მოელოდათ. ეს გრძნობა განსაკუთრებით მკვიდრი იყო ელენეში. დედის სიკვდილამდე იმდენათ არ ეშინოდა, მარა მერმე კი იმდენი შთაბეჭდილება იქონია ამ გარემოებამ, რომ ხშირათ აგონდებოდა სიკვდილი, თუმცა შოთასათვის ერთხელაც არ უთქვამს ეს. ცდილობდა ჯანმრთელათ მოჩვენებოდა, სიცოცხლეს ფრჩხილით და კბილით ეკიდებოდა.

XXXVII

თამრო კი სანთელივით დნებოდა სოფლათ...

დარღმა დააქენო, სევდამ დააზრო... ექვებმა დაულრღნეს სული და გული.

მუდამ ბრწყინვალე შუბლი შეეკრა... ტუჩები ღიმილს სამარეთ ექცა...

წარბებმა ფრთა დაუშვეს, შავ წამწამს ცრემლის მძივი მუდმივ სტუმრათ გადაექცა...

გიშრის დაღალნიც სამგლოვიაროთ დაიძაძა...

ტირის თამრო, ტირის უნუგეშოთ:

„სადა ხარ ჩემო შოთა, სად?“

ამ კითხვით შესჩივის ცას, მიწას, დედას, მამას...

მაგრამ ამაოთ... შოთა არ სჩანს...

ცეცხლი დანელდა... თვალი არ კვესავს... მქუხარე გრძნობა მიაკვდა სალ კლდეს...

ზღვის გულის სიღრმით გამოტყორცნილი ტალღა
უმანკო ნაპირს შეეხო...

პირველი იყო იგი ამბორი... ბედმა აქცია უკა-
ნასკნელათ...

დღეს რაა თამრო?

უსიცოცხლო აჩრდილი-ღაა ოდესღაც ტურფის...

შოთამ ამოსწუწნა მჩქეფარე გრძნობა... შოთამ ჩა-
უქრო გულში კოცონი...

ჩამწარდა ყველაფერი, ჩაშხამდა...

დღეს მოგონებით-ღა სულდგმულობს...

ჩანგურია მისი მეგობარი, მისი ერთგული... მხო-
ლოთ ჩანგურმა არ უღალატა... მუდამ მასთან არის...
მუდამ მასთან კენესის, მასთან ქვითინებს... წარსულს
აგონებს, დარდს უქარვებს...

მართალია, ხშირათ ცრემლით უღბება სიმი გრძე-
ული, მაგრამ მაინც კენესის, მაინც წკრიალებს... მხო-
ლოთ უფრო სევდით, მეტის ნაღველით...

თამროს წარსული შოთას შეხვედრის აქეთ იწყება...
მხოლოთ მას შემდეგ იგრძნო თავი ქვეყნათ... მხოლოთ
მაშინ, შოთას ნახვისას, აღმოხეთქა სიცოცხლის შადრე-
ვანმა...

და ჩქეფს დღეს, ჩქეფს...

თუმც არა ნექტარით, ვით პირველ ხანებში...

დღეს შხამი ამოქუხს, შხამი შადრევიანიდან...

სწორეთ წლის თავია დღეს მას აქეთ, რაც თამრომ
და შოთამ ერთმანეთს გულის ნადები გაუმხილეს...

იგივ მომხიბლავი ღამე... იგივ სიცოცხლე, იგივ მე-
ჯლისი ბუნებისა...

მთვარეც ისე ჩამოღიმის ქვეყანას, ვარსკვლავებიც
ისე ჩამოლაპლაპებენ...

ნიაფიც მაშინდებურათ დაფარფატებს, კარ-მიდამო ისე ყვავის...

ყველაფერი ისეა, ვით შარშან ამ ღამეს... სამყარო გახვეულა წაფირუზებულ ვერცხლის ჩადრში. სულ-განაბული ბუღბუღს უსმენს, უსმენს, ჰანგებით ტკბება

თამროც ეზოშია, ვით ერთის წლის უკან...

გულ-დასერილია, სევდის ტალღებში დაკურავს...

ბუნებაც ბანს აძლევს, მისებრ კაეშანშია...

„მთვარევ, რამ მოგაწყინა, გენაცვალე!— შეჩვივის გულში თამრო.— რამ დაგაღონა, გეთაყვა? შენ მაინც რა გაქვს სადარდელი? გაიცინე, ჩემო ტურფავ!.. აკი შარშან ეგრე ტკბილათ იცინოდი, მელიმებოდი!.. წელს რამ მოგაწყინა? შენაც სატრფო ხომ არ დაგკარგვია?.. ა? მითხარ, ჩემო მშვენიერო, მითხარ!.. მხოლოდ მე თანაგიგრძნობ, მე“...

მთვარე მაინც ვერ ხალისობს თამრიკოს თვალში... ისევ სევდიანათ გამოიყურება... ნამტირალევსა გავს, თითქოს თვალები ამოსველებიაო...

„შენ მაინც რამ დაგაღონა ციმციმა ვარსკვლავო? რამ დაგადარდიანა, ჩემო შუქურო? რა გაქვს სანადვლო? გაიცინე, მშვენიერო, გაიცინე! სატრფოს თვალებს მომაგონებ... ისიც კმარა, მე რომ გულ-მოკლული ვარ, შენ მაინც იმხიარულე... რა იყო? სთქვი? სატრფომ გიღალატა?.. ახ! მებრალეები, შუქურო, მებრალეები“...

ვარსკვლავმა სევდით თვალი მინაბა, გულს ხელი დაიკრიფა...

„ბუღბუღო, ბუღბუღო! არასოდეს არ მსმენია შენი ქნარის აგრე სევდით ქვითინი!.. რისთვის გლოვობ? ვის დასტირი? ვინ დამარხე მაგ ხის ძირში? განა კიდევ ვერ მოიჯერე გული ტირილით?.. მაშ მე დაგეხმარები, მე. ჩემზე გულწრფელათ არვინ გივალალებს, არვინ

გისამძიმრებს... ხომ იცი ჩემმა შოთამ როგორ მომიძულა?.. მეც შენებრ მითირის გული... იტირე, იტირე სანამ სატრფო არ აღადგინო... მეც ვიტირებ... მარა... ახ, დედოკო... დედა, მე ტირილი არ მინდოდა, არა... არა... მე სიცილი მინდოდა, სიცილი!.. ვინ წამართვა იგი, ვინ?“

თამრო აქვითინდა, ცხარე ცრემლები ერთი მეორეს გადმოყვა... .

ბულბული კი ჰანგს ჰანგში აწნის, სევდით აზავებს; ღარდით კაზმავს... დაყუფს მიდამოს, დასტირის არე-მარეს... ჰიმნს ჰიმნზე ამკვდარებს მიჩუმებულ სიფრცეში...

„ნიაფო, ცელქო ნიაფო! რას ჩურჩულებ? შენც სევდის ამბეზი მოგაქვს? ღმერთო ჩემო!.. შენ მაინც რა შეგემთხვა? ვინ დაგისჯრა სული და გული? მითხარ, მითხარ, ჩემო ცქრიალა! ლამაზი იყო შენი სატრფო? განა ჩემს შოთას სჯობდა? მითხარ გეთაყვა, მითხარ! მერმე რისთვის გიღალატა? რაო?“

ნიაფი ხმას არ სცემს თამროს, მოწყენილი დასრიალებს ბალახებში...

„შროშანავ, ჩემი ნაზო, შენ მაინც მითხარ, რას ამბობს ნიაფი? ნუ-თუ მასაც ჩემებრ აქვს გული დასერილი სატრფოს მიერ? სთქვი გეთაყვა, სთქვი!.. უი!.. შენც რომ ცრემლები დაგიღვრია! ეს რაა? რამ დაგილობო გულ-მკერდი? განა შენც? შენც რამეზე დარდობ?... ახ, ღმერთო!“

„ნიაფო, ისევ შენი იქნებ ჩემი შოთა ნახოსადმე?... მიუაღერსე ჩემს მაგივრათ, ჩაკოცნე, ჩაწუწუნე... ქოჩორი გადაუვარცხნე, გულში ჩაეკარ... ასე, ჩემო ნიაფო, ასე... უთხარი ჩემს ორგულს, რომ მუდამ მაზედ ვფიქრობ, მაზედ ვოცნებობ... ჰკითხე—სხვაზედ თუ გამცვალა, ძველი სატრფო თუ მონახა... მე კი მისი ერთგუ-

ლი ვარ, მაზედ ვლოკულობ... ისაა ჩემი ხატი, ჩემი ღმერთი... მის გარდა ჩემთვის ქვეყანაზე არვინ არსებობს... ცისა და დედამიწის შუა მხოლოდ მას ვხედავ, მხოლოდ მას... შოთას... შოთას... ხომ ეტყვი, ჩემო ნიავო, ხომ მიმოციქულებ? ეხ... ეხ... ნეტავ მეც შემიხვამდე ფრთებზე და გამაქანებდე, გამაფრენდე ჩემი სატრფოსკენ... მხოლოდ შევხედავდი, თვალღებით ჩაკოცნიდი... მერმე თუნდ მომკალ... მომსპე...“

ბუნებ: მაინც სევდით იყო მოკული, ვერსად სიხარული ვერ ნახა თამრომ... „რამ მოგაწყინა, არე მარჯე, რამ?—ქვითინით ფიქრობს თამრო, —შენ მაინც ხომ უცვლელი ხარ ბუნებავ?.. ეხ... ეხ... შოთა... შოთა! გახსოვს, ჩემო სულის ღგმავ, შენი თამრო? ვისზედ ფიქრობ ამ წუთს? რათ მიმატოვე, ჩემო მშვენიერო, რათ? განა არ გიყვარდი? განა გული შეგეცვალა? რა დაგიშავე ისეთი? რით შეგაძულე თავი? განა შენ არ იყავი, რომ ჩემი სილამაზით კკლაზე იშლებოდი? ა, შოთა? მერმე ვის უძღვენ მე ჯგ სილამაზე? განა შენ არა? ხომ შენ შემოგჭირე ჩემი არსება? ხომ თავს შემოგველე? მე ხომ შენს მეტი არა მახსოვს რა ქვეყნათ! მაშ შენ რამ გიცვალა გული? განა შენც ჩემებრა გული არა გაქვს? განა შენი გული სხვაა? თუ შენ ჩაეტიე ჩემს გულში, მე რათ ვერ ჩავეტიე შენსაში? შოთა, შოთა!.. ჩემო ოქროვ, ჩემო ხვითოვ!.. განა ჩემი სიყვარული ქეშმარიტი არაა? მაშ როგორ შეიძლება სხვაფერადამიანს ადამიანი უყვარდეს?.. რათ მტანჯავ, რათ მისპობ ახალგაზრდობას? რათ გამომთიშე ტოლებში? რა ვარ აწი? გახსოვს, ჩემო ტურფავ, აი ის“...

და თამროს მოაგონდა ის ბედნიერი წამი, როცა პირველათ ჯვარის წერის წინ არ აკოცნიდა...

უძვირფასესი იყო ეს წამი მისს ცხოვრებაში. ამაზე

ბედნიერი წუთი არ ახსოვს მას... მოგონებით დამტკბარი, მუდამ ასე ნაღვლობს: „ღმერთო! რათ არ ვაკოცინებე მაშინ, რათ არ ჩავეყარ გულშიო.“

არც ერთის წამის დაკარგვა ისე არ სტანჯავს, როგორც ამის. სიამოვნების შემდეგ გულს უთუთქავს მისი მოგონება...

დიღხანს სცურავდა მოგონების ზვირთთა ტალღებში...

მაგრამ აწმყომ ყველაფერი ჩაამწარა.

გადანამული თმა გაისწორა... მხრებზე მოდებულ თხელის შალით სათიბში ჯაიარა...

ბუნების წიაღი მისებრ დასევეჯიანებული იყო... მისებრ მოსთქვამდა.

მთვარე ცრემლს იშრობდა... სიო სევდით დაჩურჩულებდა... შროშანას ლაწვები ედაგოდა...

„შოთა, შოთა! რისთვის დამიქნე ახალგაზრდობის ნორჩი ყვავილი? რას მერჩოდ, რა დაგიშავე?“

თამრო დარწმუნებული იყო, რომ შოთა ძველ სატრფოს დაუბრუნდა და ეს შხამავდა ათასკეცათ. მისი მშობლებიც უარეს მდგომარეობაში იყვნენ. მათი ვალაღი და ვაი-ვიში იუდის გულს ააჩუყებდა. რამდენი არ სწერეს შოთას—ჩამობრუნდი სოფელში და შეგვირიგდიო, მარა შოთა უარზე იღგა—იწერებოდა: მე თქვენთან ყოფნა არ შემიძლია და თავი დამანებეთო.

XXXVIII

დღეს კვირაა. შოთა და ელენე თავისუფალნი არიან. ელენე ოთახში დაფუსფუსებს, შოთა კი იქავ ახლო მდებარე სერზეა: ბაღიაში ზის, მთელ ქალაქს გადაყურებს...

ეს ბაღჩა პატრონმა ოთახთან ერთად მიაქირავე ცოლ-ქმართ, რაღაც ბოსტნეულობა ეთესათ შიგ, გულს აჰოლებდენ, სოფელს ამით-ღა იგონებდენ...

შოთა ფიქრებშია, სახე უცინის, წამ და უწუმ დაფრინავს ღიმილი მისს ტუჩებზე. ფრთა გაშლილი იმედი ზეცას უპირებს ატაცებას.

„ასე მგონია მთელი ქვეყანა ჩემია. უძლიერეს არსებათ ვსთვლი ჩემს თავს.. დევ გმირის ძალას ვგრძნობ... აგრე მტკიცედ, აგრე შეურყევლათ არასოდეს არ მდგომია დედამიწაზე ფეხი... ამდენი აღმაფრენა არასოდეს არ ყოფილა ჩემს არსებაში... აგრე ბრწყინვალეთ, აგრე შარავანდედით მოცული არასოდეს არ მჩვენებია ჩემი მომავალი... ახ, რა კარგია ცხოვრება, რა კარგია მასთან კიდილი, მასთან ბრძოლა!.. რამდენი სატკბოებაა შიგ, რა:დენი ნექტარია! ტანჯვაც ბევრია შიგ, სიხარულიც, ცრემლიც, სიყვარულიც... მაგრამ მაინც კარგია ცხოვრება, კარგია მარტო იმისათვისაც, რომ ადამიანი ხარ, გრძნობ, აზროვნებ, ყველაფერი შენ გეპორჩილებ... ოღონდ ძალა გქონდეს, ოღონდ შეძლება გქონდეს. მართალია. დღეს უმეტესობა დაჩაგრულია, დამონაგებულთა, მაგრამ უიმედობა მაინც არ არის შიგ, ყველას სწამს უკეთესი მერმისი... ცხოვრება, ზოგადათ რომ ვილაპარაკოთ, მუდამ წინ მიდის, მუდამ უმჯობესდება... პიროვნებაც ამ გზით მიდის... თან და თან თავისუფლდება, ერთი მეორეზე ემსხვრევა გარს შემოხვეული უსამართლობის ჯაჭვები... თავს ითავისუფლებს ბუნების ბატონობისაგან, მასვე უბატონდება; თავს აღწევს კაცთაგანვე შექმნილ ურთიერთობისაგან... წინ მიდის მუდამ... ახ, რა ბედნიერებაა, როდესაც იცი და გრძნობ, რომ შენც წილი გიდევს ამ წინმსველელობაში რა უაღრესი ბედნიერებაა, როდესაც ხედავ, რომ

შენც ეკლიან გზას წმენდ, რათა „მოძმესა შენსა სიძინელე გზისა გაუადვილდეს და შეუპოვრათ მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს“... ბედნიერებაა, როდესაც იცი, რომ ერთი წვეთი ცრემლი მაინც შეაშვრე შენს მოძმეს!.. გმადლობ ბუნებავ, ჩემო წარმომშობო, გმადლობ, რომ მომეცი ძალ-ღონე და მსიყვარულე ჰული!.. გული, რომელშიც მინდა მთელი სამყარო ჩავატო, რომელსაც ყველა და ყველაფერი უყვარს შენში... მაგრამ... ღრმა სიყვარულის გვერდით ღრმა სიძულვილიც ბუდობს... მიყვარს შენში, რაც საყვარელია, მძაგს, რაც საძულარია!.. და ვიბრძოლებთ, ვიბრძოლებთ ამ საძულარის წინააღმდეგ... სასტიკ ომს გაგიწევთ: მე, ელენე და უთვალავი ჩემი ამხანაგები, რომელიც ჩემებრ გრძნობენ, ჩემებრ აზროვნებენ... სასტიკ ომს გამოგიცხადებთ და დაგამარცხებთ!.. მოვსპობთ ყოველგვარ უსამართლობას და გავალმერთებთ შენში იმას, რაც მთელ კაცობრიობას სულს დაუტკობს, ზორცს გაუხარებს... მანამდე კი შენი მტერნი ვართ იცოდე, შენი... მთელი ქვეყანა უნდა გაბედნიერდეს!.. ისე შეუძლებელია, შეუძლებელი!..“

გაზაფხულის მკვირცხლი მზე სიხარულით დაქათქათებდა შოთას... ნელ სიოს ყვავილთა სურნელება მოჰქონდა მისთვის...

სიკოცხლე დულდა და გადადულდა, მისი შადრევანი გაასკეცებულის ძალით გადმოსჩუხჩუხებდა...

...და პირს ბანდა შოთას, უკოცნიდა...

— ელენე, შენ?

— მე ვარ, გენაცვალე!..

— მოდი, მოდი, გვერდით დამიჯექ...

— იცი, ამ დილის აქეთ ქალაქს დავყურებ და ვერ დავმტკბარვარ მისი მშვენნიერებით... დახე როგორ გაუ-

ხვევია მკვირცხლ მზეს იგი თავის ოქროს კალთაში!.. როგორის სიყვარულით იკრავს გულში... ეუბნებოდა ელენე შოთას და თან ხშირ-ხშირათ ახველებდა.

— მართალს ამბობ, მართალს... ელენე!

— დახე, აი ჩვენი უბანი... ასე მგონია აქ ტრიანლებს გაზაფხულის მთელი ძალა, აქ ჩქეფს უკვდავების წყარო...

— მაგრეა, გენაცვალე, მაგრე... აქ, აქ იზრდება და იფურჩქნება ქვეყნის მხსნელი ძალა, აქ მწიფდება კაცობრიობის გამაბედნიერებელი გრძნობა, !გონება... ნანას ჩაქუჩითა რახუნის უგალობს, დედის რძეთ ოფლი აქვს, ოფლი მაშვრალის. ასე რომ მე შემიძლია მივესალმო სამშობლოს მგოსნის სიტყვებით:

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?

აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი ჩვენი!

თუმცა ძველნი დაგშორდენ, ახალნი ხომ შენია!

მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია.

ჩემო ტურფა სამშობლოვ, რაზედ მოგიწყენია?“

იქ კი, სიცოცხლევ, აი იქ—გაიხედე... სიმდიდრე შეფობს, ფუფუნებაა... უშრომლობაა... ის ძველი ძალა, ძველი, რომელსაც თან და თან აშრება სასიცოცხლო შრატის, უღუნდება სიცოცხლის ძარღვი... იხრწნება, იშლება...

კიდევ დიდხანს მუსაიფობდა ცოლი და ქმარი... ბედნიერნი, ურთერთის ძალით გამხნევებულნი, უკეთეს მერმისის მომლოდინენი...

— ჩემო ჯერ დაღუპულო და მერმე აღდგენილო სამოთხევე, იმედო, შენ გამხადე უსრულეს პიროვნებათ, შენ! — ეჩურჩულებოდა ელენეს შოთა... თავი კალთაში ჩაუდო...

— მეც მაგრე გეტყობდი, ჩემო შოთა, მარა შაბლონიური იქნებოდა... მაპატიე გინაცვალე: მაპატიე, რომ იმდენი უსიამოვნება მოგაყენე... ყველაფერი ჩემი დაუკვირებლობის და ზერელობის ბრალი იყო... მაშინ, ისე ზეზეურათ მეჩვენებოდა ყველაფერი, მეგონა მშრალ წინადადებებში მოთავსდებოდა ადამიანის მთელი ბუნება და არსება მარა ვცდებოდი, ღღეს კი შევიგენ, ვიცი...

მზე ისევ იცინოდა, გაზაფხული ფრთას შლიდა, სიცოცხლის კოკორი იფურჩქნებოდა.

— ელენე, ხედავ, მგონი ფოსტალიონი მოვიდა ჩვენსა, — სთქვა შოთამ და ოთახის დერეფანს მიაჩერდა.

ელენე კი მაშინვე წამოიქრა და ფოსტალიონს მივარდა. ფიცხლავ გახია წერილი და კითხვა დაუწყო. თან შოთასკენ მოდიოდა...

თან და თან ფითრდებოდა, კანკალებდა... თავზარ დაცემულმა ძლივს მოატანა შოთამდე, ლამის გული წაუვიდა.

— რა მოგივიდა, ადამიანო, რა ამბავია? შიასყვირა შოთამ და შეეგება. ხელი მოხვია, წერილი გამოართვა... თვითონაც გაფითრდა, რაღაც საშინელება იგრძნო.

წერილი თამრიკოს ხელით იყო დაწერილი.

სწერდა, რათ მომიძულე, რათ მილალატეო... ამდენს გეხვეწები და ერთი შენი ნახვის ღირსი არ გამხადეო... ხომ იცი რომ ფეხმძიმეთ დამტოვე, ამ მოკლე ხანში მშობიარობას ველი და მაშინ მაინც ჩამოდიო. თან ასე ათავებდა: იქნება ღმერთმა იპრიანოს — შენი გულის წადილი ასრულდეს — მშობიარობის დროს კიდევ მოვკვდე და სამუდამოთ მოგშორდები შენ მიერ დატანჯული თამრიკო... ამას ვთხოვ ღმერთს, ამას ვევედრები და შენც უკანასკნელათ ვთხოვ სულის გაყრის დროს დამესწრო;

თუ ოდესმე მაინც გყვარებივარ და გულწრფელი ყოფილხარ ჩემთან, გაფიცებ ჩვენს უმანკო სიყვარულს მოდიო...

საშინელი ამბავი მოიტანა ამ წერილმა, თანაც სასიხარულო...

„მაშ მე შეილა მეყოლება, შეილი?“ — გაუელვა თავში შოთას და უსაზღვრო სიხარულმა მოიცო მისი არსება... მარა მაშინვე მოიშხამა, მაშინვე მოიწამლა...

„წავიდე? იქ რა დამხვდება? ვინ დამხვდება? რა მომელის? ერთის მხრივ შეილი, ჩემი სისხლი და ხორცი ჩემ მიერ შექმნილი არსება, ჩემი სულისა და გულის გაგრძელება... მეორე მხრით?.. თამრო... ელენე... ნუ თუ წავიდე?..“

გავარჯარებულ შანთად ტრიალებდა ეს აზრები შოთას არსებაში...

ელენე თავზარ დაცემული იდგა... გაშრა, დაყრუედა. მხოლოდ ამას ჩიფჩიფებდა:

— წავა, წავა ჩემი შოთა... წავა...

უცებ აღძრულ ექვთა საშინელმა ძალამ გააქევა ადამიანი, სისხლი გაუჩერა, აზროვნება დაუკარგა.

დიდხანს იდგა ცოლ-ქმარი გაშეშებული, გაფითრებული... ბოლოს ელენემ ძალა მოიკრიფა, თავი მალლა ასწია და უსიტყვოთ ოთახი'კენ წავიდა...

შოთამ ვერ მიიხედა მისკენ, თავი საშინელ დამნაშავეთ იგრძნო თან შეებრალა... მშვენივრათ იცოდა, თუ რა იქნებოდა ეხლა ელენეს სულსა და გულში...

მთელი დღე სიტყვაც არ უთქვამს ამ წერილის შესახებ. ლაპარაკობდენ, თუმც ძვირათ, სხვა რამეებზე... მარა სად იყო ამდენი სიმშრალე, უსულგულობა? რამ გააცივა ასე შოთას და ელენეს საუბარი?

გაჩუმებისას ორთავემ მშვენივრათ იცოდა, თუ რა-ზედ ფიქრობდა თითოეული მათგანი.

შოთა ელენეს თვალებში კითხულობდა ყველაფერს და ისე ელენე... მარა ერთმანეთისათვის კი ვერა ეთქვათ რა. ორთავეს ეშინოდა ამ საშინელი აზრის, თვალი ვერ გაესწორებინათ სინანდელილისათვის.

ზრუნავენ ერთმანეთზე წვრილმანებით, ცდილობენ რამეთი აამონ ერთმანეთს, მარა ყველაფერი ეს რაღაც უხერხულათ გამოუდისთ, უსიცოცხლოთ, გადაქარბებულათ...

„წავა ჩემი შოთა, წავა... მაგრამ მოვა კი?“ — გველივით ეკლაკნება ელენეს ეს აზრი და ყელში ებჯინება. „წასვლაც მისი ნებაა და მოსვლაც!.. რა უფლება მაქვს დავაკაეო? მაგრამ... მაგრამ იქნება არც კი მოვიდეს, ა? ღმერთო, რა ვქნა, რა მეშველება მაშინ?“

მთელი ღამე არც ერთს თითქმის არ სძინებია; ჩუმათ ოცნებობდენ, თუმც ერთმანეთისათვის ხმაც არ გაუციათ — თითქოს ეძინათ.

— ელენე, ხომ იცი ამელამ აქ ერთმა არალეგალურმა ამხანაგმა ღამე უნდა გაათიოს, შენ ნატოსთან წახვალ, — უთხრა დილაზე შოთამ.

— ვიცი, გენაცვალე... შენ... სად?..

— მე სოფელში მივდივარ...

ელენე გაშეშდა... არ ელოდა, თუ ასე უცებ წავიდოდა შოთა. შეაჩერდა ჩაფიქრებულს, რომელიც უაზროთ თითებს ათვალეერებდა და სულ-განაბული იყო... თითქოს მეხის გავარდნას ელოდა.

დიღხანს ხმა ვერ გასცეს ერთმანეთს, პირდაპირ ვერ შეხედეს.

ორთავეს ცრემლებით აევსო თვალები, აფლიკვინდენ...

— შოთა...

— ელენე...

მიაძახეს და ადგილებიდან მოწყდენ...

ტუჩი ტუჩს შეუერთდა, ცრემლი ცრემლს...

დიდხანს ქვითინებდენ უსიტყვოთ...

შოთა წავიდა.

XXXIX

სადგურზე მისვლისთანავე ახალ-გაზეთი იყიდა. კორესპონდენციების განყოფილებაში თავისი სოფლის სახელი ამოიკითხა. წერილის ბოლომდე ჩაკითხვამ სახე გაუბრწყინა. სასიამოვნო ამბავი იყო: სწერდენ შოთას ნოქრობის დროს საზოგადო ღუქნის გაცარცვის შესახებ. ღუქნის გატეხისას გატაცებული ნივთები აღმოჩენილია სოფლის ორ „თავ-კაცს“, რომელნიც ასე წმინდანათ ესახებოდენ ხალხს და თავიანთ უანგარობა-ზნეობრაჲ სილაქიზეზე ყოველ წამს გაჰკიოდენ. წერილი ასე თავდებოდა: „ეს ვაჟბატონები (ე. ი. თავიანთ თავის სოფლის „თავ-კაცებათ“ და უანგარო მოღვაწეებათ მალიარებელნი) ამდენი ხანა ახალგაზრდათა ერთ ჯგუფს აბრალებდენ ამ საზიზღარ საქმის ჩადენას, ორი მათგანი ედგილობრივ მემამულეთა დახმარებათ ცივ ქვეყნებშიც გაისტუმრეს და დღეს კი გამოჩნდა სიმართლე, დამნაშავეთ ხალხი სამაჲთალში აძლევსო“.

შოთამ ძლივს ამოისუნთქა კოხვის დროს დაგუბებული სული... აღელდა.

წერილი მეორეთ, მესამეთ წაიკითხა...

გადასახლებულ ამხანაგების მოგონებამ გული დაუნემსა, მან ახლობამდეც იცოდა, რომ მემამულეების

ჩვენებით ორი მისი ამხანაგი, როგორც „ბუნტის“ მე-
თაური გადაასახლეს... გაითვალისწინა, თუ რა მდგო-
მარეობაში იქნებოდა მათი ცოლშვილი და ერთი-
ნათ მოიშხამა. „მეც რომ კიდევ ცოტა დამყონებოდა
სოფლათ, მათთან ერთად მიმაციმბირებდენო“, გაიფიქრა
და ისევ დუქნის გარშემო დატრიალდენ მისი ფიქ-
რები...

იგრძნო თითქოს ვეებერთელა ლოდი მოიშორა...
უაღრესი ზნეობრივი კმაყოფილება განიცადა...

მართალია, სრული სიმართლე ჰქონდა, როგორც იუ-
რიდიულათ, ისე ზნეობრივით და ყველასთან შეეძლო
თავის გამართლება, მარა. მაინც რაღაც აწუხებდა, მაინც
სინიღისის ქენჯნას განიცდიდა.

დღეს კი... თავის სოფელში ნდობა აღიდგინა,
დღეიდან ყველა უწინდელ შოთათ მიიღებს, უფრო მეტ
ნდობასაც კი აღმოუჩენენ... მისი ამხანაგებიც მეტ ნდო-
ბას მოიპოვებენ, მათი შრომა უფრო ნაყოფიერი იქნება
და სხვა.

სიხარულმა ისე აიტაცა, რომ ლამის მატარებელს
დარჩა.

მიექანება სოფლისაკენ და გულში ათასნაირი ფიქ-
რი უტრიალებს. მთლათ დაემონა ოცნებას, ირგვლივ
თითქოს ვერაფერს ვერ ამჩნევს.

„ღმერთო ჩემო, გული სიხარულის ბუდეთ გადა-
მექცა... შვების ტალღებს ძლივს აოკებს გულის ფონ-
ცხომ მაშ ჩვენ გავიმარჯვეთ, ჩვენს.. „აწმყო თუ ცუ-
დათ გვწყალობს, მომავალი ჩვენია“, ჩაიღიღინა თავის
ჩვეულებისამებრ ცოტათი შეცვლილი ლექსი.

პირველმა მღელვარებამ გაიარა, შოთა შედარებით
დაწყნარდა. „ეს ასეც უნდა ყოფილიყოვო“, სთქვა.

„ღიახ, მივდივარ ისევ სოფელში, — ფიქრობს, —

რა მომელის იქ? ვინ დამხედება? თამრო? ახ...“ შოთა რალაც შეშინდა, თან სირცხვილი იგრძნო.

„ღმერთო ჩემო! ერთხელ ხომ გამოვექეცი იქაურობას, თავი დავახწიე... და ეხლა კიდევ... ასე მგონია რალაც ნაპრალს ვუახლოვდები... მაგრამ შეილი?... შეილი?...“ შეილის მოგონებამ გული სიამით აუფსო, უსაზღვრო ღმობიერება განიცადა...

რალაც ახალი, სრულიათ უცნობი გრძნობა აფართქალდა ძისს არსებაში, უცხო სიმები აუწყრიალდა გულის სიღრმეში...

...და მომხიბლავი, ციური ჰანგები მოესმა...

აღტაცებით გადახედა სამშობლოს მიდამოებს. უსაზღვრო სიყვარული აუგიზგიზდა გულში... „ახ, რა კარგია ცხოვრება! რა კარგია ცხოვრება!“ — მაშინაღურათ მღეროდა შოთა და ოცნების კალთებში იმალებოდა.

„პატარა შეილიკო... ჩემო სისხლ-ხორცო!.. ჩემი მომავალი!.. აღვზრდი ისე, როგორც მე მინდა... ნამდვილ მამულის შეილად აღვზრდი... ლუკმას მივიკლიებ და ჩემს შეილიკოს აღვზრდი... წმინდა აზრებს აქედანვე შთაუნერგავ, დედის ძუძუსთან ერთად შევაწოვებ... მარა... ახ... დედა მისი... დედა მისი! ვინ იქნება დედა მისი?...“ ამ კითხვის პასუხის მიცემა ვერ გაბედა, შეეშინა.

„განა თამროს შეუძლია აღზარდოს ნამდვილი მოქალაქე? განა გაბრიელის ოჯახში შეიძლება აღიზარდოს ის, ვინც მე მინდა?... ახ... ელენე ჩემო, ელენე!.. შენ... შენ... თამრო... რას მეტყვის ნახვისას, როგორ მომექცევა? ან მე როგორ მოვექცე? ვსთქვა თუ არა ჩემი ელენესთან დამოკიდებულება? როგორ შეხედება ამ ამბავს?... თამრო...“

თამროს სახე ისე წარმოუდგა შოთას, ვით უკუ-

ნეთ ბნელში გათენებისას სადღაც ცისკიდურში ახლათ ამოქრილი მთვარე... უსიცოცხლო, უსხივო, თუმც ლამაზი, თვალისათვის სასიამოვნო.

„მიყვარდა ერთ ღროს, გაგიჟებული ვიყავ... ეხლა კი?.. ეხლა რაა თამრო ჩემს თვალში?.. უწინ მის მოგონებისას საშინელ ვნებათა ღელვას ვგრძნობდი, ეხლა კი?.. განა ვიფიქრებდი, რომ ასე შემეცვლებოდა გული და იმ თამროს, რომელმაც ჩემი თავი ქვეყანას დაუბრუნა, აგრე მოვექცეოდი? ეხ, მრავალფერია ცხოვრება, მრავალფერო... გუშინ ერთი მიყვარდა, ღღეს მეორე... ვინ იცის ხვალ იქნება მესამე შემიყვარდეს!.. რა არის ადამიანის გული? ყველაფერი იცვლება, ყველაფერი სხვაფერდება... რაც შარშან იყო კაცის სულსა და გულში, ის წელს არაა, რაც წელსაა, ის გაისათ არ იქნება... ყველაფერი იცვლება, თვით ბუნებაც კი... დიახ, ცვალებადია გრძნობა... მარა ნუ თუ აზრიც ცვალებადია?.. რასაკვირველია... მაშინ ხომ მთელი კაცობრიობა ერთ წერტილზე გაიყინებოდა... წინმსვლელობა არ იქნებოდა... ყველაფერი იცვლება, ყველაფერი სხვაფერდება... აზრი, გრძნობა, საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმები... ღღეს ასეა, გაისათ სხვაფერ იქნება, გარემისად კიდევ სხვაფერ... ამ მუდმივ ცვლილებაში ადამიანიც თავისუფლდება... პირველ-ყოფილი ადამიანი უთვალავის ძაფებით იყო დედამიწაზე თავ დაკრული... ზევით თავის ალება არ შეეძლო... მარა მუდმივი ცვალებადობის მეოხებით და იმ ბასრ მახვილით, რომელიც გონების სახით მას მინიჭებია, ის თან და თან ქრიდა ამ ძაფებს... ეხლაც ქრის და თავს თან და თან მალღო სწევს... და დადგება წამი, როცა წელში გასწორდება და სრულიათ თავისუფალი, ბედნიერი, მთელის ქვეყნის

გასაგონათ დიდების ჰიმნს დასძახებს... ახ... როდის იქნება ის წამი, როდის?“

შოთა მისდა შეუმჩნეველათ გაყვა აზრთა თან და თანობრივ განვითარებას. ხოლო როცა უმაღლეს წერტილამდე ავიდა, უცებ თავი ანება და ისევ მასთან ახლო მყოფ პირებს ჩახედა სახეში. საშინელი საკითხი უდგებოდა თვალ წინ: როგორ უნდა მოქცეულიყო სიმამრის ოჯახში? შერიგებოდა მას თუ არა? ელენე, თამრო, შვილი, ყველაფერი აერია ერთმანეთში... ვისთვის მიეცა უპირატესობა, ვინ დასძლევდა?.. მარტო ერთის წუთით იმის წარმოდგენა, რომ ის ისევ თამროს დაუბრუნდებოდა, თავზარს სცემდა. „თავი მოვიკლა მიჩვენია ისევ გაბრიელის ოჯახში დაბრუნებასო“—ფიქრობდა. მარა შვილი? ელენე? „ელენე, გენაცვალე, ჩემო თითქმის ბავშვობიდან თანშეზრდილო, რას ფიქრობ ახლა? რა გუნებაზე ხარ? გაქვს თუ არა ჩემი იმედი? ახ... რა საშინელებაა!.. ასე მგონია ორ ცეცხლ შუა ვარ... რა ვქნა? როგორ მოვიქცე?..“ გაფარვარებული ნაკვერჩხლებათ უტრიალებდა ეს სიტყვები შოთას.

რამდენათაც სოფელს უახლოვდებოდა, იმდენათ ერთის მხრით მეტ შიშსა გრძნობდა, ჰეორე მხრით მამაშვილური გრძნობა უძლიერდებოდა, გულში სიამაყე ეღვიძებოდა.

„ვსთქვა თუ არა სიმართლე? ცუდათ რომ იმოქმედოს? შვილს რომ გადაყვეს?! შვილიც რომ მოუკვდეს? რა გზას დავადგე?..“

ამ დროს რაღაც საშინელმა აზრმა გაურბინა. რაღაც უხამსი არსება, საზიზღარი ქვეწარმავალი წარმოუდგა თვალ წინ და ეუბნება: „ხომ კარგი იქნება, რომ თამრიკო მოკვდეს მშობიარობის დროს?.. შვილი კი ცო-

ცხალი დარჩეს... ხომ განთავისუფლდები ამდენის ტან-
ჯვისაგან?.. შეილს ელენე აღზრდის“...

ამ აზრმა ძირიან ფესვიანათ შეარყია შოთას არსე-
ბა, შეაკრთო... თავისივე თავის შეეშინდა...

„ტფუ! რამდენი ბოროტებაა ადამიანის გულის სი-
ღრმეში! რა გასწმენდს მას? თვით უსრულესი ადამიანიც
კი თავის აღვირ-ახსნილ თავ-მოყვარეობის დასაკმაყო-
ფილებლათ ვის არ გაიმეტებს, ვის არ იმსხვერპლებს!..
იმისათვის, რომ მე თავი ბედნიერათ ვიგრძნო, თამროს
სიკვდილი. რათ უნდა უსურვო! ტფუ!.. საზიზღარო ადა-
მიანის ბუნებავ! შენთვის წმიდათა-წმიდა არ არსე-
ბობს... თუ დაგჭირდა დღევანდელ შენს სამლოცველო
ტაძარს, ხვალ ნაფურთხით აავსებ“...

თავისი თავის უკმაყოფილო შოთამ მეორე ადგილი
მოინახა მატარებელში.

ფანჯარაში თავი გაყო და გულის ფანქვალით იხე-
დებოდა იმ მხარისაკენ, საითაც მისი სოფელი მდებარე-
ობდა. „მაშ მეც მამა შევიქენი,—ფიქრობდა და თან
ელიმებოდა,—შოთას შეილი ყავს... ხა... ხა... ხა... პა-
ტარა ბუხულო ბავშვი, გაფუნჩულებული... ხელში ავი-
ყვან... „მამა, მამა“ მეტყვის... და წვერებზე ხელს მო-
მიცაცუნებს... როგორც რაფიელ ერისთავს აქვს ნათქვამი
ერთ ლექსში: „ხელს უცაცუნებს წვერებზე-“ო... აი
ისე დამხვდება მეც ჩემი შეილიყო... ჭახ, რა კარგია მა-
მობა! მარა ვაჟი სჯობს თუ ქალი?..“

ეს კითხვა რაღაც საშინელის ტრადიციის მეოხებით
ყოველთვის ვაჟის სასარგებლოთ წყდებოდა. მიუხედავათ
იმისა, რომ შოთა მჭერმეტყველურათ დაუმტკიცებდა
როგორც სხვას, ისე თავის თავსაც, რომ ვაჟის და ქა-
ლის დაბადება სულ ერთია, მაინც გულში უფრო სასი-
ამოვნოთ დაუარჩებოდა, თუ ვაჟი შეეძინებოდა. ეხლაღ,

როცა შეიღზე ფიქრობდა, უმეტეს შემთხვევაში ვაჟი ედგა თვალ წინ.

მზე გაღიხარა. უკანასკნელი სადგური დაახლოვდა.

შოთას გულის ფანქვალმა უმატა... შიშში გადაწნილ-გადაგრეხილი სიხარული თან და თან გაუძლიერდა...

ახ, ფრთები რომ მისცა რა მალე მიფრინდებოდა სოფელში!

XC

გაბრიელის ოჯახობა შოთას რაღაც იდუმალ შიშით მოკული დაუხვდა.

ახლოვდებოდა განკითხვის ქაში; მოდიოდა ის დრო, როცა მთელი ოჯახის ბედი ბეწვზე დაეკიდებოდა: დღეს თუ არა ხვალ თამროს მშობიარობა უნდა დამდგარიყო. როგორ დასრულდებოდა იგი? დაილუპებოდა თუ გადარჩებოდა გაბრიელის ოჯახი? აი საშინელი კითხვები. ვინ გასცემს მათ პასუხს? ვინ შეხედავს პირდაპირ?

თავზარ დაცემული იყვნენ. არსაიდან წრფელი იმედი, არსაიდან ნუგეში. თამროს ფეხმძიმობის პირველ ხანებში თუ ყოველ წუთს შენატროდენ იმ წამს, როცა მშობიარობა დაიწყებოდა, ეხლა რას არ მისცემდა გაბრიელის ოჯახობა, რომ ამ ქამის კიდევ შორს გადადება შეიძლებოდეს. „ღმერთო, რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე?“ ამ კითხვას დატრიალებდენ გაბრიელიც, სიღონიაც და თამროც. მართალია, ერთმანეთს არ ეუბნებოდენ, მარა გულის სიღრმეში კი სამნივე დარწმუნებულნი იყვნენ, რომ თამროს მშობიარობას ცუდი ბოლო ექნებოდა: ან თამრო მოკვდებოდა და ან მკვდარ შვილს დაბადებდა.

„უბედურობას შეხვეულია ჩვენი ოჯახი“ — ფიქ-

რობდენ გულში, როგორც გაბრიელი, ისე სიღონია. „ღმერთს რომ ჩვენთვის კარგი ნდომოდა, ჯერ შეიღებს არ დაგვიხოცავდა და მერმე თამროს არ დაუწვავდა ასე ბედსო“.

შოთა მოვიდა და მით მთელი ოჯახი გაახარა, და-
აიმედა. მშობლებმა სიხარულით ხმა ვერ აშოილეს, მხო-
ლოთ თამრიკომ შესძლო შოთას მიგებება:

— შოთა, შენ?—მიაძახა და სახე გაბრწყინებულმა
მისი ხელები გულში ჩაიკრა...

ათრთოლდა, ცრემლი მოერია. ხელებს წამ და უწუმ
კოცნიდა, თან სახეში აჩერდებოდა: ცდილობდა ამოე-
კითხა:—ჩემი ერთგულია თუ არაო.

— მაშ კიდევ გიყვარვარ? არ მომიძულე?.. ჩემო
შოთა, ჩემო! როგორ გამაბედნიერე შენის მოსვლით,
როგორ?.. აწი არ ვინაღვლი, თუ მოვეკვდები... არა...
მიპატიებია რაც მტანჯე... რაკი გიყვარვარ და მოდი—
მიპატიებია... ჩემო შოთა, ჩემო ერთად ერთო ამ ქვე-
ყნის საუნჯევ... ჩემო სალოცავო... მოდი?.. მოდი?..
ამ განსაცდელში მომიგონე?

შოთამ იგრძნო, რომ თამრომ ხელები ცრემლებით
დაუსველა... თვითონაც გული აუყუჩდა, აკანკალდა და
ანგარიშ-მიუცემლათ მუხლებზე დაეშო.

— თამრო... თამრო... ეს ღა სთქვა და ტუჩებში
ჩაეკრა...

სიდედრ-სიმაპრიც გარეგნულათ მაინც შეუკრიგდენ
შოთას. მართალია, გულში ბევრ რამეს ინახავდენ და თავის
დროზე კიდევ გადმოულაგებთო, — ფიქრობდენ, მარა
ჯერჯერობით კი ამის დრო რომ არ იყო, მშვენირათ
იცოდენ.

მშობიარობის დროც დადგა. ყველას ხმა წაერთო. დერეფანი მეზობლის ქალებითაა ავსილი. ყველა თაზარ დაცემულია, უგზო-უკვლოთ დაეხეტებიან.

გაბრიელი აცრემლებული დაჩიფიფობს:

„ღეთის მშობელო ქალწულო! მოხედე ჩემს ოჯახს და მშვიდობით გადამირჩინე ჩემი თამრო!.. ნუ დამიდაგავ გულს მისი დაკარგვით... შენი მუხლის ქირიპყ!.. დედაო ღეთისაო, შენ იცი დედის მდგომარეობა... ოღონდ გულს ნუ მომიკლავ და როგორც დაგპირდი ჩემი სიმაღლე სანთელი ფეხშიშველი შემოგიტანო საყდარში და მანამ ვიდგე შენს წინ დაჩოქილი, სანამ ხელში არ ჩავიწვა...“

ერთ წუთს წარმოუდგება, რომ ვითომ თამროს ვაჟი შეეძინა, მშვენიერი ბავშვია... ყველანი აღტაცებულნი არიან... „უთუოდ აეთანდილს დავარქმევ, აეთანდილს,“ — ფიქრობს აღფრთოვანებული გაბრიელი და სიხარულით ტუჩები უკანკალებს. მარა უცებ ცუდი ბოლო მოელანდება და სრულიათ მოშხამავს. „ღმერთო, ნუ გადამაშენებ უმოძიროთ, ნუ მოსპობ ჩემს სახელს ქვეყანაზე, ნუ გამომწყვეტ სოფელ ქვეყანაში,“ მეთასეთე იმეორებს ერთსა და იმავეს გულში...

შოთაც აზრებ დაბნეულია. სახლში მოსვლამდე სიხარულით აწკრიალებული ჯერ უცნობი სიმები, თითქოს დაღუმდენ, ოცნების ადგილი წამსვე სინამდვილეშ დაიკავა... ახლობამდე თუ უმეტესად შეილზე ფიქრობდა, ეხლა ის თითქმის სულ გადაავიწყდა, დაეჩრდილა, ამ წუთს ის თამროს დასტრიალებს, იბრალებს, რითი გაუადვილოს ტანჯვა არ იცის... ნაცნობმა კარმიდამომ წარსულის რვეული გაღუშალა: თვალ-წინ უღვას თამროსთან გატარებული ბედნიერი წუთები, თან თითქოს დანაშაულათ გრძნობს თავს... ამ წუთს მარტო

კარგი, მარტო საბედნიერო წამები აგონდება... მხოლოდ კარგის მხრით უნდა ახსოვდეს და იგონებდეს ამ განკითხვის ჟამს თამროს... მისდა უნებურათ თითქოს ვილაღ უხილავ არსებას უნუსხავს თამროს კარგ თვისებებს...

თან ამ ფიქრების დროს ამჩნევს, თუ როგორ გაუელვებს ელენეს სახე, რომელიც თითქოს ეუბნება: მე აქა ვარ, შენი სულის კვეთების მოწამეო...

— დედაა... გაისმა გულის გამგმირავი ამოკენესა მშობიარესი...

შოთას ლამის გული მოწყდა... სიჩუმე შეზანზარდა, შეკრთა... უცებ დერეფანს მოშორდა და ეზოში იწყო სიარული...

ლაძებოდა... ზეცა შავ დოღბანდს იფარებდა სახეზე, მხოლოდ თვალებს არ ლულავდა. დღისით მზის სხივებით დათანთული მცენარენი ყურებს ცქვეტდენ: კამკამა ცივ ცვარს ხარბათ სრუტავდენ...

სიჩუმე იყო... ხეები შავ ბუმბერაზებათ სჩანდენ... საიდუმლოებას აორკეცებდენ...

გაბრიელი და შოთა უაზროთ დადიოდენ ეზოში. ერთმანეთს ხან-გამოშვებით ჩუმათ ესიტყვებოდენ აწმყოზე, წარსულზე კი ერთი სიტყვაც არ დაუძრავთ...

ორთავეს სული და გული თამროზე იყო მიჯაჭვული...

ორთავე საშინელ ქარტეხილს იმაგრებდა გულის სიღრმეში.

შუა ღამე გადვიდა...

— გაბრიელ... შოთა... სადა ხარ? შემოდით! — მოისმა უცებ ბებია-ქალის ხმა.

ხმის სიწყნარემ და სიმშვიდემ იმავე წუთს დაარწმუნა ორთავე, რომ მშობიარობა მშვიდობით დასრულდა... არც კი გაუგიათ, როგორ მივარდენ კარებს...

— მომილოცავს შვილო, შოთა, ვაჟის შეძენა, ღმერთმა გაგიზარდოს...

დაბორკილ-დახუნდულმა სიხარულმა უცებ ფრთა ფრთას შემოკრა და საშინელის ძალით ზეცას ავარდა... შოთა და გაბრიელიც თან აიტაცა...

შოთამ შესძლო აყოლოდა მისს მძლავრ ფრთებს...

გაბრიელი კი იქვე ჩაიკეცა, წყლით მოსულიერება დასჭირდა.

— მაჩვენეთ ჩემი შვილი! წამოიძახა უცებ შოთამ და თამროსთან მივარდა..

თამრო მითვლემილი იყო... ღონე-მიხდილი... მან სრულიათ უსიკოცხოთ, მოღლილათ გადახედა შოთას და ისევ მინაბა თვალები...

— ააა... მოისმა ბავშვის ხმა...

მთელი ოჯახი გააღვიძა, გაახარა ამ ხმამ. ყველამ იგრძნო, რომ რაღაც ახალი ძალა შეემატა აქაურობას, ძალა აღმაშენებელი, ძალა სიკოცხლის და ბედნიერების მატარებელი...

შოთა და გაბრიელი გიჟებივით დასჩერებოდნენ ახლათ დაბადებულს და არ იცოდნენ რით გამოეხატათ თავიანთი აღტაცება... ორთავე ჩვილში თავის მსგავსებას ეძებდა.

— ღვთის მშობელო, ვმადლობ შენს წყალობას, ვმადლობ, — ჩურჩულებდა გაბრიელი, — მარა... ნარა ის როგორაა... თამრო?.. შიშით და კრძალვით ჰკითხა ბებია: ქალს ბოლოს რა საშინლათ აკანკალდა.

— არა უშავს, ჩემო გაბრიელ, კარგად არის... ახლა კი გადით, იქ ნუ ხმაურობთ, ავნებს...

შოთა გიჟივით კარში გამოვარდა... აღტაცებული იყო...

— მაშ შვილი, შვილი მყავს, შვილი... ჩემო

სისხლ-ხორცი! — ანგარიშ მიუცემლათ იძახდა ეზოში სიარულით...

მთვარე უკვე ამოსულიყო... აღმოსავლეთში ვერცხლის ტახტი დაედგა...

ბნელეთს სინათლის ისრებს არკობდა, თან და თან აფხრეწდა მიწას შავ ფარაჯას... თანაც გადმოსცინოდა...

მიწაც შოთასთან ერთად სამაგიეროს უძღვნოდა...

„ახ, რა სიხარულია ყველგან!.. ცაზე, მიწაზე... რა ბედნიერებაა!.. ახ, რა ხდება ჩემს გარშემო!.. ლამის შევიშალო!.. შვილი მყავს, შვილი... ჩემი სისხლი და ხორცი ცოცხლათ ვიხილე... ახ, ბუნებავ, სამყაროვ, კაშკაშა მთვარევ, ვარსკვლავებო! მითხარით, მითხარით ვინ მომცა მე ეს თვისება? ვინ ჩანერგა ჩემში ეს ღვთაებრივი ძალა?.. სიცოცხლის წყარო ვარ!.. ახალი არსების, ახალი ძალის წარმომშობი!.. ახ, ღმერთი ვარ, ღმერთი!.. გმადლობ ცა და ქვეყანავ, გმადლობ, ჩემო შემქნელო ბუნებავ, რომ ასეთი ძალა მომანიჭე... გმადლობ აღმოსავლეთო! გმადლობ დასავლეთო! სალაში თქვენ ჩრდილოეთო და სამხრეთო!.. მუხლს ვიყრი თქვენს წინაშე... თაყვანს ვსცემ თქვენ მიერ ჩემში შთანერგილ ღვთაებრივ სიცოცხლის ძალას“...

... და შოთამ დაიჩოქა.

მუხლი მოიყარა იმ ადამიანმა, რომელსაც თავის დღეში სხვის წინ ქედი არ მოუხრია, თავისი მორჩილება არ გამოუცხადებია...

თაყვანი სცა მთელ ქვეყანას...

გუნდრუკი უკმია დედა ბუნების ძალთა ძალს...

მაგრამ არა მონურათ, არამედ უალრესის ამპარტავნობით...

სიამაყეს გრძნობდა მშობლის წინაშე ღირსეული შვილი...

კურთხეულმა მშობელმა ის სიკოცხლის წყაროთ აღიარა... მისს სისხლსა და ხორცში ააჩუხჩუხა უღიადესი ძალა თვისი, რომლის სახელია „უკვდავი სიკოცხლე“...

XXXI

გაბრიელის ოჯახი გაბედნიერდა... ამდენი ხნის განმავლობაში მოდუნებულ-მოწყენილი კარ-მიდამო გაცოცხლდა, იგრძნო ახალი ძალის შემატება... ასე ბედის კმაყოფილი დიდი ხანია არ ყოფილა გაბრიელი... ცას ხელი უწვდება... სიდონიაც ბანს აძლევს...

მეორე დღეს გათენებამდე გაიქცა მღვდელთან — სახლის საკურთხებლათ უნდა მოეყვანა. შოთაც, რასაკვირველია, ბედნიერების ტალღებში იყო, მარა მისი ბედნიერება სულ სხვაა, ვიდრე დანარჩენების... მოუსვენრათ დადიოდა დილაზე ცვარიან ეზოში და ხარბათ ყლაპავდა ახლათ ამოჩინჩხალეზულ მზის სხივებს...

ქუჩაში გადიხედა. პეტრე მღვდელი მობაჯბაჯებდა, თან თავის მოქედელ ჯოხს ქვებზე მოარახუნებდა. მარჯვნივ და მარცხნივ უმაღლეს ჩინ მიღებული დაუღლული სოფლის სანიტარები ღრუტუნით მოყვებოდნენ. შოთას ჩაეცინა. იფიქრა: ნეტავი მხატვარი ვიყო, დაეხატავდი ამ სურათს და ქვევით მოვაწერდი: „სამი ლორი“-ო.

— ოო, მოსულხარ, შვილო? ძალიან კარგი გიქნია მე და ჩემმა ღმერთმა! ვის გაუგონია ახალგაზრდა კოლის ასე მიტოვება?.. — მოაყოლა პეტრემ თავისებური სალაშის შემდეგ.

— ასე შვილო, ასე, ეს ქვეყანა უნდა მოიხმარო! უნდა გაახარო სულიც და ხორციც. მიწაში არაფერს არ

ჩაგატანვენ, ქვეყნის საქმეს შენ ვერ გაარიგებ... დამიჯერე, შვილო, ჩემ ხელა კაცს ცხადს კი არა, სიზმარს დაუჯერებენ...

დაგვიანებულმა გაბრიელმა და დიაკონმაც მოაწიეს.

სახლი აკურთხეს. შოთა არც მიკარებია მათ.

...და დამყარდა გაბრიელის ოჯახში უსაზღვრო ბედნიერება... ყველა ახლათ შობილს შეხარის, სული და გული მას მიეჯაქვა...

ყველა ერთის გრძნობით და ფიქრითაა გამსჭვალული...

მხოლოდ შოთას გულში ირევა ათასნაირი რამ.

ახლათ შობილი, ელენე, თამრო— აი ვის დასტრიალებს მისი სული და გული, აი ვინ სწიწნიან მას.

როცა შვილზე ფიქრობს, ბედნიერია, მომხიბლავათ ეშლება მომავალი თვალ წინ. ხოლო თამროსა და ელენეს მოგონება კი უსაზღვრო ტანჯვაა მისთვის, სასოწარკვეთილებამდისაც კი მიდის.

„ღმერთო ჩემო, რა მდგომარეობაში ვარ? რაა ჩემს გარშემო? ასე მგონია საშინელი საღატე შემომერთყა და მალრჩობს, სულს მიხუთავს.. აქ, ამ ოჯახში, ყველა ბედნიერთა გრძნობს თავს, მხოლოდ მე... მე... ახ, განა ვსთქვა, წარმოვიდგინო, რომ უბედური ვარ?. ნუ თუ? ნუ თუ მეთქმის უბედური ვარ-თქო, როცა მე დღეს მამა ვარ... მამა... შვილი მყავს!.. ელენე მყავს.. ახ... საშინელი ბადე, საშინელი!.. ვინ გაგლეჯს, ვინ?.. რა ვქნა, როგორ მოვიქცე?.. განა შემძლია შეურიგდე აქაურობას? წარმოსადგენია ეს? მას ხომ ჩემი არ ესმის, მე კიდევ მისი!.. ჩვენ სულ სხვა და სხვანი ვართ... ტანში მამოძვინებს, როცა აქაურობას სახეში ჩავხედავ, მოვიგონებ... ასე მგონია რაღაცა საშიში ვე-

შაპათა ქცეული... ვეშაპათ, რომელიც ყველაფერს ნთქავს, სპობს, ანადგურებს... მაგრამ ჩემი შვილიყო?... ჩემი სისხლ-ხორცი?... ახ... ღმერთო ჩემო!.. ვინ ამომგლეჯს მას გულის სიღრმიდან, ვინ წამართმევს?... შვილიყო, შვილიყო...!

ბედნიერი მამა ლამის დადნეს შვილის მოგონებით. აღტაცებას გვრის პატარა გაფუნჩულებული ბამბის ქულა, ფუნთუშა ჩხვილი... ვინ იცის რამდენს იმედს, ზემფრინავ გრძნობა—აზრს უღვიძებს ეს პატარა არსება?..

„ჩემი წაწვლა აქაურობას მოშხამავს, აქ დარჩენა კი მე... მაშ უნდა წავიდე... მარა შვილიყო?... ის ვის დაუტოვო? ვის მივანდო აღსაზრდელათ? განა შესაძლებელია აქ დავტოვო?... თამრო, თამრო! რამდენი იმედი დამისამარე, რამდენი აღმაფრენა დამიქვესკნელე?... ღმერთო ჩემო?... რა ვარ? როგორი გულის პატრონი? რა იმალება ჩემი გულის სიღრმეში? განა ჩემი შვილიყოს მშობელი დედა არ უნდა მიყვარდეს? განა მასთან დარჩენა უნდა მიმძიმდებოდეს? თამრო... თამრო!.. ახ... ელენე!“

ელენე უცებ მოაგონდა. მთელი არსება შეერყა, შეშინდა... თავს ზარი დაეცა, მზათ იყო მუხლი მოეყარა ელენეს ხატების წინაშე და პატიება ეთხოვა...

„როგორ გამიარა გულში თამროს შერიგებამ, თამროსთან დაბრუნებამ? განა ეს შესაძლებელია? მაშინ ელენე? ჩემი ღირსეული მეუღლე, ჩემებრ მგრძნობი, ჩემებრ მოაზროვნე?... ელენე, ელენე! მაპატიე... მაპატიე...“

ერთის წუთით ელენესადმი საყვედურმაც კი გაუბნა: მან ჩამაგდო ამ მდგომარეობაში, რომ მაშინ უარი არ ეთქვა თამროს არ შევირთავდიო, გაიფიქრა, მარა უცებ ხელი ჩაიჭნია და ცდილობდა მეორეთ არც კი მოგონებოდა ეს აზრი...

— შეილო, შოთა, გამხიარულდი, რამ მოგაწყინა? რა გაქვს, სადარლო? ბედნიერი კაცი ხარ. ვაჟი შეგეძინა, ცოლიც კარგად გყავს, — ეუბნებოდა შოთას გაბრიელი და თან სახეში აკვირდებოდა — იქნებ გავიგო რას ფიქრობს, შეგვირიგდა თუ არაო.

შოთა ან ხმას არ გასცემდა და ან მოკლე პასუხით ეცდებოდა მოეშორებინა.

— შეილო, მთელი სოფელი შენი მადლიერია! ხომ იცი როგორ შერცხვენ ის ვაჟბატონები. შენ და შენს ამხანაგებს აბრალებდენ ქურდობას და თვითონ კი დაესხათ ლაფი... ასე რომ, თუ მოისურვებ სიხარულით დაგაყენებენ ისევ საზოგადო ღუქანში... იცხოვრებ ტკბილათ შენს ოჯახში, იბანჯალებ ნელათ, სასმელი არ მოგაკლდება და საქმელი... აღმასივით ცოლშვილი მოგცა ღმერთმა... გაგაბედნიერა... რა გინდა იმ ქალაქში? განა აქ ყოფნა არ გირჩეენია... შენს დედმამასთან, შენს ნათესავებში?... პატარა დახედულათაც შეყვევი საქმეს... ის თავადები მომდურებულნი რომ გყვანან, დაუტკბი და არაფერს გიმტრობენ... შეილო, ძალ-ღონე და სამართალი დღეს მაგათ ხელშია, რაც უნდათ იმას გიზმენ. ხომ ხედავ შენს ამხანაგებს რა უყვეს? ცოლშვილი ოხრათ დააყრვენიეს... შენც ისე მოგივა, თუ ჭკუით არ იქენი... სხვას რას დაეძებ, ყველამ თავისი საქმე გაიკეთოს... მე შეხვეწილი ვარ თავადებზე, საჩუქარიც მივართვი და დამპირდენ, თუ დაწყნარდება, შენს სიძეს დღეიდან ხელს არ ვახლებთ, იცხოვროს სოფელშიო... პრისთავთან არ დავასმენთო...

გაბრიელის ყოველი სიტყვა შოთასათვის საწამლავი იყო, ტანში აძობდინებდა. ბევრჯერ სმენია ასეთი ტკბილი დარიგებანი, უთვალავჯერ გაუგონია თავის თავზე სახარების კითხვა, მარა არც ერთ შემთხვევაში არ უგრ-

ძენია რაიმე მოკრძალება და პატივის ცემა ამგვარ დარიგებისადმი, არასოდეს გულში არ მოხვედრია „ჩამაგონებელის ტკბილი ხმა“. ხოლო ეხლა რა ხდება მის სულსა და გულში? თითოეულ სიტყვას ანგარიშს უწევს, წონის, ზომავს და ამისათვისაა რომ ცახცახებს.

„ღმერთო ჩემო! თუ ერთ დროს უსულგულო, გამოფიტული ხმები იყო ეს დარიგებანი, დღეს რისთვის მხედებიან ასე გულს? რამ გააცოცხლა, გააცხოველა ისინი? რამ შთაბერა საცოცხლის ძალა?...“ ფიქრობს შოთა და თან რაღაც შიში იპყრობს, რაღაც საზარუხილავ არსების წინაშე გრძნობს თავს.

რა სახისაა ეს არსება? გამოურკვეველია, ერთი რამ სახე არა აქვს. გაბრიელი, სიდონია, თამრო, ახლათ დაბადებული—აი ვინაა ამ არსებაში ერთად თავმოყრილი, აი ვინ გამონასკეულან ერთად...

და ეს არსება გერის შოთას გამოურკვეველ შიშს.

ვით ყველა გზა რომში მიდის, ისე შოთას მიერ ყოველ მხრივი საქმის განქვრეტა და მდგომარეობის აწონ-დაწონვა ამ დასკვნამდე მიდის: აქ დარჩენა შეუძლებელია. მაგრამ წასვლაც ვერ მოუხერხებია. მოჯადოებულ წრეშია და სული და გული ეშხამება, მაგრამ მინც ერთ ადგილსაა, ვერ დაძრულა.

„რით უნდა გათავდეს, რით, ყველაფერი ეს?“ ფიქრობს მეთათსედ შოთა და გულ-დასერილი დაბრუნლობს. გრძნობს, მთელის თავის არსებით გრძნობს, რომ აქაურობას უნდა გამოეთიშოს, უნდა გაშორდეს. მარა როდის? როგორც თამროსა და მისი მშობლებისათვის, ისე შოთასათვის ეს წამი საშინელი იქნება. ამისათვისაა, რომ რაც შეიძლება წინ სწევს მას, მომავალს უღებს.

უაზროთ დაეხეტება, ვერაფერ საქმისათვის ხელი

ვერ მოუკიდებია, უგზო უკვლოთ დაბორგავს. რაც დრო მიდის მდგომარეობის გათვალისწინებას გაურბის, მწვავე სინამდვილეს თვალს არიდებს, ოცნებობს.

მოინახულა ამხანაგები, დახმარება აღმოუჩინა გადასახლებულთა ცოლშვილს, დაწვრილებით გაიგო ღუქნის გამძარცველთა ამბავი და სხვა.

მარა გულის სიმშვიდე მაინც ვერ უპოვია, მაინც ბეწვზე გრძნობს თავს, როდის დაიგრგვინებს არ იცის...

ერთ საღამოს ფრიად საძწუხარო ამბავი მოუვიდა: ფარული ორგანიზაცია, რომლის წევრი შოთაც იყო, მთავრობას ჩაეგდო ხელში. ამხანაგები ამასთანავე ატყობინებდნენ შოთას, რომ საჩქაროთ ჩამოსულიყო და თან თავს გაფრთხილებოდა, ვინაიდან მასაც ეძებდნენ დასაქვრათ, ელენე კიდევ გაეჩხრიკათ.

თავზარ დამცემი იყო ეს ამბავი. ათასნაირი ფიქრი აეშალა შოთას.

„ეს-ლა მაკლია, — ამოიგმინა და თავი ჩაკიდა, — სანამდის უნდა გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა, სანადგდის? როდის იქნება, რომ ჩვენც ადამიანურათ ვიარსებებთ?.. რაც დაგვმართეს განა ის არ კპარა?..“

შოთა გაქვავებული იყო, გულში ცეცხლი უტრიალებდა, მოგონებამ ლამის ააცრემლოს.

„რათ ვერ გაძლნენ ჩვენის სისხლით, რათ? ამხანაგებო... რამდენი დაიხოცენით?.. რამდენი ციხეში ხართ?.. რამდენი ბორკილს აჩხარუნებთ ცივ ქვეყნებში?.. ეხ... როდემდის? როდემდის? სოფლიდან მიბარებენ... განა კაცი არა ყავთ, რომ მაგიერობა გააწევიონ?.. მარა... ვინ უნდა ყავდეთ? აკი მუსრს გვავლებენ, ყოველ დღე გვაკლებენ!.. წამოვდგებით თუ არა ფეხზე, მაშინვე

ძირს დაგვეცემენ... ეს, რა დრო გვექონდა!.. რა დრო გვექონდა!..“

შოთას მოაგონდა ის წამი, როცა ამხანაგებითურთ თავს ქვეყნის პატრონათ გრძნობდა... თვალ წინ დაეხატა სიმართლის ხმის ქექა-ქუხილი, წითელ დროშის ფრიალი, კიდიდან კიდემდე საბედნიეროთ ამოძრავებული ქვეყანა...

გული სიამით აუძგერდა... მარა უცებ ოცნებას ფრთა შეეჭრა, მისი ოდგილი სინამდვილემ დაიჭირა... და შოთასაც თვალეები აუცრემლდა... ბოღმა გულში ჩაიკრა... კბილეები დააკრაქუნა...

— რას მოვესწარიო?! რას მოვესწარიო?! — აღმოხდა გულის სიღრმიდან...

სასოწარკვეთილი მოღში ჩაჯდა... სხეული მოუღუნდა...

და პირ-აღმა გაიშხლართა, ვით მიჯაჭვული ამირანი...

სალამოა. თამრო მშვენიერათ გრძნობს თავს... კიდევ ერთი კვირა და ზეზე აღგება... გული გახარებულია, მშვენიერი ვაჟი ყავს, მშობლები გააბედნიერა... და რაც ყველაზე დიდათ უღირს—ეს შოთაა... მოუბრუნდა სატრფო, თუმც უწინდებურ სიხალისეს და სიცოცხლეს ვერ ამჩნევს, რაღაც ექვები ეპარება, მარა გულსაც იიმედებს—აღბათ რცხენია, რომ ამდენი ხანი ასე მიმატოვოა... ჯერჯერობით საყვედური არ უთქვამს, დროც არ ქონდა, „მოვრჩები და მაშინ მე ვიციო“, — თიბრობს თამრო. განსაკუთრებით ის უნდა გაიგოს, თუ როგორ ექცეოდა ელენეს.

— შოთა, მგონი დერეფანში ხარ, შემოდი აქ, — დაუძახა მისუსტებულის, მარა საშინელის გრძნობიერი და ნარნარის ხმით, თითქოს ზარმა დარეკაო.

შოთა უხმოთ შევიდა. თამროს შეცინებაზე ოდნავ გაიღიმა.

— მოდი აქ, ჩემო ღმერთო, დაჯექი ლოგინზე... გიყურო სახეში, ამდენი ხანია არ მინახვიხარ... უთხრა ათრთოლებულის ხმით და ხელები გაუწოდა.

შოთამ მორცხვით ჩახედა. საუცხოვო სანახავი იყო თამრო...

ისედაც გრძელი ხელები კიდევ უფრო დაგრძელებოდა, განაზებოდა, მშვენიერი სახე ცოტა გამხდარი უჩანდა, ფერი აკლდა. თვალები უწინდებურათ მკვირცხლი და გამომხატველი ქონდა... მოძრაობა თუმც უღონო და მისუსტებული, მარა უწინდებურათ ლამაზი და მოხდენილი, თან შეზომილი... თითქოს განგებ შეესწავლოს მიმოხერაო...

მოხიბლული შოთა უხმოთ ჩამოჯდა თამროს ლოგინზე...

— ხმა გამეცი, გენაცვალე, აკი ამდენი ხანია არ დამლაპარაკებხარ, არ გაგიხარებია ჩემი გული, სთქვი რამე!—ემუდარებოდა თამრო.

— რა ვსთქვა?...

— როგორ თუ რა სთქვა? მანამდე თუ მთელ დღეობით მელაპარაკებოდი და კიდევ ვერ ასრულებდი სათქმელს, დღეს რაღაა?.. სთქვი გენაცვალე, რამე სთქვი...

შოთამ პასუხით ამოიოხრა...

— რა გაწუხებს, სიცოცხლეო, რა? მითხარ... ახლობამდე თუ რამე გაწყენინე, ეს ჩემი გამოუცდელიობით იყო, ბავშვი ვიყავ, არაფერი ვიცოდი.. დღეიდან კი სულით და ხორციტ შენი ვიქნები... მითხარ, რა გადარდებს?

შოთას გულში ჯოჯოხეთი ტრიალებდა. ეთქვა

ყველაფერი, თუ არა? შერიგებოდა, თუ არა? ხანდახან მზათ იყო გადმოენთხია გულის ნადები, მარა ეშინოდა — ვაი თუ თამროზე ისე ძლიერ იმოქმედოს, რომ ავათ-მყოფობა გაუძნელდეს და ჯავრს კიდევ გადაყვესო.

— შოთა, მაკოცე, გენაცვალე, მაკოცე შენებურათ ტუჩებში... გახსოვს ჯვარის წერის წინ რომ არ გაკოცნინე? ახ, რა ბედნიერი წუთი იყო, რა ბედნიერი! განა მოვესწრები იმის მსგავსს ოდესმე?.. მაკოცე, გენაცვალე, მაკოცე...

შოთა უცებ დაიხარა და ანგარიშ-მიუცემლათ აკოცა... უცებ ისევ მოშორდა.

— რაა ასეთი უსულგულობა? მკვდარი ხომ არა ვარ?.. ამის თქმა-ლა მოასწრო გაფითრებულმა თამრომ და გაკვირვებული მიაჩერდა...

შოთა კი ბავშვს მისჩერებოდა, თვალს არ აშორებდა...

— რა ირის რომ სულ იმ ბავშვს უცქერი და მე კი არ მიყურებ? მე უფრო გიყვარვარ, თუ ის? ვისთვის მოხვედი — ჩემთვის, თუ იმისთვის?

— იმისთვის... იმისთვის!.. წამოიძახა შოთამ და ქვითინით ბავშვს მივარდა...

გულში იკრავდა, კოცნიდა...

თამრო გონება წასული მიშტერებოდა... უნდოდა რაღაც წამოეყვირა, მარა ენა ვერ დაეძრა... გაშეშდა...

შიშველი მკლავები გამოწვდილი დაურჩა...

ბროლის გულ-მკერდი ტყვილა ელოდა შოთას ჩახვევას.

ფრთა-ასხმული სიხარული განიგმირა...

თამროს გამომეტყველება სამარეთ ექცა...

XXXII

შოთას სოფელში წასვლა და ელენეს ცხოვრების ჯოჯოხეთად ქცევა ერთი იყო.

— წავიდა, წავიდაო, — ერთი ამოიკვნესა და გულ-წასული ჩაიკეცა.

დაუბნელდა, აღმაფრენა შეეკეცა, სისხლის მაგივრათ ძარღვებში შხამი ჩაესხა...

ბედნიერ აწმყოს, ბრწყინვალე მომავალზე ოცნებას სამარე გაეთხარა, ყველაფერი შავმა მიწამ ჩაყლაპა...

ელენემ თავი ისევ მარტოთ იგრძნო, უმწეოთ... მართალია, დამხმარე, თანამგრძობი და მოჭირნახულე ბევრი ყავდა, მარა შოთას ადგილს მაინც ვერვინ დაიკავებდა... ამხანაგთა თანაგრძობა სულ სხვა იყო, ქმრის კიდევ სხვა...

აგერ სამ კვირას დიდი არაფერი აკლია, რაც შოთა სოფელში წავიდა. მას აქეთ ელენეს თვალში ცრემლი არ ამოშრობილა, ორხელაც კარში არ გამოსულა, სამკერვალოში სიარული ვერ შესძლო... ზველებამ უმატა. ადამიანი შუაში გაიყო.

სტირის, გლოვობს წთავის ღღეს, მოსთქვამს გულდასერილი...

„ნუ თუ არ დაბრუნდება შოთა? ნუ თუ მომიძულეებს?“ — უთვალაფჯერ ეკითხება თავის თავს და პასუხი ჯერაც ვერ გაუცია. მდგომარეობა უცვლელათაა.

„რამ უნდა მიშველოს მაშინ? რამ უნდა მიხსნას? რათ მინდა მერმე თავი ცოცხალი? რის მაქნისი ვიქნები ამ ქვეყნათ? ოხ, საშინელებაჲ! ნუ თუ სამუდამოთ დავლუპე ჩემი შოთა? განა დამიშრა ბედნიერების წყარო? ვინ მტაცებს ჩემს იმედს, ჩემს ბედნიერებას?.. ჩემი ღღენი დათვლილია... ახლობამდე კიდევ მქონდა გამობრუ-

ნების იმედი, მარა აწი კი... ახ, დედა, დედა! რომ იცოდე, რა უბედურია შენი შვილი!.. ბედნიერებას სტაცებენ... შოთა, ნუ თუ ისე მოგკვდები, რომ ვერ გნახავ? შოთა, შოთა! ნუ წამართმევ ნეტარებას, შემობრაღე. ერთხელ ხომ გიყვარდი!.. ხომ მიძღვენ შენი თავი? გთხოვ, ვით გლახაკი, ბარემ მიმყევ სამარის კარამდე... მომეცი რის მოცემაც შეგიძლია... ამ ორ დღეს მანეტარე, მალე მოგშორდები... მალე. რაც შენ წადი, ჩემი ცხოვრების მიზანი შენში გამოინასკვა... ჩემი სიცოცხლის დასაწყისი და დასასრული შენში შეერთდა... მითხარ, გენაცვა, გადამეკრება თუ არა შენში თავმოყრილი სასიცოცხლო ძაფები?.. შოთა, ხმა გამეცი, მომეჩვენე“.

შოთა არსად იყო. ელენეს კვნესა არვის ესმოდა.

„ყველაფერი კარგი, მარა მაქვს კი უფლება მოვთხოვო დაბრუნდეს?“ — გაიფიქრებდა ელენე, როცა გრძნობას დააოკებდა.

„გრძნობა თავისუფალია, ცვალებადია... შოთასაც როგორც სურს, ისე მოიქცევა. მარა... ახ, როგორ დავიჯერო ეს, როგორ? მაშ კეშმარიტებაც არ ყოფილა ქვეყნათ... რას ვამბობ? გონება მეზნევა... ახ... შოთა... შოთა... ნუ თუ მიმატოვებ?“

ელენე მოჯადოებულ წრეშია... ერთი და იგივე მთასჯერ გადიფიქრა... „მარა ჩემი ბრალია, ჩემი, ყველაფერი... რომ მაშინ უარი არ შეთქვა, შოთაც სოფლათ არ წავიდოდა, იმ ქალსაც არ შეირთავდა...“

უცებ „იმ ქალის“ მოგონებამ ზიზღი მოგვარა, ექვთა მორგევი აუღელევა. მგონი დაგლეჯდა ამ წუთს, რომ დაენახა.

„როგორ? მან უნდა წამართვას ჩემი შოთა? განა ის ღირსია შოთასი?“ — გაიფიქრა და სიბრაზით აკანკალდა. მარა მალე დაწყნარდა, შერცხვა თავისივე თავის...

„რა სისულელეს ვაპბობ? თუ იმ ქალს არა აქვს შოთას დაპატრონების ნება, მე ვინ მომცა? ან შოთა განა უსულო საგანია, რომ ყველას შეეძლოს მისი დასაკუთრება? ეს შოთას საქმეა. ვისაც უნდა იმას გაამეფებს თავის გულში. მაშ შოთა... იმას გაიხდის მეუღლეთ, ვინც... ვინც... ახ, არა! მე ვარ, მე მისი მეუღლე და არა სხვა ვინმე! არა!.. მარა... ვინ იცის იმ ქალსაც როგორ უყვარს შოთა? იქნება ის ჩემზედ უარესათ იტანჯება? იქნება იმას ჩემზე მეტი ცეცხლი უგიზგიზებს გულში? ახ, რა საშინელებაა! იმასაც უყვარს შოთა, მეც მიყვარს... შოთა კი ვისია, ვისი? განა არ შეიძლება, რომ ორთავე უყვარდეთ შოთას? გვაცხოვროს ერთად... მე და იმ ქალსაც ერთმანეთი გვეყვარება... ახ, რა სისულელეს ვროშავ! განა ზიარი სიყვარული შესაძლებელია?! იმ ქალს მე შეეკამდი... შეეკამდი... არა თუ შევიყვარებდი...“

ელენეს ისევ შერცხვა თავისი ნაფიქრის... ზეზე წამოიჭრა და დერეფანში გავიდა...

ბნელოდა. ქალაქის მოდარაჯე სერებს გიშრის პირბადე აეფარათ...

ქალაქს კი აუარებელი ბურთები დანათოდენ... მკრთალ სინათლეს აპნევდენ... თითქოს თვით ბნელეთი იწვოდა...

რალაც ზღაპრული ქვეყანა გამოხატულიყო წყვილადის კალთებში... ჯურღმულიდან მოანათებდა...

ელენეს გულის-ყური წაიტაცა ამ სურათმა, გამოსტაცა წუთით დარდ-ვარამს...

„სად არის შოთა, რომ ორთავე დავსტკბეთ ამ სანახაობით... როგორც მანამდე?“ — გაიფიქრა და კვლავ აეშალა ფიქრები...

„ესთქვათ დაბრუნდა... მაინც ხომ ყოველ წუთს

შიშში უნდა ვიყო! შესაძლებელია ის ქალი, რაკი ჩვენს ამბავს გაიგებს, აქ მოვიდეს... მაშინ რა პასუხი უნდა ვასცეს? მარა რას ვამბობ? თუ შოთა ეხლა მოვიდა, მერმე ვინ შეარყევს ჩვენს სიყვარულს? მაშინ საუკუნო კავშირი დამყარდება ჩვენს შუა... საფლავის მეტი ვერაფერს დაგვთმავს... დიახ, საფლავის... ვაი მე უბედურს, რომ დიდხანს ვერ გავყვები ცხოვრების გზაზე! ეხი.. მოვკვდები... დამმარხვენ... მერმე რას იზამს შოთა? ერთხანს მიდარდება და მერმე კი... ისევ... ისევ იმ ქალს დაუბრუნდება... შვილიც ყავს... შეურიგდება... მარა ყველა იმის შემდეგ, რაც იმ ქალის შესახებ შოთას ჩემთვის უთქვამს, თუ მაინც დაუბრუნდა, არაფერი არ არის ქვეყნად დასაჯერი..“

თვალები ცრემლებით აევსო. შური, ექვი, სიძულვილი, ბიძნიერების დაკარგვის სიმწვავე, ყველაფერი აერია, მოიწამლა...

„მიწას დამაყრიან, გავქრები, მოვისპობი... სხვები კი იცოცხლებენ, ინეტარებენ... ახ, ბუნების უსამართლობა!“

ლონე მიხდილი ელენე ლოგინზე დაიკეცა.

სამკედრო სასიცოცხლოთ იბრძოდა მისს არსებაში გრძნობა და გონება, გააფრთებული ასკდებოდენ ერთმანეთს.

გონება ერთსა და იმავეს იმეორებდა: შოთა თავისუფალია, რაც უნდა იმას იქს, თავის ნებით შევიერთდა და თავისივე ნებით დაგშორდება. შენც უნდა ხვედრს შეურიგდე, სხვაფრივ შეუძლებელიაო.

გონებამ ამ სიტყვებიდან უმაგრესი ზღუდე შემოირტყა. ამაო იყო გრძნობის ტალღების ზედ თავგანწირული ხეთქება.

გრძნობის გონებას არ ესმოდა და გონების გრძნობას.

ისინი თარეშობდენ ელენეს სულსა და გულში, ერთმანეთზე გამარჯვებას ცდილობდენ... ხოლო ელენე კი — ბრძოლის მოედანი თან და თან იშლებოდა, სხეული უდუნდებოდა, ცრემლით დნებოდა...

უცებ ელენეზე თითქოს სული წმიდა გადმოვიდაო.

ისეთი აზრი დაებადა, რომელიც ამ ტანჯვის დროს არ მოსვლია. სახე გაუბრწყინდა.

„განა დღემდე მარტო პირადი ბედნიერება მწამდა? ჩაგრულნი? წამებულნი? საქვეყნო ბედნიერების ტაძრის შენება? დეე, პატარა კაცი ვიყო, ბევრი არ შემეძლოს... სიცოცხლის დღენიც დათვლილი მქონდეს... სხვებთან ერთად მეც ბევრი შემეძლია, ბევრი. დეე, ნუ მოვა შოთა! როგორც მას სურდეს... მე კი სიყვარულის საგანი კიდევ მაქვს ცხოვრებაში... ქვეყანა ჩემთვის ჯერ არ დაკლილა... ვინემ პირში სული მიდგას, ბედს არ დავემონები... ვიწრომებ, ვიბრძოლებ!..“

ამ აზრმა ელენე დააიმედა, მომავალი გაუსხივოსნა.

მარა მწვავე სინამდვილემ ისევ მალე იჩინა თავი.

და კვლავ ტრეპლები, კვლავ ქვითინი...

დერეფნიდან ხმაურობა მოისმა, ვილაცამ კარებს მოუკაკუნა...

— ვინა ხარ? — მიაძახა მისუსტებულმა ელენემ.

ხმა არ გასცეს. ხმაურობა განმეორდა. ელენემ სული განაბა, აკანკალდა, ეგონა ხელმეორედ ჩხრეკდა პოლიცია.

„იქნება კიდევ დამატუსალონ,“ გაიფიქრა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა წამოიყვირა:

— ვინა ხარ?

— შოთა. მოესმა პასუხათ.

წამი და აქვითინებული ელენეც მკლავებში ყავდა შოთას... ტუჩებს უკოცნიდა, გულში იკრავდა...

XXXIII

სიჩუმეა...

ქალაქი ჯერ კიდევ სთვლემს...

პირს გაცრეცილი ნისლის ლეჩაქი წაუფარებია...

სახე ნამით შეთქვირებია...

გადამწვანებულ სერებს სიყვარულით შემოაუხვევიათ მისთვის მკლავები... ნიავს არ აკარებენ, ძილს არ უფრთხობენ...

შუა ქალაქში მძიმეთ მიიზღაზნება ვეებერთელა მდინარე... ნაპირებს კოცნის; ეელურტულება...

პირქუშია, ტალღა ძლიერი, ამაყი. ვერცხლის ფერ სივრცეში ინთქება, ზეცას უერთდება...

ლაჟვარდის კამარაც თავს გვირგვინათ ადგია იქაურობას... სიჩუმეს აასკეცებს.

შოთა თავის ბაღში ბარავს.

ხშირათ გადახედავს ხოლმე სერებს გადაღმა მდებარე თვალუწვდენელ მინდვრებს. ასე ჰგონია ზღვა შეშოწოლია იქაურობას და თან და თან შთასანთქავათ უახლოვდებაო.

ჯერ სოფელსაც სძინავს, თორემ ტრიალი მინდვრები ქალაქისკენ მომავალ ადამიანებით აქრელდებოდა. მალე კი გაიღვიძებს და ჩამოუტანს უძღებ ვეშაპს, ქალაქს, საზრდოს, ძალღონეს, თავის გონებრივ და ზნეობრივ ავლადიდებას.

შოთა ფიქრებშია: „სად არის ახლა ჩემი შეილიკო? ალბათ კულოპინებს... ჩემი ჩვილი, ჩემი სისხლ-ხორცი... თამრო?.. ეხ“...

ფიქრებს თავი ანება და ბარზე დაყრდნობილი სოფელს გაჰყურებს. თვალწინ უდგას მთელი სოფელი... შეილი, თამრო...

...და ტანში აზანზალებს, თავს მომსპობის ძალის წინაშე გრძნობს...

ელენე კი ოთახში ფუსფუსებს. კარგი ხანია, რაც სამკერვალოსაც თავი დაანება, ექიმმა დაითხოვა.

ერთობ სუსტადაა, თავს ცუდათ გრძნობს...

მართალია, ელვამ გადაიარა, მეხი არ გავარდა მისს თავზე—შოთა დაუბრუნდა, —მარა მაზედ დარღმა და სეედამ შუა გაჰყო იგი, საშინლათ მოადუნა.

— შოთა! — მისუსტებულის მარა სიყვარულით აღსაესე კილოთი დაუძახა ელენემ.

— რა იყო?

— აქ მოდი!..

— შენ მოდი, მე აქ ვმუშაობ, ბარემ დაებარავ ამ დილაზე, მალე ქარხანაც იყვირებს.

ელენე მოდის. ჩამომდნარი სახე გასხივოსნებია, გახარებულია...

შოთა ბარზე დაყრდნობილი უცქერის, უღიმის, რა-
ღაც ახალ ამბავს ელის. უკვირს ელენეს გამხიარულება,
ასე კაი ხანია არ უნახავს. თან გულში შხამათ ჩაეწვეთა
ექიმის სიტყვები: თუ კარგად მოუვლი, იქნებ ცოტა
ხანს კიდევ იცოცხლოსო. გული დაუნემსა ამ მოგონებამ,
სიბრალეული, სიყვარული და უბედურების აჩრდილი
ყველა ერთად აერია.

— იცი შოთა? მე ფეხმძიმეთ ვარ... სთქვა ელენემ
და სირცხვილით თავი ჩაჭკიდა.

წუთი და შოთას გულმკერდზე იყო მიყრდნობილი.

შოთა კი სიხარულით ჩურჩულებდა:

ელენე, შენც? შენც? ელენე...

სოფელი და ქალაქი უცებ ორივე შეერთდა მისს
გონებაში...

— შვილები... შვილები... იქაც... აქაც...

— შოთა, ჩემო ძვირფასო... ჩემო...

ელენეს სუსტი ხმა ტყვიასავით მოხვდა შოთას. გუ-
ლი მოეწამლა. მაგრათ ჩაიკრა მისი გამხდარი სხეული.

თამრიკოც კარგი ხანია სცუ-ავს მიმოგონების ტალ-
ღათა ტლაშანში...

ტახტზე ზის ხელებ-გამოწვდილი, სწორეთ ისე,
როგორც შოთამ დატოვა...

შოთას თავზარი დასცა ამ სურათმა... მეტის ძა-
ლით ჩაიკრა ელენე, თითქოს შეეშინდა—თამრიკომ არ
წამართვასო...

— ცოცხალის თავით არ დაგანებებ!—შესძახა უცებ
ამ სურათს და კბილების ღრქენით გაქვავდა.

სოფელმა უკვე გაიღვიძა, ქალაქისკენ მოდის. თვალ-
უწვდენელ მინდვრებზე მაშვრალნი აშლილან...

მზეც ამოცურდა. ოქროს კალთაში გაიხვია არემარე.

შოთასა და ელენეს ოქროს სხივებით ნაგვირისტი
გვირგვინი დაადგა... ცხოველ-მყოფელ სხივთა შარავან-
დელით შემოსა...

იქაჲ დასოზილ ბარსაც შუქი სტყორცნა...

ქარხნებიც აზუზუნდენ, მაშვრალთ იწვევენ...